ბუქმარქსი

სახელმძღვანელო ადამიანის უფლებებათა სწავლების გზით ონლაინ სიძულვილის ენასთან ბრძოლისათვის

განახლებული გამოცემა
2020

NO HATE SPEECH MOVEMENT

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE

NO HATE SPEECH MOVEMENT

ბუქმარქსი

სახელმძღვანელო ადამიანის უფლებებათა სწავლების გზით ონლაინ სიძულვილის ენასთან ბრძოლისათვის

განახლებული გამოცემა (2020)

მომზადებული და რედაქტირებულია
ელი ქინისა და მარა ჯორჯესკუს მიერ

მეორე გამოცემაში მონაწილეობა მიიღეს:
ოლენა ჩერნიხმა, ანკა რუქსანდრა პანდეამ და სატუ ვალტერმა

საბოლოო რედაქცია
რუი გომეში

ბუქმარქსი - სახელმძღვანელო ადამიანის უფლებებათა სწავლების გზით ონლაინ სიძულვილის ენასთან ბრძოლისათვის, განახლებული გამოცემა, 2020

Bookmarks - A manual for combating hate speech online through human rights education Revised edition, 2020

ტექსტი შექმნილია და გამოიყენება ევროპის საბჭოს ნებართვით. ეს დოკუმენტი გამოქვეყნდა ევროპის საბჭოსთან შეთანხმებით, მაგრამ მთარგმნელის მთლიანი პასუხისმგებლობის ქვეშ.

სახელმძღვანელოში წარმოდგენილი მოსაზრებები ეკუთვნით ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს ევროპის საბჭოს მოსაზრებებს.

პუბლიკაციის ორიგინალურ ვერსიაზე საავტორო უფლება ეკუთვნის ევროპის საბჭოს. დაუშვებელია წინამდებარე გამოცემაში შესული მასალის თარგმნა, გამრავლება ან გავრცელება ნებისმიერი ფორმით ან საშუალებით, ელექტრონული (CD Rom, ინტერნეტი და ა.შ.) ან მექანიკური საშუალებით, მათ შორის, ასლის გადაღებით, ჩაწერით ან ინფორმაციის შენახვისა და გავრცელების სხვა ნებისმიერი საშუალებით, კომუნიკაციების დირექტორატის წინასწარი წერილობითი ნებართვის გარეშე (F-67075 Strasbourg Cedex or publishing@coe.int).

ამ პუბლიკაციის მასალის გამრავლება ნებადართულია მხოლოდ არაკომერციული, საგანმანათლებლო მიზნებით და წყაროს სათანადოდ მითითებით.

დოკუმენტთან დაკავშირებული კორესპონდენცია უნდა გაეგზავნოს “ადამიანის უფლებათა ასოციაციას“:

ადამიანის უფლებათა ასოციაცია
www.hra.ge
Email: info@hra.ge

სახელმძღვანელოს ქართული ვერსია გამოიცა საქართველოში ევროპის საბჭოს ოფისის მხარდაჭერითა და დაფინანსებით:

ევროპის საბჭოს ოფისი საქართველოში
www.coe.ge
Email: informTbilisi@coe.int

ბუქმარქსი - გზამკვლევი ადამიანის უფლებებზე განათლებით ონლაინ სიძულვილის ენასთან ბრძოლისათვის:
© Council of Europe, 2020 English edition
© Human Rights Association, 2020 Georgian translation
© ევროპის საბჭო, 2020 ინგლისური ვერსია
© ადამიანის უფლებათა ასოციაცია, 2020 ქართული თარგმანი

შინაარსობრივი რედაქტირება: გუბაზ კობერიძე
ქართული ვერსიის ხარისხის შემოწმება: სულხან ჩარგეიშვილი
დაბეჭდილია: საქართველოში

ყდის ფოტოებისთვის მადლობას ვუხდით: ევროპის საბჭოს / მოძრაობას სიძულვილის ენის წინააღმდეგ

განლაგება და დიზაინი: ჰორვატ დანიელ - danielhorvath.com

წინასიტყვაობა

სახელმძღვანელო ბუქმარქსი, რომელსაც ახლა ეცნობით სიძულვილის ენის აღმოფხვრისა და ადამიანის უფლებათა გაძლიერებისათვის შექმნილი შესანიშნავი ინსტრუმენტია. შეიძლება გაგიჩნდეთ კითხვა: „რატომ უნდა შევიწუხოთ თავი? განა ადამიანებს არ აქვთ უფლება, გამოთქვან საკუთარი აზრი დემოკრატიულ საზოგადოებაში?“ მართალია, გამოხატვის თავისუფლება, როგორც ფუნდამენტური უფლება, ვრცელდება შეურაცხმყოფელ, საზარელ ან შემაშფოთებელ იდეებზეც, მაგრამ ის გულისხმობს მკაფიო მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებსაც; სიძულვილი არ არის „დაცული“ ენა, სიძულვილით აღსავსე სიტყვებმა შეიძლება გამოიწვიოს სიძულვილით მოტივირებული დანაშული,რომელმაც უკვე არაერთი ადამიანის ცხოვრება და სიცოცხლე შეიწირა.

სიძულვილის ენა შეუწყნარებლობისა და ქსენოფობიის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ფორმად იქცა ევროპაში. განსაკუთრებით შემაშფოთებელია სიძულვილის ენა პოლიტიკურ დებატებში, ასევე, მისი გავრცელება საჯარო სივრცეში, მით უმეტეს, ინტერნეტის მეშვეობით. როდესაც საზოგადოება აღიარებს მიუღებელ რამეს, ის „ნორმად“ ყალიბდება და იქმნება ადამიანის უფლებათა დარღვევის საფრთხე. ევროპის საბჭომ დაიწყო კამპანია „მოძრაობა სიძულვილის ენის წინააღმდეგ“, რომლის მიზანია სიძულვილის ენის შემცირება ინტერნეტსივრცეში და მისი „ნორმად“ ცნობის აღკვეთა.

არავინ უარყოფს, რომ ინტერნეტი კომუნიკაციის, სოლიდარობის, სოციალური ცვლილებებისა და გართობის შესანიშნავი საშუალებაა, მაგრამ არ უნდა დავუშვათ მისი გამოყენება წამებისა და სიძულვილის პროპაგანდის ინსტრუმენტად. გამოხატვის თავისუფლება ინტერნეტში უნდა გულისხმობდეს შიშისგან თავისუფლებასაც.

ევროპის საბჭომ პირველმა განმარტა სიძულვილის ენა და მოუწოდა რასიზმისა და ქსენოფობიის დაგმობისკენ ინტერნეტსივრცეში. სამართლებრივი ღონისძიებები ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ უკმარი. განათლებაა სიძულვილის ენის აღკვეთის, დაგმობისა და მსხვერპლთა სოლიდარობის ერთადერთი შორსმიმავალი გზა.

განათლება ადამიანის უფლებების შესახებ, ადამიანის უფლებების მეშვეობით და ადამიანის უფლებებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია სწრაფი ცვლილებებისა და გამოწვევების ფონზე, განსაკუთრებით, ბავშვებსა და ახალგაზრდებთან მიმართებით. ადამიანის უფლებების დაცვა დღეს აუცილებლად უნდა იყოს მედიის განათლებისა და ინტერნეტწიგნიერების განუყოფელი ნაწილი.

ევროპის საბჭოს კამპანია „მოძრაობა სიძულვილის ენის წინააღმდეგ“ ახალგაზრდების ინიციატივით შეიქმნა და ისინი თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას მის მართვა-განხორციელებაზე. ეს მნიშვნელოვანია, ვინაიდან სწორედ ახალგაზრდები ხდებიან ინტერნეტში ადამიანის უფლებათა დარღვევის ყველაზე ხშირი სამიზნეები სიძულვილის ენისა და დაშინების სხვადასხვა ფორმებით.

ვიმედოვნებთ, რომ სახელმძღვანელო დაინერგება სკოლებში, ახალგაზრდულ ცენტრებსა და ორგანიზაციებში, ასევე, ინტერნეტსივრცეში. სტუდენტებს, მშობლებს, განმანათლებლებს... ყველა ადამიანს მოვუწოდებთ ამ გზამკვლევის თავისუფლად გამოყენებასა და კამპანიასთან შეერთებას.
მოდით, გამოვიყენოთ ბუქმარქსი სიძულვილის ენასთან ბრძოლისათვის.



თორბიორნ იაგლანდი
ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი

მადლიერების ნიშნად

გვინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადოთ ყველას, ვინც წვლილი შეიტანა სახელმძღვანელოს შემუშავებაში, კერძოდ, ესენი არიან:

- „მოძრაობა სიძულვილის ენის წინააღმდეგ“ კამპანიის სამეთვალყურეო საბჭოს წევრები, განსაკუთრებით, ახალგაზრდულ საკითხებზე ევროპის საბჭოს მრჩეველთა საბჭოსა და ევროპის ახალგაზრდული საკითხების კომიტეტის წარმომადგენლები, დამკვირვებლები საგანმანათლებლო პოლიტიკისა და პრაქტიკის ევროპული სამუშაო კომიტეტიდან, ახალგაზრდობის ინფორმირებისა და კონსულტაციების ევროპული სააგენტო, ევროპის ახალგაზრდობის ფორუმი, „ევროპის ახალგაზრდული ბარათის ასოციაცია“, ორგანიზაცია „ევროპის ეკონომიკური ზონისა და ნორვეგიის გრანტები“ და ონლაინ აქტივისტები;

- კლაუდია ლენცი (The European Wergeland Centre), ანი სილტანენი (Insafe) და ვიტორ ტომე (კონსულტანტი);

- ანა ვებერი (ადამიანის უფლებათა კომისრის ოფისი); გორდანა ბერიანი (ბავშვთა პროგრამა); ლი ჰიბარდი, ელვანა თაჩი და ჯეიმს ლოსონი (ინტერნეტმმართველობის განყოფილება), პაულა ელ-ვალტერი (ევროპული კომისიის სამდივნო რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ), ჯოზეფ ჰიუბერი, იულია პერერვა (განათლების დეპარტამენტი), ანკა-რუქსანდრა პანდეა, მენო ეტემა, ეილინ დონეგანი, კლეარ უზინსკი და მაუდი ჰოფმან ბოივინი (ახალგაზრდობის დეპარტამენტი) და ევროპის საბჭო.

შევეცადეთ, მიგვეთითებინა ტექსტისა და აქტივობების ყველა ავტორი და სათანადოდ დაგვეფასებინა მათი წვლილი. ბოდიშს ვიხდით ნებისმიერი უზუსტობისა და გამორჩენისთვის. სიამოვნებით გამოვასწორებთ შეცდომას შემდეგ გამოცემაში.

„მე ვირჩევ თანასწორობას“

ბუქმარქსის ქართული განახლებული თარგმანი მომზადებულია პროექტის „დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში“ (2018-2021)* ფარგლებში. მისი მიზანია ისეთი ინიციატივების თავმოყრა, რომლებიც ითვალისწინებს, საკანონმდებლო შესაძლებლობათა განვითარებისა და ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებს და მიემართება დისკრიმინაციასთან, სიძულვილის ენასა და სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთან ბრძოლას, ასევე, მრავალფეროვნებისა და ტოლერანტობის დაფასებას საქართველოში და ამ საკითხებზე ინფორმირებას. პროექტი ეყრდნობა ევროპის საბჭოს, საქართველოს ხელისუფლების, სასამართლოს, სამართალდამცველი ორგანოებისა და სამოქალაქო საზოგადოების მრავალწლიან თანამშრომლობას.

პროექტის მნიშვნელოვანი ნაწილია კამპანია „მე ვირჩევ თანასწორობას“, რომელიც მიზნად ისახავს ცნობიერების ამაღლებას იმ რისკების შესახებ, რომელსაც დისკრიმინაცია, სიძულვილის ენა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაული უქმნის ქართულ საზოგადოებას. საგანმანათლებლო აქტივობები, სათემო ინიციატივები და საზოგადოებრივი კამპანიები ხელს უწყობს ისეთ პროცესებს, როგორიცაა ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული ღირებულებების დამკვიდრება, კულტურათაშორისი სწავლება და სამართლებრივი დაცვის მექანიზმების გამოყენება სიძულვილის ენის მსხვერპლთა მიერ.

კამპანიის ძირითად სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენენ ახალგაზრდები, იმის გათვალისწინებით, რომ ახალი თაობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს მრავალფეროვნებაზე საზოგადოების აზრის ჩამოყალიბებაში, ამასთანავე, თემის დონეზე მონაწილეობს დისკრიმინაციასთან ბრძოლაში.

საგანმანათლებლო და ცნობიერების ასამაღლებელი ინიციატივები დაეფუძნება საუკეთესო მაგალითებს, რომლებსაც გვთავაზობს ევროპის საბჭოს ახალგაზრდული კამპანია „მოძრაობა სიძულვილის ენის წინააღმდეგ“. მისი მიზანია სიძულვილის ენასთან ბრძოლა და ადამიანის უფლებათა დაცვა ინტერნეტსივრცეში. კამპანიის „მე ვირჩევ თანასწორობას“ ძირითად სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენენ ახალგაზრდები, იმის გათვალისწინებით, რომ ახალი თაობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს მრავალფეროვნებაზე საზოგადოების აზრის ჩამოყალიბებაში, ამასთანავე, თემის დონეზე მონაწილეობს დისკრიმინაციასთან ბრძოლაში.

გიწვევთ, რომ შემოგვიერთდეთ: http://ichooseequality.ge/

* პროექტი “დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში” ხორციელდება საქართველოში 2016-2019 წლების ევროპის საბჭოს სამოქმედო გეგმის მიხედვითა და დანიის სამეზობლო პროგრამის (DANEP) მხარდაჭერით. სახელმძღვანელოს ორიგინალური თარგმანი დაფინანსდა ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროექტის ფარგლებში, „მედიის თავისუფლების, პროფესიონალიზმისა და პლურალიზმის ხელშეწყობა“ (2015-2017).

სარჩევი

თავი 1 - სახელმძღვანელოს შესახებ

1.1 შესავალი 11
1.2 ონლაინ სიძულვილის ენის პრობლემა 13

თავი 2 - მოძრაობა სიძულვილის ენის წინააღმდეგ

2.1 კამპანიის შესახებ 16
2.2 კამპანიის შედეგები 17
2.3 კამპანიის ინსტრუმენტები და რესურსები 18
2.4 კამპანიის შემდგომი ქმედებები ევროპის საბჭოს დონეზე 20
2.5 რისი გაკეთება შეუძლიათ ახალგაზრდებს 21

თავი 3 - სახელმძღვანელოს გამოყენება

3.1 სახელმძღვანელოს საჭიროება 22
3.2 სახელმძღვანელოს სტრუქტურა 24
3.3 აქტივობების განხორციელება 25
3.4 ათი დაშვება და აკრძალვა 27
3.5 თემები და კითხვები 28

თავი 4 – 24 აქტივობა

აქტივობების შემაჯამებელი ცხრილი 30
ადამიანის უფლებათა სწავლების მეშვეობით ინტერნეტსივრცეში
სიძულვილის ენასთან ბრძოლის 24 აქტივობა 34

თავი 5 – ზოგადი ინფორმაცია

5.1 ონლაინ სიძულვილის ენა 191
5.2 ადამიანის უფლებები 200
5.3 გამოხატვის თავისუფლება 208
5.4 რასიზმი და დისკრიმინაცია 215
5.5 პირადი ცხოვრება და უსაფრთხოება 221
5.6 დემოკრატია და მონაწილეობა 226
5.7 კამპანიის სტრატეგიები 233

5.8 ინტერნეტწიგნიერება 238
5.9 კიბერბულინგი 249
5.10 ევროპის საბჭო და ონლაინ სიძულვილის ენა 254

6. დანართები

6.1 ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (მოკლე შინაარსი) 260
6.2 ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და მისი ოქმები (მოკლე შინაარსი) 262
6.3 ონლაინ სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლის სხვა რესურსები 266
6.4 ინტერნეტმომხმარებელთა ძირითადი უფლებების სახელმძღვანელო (გამარტივებული ვერსია 269
6.5 ბუქმარქსის საფუძველზე სემინარების ჩატარებასთან დაკავშირებული წინადადებები 272

თავი I

სახელმძღვანელოს შესახებ

1.1 შესავალი

> *„ჯოხებისა და ქვების მეშვეობით შეიძლება ჩემი ძვლების დამსხვრევა, მაგრამ სიტყვა ვერასდროს მომანიჭებს ტკივილს“.*
>
> ***ეთანხმებით?***

წინამდებარე სახელმძღვანელოს მიზანია, მხარი დაუჭიროს „მოძრაობას სიძულვილის ენის წინააღმდეგ“ - ევროპის საბჭოს ახალგაზრდულ კამპანიას, რომელიც ებრძვის სიძულვილის ენას ინტერნეტსივრცეში, სახელმძღვანელო სასარგებლოა ამ პრობლემაზე მომუშავე განმანათლებლებისთვის, როგორც ფორმალური საგანმანათლებლო სისტემის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. გამოცემა მომზადდა 13-დან 18 წლამდე ასაკის ახალგაზრდებთან სამუშაოდ, თუმცა, აქტივობების მორგება შეიძლება სხვა ასაკობრივ ჯგუფებზეც.

ბუქმარქსი (*Bookmarks)* პირველად დაიბეჭდა 2014 წლის დასაწყისში და თარგმნილია 18 ენაზე. 2016 წელს გამოიცა სახელმძღვანელოს განახლებული ვერსია. კერძოდ, მასში აისახა ევროპის საბჭოს ინტერნეტმომხმარებელთა ძირითადი უფლებების სახელმძღვანელო.

ევროპის საბჭოს მიერ კოორდინირებული კამპანია “მოძრაობა სიძულვილის ენის წინააღმდეგ” დასრულდა 2018 წელს, თუმცა, ეროვნულ დონეზე კვლავ აქტიურია რამოდენიმე კამპანია. ბუქმარქსის ახალი (2020 წლის) ვერსია შეიცავს განახლებულ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ განავითარა ევროპის საბჭომ ახალგაზრდული კამპანიის ფარგლებში დაწყებული საქმიანობა.

კიბერსიძულვილთან ბრძოლის საგანმანათლებლო ინიციატივათა საჭიროებას ნაწილობრივ განაპირობებს მომატებული ძალადობა ინტერნეტსივრცეში, რომელსაც უმეტესწილად ექსტრემალური და რასისტული სახე აქვს და საფრთხეს უქმნის დემოკრატიული საზოგადოების ფუნდამენტურ ღირებულებებს. მიუხედავად ამისა, კიბერსიძულვილის პრობლემა უკავშირდება არა მხოლოდ რასიზმსა და დისკრიმინაციას, არამედ ადამიანების მიერ ინტერნეტის გამოყენებასაც. ეს შედარებით ახალი მოვლენაა, რომელიც არ არის სრულად აღიარებული და შესწავლილი. ამის გამო ონლაინ სიძულვილის ენის პრობლემას მსოფლიო ჯერჯერობით ვერ უმკლავდება.

კიბერსიძულვილთან ბრძოლაზე მიმართული ქმედებების უმეტესობა ორიენტირებულია მაკონტროლებელი მექანიზმების ამოქმედებაზე, ანუ სიძულვილის გამოვლენის აღმოფხვრაზე. წინამდებარე სახელმძღვანელოში სიძულვილის ენა განხილულია უფრო სიღრმისეული პრობლემის სიმპტომად. სახელმძღვანელოში წარმოდგენილი აქტივიობები შეიქმნა, რათა უპასუხოს როგორც სიძულვილის

ენის ძირეული მიზეზების აღმოფხვრის პრობლემას, ასევე დაგვეხმაროს სიძულვილის ენასთან ბრძოლის ეფექტიანი ხერხების გამოვლენაში.

ინტერნეტსივრცეში სიძულვილის ენა განსაკუთრებით შხამიანი მცენარის ფოთლებს ჰგავს, რომელმაც ღრმად გაიდგა ფესვები საზოგადოებაში. ფოთლების მოჭრით პრობლემის სიღრმისეული მიზეზები ვერ აღმოიფხვრება.

ადამიანის უფლებათა მიდგომა

სახელმძღვანელოში გამოყენებული აქტივობების საშუალებით ახალგაზრდები განავითარებენ ცოდნას, უნარებსა და დამოკიდებულებებს, რომლებიც დასჭირდებათ მაშინ, როცა რეალური სამყაროსთვის დადგენილი პრინციპები ინტერნეტშიც აისახება. ეს პრინციპები შემუშავდა და შეთანხმდა დაახლოებით 60 წლის წინათ და ცნობილია, როგორც ადამიანის უფლებები. მათი საშუალებით დაცულია თითოეული ადამიანის ღირსება, თანასწორუფლებიანობა და თავისუფლებები, ასევე, აღიარებულია ყოველი ჩვენგანის როლი იმ წესების დადგენაში, რომელთა მეშვეობითაც უნდა ვმართავდეთ ყოველდღიურ ცხოვრებას.

ახალგაზრდული კამპანიის მსგავსად, წინამდებარე სახელმძღვანელოში სიძულვილის ენა მიჩნეულია ადამიანის უფლებათა სფეროს პრობლემად, აქტივობებში გამოყენებული მიდგომა კი ეფუძნება ადამიანის უფლებათა პრინციპებსა და სტანდარტებს. ამრიგად, სახელმძღვანელო დაეხმარება არა მარტო სიძულვილის ენის აღმოფხვრას ინტერნეტსივრცეში, არამედ ადამიანის უფლებათა გაცნობიერებას ონლიან გარემოში და მის ფარგლებს გარეთ.

(საგანმანათლებლო მიდგომის შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად, იხილეთ მე-3 თავი, მე-5 თავში კი გაეცნობით ზოგად ინფორმაციას ადამიანის უფლებათა შესახებ ონლაინ და ოფლაინ სივრცეში).

დემოკრატია და მოქალაქეობა ინტერნეტსივრცეში

სახელმძღვანელო დაფუძნებულია მტკიცე რწმენაზე, რომ ინტერნეტი საზოგადოებრივი სივრცეა. შესაბამისად, მასზე შეიძლება/უნდა გავრცელდეს დემოკრატიული საზოგადოების ყველა პრინციპი. ახალგაზრდებს ძალზე მნიშვნელოვანი როლი ენიჭებათ სიძულვილის ენასთან ბრძოლაში. ისინი ინტერნეტსივრცეში მოქმედებენ, როგორც მოქალაქეები: შეუძლიათ გამოხატონ თავიანთი მისწრაფებები და პრობლემები, განახორციელონ ქმედებები, პასუხი მოსთხოვონ მათ, ვინც არღვევს ადამიანის უფლებებს, მეტიც, იყვნენ ამ უფლებათა დამცველები ონლაინგარემოში.

გარდა ამისა, ეს არის მონაწილეობის სივრცე, რაც გულისხმობს ინტერნეტის მართვის პროცესების ცოდნას. სახელმძღვანელო თავისი აქტივობების მეშვეობით იკვლევს ურთიერთქმედების საშუალებებს ონლაინსივრცეში, კერძოდ, როგორ შეუძლიათ ახალგაზრდებს ზომების მიღება და კამპანიების ჩატარება უკეთესი და უსაფრთხო ინტერნეტის ჩამოყალიბებისათვის.

დემოკრატიასთან დაკავშირებული თემები, ონლაინკამპანიები და ინტერნეტწიგნიერება წარმოდგენილია მე-5 თავში.

1.2 ონლაინ სიძულვილის ენის პრობლემა

ახალი შესაძლებლობები და საფრთხეები

ინტერნეტის ფართო გავრცელებასთან ერთად, ადამიანებს შორის კომუნიკაციისა და კავშირების შესაძლებლობები იზრდება. ინტერნეტმა მოგვცა თეორიული შესაძლებლობა, ნებისმიერ ადამიანთან დავამყაროთ კომუნიკაცია მსოფლიოში. მისი მეშვეობით შესაძლებელია, კულუარებსა ან მსოფლიოს პატარა და უცნობ კუთხეში ნათქვამი მოსაზრება ცნობილი გახდეს სხვა ადამიანებისთვისაც. ყველა, ვისაც აქვს წვდომა ინტერნეტზე, ერთდროულად არის გამომცემელიც და საჯარო გამომსვლელიც. ახლა უკვე ვერავინ შეგვიშლის ხელს აზრების გამოთქმაში.

იცით, იქ რა არის?

მაგალითები იხილეთ 195 გვერდზე ან თვითონ ჩაატარეთ ონლაინკვლევა.

ეს ისეთი სიახლეა, რომლის შეცვლაც აღარავის ენდომება, თუმცა, მუდმივად განვითარებადი და მზარდი ინტერნეტსამყარო ასახავს და ირეკლავს არაერთ სირთულესაც, რომლებსაც ადამიანები ისტორიულად აწყდებოდნენ „რეალურ“ ყოფაში. შეუწყნარებლობა და „სიძულვილი“ იყო საზოგადოების მახასიათებელი თვისება სამყაროს დასაბამიდან. კვლევებმა აჩვენა, რომ ბოლო წლებში ასეთი დამოკიდებულება სულ უფრო მზარდი ტენდენციით ხასიათდება.

ვინ ამოწმებს?

ჩვენი უარყოფითი აზრებისა და დამოკიდებულების გამოხატვა ინტერნეტით უფრო ადვილია?

პრობლემა ის არის, რომ მრავალფეროვნებისა და განსხვავებული აზრების მიმართ დამოკიდებულება ნაკლებშემწყნარებლურია, და თუ არ დამყარდება კონტროლი მასზე, ასეთი დამოკიდებულება და სიძულვილი გამოვლინდება როგორც ადამიანების საქციელში, ასევე მათ საუბარში. ინტერნეტმა შექმნა იდეების გამოხატვის ახალი საშუალებები და მოქმედების ახალი სივრცეები. თუმცა, ინტერნეტსივრცეში მოსაზრებების გამოხატვა შედარებით ნაკლებად არის შეზღუდული: აქ ჩვენ შეგვიძლია ისეთი აზრების გამოთქმა, რომლებსაც საჯაროდ ვერ გავახმოვანებდით.

თუ ინტერნეტსივრცის გარეთ სიძულვილის ენას, როგორც პრობლემას, აღიარებს საზოგადოება და მონახავს აღმოფხვრის საშუალებებსაც, შესაძლებელი იქნება მისი აღკვეთა ინტერნეტში?

რომელი არის უარესი...?

გამოსვლა საჯარო შეხვედრაზე:

“თუ შენ ხარ გეი, იმკურნალე და შემდეგ იცხოვრე ადამიანებს შორის.”

პოსტი ინტერნეტ ფორუმში:

“თუ შენ ხარ გეი, იმკურნალე. და შემდეგ იცხოვრე ადამიანებს შორის.”

პრობლემის მასშტაბი

"მე გაგაუპატიურებ ხვალ საღამოს 9 საათზე. შევხვდეთ შენ სახლთან????" [1]
"შენ აქ არ გვჭირდები, დარჩი საკუთარ ქვეყანაში და გაანადგურე ის და არა ჩვენი ქვეყანა!!!" [2]
*"შენ ხარ სულელი ****. დედაშენი ზანგია და მამაშენი - მოძალადე!"* [3]

როგორც წესი, ინტერნეტსივრცეში სიძულვილის ენაზე მონიტორინგი რთულია. ფაქტობრივად, სწორედ ამის გამო მარტივდება სიძულვილის ენის გამოყენება ონლაინგარემოში, რაც ართულებს კონტროლს სახელმწიფოების ან სხვების მხრიდან. რამდენიმე ორგანიზაცია შეეცადა, გამოეკვლია პრობლემის მასშტაბი. მათ აღმოაჩინეს, რომ ინტერნეტსივრცეში სიძულვილი იზრდება.

პრობლემის მასშტაბი

- 2019 წელს Facebook-მა მესამე კვარტალში სიძულვილის ენის გამოყენების 7 მილიონი შემთხვევის წაშლის თაობაზე გამოაქვეყნა ინფორმაცია. ამ შემთხვევების 80% ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით იქნა წაშლილი.[4]
- ქალების 73% ინტერნეტსივრცეში განიცდის შეურაცხყოფას, მათ შორის, სიძულვილის ენას. 2014 წელს BBC-ის მიერ ჩატარებულ გამოკითხვაში, ქალი რესპონდენტების მხოლოდ 50% დაეთანხმა შემდეგ განცხადებას: "ინტერნეტი არის უსაფრთხო ადგილი, სადაც შემიძლია საკუთარი მოსაზრებების გამოხატვა."[5]

კვლევის ფარგლებში შევეცადეთ, დაგვედგინა, რა მოცულობით აწყდებიან ახალგაზრდები სიძულვილს ინტერნეტსივრცეში.

ახალგაზრდები და ონლაინ სიძულვილი

- ევროპის მასშტაბით, 9-დან 16-წლამდე ასაკის ინტერნეტმომხმარებელთა 6% ონლაინბულინგის მსხვერპლია, 3%-მა კი აღიარა, რომ ჩაგრავდა (აბულინგებდა) სხვებს;[6]
- კანადაში ახალგაზრდა ინტერნეტმომხმარებელთა 16% აცხადებს, რომ ინტერნეტში აქვეყნებდა სიძულვილის გამომხატველ პოსტებს ადამიანების ან მათი ჯგუფების მიმართ; [7]
- ონლაინკვლევის რესპონდენტთა 78% აცხადებს, რომ რეგულარულად აწყდება სიძულვილის ენას ინტერნეტსივრცეში, რომლის ყველაზე ხშირი სამიზნეები არიან: ლგბტ (ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი) ადამიანები (70%), მუსლიმები (60%) და ქალები.[8]

შენიშვნები

1 Twitter სტელა მაკრისისთვის (დიდი ბრიტანეთის პარლამენტის წევრი)
2 Facebook-ის გვერდიდან 'Bugger off Asylum Seekers'
3 Twitter გაგზავნილია, როდესაც ფეხბურთელმა - ფაბრის მუამბამ წარმოშობით კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკიდან მიიღო გულის შეჩერება ფეხბურთის მატჩის დროს.
4 ბილი პერიგო: Facebook-ი აცხადებს, რომ დიდი ოდენობით სიძულვილის ენის შემთხვევები წაშალა, Time (27 November 2019), https://time.com/5739688/facebook-hate-speech-languages/
5. კიბერძალადობა ქალების და გოგონების წინააღმდეგ, გაეროს ფართო დიაპაზონის კომისიის სამუშაო ჯგუფის ანგარიში, https://en.unesco.org/sites/default/files/genderreport2015final.pdf
6 EU Kids Online– ის გამოკითხვიდან: www2.lse.ac.uk/media@lse/research/EUKidsOnline/EU%20Kids%20II%20(2009-11)/EUKidsOnlineIIReports/ Final%20report.pdf
7 ვალერი სტივენსისგან, ახალგაზრდა კანადელი სადენიან სამყაროში, III ფაზა: რასისტულ და სექსისტურ ონლაინ მასალასთან დაჯახება, Media Smarts, ოტავა, 2014. ეს არის 2013 წელს სკოლაში ჩატარებული ეროვნული გამოკითხვა, რომელიც მოიცავდა 5,436 ბავშვსა და ახალგაზრდას 4-დან 11 კლასის ჩათვლით. ხელმისაწვდომია მისამართზე: https://mediasmarts.ca/research-policy/young-canadians-wired-world-phase-iii/young-canadians-wired-world-phase-iii-encountering-racist-sexist-content-online
8 ევროპის საბჭოს ონლაინ გამოკითხვა No Hate Speech Movement- ის შესახებ: https://rm.coe.int/questions-and-lessons-learned-hate-speech-2015-online-survey/pdfa/16808b5f64

თავი 2

მოძრაობა სიძულვილის ენის წინაალმდეგ

ევროპის საბჭოს ახალგაზრდული კამპანია ინტერნეტსივრცეში ადამიანის უფლებათა დასაცავად

"სიძულვილის ენა, როგორც ეს განსაზღვრულია ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ, მოიაზრებს გამოხატვის ყველა ფორმას, რომლებიც ავრცელებს, აქეზებს, ხელს უწყობს ან ამართლებს რასობრივ სიძულვილს, ქსენოფობიას, ანტისემიტიზმს ან სიძულვილის სხვა სახეებს, დაფუძნებულს შეუწყნარებლობის სხვადასხვა ფორმაზე, მაგალითად როგორიცაა აგრესიული ნაციონალიზმი, ეთნოცენტრიზმი, დისკრიმინაცია, მტრული განწყობა უმცირესობათა და მიგრანტთა მიმართ. კამპანიის მიზნებისათვის, დისკრიმინაციისა და ცრურწმენის სხვა ფორმები, როგორიცაა ბოშების საწინააღმდეგო განწყობები, ქრისტიანოფობია, ისლამოფობია, ქალთმოძულეობა, სექსიზმი და დისკრიმინაცია სექსუალური ორიენტაციისა თუ გენდერული იდენტობის ნიშნით, ცალსახად ხვდება სიძულვილის ენის ფარგლებში."

სიძულვილის ენის განმარტება, რომელსაც იყენებს კამპანია "მოძრაობა სიძულვილის ენის წინააღმდეგ" – www.nohatespeechmovement.org

2.1. კამპანიის შესახებ

ევროპის საბჭოს კამპანია „მოძრაობა სიძულვილის ენის წინააღმდეგ" მიმდინარეობდა 2013 წლის მარტიან 2017 წლის ბოლომდე. კამპანია, რომელსაც ახალგაზრდები წარმართავდნენ, უზრუნველყოფდა ახალგაზრდების მობილიზებას ინტერნეტსივრცეში სიძულვილის ენის პრობლემის შესახებ ცნობიერების ამაღლების, მის მიმართ დამოკიდებულების შეცვლისა და პრობლემის აღმოფხვრის ინიციატივების განხორციელების მიზნით. ახალგაზრდული კამპანია „მოძრაობა სიძულვილის ენის წინააღმდეგ" ევროპის საბჭოს იმ ფართომასშტაბიანი ძალისხმევის ნაწილს წარმოადგენდა, რომელიც ხელს უწყობს ინტერნეტსივრცეში ადამიანის უფლებების დაცვასა და ადამიანების ჩართულობას დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის ღირებულებების ხელშეწყობის კუთხით.

ევროპის საბჭო სიძულვილის ენას დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების საფრთხედ მიიჩნევს. „მოძრაობა სიძულვილის ენის წინააღმდეგ“ ადამიანის უფლებებს ეფუძნებოდა, თუმცა, იგი გულისხმობდა არა მხოლოდ სამართლებრივი მექანიზმების გამოყენებას კიბერსიძულვილის წინააღმდეგ, არამედ, ასევე, გამოხატვის თავისუფლების პატივისცემის ხელშეწყობასა და სიძულვილის ენაზე რეაგირების ისეთი ალტერნატიული გზების გამონახვას, როგორიცაა: პრევენცია, განათლება, ცნობიერების ამაღლება, მომხმარებელთა თვითრეგულირება და მსხვერპლთა მხარდაჭერა.

2.2. კამპანიის შედეგები

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის თანახმად, კამპანია იყო „პირველი ფართომასშტაბიანი საერთაშორისო ინიციატივა სიძულვილის ენის წინააღმდეგ, რომელიც სიძულვილის ენას ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ ერთ-ერთ ძირითად პრობლემად განიხილავდა“. კამპანიამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა შემდეგი მიმართულებებით:

ა) ახალგაზრდებისა და ფართო საზოგადოების ცნობიერების ამაღლება სიძულვილის ენის არსისა და რისკების შესახებ;

ბ) ათასობით განმანათლებლის, ახალგაზრდული მუშაკისა და ახალგაზრდა ლიდერების აღჭურვა იმ კომპეტენციებით, რაც საჭიროა ახალგაზრდების გასაძლიერებლად, ადამიანის უფლებების სწავლების გზით, სიძულვილის ენის ამოცნობის, შეტყობინებისა და მასზე რეაგირების განხორციელების მიზნით;

გ) ინტერნეტსივრცეში სიძულვილის ენასთან საბრძოლველად ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და ახალგაზრდების მობილიზება ევროპაში და მის ფარგლებს გარეთ;

დ) აქტივობების ორგანიზება სიძულვილის ენის კონკრეტული სამიზნე ჯგუფების მხარდასაჭერად და ყურადღების მიპყრობა სიძულვილის ენის ისეთ გამოვლინებებზე, რომელთა შეფასებაც და შეტყობინებაც ხდება არასათანადოდ;

ე) სიძულვილის ენის საწინააღმდეგო და ალტერნატიული ნარატივების შექმნა და ჩართულობისა და იდენტობის პოზიტიური ფორმების შემუშავება ახალგაზრდებისათვის, ეროვნული, კულტურული, სოციალური, რელიგიური, ეთნიკური ან ორგანიზაციული საზღვრების მიღმა;

ვ) ფორმალურ და არაფორმალურ განათლებაში მედია და საინფორმაციო წიგნიერების მნიშვნელობის გადაფასება;

ზ) ინტერნეტ მმართველობის აღქმა მოქალაქეობრივი უფლება-მოვალეობების განხორციელებისა და ახალგაზრდების მონაწილეობის სივრცის სახით“.

(მინისტრთა კომიტეტის დეკლარაცია ახალგაზრდული კამპანიის „მოძრაობა სიძულვილის ენის წინა-

აღმდეგ“ მემკვიდრეობის შესახებ - მიღებულია 2019 წლის 29 მაისს, ხელმისაწვდომია აქ: https://search.coe.int/cm/pages/result_details.aspx?objectid=090000168094b576).

კამპანიამ მთავარი როლი ითამაშა ახალგაზრდულ სექტორში და მის ფარგლებს გარეთ არსებული ძირითადი დაინტერესებული მხარეების, განსაკუთრებით კი ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და ახალგაზრდა ონლაინ აქტივისტების გაერთიანებაში. კამპანიის ფარგლებში შემუშავდა სპეციალური ინსტრუმენტები, როგორც ინტერნეტ სივრცეში (online), ისე მის გარეთ (offline).

კამპანიის შედეგებისა და შეფასების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ: https://www.coe.int/en/web/no-hate-campaign/reports-of-seminars-and-conferences

2.3 კამპანიის ინსტრუმენტები და რესურსები

ევროპის საბჭოს მიერ სიძულვილის ენის წინააღმდეგ განხორციელებული საქმიანობისა და ახალგაზრდული კამპანიის შედეგების შესახებ ინფორმაციის ძირითად წყაროდ რჩება:

www.nohatespeechmovement.org.

ეროვნული კამპანიები

კამპანია, რომელსაც მხარს უჭერდა ევროპის საბჭო და მისი ევროპელი პარტნიორები, ხორციელდებოდა წევრ სახელმწიფოებში არსებული კამპანიის ეროვნული კომიტეტების მიერ. 45 ქვეყანაში სულ 46 კამპანია განხორციელდა. ზოგიერთი მათგანი კვლავ აქტიურია. მათი საკონტაქტო ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ:

https://www.coe.int/en/web/no-hate-campaign/national-campaigns1

რესურსების კრებული

რესურსების კრებულში გაერთიანებულია ეროვნული კამპანიების, პარტნიორებისა და ევროპის საბჭოს მიერ შემუშავებული 270-ზე მეტი რესურსი:

https://www.coe.int/en/web/no-hate-campaign/compendium-of-resources

საგანმანათლებლო ინსტრუმენტები

„ბუქმარქსი“ შეიქმნა სპეციალურად კამპანიის მხარდასაჭერად. სახელმძღვანელო შეეხება ინტერნეტისვრცეში სიძულვილის ენის თემას, ადამიანის უფლებათა სწავლების ჭრილში. „ბუქმარქსი“ შექმნილია 13-დან 18 წლამდე ახალგაზრდებისათვის, თუმცა, შესაძლებელია მისი ადაპტაციაც. სახელმძღვანელო 18-ზე მეტ ენაზე ითარგმნა:

https://www.coe.int/en/web/no-hate-campaign/bookmarks-connexions

„ჩვენ შეგვიძლია! სიძულვილის ენის წინააღმდეგ მოქმედება საპირისპირო და ალტერნატიული ნარატივებით“

სახელმძღვანელოში წარმოდგენილია საკომუნიკაციო და საგანმანათლებლო მიდგომები და ინსტრუმენტები ახალგაზრდებისა და ადამიანის უფლებათა აქტივისტებისათვის, რათა მათ შეძლონ სიძულვილის ენის საწინააღმდეგო და ალტერნატიული ნარატივების შემუშავება:

https://www.coe.int/en/web/no-hate-campaign/we-can-alternatives1

ინტერნეტმომხმარებელთა ძირითადი უფლებების სახელმძღვანელო

სახელმძღვანელო ინტერნეტმომხმარებელთა ინსტრუმენტია და მათ აწვდის ინფორმაციას ინტერნეტში ადამიანის უფლებების, მათი შესაძლო შეზღუდვებისა და შეზღუდვების შემთხვევაში ხელმისაწვდომი სამართლებრივი დაცვის მექანიზმების შესახებ. სახელმძღვანელო მიმოიხილავს უფლებებისა და თავისუფლებების მნიშვნელობას პრაქტიკაში, ინტერნეტის კონტექსტში, მათ გამოყენებასა და მათი დაცვის შესაბამის სამართლებრივ მექანიზმებს.

სახელმძღვანელო ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: www.coe.int/en/web/internet-users-rights/guide.

ქართული ვერსია: https://rm.coe.int/coe-guide-to-human-rights-for-internet-users-georgian/1680768423?fbclid=IwAR0GNkK0CH3rO0TfRVYSf5gARtgGbZyLvouyanExyFe72S49f34wTxmuEHI

სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევების შეტყობინება

აქ წარმოდგენილია ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შევატყობინოთ სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევები სოციალური მედიის ძირითად პლატფორმებსა და სახელმწიფო ორგანოებს ან არასამთავრობო ორგანიზაციებს სხვადასხვა ქვეყნებში:

https://www.coe.int/en/web/no-hate-campaign/reporting-hate-speech

კამპანიის ბლოგი, სიძულვილის ენის მონიტორი (Hate Speech Watch) და პლატფორმა ამჟამად აღარ არის აქტიური, თუმცა, შესაძლებელია მათზე წარმოდგენილი ინფორმაციის გაცნობა: https://www.coe.int/en/web/no-hate-campaign/previous-blog-and-platform.

კამპანიის გვერდები სოციალურ მედიაში კვლავ აქტიურია და მიმდევრებს აწვდის განახლებულ ინფორმაციას ევროპის საბჭოს საქმიანობის შესახებ:

https://www.coe.int/en/web/no-hate-campaign/social-medias

2.4. კამპანიის შემდგომი ქმედებები ევროპის საბჭოს დონეზე

2018 წლის აპრილში ევროპის საბჭოს ახალგაზრდობის დეპარტამენტმა შეამცირა კამპანიის „მოძრაობა სიძულვილის ენის წინააღმდეგ“ კოორდინაციის მასშტაბები. ამავდროულად, კამპანიას აგრძელებდნენ ეროვნულ დონეზე მიმდინარე კამპანიები, ონლაინ აქტივისტები და პარტნიორი ორგანიზაციები, ადამიანის უფლებების სწავლებისა და ცნობიერების ამაღლების ინიციატივების განხორციელების გზით. ევროპის საბჭოს სხვადასხვა დაწესებულებები, როგორიცაა საპარლამენტო ასამბლეა და რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისია (ECRI), აგრძელებენ საქმიანობას სიძულვილის ენის წინააღმდეგ.

მინისტრთა კომიტეტის დეკლარაცია

2018 წელს, ახალგაზრდობის ერთობლივმა საბჭომ შეაჯამა კამპანიის შედეგები და მინისტრთა კომიტეტს მიმართა რეკომენდაციებით, კამპანიის შემდგომ ქმედებებთან დაკავშირებით. 2019 წლის მაისში, მინისტრთა კომიტეტმა მიიღო კამპანიის შესახებ დეკლარაცია, რომელიც ითვალისწინებს შემდეგ ღონისძიებებს:

[მინისტრთა კომიტეტი]

1. იღებს გადაწყვეტილებას, განახორციელოს კამპანიის შემდგომი ქმედებები და ამ მხრივ, ხაზს უსვამს რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის როლსა და ევროპის საბჭოს ახალგაზრდული, ადამიანის უფლებების, ანტი-დისკრიმინაციული, საგანმანათლებლო და მედია სტრუქტურების განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას;
2. თანახმაა, რომ აღნიშნული შემდგომი ქმედებები მოიცავდეს, მათ შორის:
   - დემოკრატიული მოქალაქეობის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების განმტკიცებას, განსაკუთრებით, ევროპული ახალგაზრდული ცენტრებისა და ევროპული ახალგაზრდობის ფონდის ბაზაზე;
   - მედია და საინფორმაციო წიგნიერების შესახებ პროექტების განახლებასა და ახალი პროექტების შემუშავებას, განსაკუთრებით, არაფორმალური (non-formal, informal) განათლების ფარგლებში;
   - მმართველობის პროცესში ახალგაზრდების სრულფასოვანი მონაწილეობის მხარდაჭერას;
   - ევროპულ და ეროვნულ დონეზე არსებული ახალგაზრდული ქსელებისა და აქტივობების მხარდაჭერას, რომელიც კამპანიას ეფუძნება;
   - სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევებზე ეფექტური რეაგირების მიზნით სათანადო და კომპლექსური პოლიტიკის არსებობის უზრუნველყოფას;
   - უზრუნველყოფას იმისა, რომ შემდგომი პროექტები ითვალისწინებდეს კამპანიის ინსტრუმენტების გავლენის შეფასებას.*

* მინისტრთა კომიტეტის დეკლარაცია ”მოძრაობა სიძულვილის ენის წინააღმდეგ” ახალგაზრდული კამპანიის მემკვიდრეობის შესახებ მიღებულია 2019 წლის 29 მაისს.

ახალგაზრდები დემოკრატიისთვის

პროგრამა "ახალგაზრდები დემოკრატიისათვის" აგრძელებს ახალგაზრდული კამპანიის მემკვიდრეობას და ამ მიზნით ხელს უწყობს ადამიანის უფლებების სწავლებას, ინტერნეტმმართველობაში ახალგაზრდების მონაწილეობას და დისკრიმინაციასთან ბრძოლას (მათ შორის, სიძულვილის ენასთან), რომელსაც გავლენა აქვს ახალგაზრდების მოწყველად ჯგუფებზე. ევროპულ ახალგაზრდულ ცენტრში რამოდენიმე სასწავლო სესიის შედეგად შეიქმნა, მათ შორის, "ქსელი სიძულვილის ენის წინააღმდეგ" (No Hate Speech Network, https://nohatespeech.network). ახალგაზრდობის დეპარტამენტი აგრძელებს კამპანიის ძირითადი საგანმანათლებლო რესურსების თარგმნის მხარდაჭერას და ითვალისწინებს სიძულვილის ენასთან ბრძოლის საკითხებს ევროპულ და ეროვნულ დონეზე ჩატარებულ სხვადასხვა ტრენინგებში.

ანტი-დისკრიმინაციული დეპარტამენტი

ანტი-დისკრიმინაციული დეპარტამენტი ევროპის საბჭოს წევრებს ეხმარება დისკრიმინაციასთან, სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთან და სიძულვილის ენასთან ბრძოლაში, პოლიტიკის სტანდარტების დადგენის, მონიტორინგისა და შესაძლებლობების განვითარების გზით. თანამშრომლობითი საქმიანობა, რომელსაც დეპარტამენტი ახორციელებს სიძულვილის ენის წინააღმდეგ, ეფუძნება კამპანიის მემკვიდრეობას და მიზნად ისახავს ეროვნულ კამპანიებსა და პარტნიორებს შორის თანამშრომლობის დამყარებას.

ევროპის საბჭოს სხვადასხვა სექტორების მიერ ინტერნეტსივრცეში სიძულვილის ენასთან ბრძოლისა და ადამიანის უფლებების განმტკიცების მიზნით განხორციელებული საქმიანობის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: https://www.coe.int/en/web/no-hate-campaign/coe-work-on-hate-speech

2.5. რისი გაკეთება შეუძლიათ ახალგაზრდებს

მიუხედავად იმისა, რომ კამპანია ევროპის დონეზე დასრულდა, ინტერნეტში და ინტერნეტის გარეთ სიძულვილის ენაზე რეაგირება და მასთან ბრძოლა კვლავ მნიშვნელოვან საკითხად რჩება. ახალგაზრდებს შეუძლიათ, განახორციელონ სხვადასხვა საქმიანობა სიძულვილის ენის წინააღმდეგ და ადამიანის უფლებების დასაცავად. ამ მხრივ, შესაბამისი რეკომენდაციები წარმოდგენილია წინამდებარე სახელმძღვანელოში, სამოქმედო იდეების შესახებ თავში. რეკომენდაციები, ასევე, წარმოდგენილია კამპანიის წარმოების სტრატეგიების შესახებ ქვე-თავში და რესურსების კრებულში.

თავი 3
სახელმძღვანელოს გამოყენება

ეს თავი მოკლედ მიმოიხილავს სახელმძღვანელოს მთლიან სტრუქტურას, მიზნებსა და მეთოდოლოგიას. იგი დაგეხმარებათ საგანმანათლებლო მიდგომის გააზრებასა და ღონისძიებათა დაგეგმვა-განხორციელებაში სამიზნე ჯგუფთან.

3.1 სახელმძღვანელოს საჭიროება

სიძულვილის ენა ერთგვარი შეტევაა ისედაც მოწყვლად ადამიანებზე, რაც ნოყიერ საფუძველს ქმნის დაძაბულობის, უთანასწორობისა და, ხშირად, ძალადობის გამწვავებისთვის. ევროპის საბჭო სიძულვილის ენას დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების საფრთხედ მოიაზრებს.

კამპანია „მოძრაობა სიძულვილის ენის წინააღმდეგ“ აცნობიერებდა, რომ პრობლემის გადასაჭრელად საჭიროა მუშაობა სხვადასხვა დონეზე. პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები არ არის ყოველთვის მკაფიო ან მარტივი. ამიტომ, წინამდებარე სახელმძღვანელო შეიქმნა საგანმანათლებლო საქმიანობის მხარდასაჭერად, რომელიც ახალგაზრდებს დაეხმარება ინტერნეტში სიძულვილის ენის პრობლემის გადაჭრასა და მასთან ბრძოლის გზების მოძიებაში. გამოცემის მიზანია ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება, უნარების განვითარება და მოტივაციის გაზრდა. ეს ყველაფერი მათ დასჭირდებათ კამპანიაში აქტიური მონაწილეობისათვის, ასევე, ისეთი ონლაინსივრცის შესაქმნელად, რომელიც იცავს ადამიანის უფლებებს და აგებულია დემოკრატიული მონაწილეობის პრინციპებზე.

ახალგაზრდები არ არიან ინტერნეტსივრცეში სიძულვილის ენის გამოყენების უბრალო „მოწმეები“. ბევრი მათგანი უკვე დაზარალდა სიძულვილის ენის შემთხვევებით. საგანმანათლებლო ინიციატივები უნდა ითვალისწინებდეს ამ საკითხებს და განიხილოს ახალგაზრდების წინაშე არსებული გამოწვევები სამივე თვალსაზრისით. ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, წინამდებარე სახელმძღვანელოს ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები 7 ძირითად მიზანს ემსახურება, კერძოდ:

სახელმძღვანელოს მიზნები

- ფორმალური და არაფორმალური განათლების სფეროს წარმომადგენლთა დახმარება ახალგაზრდებში სიძულვილის ენის აღმოფხვრის მხრივ და სკოლების მხარდაჭერა, რათა მათ გამოიყენონ კამპანიის “მოძრაობა სიძულვილის ენის წინააღმდეგ” გამოცდილება და რესურსები;

- ახალგაზრდების უნარებისა და მოტივაციის განვითარება ონლაინ სიძულვილის ენის პრობლემის გასაცნობიერებლად, ასევე, ადამიანის უფლებათა აქტივისტად ჩამოყალიბებისათვის, როგორც ინტერნეტ სივრცეში, ისე მის გარეთ;
- ცნობიერების ამაღლება ადამიანის უფლებათა პრინციპების შესახებ და ხედვის ჩამოყალიბება ისეთი ინტერნეტსივრცის შექმნაზე, სადაც დაცული იქნება ზემოაღნიშნული პრინციპები;
- ადამიანის უფლებათა სწავლების მხარდაჭერა არაფორმალური განათლების მიდგომებით,კრიტიკული სულისკვეთების ჩამოყალიბება ბავშვებსა და ახალგაზრდებში;
- იმ ადამიანთა გაძლიერება, რომლებიც უკვე იყვნენ ან შეიძლება მომავალში გახდნენ სიძულვილის ენის მსხვერპლნი ინტერნეტში;
- თანაგრძნობის გაძლიერება იმ ჯგუფებისა და პირების მიმართ, რომლებიც შეიძლება იქცნენ ინტერნეტში სიძულვილის ენის სამიზნეებად;
- მითებისა და ცრურწმენების გაქარწყლება სიძულვილის ენის ყველაზე გავრცელებულ სამიზნეთა მიმართ.

სახელმძღვანელოს საგანმანათლებლო მიდგომა

წინამდებარე სახელმძღვანელოში გამოყენებულია ადამიანის უფლებათა სწავლების მიდგომები. ევროპის საბჭოს ქარტია დემოკრატიული მოქალაქეობისთვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ (2010) განმარტავს, რომ აღნიშნული მიდგომები მოიცავს შემდეგ საკითხებს:

> „ადამიანის უფლებათა სწავლება“ ნიშნავს განათლებას, წვრთნას, ცნობიერების ამაღლებას, ინფორმაციას, პრაქტიკასა და საქმიანობებს, რომელთა მიზანსაც წარმოადგენს, მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის ცოდნის გადაცემის, უნარებისა და ნათელი წარმოდგენების განვითარებისა, დამოკიდებულებებისა და ქცევის წესის ჩამოყალიბების გზით, მათთვის იმ რესურსების მიწოდება, რომლებიც საშუალებას მისცემს მათ საკუთარი წვლილი შეიტანონ საზოგადოებაში ადამიანის უფლებათა საყოველთაო კულტურის დანერგვისა და დაცვის საქმეში, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დანერგვისა და დაცვის თვალსაზრისით.

ადამიანის უფლებათა სწავლება 3 სფეროს მოიცავს:

- **სწავლა ადამიანის უფლებათა შესახებ,** ცოდნა ადამიანის უფლებების მახასიათებლების შესახებ. ამ უფლებების დაცვის გზების გაგება. ასევე, ონლაინსივრცეში და მის ფარგლებს გარეთ ადამიანის უფლებების როლის გააზრება;

- **ადამიანის უფლებათა მეშვეობით სწავლა,** გააზრება, რომ ადამიანის უფლებათა სწავლების კონტექსტი და ორგანიზების მეთოდი უნდა შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებათა ღირებულებებს (მაგ.: მონაწილეობა, აზრისა და გამოხატვის თავისუფლება და სხვა). ასევე იმის გააზრება, რომ ადამიანის უფლებათა სწავლების დროს, პროცესი ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც მისი შინაარსი;

- **სწავლა ადამიანის უფლებებისთვის,** უნარების, მიდგომებისა და ღირებულებების განვითარებით, რათა შევძლოთ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ღირებულებების დანერგვა ცხოვრებაში, ასევე, დამოუკიდებლად ან სხვებთან ერთად მოქმედება ამ უფლებების ხელშესაწყობად და დასაცავად.

კომპასი, სახელმძღვანელო ადამიანის უფლებების სფეროში ახალგაზრდების მონაწილეობით უფრო მეტ ინფორმაციას გვაწვდის ამ უფლებების სწავლებაზე. შესაბამისად, ის დაეხმარება ფასილიტატორებს არსებული მიდგომებისა და პრაქტიკების გააზრებაში (დეტალური ინფორმაციისთვის იხ: www.coe.int/compass)

3.2 სახელმძღვანელოს სტრუქტურა

შესავალი თავები

ეს და წინა ორი თავი მნიშვნელოვანია აქტივობათა კონტექსტის განსაზღვრისათვის. კარგი იქნება, თუ გაეცნობით მათ სახელმძღვანელოს კამპანიის შინაარსის გასაგებად.

პირველ თავში წარმოდგენილი მასალის დიდი ნაწილი დეტალურად განხილულია 5.1 ქვეთავში: „ონლაინ სიძულვილის ენა“. ამ ქვეთავში მოცემული ინფორმაცია კი წარმოდგენას შეგიქმნით სიძულვილის ენის რიგ საკითხებზე ინტერნეტსივრცეში და გააცნობიერებთ მათზე მუშაობის აუცილებლობას.

მეორე თავში წარმოდგენილია “სიძულვილის ენის წინააღმდეგ” ევროპის საბჭოს კამპანიის (2013-2017) მოკლე მიმოხილვა და ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ აგრძელებს ევროპის საბჭო სიძულვილის ენასთან ბრძოლას.

სახელმძღვანელოში მიმოხილული ძირითადი თემები

ეს არის ინტერნეტსივრცეში სიძულვილის ენასთან უშუალოდ დაკავშირებული 8 თემა. თავად თემები და ზოგიერთი საკვანძო საკითხი, რომელთა გადაჭრასაც ემსახურება სახელმძღვანელოს შესაბამისი ნაწილები, მოცემულია დიაგრამაზე (გვ. 28). საკითხების ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და ყურადღება მახვილდება მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვან თემებზე, რაც, თავის მხრივ, ახალი გამოწვევების წარმოჩენაში გვეხმარება.

აქტივობათა უმეტესი ნაწილი ეხება სხვადასხვა საკითხის გადაჭრას, რომელიც განსხვავებულ თემებს მოიცავს. თითოეული ეს თემა ცალკეულადაც მნიშვნელოვანია. შესაბამისად, აქტივობების დიდი ნაწილი ასევე სასარგებლო იქნება ისეთ ზოგად მიმართულებებზე სამუშაოდ, როგორიცაა: რასიზმის პრევენცია, ინტერნეტწიგნიერება, განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისთვის, ადამიანის უფლებათა სწავლება და სხვა.

აქტივობები

სახელმძღვანელოს მთავარ ნაწილში ერთიანდება 24 აქტივობა და თითოეული განიხილავს ერთ ან მეტ თემას. აქტივობები კლასიფიცირებულია „სირთულის“ მიხედვითაც: IV დონე გულისხმობს გარკვეულ გამოცდილებას ან ცოდნას ამ სფეროში; I დონის აქტივობა კი შეიძლება განხორციელდეს ჯგუფებში, რომლებისთვისაც ეს თემა უცნობია.

შესაბამისი აქტივობისა და თემის ასარჩევად (სირთულის დონისა და მისთვის დასათმობი დროის მიხედვით), შეგიძლიათ გამოიყენოთ აქტივობათა ცხრილი (გვ. 30). სავარაუდოდ, ბევრ განმანათლებელს არ ექნება ყველა აქტივობის განხორციელების შესაძლებლობა (ან საჭიროება), მაგრამ თემები ურთიერთდაკავშირებულია და შესაბამისად ყველა აქტივობის გამოყენება შეიძლება არა მხოლოდ სიძულვილის ენის პრობლემასთან, არამედ სხვა გამოწვევებთან გასამკლავებლად.

თითოეული აქტივობა შეიცავს „იდეებს მომავალ მოქმედებებთან დაკავშირებით“. ეს არის აქტივობების ფარგლებში შეძენილი ცოდნისა და უნარების გაერთიანების მნიშვნელოვანი საშუალება, რომელიც ახალგაზრდებს დაეხმარება ინიციატივების განხორციელებაში.

საფუძვლად გამოყენებული ტექსტები

მე-5 თავში მოცემულია აქტივობათა მხარდამჭერი ტექსტები. 5.1 და 5.2 ნაწილი განიხილავს სიძულვილის ენასა და ადამიანის უფლებათა რეალიზების საკითხებს ონლაინსივრცეში და მის ფარგლებს გარეთ, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია ყველა აქტივობისთვის. სხვა ტექსტების გამოყენება შეიძლება საჭიროებისამებრ და კონკრეტული აქტივობიდან გამომდინარე.

3.3 აქტივობების განხორციელება

აქტივობების ინსტრუქციები შედარებით დეტალურია და მოიცავს დამატებით რჩევებს: „რჩევები ფასილიტატორებისთვის“, რომლებიც შეიცავს გაფრთხილებას პოტენციური სირთულეების შესახებ. ამიტომაც მნიშვნელოვანია მათი წინასწარი გაცნობა.

ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული აქტივობების ჩასატარებლად, დახმარება და რეკომენდაციები იხილეთ კომპასის პირველ თავში www.coe.int/compass

შემდეგ ნაწილში ერთიანდება ზოგადი რეკომენდაციები, თუ როგორ მივიღოთ საუკეთესო შედეგი აქტივობების მეშვეობით და მოკლედ მიმოიხილავს სახელმძღვანელოში გამოყენებულ სა-

განმანათლებლო მიდგომას (იხ: „დაშვებები და აკრძალვები“ ბოლო ნაწილში, სადაც გაეცნობით გასათვალისწინებელი საკითხების მოკლე ჩამონათვალსაც).

ფასილიტატორის როლი

აქტივობებში გამოყენებული ტერმინი „ფასილიტატორი“ გულისხმობს აქტივობათა კოორდინატორს. ამ შემთხვევაში, ფასილიტატორი არის პირი, რომელიც ხელს უწყობს აქტივობის განხორციელებას და ეხმარება სხვებს საკუთარი პოტენციალის შესწავლასა თუ განვითარებაში. ეფექტიანი ფასილიტაცია ადამიანის უფლებათა სწავლების მნიშვნელოვანი ელემენტი და ამ აქტივობათა გაცოცხლების საფუძველია.

აუცილებელი არ არის, ექსპერტი იყოთ, რომ კონკრეტულ საკითხზე იმუშაოთ: კარგი ფასილიტაცია არ მოითხოვს განსაკუთრებულ ცოდნას ან გამოცდილებას, ამისათვის საჭიროა, უგებდეთ ახალგაზრდებს და გქონდეთ მათთან ურთიერთობის გამოცდილება. წინამდებარე სახელმძღვანელოს აქტივობები ყველაზე წარმატებულად ისეთ გარემოში განხორციელდება, სადაც თქვენს ჯგუფს მიეცემა შესაძლებლობა, რომ გამოიკვლიოს და მოიძიოს საკუთარი მიდგომა რთულ და ხშირად, საკამათო საკითხებთან მიმართებით. არაფერი დაშავდება, თუ ეტყვით მონაწილეებს, რომ ამ საკითხებს მათთან ერთად გაეცნობით. უშუალო მონაწილეობა სასწავლო პროცესში ზრდის მის ხარისხს. ზოგადად, ასეთი მიდგომა ყველაზე ეფექტიანია ადამიანის უფლებათა სწავლებისთვის. შესაბამისად, არ არის აუცილებელი, ფასილიტატორი ყველა საკითხში ექსპერტი იყოს, მაგრამ მას უნდა შეეძლოს მონაწილეების დახმარება ინფორმაციის მოძიებასა და პასუხების/მოსაზრებების ჩამოყალიბებაში.

უსაფრთხო გარემოს შექმნა

ბევრი აქტივობა და სახელმძღვანელოში წამოჭრილი საკითხი შეიძლება უშუალოდ შეეხოს მონაწილეებს. იქნებ ზოგიერთი მათგანი უკვე გახდა კიდეც ბულინგის/კიბერბულინგის მსხვერპლი - ჯგუფის რომელიმე მონაწილის მხრიდანაც კი - ანდა ძალადობის მსხვერპლი რასისტულ თუ დისკრიმინაციულ ნიადაგზე. ძალიან მნიშვნელოვანია, გულთან ახლოს მიიტანოთ ასეთი შემთხვევები და აგრძნობინოთ მონაწილეებს, რომ საჭიროების შემთხვევაში, სათანადო მხარდაჭერას გაუწევთ. შეეცადეთ, ეს თვითონ გააკეთოთ ან მონაწილეები გადაამისამართეთ ისეთ ადამიანთან, რომელსაც დახმარება შეუძლია. **InSafe** და **InHope** ქსელებში (https://www.betterinternetforkids.eu) მითითებულია სასარგებლო კონტაქტები და დახმარების ცხელი ხაზი ინტერნეტში შეურაცხყოფის შემთხვევებზე ინფორმაციის მისაწოდებლად. მთელ რიგ წევრ სახელმწიფოებს აქვთ საჩივრების მიღებისა და მათზე რეაგირების საკუთარი მექანიზმები. ფასილიტატორებმა უნდა მოიძიონ შესაბამისი ინფორმაცია და თუ საჭიროა, ჩართონ ასეთი მომსახურება თავიანთ საგანმანათლებლო აქტივობებში.

მონაწილეებმა ამ საკითხების განხილვისას თავი მაქსიმალურად „უსაფრთხოდ“ უნდა იგრძნონ. შეგიძლიათ, ჯგუფს განუსაზღვროთ ძირითადი წესები (მაგ.: შეთანხმდეთ ერთმანეთის მოსაზრებების პატივისცემასა და დაცინვის, შეურაცხყოფისა თუ პირადი კრიტიკის ნებისმიერი ფორმის აღკვეთაზე).

3.4 ათი დაშვება და აკრძალვა

	დაშვება:	**აკრძალვა:**
1	მიეცით მონაწილეებს შესაძლებლობა, გამოთქვან მოსაზრებები და ისაუბრონ საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე.	არ განსაჯოთ არცერთი მოსაზრება; არ ჩათვალოთ, რომ ის „გამოუსადეგარი“, „მიუღებელი“ ან „სულელურია“!
2	შეეცადეთ, განავითაროთ ერთმანეთის პატივისცემის კულტურა და დაამკვიდროთ უსაფრთხო გარემო, სადაც არავის ეშინია საკუთარი აზრის გამოთქმა.	არ მისცეთ ჯგუფს საშუალება, გამორიცხოს, უგულებელყოს და წინასწარ განსაჯოს ნებისმიერი ადამიანი, ან უპატივცემულოდ მოექცეს მას; შეეცადეთ თავიდანვე დაადგინოთ ზოგიერთი ძირითადი პრინციპი.
3	წაახალისეთ დისკუსია და კითხვების დასმა; მონაწილეები მეტ ცოდნას შეიძენენ, თუკი ექნებათ საკუთარი იდეებისა და ეჭვების გამოხატვის შესაძლებლობა.	არ ჩაატაროთ ხანგრძლივი პრეზენტაციები, ეს მხოლოდ ინტერესს დაუკარგავს მონაწილეებს!
4	მონაწილეთა რეალობა დააკავშირეთ მათ გარემოში არსებულ საკითხებთან.	არ განაზოგადოთ იდეები, რომლებიც მათთვის მიუღებელია.
5	უარი თქვით დოგმებზე! მიეცით მონაწილეებს შესაძლებლობა, ეჭვი შეიტანონ „დადგენილ ჭეშმარიტებაში“. თქვენც იგივე გააკეთეთ.	არ „იქადაგოთ“ და არ გამოიყენოთ თქვენი პოზიცია დავის შეწყვეტის მიზნით.
6	იყავით კეთილსინდისიერი მონაწილეებთან. ამით მეტ პატივისცემას დაიმსახურებთ და ისინიც უფრო გაიხსნებიან.	არ მოაჩვენოთ თავი, რომ იცით საკითხი, თუ არ ხართ ამაში დარწმუნებული! უთხარით, რომ გაარკვევთ, ან ურჩიეთ, თვითონ გააკეთონ ეს.
7	ენდეთ მონაწილეებს. მათ თვითონ უნდა იპოვონ პასუხები კითხვებზე.	არ ესაუბროთ ნიშნის მოგებით და არ შეეცადოთ, გაუძღვეთ იქით, საითაც არ წავლენ.
8	მიიღეთ მათი ვარაუდები სერიოზულად; ისინი მეტად ჩაერთვებიან, თუ იგრძნობენ, რომ მათი აზრი გათვალისწინებულია.	არ იფიქროთ, რომ გეგმა მკაცრად უნდა დაიცვათ, თუ მონაწილეებს ურჩევნიათ სხვა მიმართულებით მსჯელობა, მიჰყევით მათ ინტერესებს.
9	გააღვიძეთ მათი ადამიანური გრძნობები. ჰკითხეთ, როგორ გრძნობენ თავს, ან როგორ იგრძნობდნენ, თუკი...	არ დანებდეთ, თუ გეჩვენებათ, რომ მათი მოსაზრებები მცდარი ან დაუფიქრებელია და დაანახეთ საკითხის სხვა მხარე.
10	მოექეცით მონაწილეებს როგორც ერთმანეთის და თქვენს „თანასწორებს“. თითოეული თქვენგანი ადამიანია!	არ შეზღუდოთ მონაწილეობა და მხოლოდ საკუთარ ვარაუდზე დაყრდნობით არ გადაწყვიტოთ, რისი გაკეთება შეუძლიათ მათ და რისი არა. ადამიანების ქცევის განჭვრეტა ხშირად ძალიან ძნელია!

3.5 თემები და კითხვები



თავი 4

24 აქტივობა

ონლაინ სივრცეში სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლა ადამიანის უფლებების სწავლების გზით

ერთი დღე სასამართლოში 34
ახალი მეჩეთი სლიფივილში 43
ქმედება და ნაბიჯ-ნაბიჯ კამპანია 53
თამაშის შეცვლა 66
ფაქტების შემოწმება 73
თავისუფლებების შეჯახება 80
კიბერბულინგთან ბრძოლა 87
შეუზღუდავი თავისუფლება? 91
ჯგუფი X 97
ადამიანის უფლებათა ონლაინქვიზი 103
ონლაინ მონაწილეობა 109
ჩვენი უფლებები ონლაინსივრცეში 113
გაითამაშეთ კიდევ ერთხელ 119
უფლებებისთვის რბოლა! 124
წესების გაცნობა 132
ფესვები და ტოტები 141
უარესად თქმა 146
არსში გარკვევა 152
მათი მოყოლილი ისტორიები 158
სიძულვილის ენის გაგება 163
ვირტუალური მოქმედება 170
გაზიარება 175
ვებშეტევა 179
ვებპროფილები 184

აქტივობების შემაჯამებელი ცხრილი

სათაური	თემა	მიმოხილვა	დონე	დრო (წუთებში)
ერთი დღე სასამართლოში	გამოხატვის თავისუფლება; ადამიანის უფლებები; რასიზმი და დისკრიმინაცია.	მონაწილეები გაითამაშებენ მინი სასამართლო პროცესს და იმსჯელებენ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განხილულ რეალურ ქეისზე.	4	120
ახალი მეჩეთი სლიფივილში	დემოკრატია და მონაწილეობა; რასიზმი და დისკრიმინაცია; ინტერნეტწიგნიერება.	ონლაინ კონსულტაციის/დებატების სიმულაცია. განსახილველი საკითხია ახალი მეჩეთის მშენებლობა ტრადიციულად ქრისტიანულ რაიონში.	4	3 სესია, თითოეული 50 წუთი.
ქმედება და ნაბიჯ-ნაბიჯ კამპანია	რასიზმი და დისკრიმინაცია; კამპანიის ჩატარების სტრატეგიები; ადამიანის უფლებები.	4 აქტივობა, რომელიც სიძულვილის ენისა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის წინააღმდეგ ქმედების დაგეგმვაში დაგეხმარებათ. თითოეული ნაწილის გამოყენება შესაძლებელია ცალკე, ან სახელმძღვანელოს სხვა აქტივობასთან ერთად.	4	3 სესია, შესაბამისად, 90, 60 და 45 წუთი. ასევე საჭიროა საკმარისი დრო კამპანიის ჩატარებისთვის.
თამაშის შეცვლა	რასიზმი და დისკრიმინაცია; ინტერნეტწიგნიერება კამპანიის ჩატარების სტრატეგიები; დემოკრატია და მონაწილეობა.	მონაწილეები გაეცნობიან კამპანიას და შექმნიან „მინი კამპანიას“ ონლაინ თამაშებში სექსიზმის წინააღმდეგ.	3	60
ფაქტების შემოწმება	ინტერნეტწიგნიერება; რასიზმი და დისკრიმინაცია; კამპანიის ორგანიზების სტრატეგიები.	მონაწილეები ასრულებენ „მკვლევართა“ როლს, რათა ჰომოფობიური ნიშნით შეურაცხყოფის კვლევით მიღებული ინფორმაცია მიაწოდონ პოლიტიკოსებს. ისინი განიხილავენ ინტერნეტში გამოქვეყნებული ინფორმაციის სანდოობას და შეიმუშავებენ სტრატეგიებს საკუთარი პრაქტიკისთვის.	4	60
თავისუფლებების შეჯახება	დემოკრატია და მონაწილეობა; გამოხატვის თავისუფლება; რასიზმი და დისკრიმინაცია.	სიმულაციაში ფიგურირებს გამოხატვის თავისუფლებაზე საპირისპირო მოსაზრებების მქონე ორი საზოგადოება, რომლებიც იძულებულნი არიან, ერთად იცხოვრონ კუნძულზე.	4	120
კიბერბულინგთან ბრძოლა	კიბერბულინგი; დემოკრატია და მონაწილეობა; ინტერნეტწიგნიერება.	აქტივობის მონაწილეები ცდილობენ, დაადგინონ, ადამიანთა სავარაუდო რეაქცია ბულინგის სხვადასხვა სცენარზე, და განიხილავენ მოქმედების ალტერნატიულ კურსს.	1	45

შეუზღუდავი თავისუფლება?	გამოხატვის თავისუფლება; დემოკრატია და მონაწილეობა; ადამიანის უფლებები.	მონაწილეები იკვლევენ გამოხატვის თავისუფლების იდეას მთელი რიგი ქეისების მაგალითზე. მათ უნდა მოიფიქრონ, როგორ მოიქცევიან საკამათო, შეურაცხმყოფელ ან საშიშ კომენტარებსა და კომუნიკაციასთან მიმართებით.	2	45
ჯგუფი X	რასიზმი და დისკრიმინაცია; ადამიანის უფლებები; პირადი ცხოვრება და უსაფრთხოება.	მონაწილეები, ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში ასახულ უფლებებზე დაყრდნობით, ადგენენ იმ უფლებათა რუკას, რომლებიც ყველაზე ხშირად ირღვევა ახალგაზრდა ბოშების მიმართ.	4	60
ადამიანის უფლებათა ონლაინქვიზი	ადამიანის უფლებები.	ონლაინქვიზი ადამიანის უფლებათა შესახებ. იგი ეხმარება მონაწილეებს, რომ გაეცნონ საკუთარ უფლებებს ონლაინგარემოში, ინტერნეტმომხმარებელთა ძირითადი უფლებების სახელმძღვანელოს გამოყენებით.	3	60
ონლაინ მონაწილეობა	ინტერნეტწიგნიერება; პირადი ცხოვრება და უსაფრთხოება; ადამიანის უფლებები.	მონაწილეებმა უნდა იფიქრონ იმაზე, თუ როგორ იყენებენ ინტერნეტს და რა სახით მონაწილეობენ ონლაინ სივრცეში. ისინი განსაზღვრავენ და შეაფასებენ საკუთარ ჩართულობას და სამომავლო როლს ამ გარემოში.	3	45
ჩვენი უფლებები ონლაინსივრცეში	ადამიანის უფლებები; დემოკრატია და მონაწილეობა.	მონაწილეები მეტ ინფორმაციას მიიღებენ ინტერნეტმომხმარებელთა ძირითადი უფლებების სახელმძღვანელოზე, გააანალიზებენ მის ძირითად გზავნილებსა და მოსაზრებებს და იმსჯელებენ მის გამოყენებაზე ყოველდღიურ ცხოვრებაში.	2	60
გაითამაშეთ კიდევ ერთხელ	კიბერბულინგი; დემოკრატია და მონაწილეობა; რასიზმი და დისკრიმინაცია.	აქტივობა დაფუძნებულია როლურ თამაშზე: რომელიმე მონაწილე ხდება ბულინგის მსხვერპლი თანატოლების მხრიდან; დანარჩენებს სთხოვენ სცენარის გადათამაშებას განსხვავებული შედეგის მისაღებად.	2	60
უფლებებისთვის რბოლა!	ადამიანის უფლებები; რასიზმი და დისკრიმინაცია; პირადი ცხოვრება და უსაფრთხოება.	აქტივობა ხელს უწყობს ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ძირითადი პრინციპების გაცნობას ჯგუფური თამაშის მეშვეობით. მონაწილეებმა, სიტყვების გარდა, ნებისმიერი საშუალებით უნდა წარუდგინონ გუნდის წევრებს სხვადასხვა უფლება.	1	60

წესების გაცნობა	კამპანიის ჩატარების სტრატეგიები; ინტერნეტწიგნიერება; დემოკრატია და მონაწილეობა.	მონაწილეებიგანიხილავენ ვებგვერდის გამოყენების პირობებსა და წესებს და იღებენ შესაბამის ზომებს, რათა მის ოპერატორს შეატყობინონ მიუღებელი შინაარსის თაობაზე. მონაწილეები განიხილავენ იმ უპირატესობებსა და ნაკლოვანებებსაც, რომლებიც ახლავს შეტყობინების მიწოდებას, განსაკუთრებით, WEB 2.0 შესაძლებლობების თვალსაზრისით.	3	60
„ფესვები და ტოტები“	რასიზმი და დისკრიმინაცია; ადამიანის უფლებები; კამპანიის ჩატარების სტრატეგია.	მონაწილეები გამოიკვლევენ ინტერნეტში სიძულვილის ენის მიზეზებსა და შედეგებს, რისთვისაც ისარგებლებენ "პრობლემის ხის" მეთოდით. ამ დავალების გამოყენება შესაძლებელია როგორც დამოუკიდებელ, ისე „X ჯგუფის“ შემდგომ აქტივობად.	2	45
უარესად თქმა	რასიზმი და დისკრიმინაცია; დემოკრატია და მონაწილეობა.	აქტივობა ხელს უწყობს სიძულვილის ენის ძირითადი ასპექტების გაცნობას. მონაწილეები ჰომოფობიურ გამონათქვამებს დაახარისხებენ ყველაზე „უარესის“ მიხედვით.	1	45
არსში გარკვევა	კამპანიის ჩატარების სტრატეგიები; რასიზმი და დისკრიმინაცია; ინტერნეტწიგნიერება.	აქტივობის მიზანია საზოგადოებაში კონკრეტული ჯგუფების მიმართ არსებული ცრურწმენების გამოვლენა „აკვარიუმის დისკუსიის“ მეთოდით; ასევე, მონაწილეთა წახალისება, რომ კრიტიკულად იმსჯელონ ამ დამოკიდებულებებზე და შეიმუშაონ არგუმენტები სიძულვილის ენის წინააღმდეგ.	1	45
მათი მოყოლილი ისტორიები	რასიზმი და დისკრიმინაცია; ადამიანის უფლებები; გამოხატვის თავისუფლება.	მონაწილეები მუშაობენ მცირე ჯგუფებში და აანალიზებენ საინფორმაციო პუბლიკაციას ემიგრანტებისა და ემიგრაციის შესახებ. შედეგები წარმოდგენილია კოლაჟის სახით.	2	60
სიძულვილის ენის გაგება	ადამიანის უფლებები; რასიზმი და დისკრიმინაცია.	მონაწილეები იკვლევენ სიძულვილის ენის მაგალითებს და განიხილავენ მათ შესაძლო ზეგავლენას ცალკეულ ადამიანებსა და ზოგადად, საზოგადოებაზე.	2	60
ვირტუალური მოქმედება	კამპანიის ჩატარების სტრატეგიები; რასიზმი და დისკრიმინაცია; ადამიანის უფლებები.	ანტირასისტული ღონისძიებებით შთაგონებული მონაწილეები შეეცდებიან, თვითონ დაგეგმონ მსგავსი ერთობლივი ქმედებები ონლაინ-სივრცეში.	3	60

გაზიარება	პირადი ცხოვრება და უსაფრთხოება; ინტერნეტწიგნიერება; კიბერბულინგი.	მონაწილეები შეავსებენ დიაგრამას და მიუთითებენ, თუ როგორ ამჯობინებენ ონლაინ გარემოში კონკრეტული ინფორმაციის გაზიარებას; ასევე, განიხილავენ მეტი სიფრთხილის გზებს ამ სივრცეში პერსონალური ინფორმაციის გაზიარებისას.	1	40
ვებშეტევა	ინტერნეტწიგნიერება; კამპანიის ჩატარების სტრატეგიები; რასიზმი და დისკრიმინაცია.	მონაწილეები შეეცდებიან კამპანიის ვებგვერდის შეცვლას (ფიქციურად), რათა გაუმკლავდნენ რასისტული კომენტარების ნაკადს ადგილობრივი თემის მხრიდან.	3	90
ვებპროფილები	რასიზმი და დისკრიმინაცია; ინტერნეტწიგნიერება; დემოკრატია და მონაწილეობა.	აქტივობა ხორციელდება წარმოსახვით ინტერნეტფორუმზე. მონაწილეებს სთხოვენ ერთმანეთთან მისალმებას კონკრეტული ჯგუფების მიმართ არსებული ზოგადი სტერეოტიპების შესაბამისად. აქტივობის მეშვეობით ისინი შეიმუშავებენ ინტერნეტში ურთიერთობის სახელმძღვანელო პრინციპებს.	1	ნაწილი I: 35 წუთი ნაწილი II: 25 წუთი

დონე 4

ჯგუფი 9-15

დრო 120’

ერთი დღე სასამართლოში

მონაწილეები გაითამაშებენ მინი სასამართლო პროცესს და იმსჯელებენ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განხილულ რეალურ ქეისზე.

თემები	გამოხატვის თავისუფლება, ადამიანის უფლებები, რასიზმი და დისკრიმინაცია
სირთულე	დონე 4
ჯგუფის სიდიდე	9-15
დრო	120 წუთი
მიზნები	მონაწილეებმა განიხილონ და გაიაზრონ გამოხატვის თავისუფლების დაბალანსება რასისტული ძალადობის ან სიძულვილის ენის მსხვერპლთა დაცვის საჭიროებასთან; გამოიკვლიონ ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში გამოხატვის თავისუფლების (მუხლი 10) გარანტიები და შეზღუდვები; გაიცნობიერონ ევროპული სასამართლოს როლი.
მასალა	ბარათების ასლები გვერდზე 39-43; კალმები და ფურცლები შენიშვნებისთვის; სივრცე მცირე ჯგუფებისთვის (სასურველია, ცალკე ოთახებში).
მომზადება	გაამრავლეთ და ამოჭერით ბარათები გვერდზე 40-41. ყველას დასჭირდება საკუთარი ბარათი და საქმის ასლი. თქვენ უნდა გყავდეთ თანაბარი (ან მაქსიმალურად მიახლოებული) რაოდენობის მოსამართლეები, ასევე, დანიის მთავრობისა და ბატონი იერსილდის წარმომადგენლები; დანომრეთ ბარათები თითოეულ ჯგუფში ისე, რომ გყავდეთ ერთი მოსამართლე, ერთი ბატონი იერსილდი და დანიის მთავრობის ერთი წარმომადგენელი, თითოეული ნომრის შესაბამისად; თქვენ დაგჭირდებათ საკმარისი სივრცე, რომ თითოეული „სასამართლო“ (3 კაცი) მოთავსდეს განცალკევებულად.

ინსტრუქციები

1. განუმარტეთ ჯგუფს, რომ სესია ეხება საქმეს დანიის მთავრობის წინააღმდეგ, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილა. მონაწილეები შეასრულებენ საქმეში ჩართული სხვადასხვა პირის როლს, კერძოდ: მოსამართლეები, დანიის მთავრობა და ჟურნალისტი, ბატონი იერსილდი, რომელიც დაისაჯა რასისტული შეხედულებების შემცველი გადაცემის გამო. საჭიროების შემთხვევაში, მოუყევით მონაწილეებს სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაზე და უთხარით, რომ საქმე ეხება გამოხატვის თავისუფლებას;
2. ჰკითხეთ მონაწილეებს, როგორ ესმით გამოხატვის თავისუფლება და დაამატეთ ქვემოთ (ან მე-5 თავში) მოცემული ინფორმაცია;

სიტყვის ან გამოხატვის თავისუფლება არის ადამიანის ძირითადი უფლება. ადამიანებს უნდა ჰქონდეთ თავიანთი აზრებისა და ფიქრების გამოხატვის საშუალება, ვინაიდან აზრები, ფიქრები და მრწამსი ჩვენი ინდივიდუალობის მნიშვნელოვანი ნაწილია.

გამოხატვის თავისუფლება უნდა იყოს დაცული, ვინაიდან არსებითი როლი ენიჭება დემოკრატიულ საზოგადოებაში. მიუხედავად ამისა, ის შეიძლება შეიზღუდოს, თუკი საფრთხეს შეუქმნის საზოგადოებას ან სავარაუდოდ, ზიანს მიაყენებს ადამიანებს.

3. ხმამაღლა წაიკითხეთ ინფორმაცია „საქმის“ შესახებ (გვ. 39) და დარწმუნდით, რომ დეტალები ყველასთვის გასაგებია;
4. დაყავით მონაწილეები 3 თანაბარ ჯგუფად:
   - ჯგუფი A - ბატონი იერსილდი;
   - ჯგუფი B - დანიის მთავრობა;
   - ჯგუფი C - მოსამართლეები ევროპულ სასამართლოში;
5. დაურიგეთ თითოეულ ჯგუფს როლის შესაბამისი ბარათები და ინფორმაცია საქმის შესახებ. აუხსენით, რომ ჯგუფებს 30 წუთი ექნებათ საქმის განხილვისა და საკუთარი პოზიციის ჩამოყალიბებისთვის, ვიდრე სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენლებს შეხვდებიან და სასამართლო პროცესი დაიწყება. სასამართლომდე მათ არგუმენტები უნდა მოამზადონ, მოსამართლეებმა კი - კითხვები ორივე მხარისთვის;
6. მოსამზადებელი 30-წუთიანი ვადის ამოწურვის შემდეგ, სთხოვეთ მონაწილეებს, მოძებნონ იმავე ნომრების მქონე წევრები სხვა ჯგუფებში და შექმნან ახალი გუნდი ორ ასეთ ადამიანთან ერთად. ამრიგად, მონაწილემ ნომრით 1, ჯგუფიდან A, უნდა მოძებნოს მონაწილეები ნომრით 1 ჯგუფებიდან B და C;
7. აუხსენით, რომ თითოეული ეს მცირე ჯგუფი ქმნის მინი სასამართლოს. სასამართლოებს ექნებათ დამატებით 20 წუთი ორივე მხარის არგუმენტების მოსასმენად და მოსამართლეთა მიერ კითხვების დასმისთვის;

8. ამ დროის გასვლის შემდეგ, თითოეულმა მოსამართლემ უნდა გამოიტანოს ინდივიდუალური გადაწყვეტილება, დაირღვა თუ არა კონვენციის მე-10 მუხლი. კიდევ ერთხელ შეკრიბეთ მთლიანი ჯგუფი და სთხოვეთ მოსამართლეებს თავიანთი დასაბუთებული გადაწყვეტილებების გამოცხადება;
9. მიეცით გადაწყვეტილებებზე რეაგირების საშუალება დანარჩენი ორი ჯგუფის წარმომადგენლებს; შემდეგ გააცანით ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება ამ საქმის შესახებ (გვ. 38) და დაადგინეთ მონაწილეების რეაქცია მასზე;
10. განაგრძეთ ანალიზითა და შეფასებით. დარწმუნდით, რომ მონაწილეები გამოვიდნენ როლებიდან ქვემოთ მოცემული საკითხების განხილვამდე.

ანალიზი/ჩაღრმავება

- რა იყო ყველაზე რთული ასპექტი თქვენ მიერ განხილულ საქმეში?
- გაგიჭირდათ როლის შესრულება?
- როგორ ფიქრობთ, სწორი გადაწყვეტილება მიიღო მოსამართლემ თქვენს საქმეში? რას მიიჩნევთ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად საბოლოო გადაწყვეტილებაში?

მიაწოდეთ მონაწილეებს შემდეგი ინფორმაცია:

> *მიუხედავად იმისა, რომ ევროპულ სასამართლოს არ ევალებოდა გადაწყვეტილების მიღება, უნდა დასჯილიყო თუ არა Greenjacket მისი კომენტარების გამო, მან განმარტა ეს საკითხი თავის საბოლოო გადაწყვეტილებაში: მოსამართლეები თვლიან, რომ Greenjackets-ის კომენტარებზე არ ვრცელდებოდა გამოხატვის თავისუფლების გარანტიები. შესაბამისად, მათ არ უნდა ჰქონოდათ ასეთი მოსაზრებების „გამოხატვის“ უფლება.*

- ეთანხმებით ამას? რა არგუმენტები გაქვთ მათი უფლებების შეზღუდვის მხარდასაჭერად/საწინააღმდეგოდ?
- ოდესმე შეგხვედრიათ ინტერნეტში რასიზმის მაგალითები? რა რეაქცია გექნებოდათ ასეთ შემთხვევაში?
- როგორ ფიქრობთ, აქვთ თუ არა ადამიანებს რასისტული კომენტარების გამოქვეყნების ან სიძულვილის ენის გამოყენების უფლება ინტერნეტში?
- რა შეიძლება გაკეთდეს, რომ ასეთი რამ არ განმეორდეს?

რჩევები ფასილიტატორებისთვის

- Greenjackets-ის ზოგიერთი კომენტარი ცალკე დასარიგებელ მასალაშია ასახული. თვითონ გადაწყვიტეთ, რამდენად საჭიროა ამის გაზიარება მონაწილეებთან;

- მონაწილეები უნდა გააფრთხილოთ, რომ მე-5 პუნქტში, სადაც ერთმანეთს ხვდებიან, მოუწევთ დაყოფა და რეალური ქეისიების განხილვა. ამიტომ, ყველამ უნდა ჩაიწეროს მნიშვნელოვანი დეტალები. მონაწილეებს არ უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, რომ ნახონ თავიანთი ჯგუფების სხვა წევრების ჩანაწერები, ან დისკუსია გამართონ მათთან!;
- აუხსენით მონაწილეებს, რომ დროის ერთი ნაწილი გამოიყენონ საქმის დეტალების განსახილველად, ხოლო მეორე ნაწილი - შესავალი განცხადებების მოსამზადებლად. მოსამართლეებმა უნდა გაარკვიონ საქმის დეტალები და იფიქრონ დამატებით ინფორმაციაზე, რომელიც შეიძლება ორივე მხარისგან დასჭირდეთ გადაწყვეტილების მისაღებად;
- აუხსენით ორივე მხარეს სასამართლოში, რომ თუ არ ეთანხმებიან საწინააღმდეგო მხარის პოზიციას, მოსამართლეებს უნდა წარუდგინონ საუკეთესო არგუმენტები;
- უკეთესი იქნება, თუ სხვადასხვა „სასამართლოს“ შეხვედრის საშუალებას მისცემთ სხვადასხვა ოთახში (პუნქტი 7), ან ისეთ მანძილზე, რომ ვერ გაიგონ ერთმანეთის ხმა;
- სთხოვეთ მოსამართლეებს, მართონ „სასამართლო პროცესების“ ხანგრძლივობა, კერძოდ: მათ უნდა განსაზღვრონ დრო, რომელსაც გამოყოფენ კითხვებისთვის და მისცემენ მხარეებს. გაამახვილეთ ყურადღება იმაზე, რომ თანაბარი დრო გამოიყოს მხარეებისთვის და საკმარისი დრო განისაზღვროს ნებისმიერი სადავო საკითხის გასარკვევად;
- შეიძლება მიზანშეწონილი იყოს იმის ახსნა, რომ ევროპული სასამართლო არ იღებდა გადაწყვეტილებას ბატონი იერსილდის საქციელზე, ის განიხილავდა დანიის სახელმწიფოს „ქცევას“ ბატონი იერსილდის მიმართ. ევროპის საბჭოს წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ეროვნულმა კანონმდებლობამ დაიცვას ადამიანების უფლებები. როდესაც ევროპულ სასამართლოს მიმართავენ საქმის განხილვის თხოვნით, იგი შეისწავლის რამდენად ითავლისწინებს ამ უფლებების დაცვას კანონი, ან მისი განმარტება;
- ინტერნეტმომხმარებელთა ძირითადი უფლებების სახელმძღვანელოში შეგიძლიათ გაეცნოთ ნაწილს „გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლება“, რათა პარალელები გაავლოთ ამ უფლებასთან დაკავშირებულ საკითხებს შორის ინტერნეტში და მის ფარგლებს გარეთ.

ადაპტირება

შეგიძლიათ, სასამართლო პროცესი ჩაატაროთ როლური თამაშის ფორმით, სადაც ერთი ჯგუფი სასამართლოს განასახიერებს, ხოლო სხვები დააკვირდებიან პროცესს; ასევე, დაურიგოთ მონაწილეებს მათი ბარათები სესიის დაწყებამდე და სთხოვოთ არგუმენტების მომზადება. დამკვირვებლებს დაევალებათ პროცესზე აზრის გამოხატვა როლური თამაშის დასრულების შემდეგ.

იდეები მოქმედებებთან დაკავშირებით

მონაწილეებმა უნდა გაარკვიონ, აქვთ თუ არა კონკრეტული პოლიტიკა რასისტული მოსაზრებების გამოხატვისა თუ სიძულვილის ენის სხვა ფორმების წინააღმდეგ იმ საიტებს და პლატფორმებს, რომლებსაც ყველაზე ხშირად სტუმრობენ.

- შეიძლება შეაგროვონ რამდენიმე მაგალითიც და მთლიანმა ჯგუფმა შეადაროს სხვადასხვა საიტისა თუ პლატფორმის პოლიტიკა. განიხილეთ, ამ მაგალითებიდან რომელი პოლიტიკა ვერ დაიცავს მომხმარებლებს და როგორ შეცვლიდით მას. მონაწილეებს შეუძლიათ, საკუთარი მოსაზრებების შესახებ ინფორმაცია მიაწოდონ შესაბამის საიტსა და მის მომხმარებლებს და სთხოვონ სხვა ონლაინ აქტივისტებს მათ სამიზნე საიტებთან ლობირება;
- მონაწილეებს შეუძლიათ აირჩიონ ერთი ან ორი საიტი, რომლებიც ამტკიცებენ, რომ აქვთ სიძულვილის ენის საწინააღმდეგო პოლიტიკა და ჩაატარონ მონიტორინგი მის განხორციელებაზე. შეტყობინება ინტერნეტსივრცეში სიძულვილის ენის ნებისმიერ მაგალითზე შეიძლება გაეგზავნოს საიტებს, რომლებიც კონტენტის ჰოსტინგს უზრუნველყოფენ და ამ მიზნით მომზადდეს საჩივარი, სადაც აისახება მითითება პოლიტიკის შესახებ.

მონაწილეებთან ერთად შეიმუშავეთ საქმეში წარმოდგენილი რასისტული მოსაზრებების კონტრარგუმენტები, რომლებსაც მონაწილეები გამოიყენებენ, თუ წააწყდებიან ამ სახის შეხედულებებს.

მონაწილეებთან ერთად შექმენით ვიდეო დემოკრატიულ საზოგადოებაში მრავალფეროვნების პატივისცემასა და ღირებულებაზე.

სხვა რესურსები

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება

საქმე ევროპულმა სასამართლომ 1994 წელს განიხილა. იგი არ დათანხმდა დანიის სასამართლოს გადაწყვეტილებას და დაასკვნა, რომ ბატონი იერსილდი არ უნდა დასჯილიყო ფილმის შექმნისა და ჩვენებისთვის. სასამართლოს აზრით, ფილმში ნათლად წარმოაჩენს ავტორი, რომ რასისტული კომენტარები მიუღებელია და არ არსებობს საფრთხე, რომ საზოგადოება გზავნილს არასწორად გაიგებს.

სასამართლომ განაცხადა:

> *"ინტერვიუს მეშვეობით, ფილმის ავტორი შეეცადა, წარმოეჩინა კრიმინალური წარსულის მქონე, ძალადობრივი, სოციალური სიტუაციით შეზღუდული და იმედგაცრუებული ახალგაზრდების კონკრეტული ჯგუფი. ამით ის უფრო სიღრმისეულად ჩაწვდა იმ საკითხის სპეციფიკურ ასპექტებს, რომელიც მოცემული დროისთვის უკვე იწვევდა საზოგადოების შეშფოთებას."*

სასამართლომ აღნიშნა, რომ ახალი ამბების გაშუქება მნიშვნელოვანია დემოკრატიულ საზოგადოებაში და პრესას უქმნის შესაძლებლობას, იყოს „საზოგადოების ინტერესების სადარაჯოზე". მისივე თქმით, ძალიან სერიოზული დასაბუთებაა საჭირო იმ ჟურნალისტის დასჯის გასამართლებლად, რომელმაც გამოაქვეყნა სხვისი განცხადებები. ეს თავისუფალი პრესის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქციაა, რომელიც ხელს უწყობს საზოგადოებისთვის საგულისხმო საკითხების საჯარო განხილვას.

დასარიგებელი მასალები

ქეისი

მომჩივანი საქმეში არის ბატონი ჯენს ოლაფ იერსილდი, დანიის მოქალაქე, რომელიც მუშაობს დანიის რადიოში (ეს მაუწყებლობა სატელევიზიო პროგრამებსაც გადმოსცემს). ახალი ამბების არხს საკმაოდ კარგი რეპუტაცია აქვს და ჰყავს კარგად ინფორმირებული აუდიტორია.

ბატონ იერსილდს სურდა დოკუმენტური ფილმის ჩვენება ექსტრემისტული რასისტული ჯგუფის Greenjackets-ის შესახებ. ის დაუკავშირდა ჯგუფის წევრებს და ხანგრძლივი ინტერვიუ ჩაწერა, შემდეგ შეამცირა ფილმი რამდენიმე წუთამდე და დაამატა საკუთარი კომენტარები. საბოლოოდ, ფილმი გამოვიდა, როგორც ახალი ამბების ნაწილი და აჩვენეს ეროვნული ტელევიზიით.

ეთერში Greenjackets-ის წევრები გამოჩდნენ როგორც ადამიანები, რომლებიც აკეთებდნენ შეურაცხმყოფელ და დამამცირებელ განცხადებებს დანიაში მყოფი ემიგრანტებისა და ეთნიკური ჯგუფების შესახებ შავკანიანებს ადარებდნენ გორილებს და არ მიიჩნევდნენ ადამიანებად. დანიის სასამართლომ რასისტული კომენტარებისთვის დამნაშავედ ცნო Greenjackets-ის წევრები, ბატონ იერსილდთან ერთად, ვინაიდან, სასამართლოს აზრით, სწორედ მან წააქეზა ჯგუფის წევრები და ეთერში გაუშვა მათი განცხადებები.

ბატონმა იერსილდმა განაჩენი გაასაჩივრა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, რადგან მიაჩნდა, რომ დანიის სასამართლოს განჩინება იყო მისი გამოხატვის თავისუფლების დარღვევა (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი).

ევროპულ სასამართლოს უნდა დაედგინა, რამდენად სამართლიანი იყოს ის, რომ ბატონ იერსილდს შეუზღუდეს ეთერში კომენტარების გაშვების უფლება. ამგვარად, მას უნდა დაედგინა, დაბალანსდა თუ არა ისეთი საჭიროებები, როგორიცაა რასისტული კომენტარების სამიზნე პირთა უფლებების დაცვა და საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდება ასეთი ჯგუფის შესახებ.

დასარიგებელი მასალები

ეს დასარიგებელი მასალა არ არის სავალდებულო:

ეთერში გაკეთებული ზოგიერთი კომენტარი:

"... ჩრდილოეთის შტატებს [ამერიკაში] უნდოდათ, რომ შავკანიანები ყოფილიყვნენ თავისუფალი ადამიანები. ღმერთო, ისინი არ არიან ადამიანები, ისინი ცხოველები არიან!"

"გადაუღე სურათი გორილას და შემდეგ შეხედე შავკანიანს, იგივე აღნაგობაა, ღმერთო, ბრტყელი შუბლი და სხვა მსგავსება."

"შავკანიანი არ არის ადამიანი, ის ცხოველია, რაც ეხება ყველა უცხოელ მუშასაც, თურქს, იუგოსლავს და სხვას."

"...ჩვენ არ მოგვწონს მათი მენტალიტეტი ... არ მოგვწონს, რომ მათ აცვიათ ზიმბაბვეს ტანსაცმელი და ქუჩებში საუბრობენ თავიანთ ენაზე..."

"ისინი ვაჭრობენ ნარკოტიკებით და ამის გამო მათ ირგვლივ ტრიალებს პატიმრების ნახევარზე მეტი... ისინი იხდიან სასჯელს ნარკოტიკებით ვაჭრობის გამო..."

როლური ბარათი ბატონი იერსილდისთვის

თქვენ ხართ სერიოზული ჟურნალისტი და გინდათ, შექმნათ ფილმი რასიზმისა და ქსენოფობიის შესახებ, რომელშიც ნაჩვენები იქნება:

1. *პრობლემის მასშტაბი, მათ შორის, Greenjackets-ის შეხედულებათა უკიდურესობა;*
2. *და ის, რომ Greenjackets კრიმინალური ჯგუფია, რომელიც შედგება მრავალი ემოციურად მოუმწიფებელი და სოციალურად დაუცველი წევრისგან.*

თქვენ გჯერათ, რომ საზოგადოებამ უნდა გაიგოს ზემოაღნიშნულის შესახებ და ფიქრობთ, რომ ეს გადაცემა შეეხო ორივე ასპექტს: პირდაპირ იყო ნაჩვენები ყველაზე ცუდი გამონათქვამები და წარმოჩინდა გამოკითხული ახალგაზრდების განათლების დაბალი დონე, წარმომავლობა თუ გადატანილი სოციალური სირთულეები; შესაბამისად, არ გჯერათ, რომ რომელიმე მაყურებელი სიუჟეტს აღიქვამდა რასისტული მოსაზრებების მხარდაჭერად.

როგორც ჟურნალისტი, ძალიან აფასებთ გამოხატვის თავისუფლებას: შეზღუდვით შეუძლებელი გახდება ჟურნალისტების მიერ საზოგადოების ინფორმირება რეალურ და არასასიამოვნო საკითხებზე, თქვენ გჯერათ, რომ ჟურნალისტები პასუხისმგებელნი არიან ასეთი საკითხების გამოტანაზე საზოგადოების წინაშე, ისე, რომ შესაძლებელი იყოს მათი გაცნობიერება და განხილვა.

ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი (გამარტივებული)

1. *ყველას აქვს გამოხატვის თავისუფლება. იგი მოიცავს პირის უფლებას, ჰქონდეს შეხედულებები და მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია თუ მოსაზრებები სახელმწიფოს ჩაურევლად;*
2. *გამოხატვის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს, თუ ეს „საჭიროა დემოკრატიულ საზოგადოებაში“ -კერძოდ, სხვისი უფლების დასაცავად.*

დასარიგებელი მასალები

დანიის მთავრობის როლური ბარათი

თქვენ გჯერათ, რომ ბატონი იერსილდის გასამართლება დანიის სასამართლოს მიერ იყო სწორი, მისი სიუჟეტი მოიცავდა უკიდურეს რასისტულ შეხედულებებს, რომლებიც არ უნდა მოესმინა ფართო აუდიტორიას, გადაცემა იყო სენსაციური და არ ახლდა საკმარისი კომენტარები, რომ გამოხატული შეხედულებები მიუღებელია და საშიში, თქვენი რწმენით, ჟურნალისტები ვალდებულნი არიან არ შეიყვანონ მაყურებელი შეცდომაში, თუმცა ის ადამიანები, რომლებმაც ნახეს გადაცემა, ვერ მიხვდნენ, რომ ჟურნალისტი გაოგნებული იყო რასისტული განცხადებებით და არ ეთანხმებოდა მათ, მაყურებელი ვერ გაიგებდა, რომ ასეთი განცხადებები გაუცნობიერებელი, საზიანო და უკანონოა, ბატონმა იერსილდმა ისე დაამონტაჟა ფილმი, რომ ეჩვენებინა Greenjackets-ის ყველაზე უარყოფითი კომენტარები, თქვენ ფიქრობთ, რომ მას არ უნდა ჩაეწერა ინტერვიუ ჯგუფის წევრებთან და არ წაექეზებინა ისინი თავიანთი მოსაზრებების გამოსახატავად, ასევე მიუღებლად მიიჩნევთ ამ შეხედულებათა გასაჯაროებას პროგრამაში ჩართვით, თქვენ თვლით, რომ სიუჟეტი არ უნდა გადაღებულიყო და ბატონ იერსილდს უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა სახიფათო მოსაზრებების გასაჯაროების გამო.

ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი (გამარტივებული)

1. *ყველას აქვს გამოხატვის თავისუფლება. იგი მოიცავს პირის უფლებას, ჰქონდეს შეხედულებები და მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია თუ მოსაზრებები სახელმწიფოს ჩაურევლად;*
2. *გამოხატვის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს, თუ ეს „საჭიროა დემოკრატიულ საზოგადოებაში“ -კერძოდ, სხვისი უფლების დასაცავად.*

დასარიგებელი მასალები

როლური ბარათები მოსამართლეებისთვის

თქვენი დავალებაა, უხელმძღვანელოთ სასამართლოს და გამოიტანოთ გადაწყვეტილება, რამდენად სწორი იყო დანიის სასამართლოების მიერ ბატონი იერსილდის დამნაშავედ ცნობა და დაირღვა თუ არა მისი უფლებები.

სასამართლო პროცესი:

დაიწყეთ შეხსენებით ბატონ იერსილდსა და დანიის მთავრობის წარმომადგენლებისთვის, რომ თითოეულ მხარეს მიეცემა რამდენიმე წუთი საქმეზე თავისი მოსაზრებების წარმოსადგენად, შემდეგ დასვამთ კითხვებს და მათ ექნებათ შესაძლებლობა, უპასუხონ ერთმანეთს, აუხსენით, რომ მონაწილეები უნდა მოიქცნენ სწორად და დაიცვან თქვენი ინსტრუქციები!

თქვენ მიერ მისაღები გადაწყვეტილება:

უნდა ეჩვენებინა თუ არა ბატონ იერსილდს ფილმი საზოგადოებისთვის, გამოხატვის თავისუფლება მას თითქოს ანიჭებს ასეთ შესაძლებლობას, მაგრამ ეს უფლება არ არის აბსოლუტური და უნდა დაბალანსდეს სხვა სოციალურ საჭიროებებსა და უფლებებთან. თქვენ უნდა გადაწყვიტოთ, რამდენად სწორად იყო დაცული ბალანსი ამ შემთხვევაში.

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საკითხები, რომლებზეც უნდა იმსჯელოთ და მიიღოთ გადაწყვეტილება ორივე მხარის მტკიცებულებათა მოსმენის შემდეგ:

- როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია, საზოგადოებას ფილმი აღექვა რასისტული მოსაზრებების მხარდაჭერად?
- რამდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ საზოგადოებას სცოდნოდა Greenjackets-ის რასისტულ შეხედულებებსა და წარსულზე, იქნებ ჯობდა, ასეთ მოსაზრებებს არ მიეღწია ფართო აუდიტორიამდე?

ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი (გამარტივებული)

1. *ყველას აქვს გამოხატვის თავისუფლების უფლება. იგი მოიცავს პირის უფლებას, ჰქონდეს შეხედულებები და მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია თუ მოსაზრებები სახელმწიფოს ჩაურევლად;*
2. *გამოხატვის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს, თუ ეს „საჭიროა დემოკრატიულ საზოგადოებაში“ -კერძოდ, სხვისი უფლების დასაცავად.*

NO HATE SPEECH MOVEMENT

დონე 4

ჯგუფი 15-30

დრო 180’

ახალი მეჩეთი სლიფივილში

ეს არის ონლაინ კონსულტაციის/დებატების სიმულაცია. განსახილველი საკითხია ახალი მეჩეთის მშენებლობა ტრადიციულად ქრისტიანულ რაიონში.

თემები	დემოკრატია და მონაწილეობა, რასიზმი და დისკრიმინაცია, ინტერნეტწიგნიერება
სირთულე	დონე 4
ჯგუფის სიდიდე	15-30
დრო	2 ½ - 3 საათი, ან სამი სესია - თითოეული, დაახლოებით 50 წუთი.
მიზნები	რელიგიურ უმცირესობათა უფლებების კვლევა და კავშირი სიძულვილის ენასთან ინტერნეტსივრცეში; ონლაინ დებატებისა და ანალიზის უნარის განვითარება; ადამიანების ან სხვა რელიგიების მიმართ შემწყნარებლობის გაზრდა დემოკრატიული დისკუსიის/მონაწილეობის გზით.
მასალა	წვდომა ინტერნეტთან - სულ მცირე, 5 კომპიუტერი; სივრცე ჯგუფების შეხვედრებისთვის; 2 ფასილიტატორი; ბიულეტენები საბჭოს წევრებისთვის (არ არის სავალდებულო).
მომზადება	მოამზადეთ მასალის ასლები ყველა მონაწილისთვის; შექმენით დახურული სივრცე ინტერნეტში. გაეცანით რჩევებს ფასილიტატორებისთვის; დაარეგისტრირეთ თითოეული მონაწილე, ან წინასწარ შეამოწმეთ, რომ ყველას შეუძლია სისტემაში შესვლა არსებული ანგარიშის გამოყენებით (იხ: რჩევები ფასილიტატორებისთვის).

ინსტრუქციები

1. ხმამაღლა წაიკითხეთ პრობლემის აღწერა 47 გვერდზე. აუხსენით ჯგუფს, რომ ყველა მონაწილე სლიფვილის წევრია და თითოეულს აწუხებს პრობლემა, უნდა აშენდეს თუ არა ახალი მეჩეთი მიტოვებული საკრებულოს მიწაზე;
2. დაურიგეთ მონაწილეებს მასალები და სთხოვეთ, აირჩიონ როლები. გაესაუბრეთ საკონსულტაციო პროცედურის მეშვეობით და დარწმუნდით, რომ ყველამ ყველაფერი გაიგო;
3. მიუთითეთ ადგილები, სადაც ადამიანებსა და ჯგუფებს წინასწარ შეეძლებათ შეკრება, განუმარტეთ, რომელი კომპიუტერებით შეუძლიათ სარგებლობა აქტივობის პროცესში. შეამოწმეთ, რომ ყველას აქვს მომხმარებლის სახელი და პაროლი;
4. მონაწილეებს, რომლებსაც შეუძლიათ საწყისი განცხადების წარდგენა, შეახსენეთ, რომ ეს უნდა გააკეთონ საზოგადოებისთვის კონსულტაციის გახსნამდე. სთხოვეთ, ყველამ გამოიყენოს 30-წუთიანი წინასაკონსულტაციო ეტაპი, რათა:
   - შეათანხმოს პოზიციები ჯგუფებთან და განაწილდეს როლები და არგუმენტები (საჭიროებისამებრ);
   - შეხვდეს სხვა ჯგუფების წარმომადგენლებს;
   - დარწმუნდეთ, რომ ისინი შეძლებენ საიტზე შესვლას.

თუ კომპიუტერზე წვდომა ან დრო შეზღუდულია, შეახსენეთ მონაწილეებს, რომ უნდა იყვნენ ლაკონიურები თავიანთ არგუმენტებში, ვინაიდან შეიძლება მხოლოდ ერთი შანსი ჰქონდეთ აზრის გამოსახატავად!

5. გამოაცხადეთ წინასაკონსულტაციო ეტაპი და აუხსენით მონაწილეებს, რომ კონსულტაციები დაიწყება 30 წუთში;
6. 30 წუთის შემდეგ, გამოაცხადეთ კონსულტაციის დაწყება, მოიწვიეთ საზოგადოების წევრები ჯგუფების საწყისი განცხადებების წასაკითხად და წარადგინეთ მათი კომენტარები;
7. კონსულტაციის ბოლოს მერი გამოაცხადებს კონსულტაციის დახურვას. ქალაქის საბჭოს წევრები შეხვდებიან და მონაწილეობას მიიღებენ ხმის მიცემაში. თუ უმრავლესობის აზრი არ გამოვლინდება, მერს ექნება გადამწყვეტი ხმის უფლება;
8. მერი გამოაცხადებს გადაწყვეტილებას. მოიწვიეთ მონაწილეები, რათა წრიულად დასხდნენ შედეგების შეჯამების მოსასმენად.

ჩაღრმავება/ჩაღრმავება

დაიწყეთ უკუკავშირის ეტაპი იმით, რომ ყველას მიმართავთ ნამდვილი სახელით. ეს მნიშვნელოვანია, რათა მონაწილეები გამოვიდნენ სიმულაციის პროცესში დაკისრებული როლებიდან.

- ჰკითხეთ მონაწილეებს, რას გრძნობენ ისინი იმ პროცესთან დაკავშირებით, რომელშიც ახლახან მიიღეს მონაწილეობა:

- იყო თუ არა თქვენთვის ხმის მიცემის შედეგები მოულოდნელი? რამდენად კმაყოფილი დარჩებოდა ამ შედეგებით ადამიანი, რომლის როლიც თქვენ შეასრულეთ?
- როგორ ფიქრობთ, არის თუ არა ონლაინ კონსულტაცია კარგი საშუალება ასეთი საკითხების გადასაჭრელად? დაასახელეთ მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები.

კითხვები დებატებში ასახულ მოსაზრებებთან დაკავშირებით

- ხომ არ შეგაცვლევინათ სხვა ადამიანებთან ურთიერთობამ საკუთარი მიდგომა ან დამოკიდებულება წამოჭრილი საკითხების მიმართ?
- რამდენად მარტივი იყო როლში შესვლა?
- როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია ასეთი სიტუაციის შექმნა რეალურ ცხოვრებაში? შეგიძლიათ გაიხსენოთ მსგავსი საქმე?
- როგორი რეაქცია გექნებოდათ ასეთ მოვლენაზე თქვენს ქალაქში/საცხოვრებელ ადგილას? შეგიცვალათ თუ არა აქტივობამ დამოკიდებულება?

ონლაინ სიძულვილის ენასთან კავშირის დამყარება

- რას ფიქრობთ ისეთ წესზე, როგორიცაა რასისტული ან შეურაცხმყოფელი კომენტარების წაშლა?
- გაიძულათ ამ წესებმა, სხვაგვარად გეფიქრათ თქვენ მიერ გამოქვეყნებულ კომენტარებზე?
- რამდენად რთული იყო კომენტარის წაშლის/არწაშლის გადაწყვეტილების მიღება? (შეკითხვა საიტის ადმინისტრატორებს);
- ეთანხმებით მოდერატორების გადაწყვეტილებებს? (შეკითხვა ყველა მონაწილეს).

რჩევები ფასილიტატორებისთვის

- თქვენ უნდა შექმნათ უსაფრთხო საიტი აქტივობის დაწყებამდე. ეს შეიძლება იყოს Facebook გვერდი, ან ანგარიში სხვა სოციალურ ქსელში. (სხვა ვარიანტებისთვის იხ: http://cooltoolsforschools.wikispaces.com/Collaborative+Tools);
- დარწმუნდით, რომ ყველას აქვს ანგარიში, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ამ საიტზე შესვლა;
- თქვენ დაგჭირდებათ მეორე ფასილიტატორი ამ აქტივობის განსახორციელებლად. მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფებმა უნდა იმუშაონ დამოუკიდებლად, მათ შეიძლება დასჭირდეთ დახმარება ან ხელმძღვანელობა მომზადებისა თუ კონსულტაციის პერიოდში (მაგ.: მომზადების ფაზაში სასარგებლო იქნება შემოწმება, იყენებენ თუ არა მონაწილეები დროს, რომ შეხვდნენ სხვებს, ან დაგეგმონ, რის თქმას აპირებენ შეხვედრისას);
- კომპიუტერების შეზღუდული რაოდენობის შემთხვევაში, უნდა დაადგინოთ დროის (ან სიტყვების) ლიმიტი ისე, რომ ყველას ჰქონდეს მონაწილეობის შესაძლებლობა;

- შეჯამების დროს უმნიშვნელოვანესია სიმულაციების თავიდან აცილება. მონაწილეები უნდა გამოვიდნენ ბოლო აქტივობისას შესრულებული როლებიდან, რათა სათანადოდ გაიაზრონ ის, რაც გადახდათ. თქვენ უნდა დაეხმაროთ, რომ სიმულაცია გაიაზრონ ჩვეულებრივი ადამიანის სტატუსით და არა როლებიდან გამომდინარე.

ადაპტირება

შეგიძლიათ, შეამციროთ ან შეზღუდოთ იმ სიტყვების რაოდენობა, რომლებიც მათ უნდა გამოაქვეყნონ საწყისი განცხადების ან კომენტარების სახით. შეეცადეთ, შეზღუდოთ კომენტარები და შემოიფარგლოთ მოკლე შეტყობინებით, რომელიც მხოლოდ 280 სიმბოლოს შეიცავს.

აქტივობა შეიძლება გაგრძელდეს რამდენიმე დღის განმავლობაში, რითაც შემცირდება სპეციალურად ორგანიზებული სესიისთვის საჭირო დრო და მონაწილეებს მიეცემათ კომენტარების შინიდან წარდგენის საშუალება.

თუ არ გაქვთ წვდომა ონლაინინსტრუმენტებთან, აქტივობა შეიძლება განხორციელდეს ინტერნეტ-სივრცის გარეთ. მისი არაონლაინ ვერსია მოცემულია კომპასში (დაწვრილებითი ინფორმაციისთვის იხ: www.coe.int/compass)

მოქმედებებთან დაკავშირებული იდეები

რომელი რელიგიური და ეთნიკური უმცირესობები არსებობს თქვენს ქვეყანაში და რას წერს მათზე მედია? მოიძიეთ სტატიები ადგილობრივი ახალი ამბების საიტებზე ნებისმიერი ჯგუფის შესახებ, რომლებიც, ჩვეულებრივ, წარმოდგენილია ცუდი კუთხით. შემდეგ მისწერეთ პასუხისმგებელ ჟურნალისტებს ან დაამატეთ კომენტარი, თუკი ვებგვერდი იძლევა ამის საშუალებას.

არსებობს ონლაინკონსულტაციის შესაძლებლობა თქვენი ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოთა მხრიდან? შეუძლიათ თუ არა ახალგაზრდებს, ნებისმიერი ონლაინინსტრუმენტი გამოიყენონ ადგილობრივ წარმომადგენლებთან კომუნიკაციისთვის? ჩაატარეთ ონლაინკვლევა მონაწილეებთან ერთად და დაიწყეთ არსებული ინსტრუმენტების გამოყენება (არსებობის შემთხვევაში) ახალგაზრდებთან დაკავშირებული საკითხების წამოსაჭრელად.

დაუკავშირდით რომელიმე ადგილობრივი უმცირესობის ორგანიზაციას და შეხვდით მეტის გასაგებად, თუ როგორ უმკლავდება თქვენი ადგილობრივი თემი მრავალფეროვნების საკითხებს.

NO HATE SPEECH MOVEMENT

დასარიგებელი მასალები

ყველა მონაწილისთვის ეს მასალები შეიძლება გამოქვეყნდეს კონსულტაციის გვერდზეც.

მეჩეთი სლიფივილში

თქვენ ცხოვრობთ ულამაზეს ქალაქ სლიფივილში, რომლის მოსახლეობაც 80,000-ს უტოლდება. ბოლო 60 წლის განმავლობაში ქალაქის მოსახლეობა რადიკალურად შეიცვალა - ნაწილობრივ იმიტომ, რომ ახალგაზრდები სამსახურის ძიებაში ცდილობენ დიდ ქალაქებში გადასვლას. ამასთანავე, რეგიონში ბევრი ემიგრანტი ჩამოვიდა, ოჯახებით, მათ შორის, მუსლიმური ქვეყნებიდანაც. ზოგიერთი ასეთი ოჯახი ქალაქში რამდენიმე საუკუნეა ცხოვრობს, მაგრამ მათ კვლავაც ეჭვის თვალით უყურებენ, როგორც ახალჩამოსულებს. ამჟამად ისინი მთლიანი მოსახლეობის 15%-ს შეადგენენ.

საკითხი, რომლის გამოც ქალაქის მცხოვრებთა პოზიცია ორად გაიყო, უკავშირდება სლიფივილის მუსლიმთა სურვილს, ააშენონ მეჩეთი ქალაქის საკრებულოს კუთვნილებაში არსებულ მიტოვებულ მიწაზე. ეს ტერიტორია მოუწყობელია და წლების განმავლობაში იყო საჩივრების წყარო, ის მთავარი სავაჭრო ქუჩის მახლობლად მდებარეობს და მუდმივად პრობლემები იქმნება ვანდალიზმისა და მავნე ნივთიერებებზე დამოკიდებულების მხრივ.

ამიტომ, როდესაც მდიდარმა ბიზნესმენმა შესთავაზა საბჭოს პრობლემის გადაჭრა, მერს ეგონა, რომ დადგა ნანატრი დღე, საბჭო უმალვე დათანხმდა მიწის გადაცემას და ახალი მეჩეთის სამშენებლო ხარჯების 20%-ის დაფარვას. ხარჯების 10%, რომლის გადახდაც ბიზნესმენს არ შეეძლო, უნდა მოეგროვებინათ მუსლიმ მოსახლეობაში.

მშენებლობა უნდა დაწყებულიყო ამ კვირაში... მაგრამ სლიფივილის მშვიდი ქალაქი ძალიან აღელდა ასეთი გადაწყვეტილების შემდეგ. ერთი კვირის წინათ საბჭოს ტვიტერის ანგარიში გატეხა ანტიმუსლიმურმა ჯგუფმა და გააკეთა რამდენიმე შეურაცხმყოფელი და რასისტული განცხადება. ისინი ხალხს ქუჩებში გამოსვლისა და უცხოელების გაყრისკენ მოუწოდებდნენ. ამას მოჰყვა რასისტული თავდასხმები მუსლიმებზე, ზოგიერთი მათგანი დასრულდა ძალადობით. ერთ-ერთი შემთხვევის დროს ვიღაც ძალიან დაშავდა. რამდენიმე მუსლიმი ჯგუფის საპასუხო რეაქციის შედეგად, დაპირისპირება სხვადასხვა დაჯგუფებას შორის გაიზარდა.

სლიფივილის მერმა ხალხს სიმშვიდისკენ მოუწოდა და გამოაცხადა, რომ მეჩეთის მშენებლობის გადაწყვეტილება გადაიხედებოდა საჯარო კონსულტაციების შემდეგ. მათ მიიღეს ონლაინ ფორუმის ჩატარების გადაწყვეტილება, რათა მაქსიმალურად ბევრ მოქალაქეს დაეფიქსირებინა თავისი აზრი.

დასარიგებელი მასალები

ყველა მონაწილისთვის

საჯარო კონსულტაციის პროცედურა

კონსულტაციაში მონაწილეობა შეუძლია სლიფივილის ყველა ზრდასრულ მოსახლეს (18 წელს ზემოთ).

ქვემოთ მოცემულ ჯგუფებს/პირებს შესთავაზეს პირველადი განცხადების წარდგენა, რომელშიც აისახებოდა მათი პოზიცია შემოთავაზებულ მეჩეთთან დაკავშირებით. პირველადი განცხადებების მიღება უნდა დასრულდეს საზოგადოებრივი კონსულტაციის დაწყებამდე.

- სლიფივილის მერი და მერის მოადგილე (ერთობლივი განცხადება);
- ქალაქის საბჭოს წევრები, რომლებიც წარმოადგენენ ტრადიციონალისტურ, პოპულისტურ და დივერსიფიკაციულ პარტიებს (ერთი განცხადება თითოეული პარტიიდან);
- არასამთავრობო ორგანიზაციები: ახალგაზრდობის სამოქმედო ჯგუფი „ახალგაზრდა სლიფივილიელები ადამიანის უფლებებისთვის!", "წარსულისა და აწმყოს ასოციაცია", "სლიფივილის მუსლიმური ასოციაცია" (ერთი განცხადება თითოეული ორგანიზაციიდან).

პირველადი განცხადებები გამოქვეყნდება საბჭოს ვებგვერდზე და ყველა **სხვა ზრდასრული მოქალაქე შეძლებს კომენტარის გაკეთებას. ნებისმიერი კომენტარი, რომელიც მიიჩნევა საფრთხის შემცველად, რასისტულად ან შეურაცხმყოფელად, წაიშლება საბჭოს ვებგვერდიდან.**

კონსულტაცია დასრულდება 30 წუთის შემდეგ. საბჭოს წევრები მონაწილეობას მიიღებენ ხმის მიცემაში, სადაც მერის ხმა იქნება გადამწყვეტი, თუკი არ გამოვლინდება უმრავლესობის აზრი.

საბჭოს გადაწყვეტილება საბოლოოა.

დასარიგებელი მასალები

როლური ბარათები

სლიფივილის მერი

თქვენ ხართ ქალაქის მნიშვნელოვანი ფიგურა და აცნობიერებთ ქალაქში სიმშვიდისა და კარგი ურთიერთობის დამყარების აუცილებლობას. თქვენთვის, როგორც საზოგადოების სხვადასხვა სექტორის მომრიგებლისთვის, ძალზე მნიშვნელოვანია მიუკერძოებლობა და რეპუტაცია. შესაბამისად, გსურთ ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელსაც გაიზიარებს მოსახლეობის უმრავლესობა.

საჯარო კონსულტაციის გახსნამდე, უნდა მოამზადოთ პირველადი განცხადება, რომელშიც აისახება თქვენი პოზიცია. ის უნდა განიხილოთ მერის მოადგილესთან. თუ გექნებათ დრო, სათათბიროდ უნდა შეხვდეთ საზოგადოებრივ ჯგუფებსა და მოსახლეობასაც და განსაზღვროთ, რამდენად შეძლებთ ძალადობის რისკის შემცირებას.

ხმის მიცემაში მონაწილეობას თქვენ არ იღებთ, თუკი ხმები არ განაწილდება თანაბრად. ამ შემთხვევაში, თქვენი ხმა გადამწყვეტი იქნება.

მერის მოადგილე

თქვენ მუშაობთ მერთან ერთად და უნდა დაეხმაროთ მას პირველადი განცხადების მომზადებაში. შეიძლება ექსტრემალურ ჯგუფებთან შეხვედრაც დაგჭირდეთ კონსულტაციის დაწყებამდე, რათა სცადოთ მათი დარწმუნება ყველასთვის მისაღები გადაწყვეტილების მნიშვნელობაში.

როგორც კი დაიწყება კონსულტაციები, თქვენი მოვალეობაა მერის დახმარება საზოგადოებრივ ჯგუფებსა თუ მოსახლეობასთან შეხვედრებში, რომელთა მიზანია საზოგადოებრივი აზრის შეფასება და ძალადობის რისკის შემცირება.

თქვენ არ აძლევთ ხმას დებატებში.

საიტის ადმინისტრატორები (2 ადამიანი)

თქვენი ვალდებულებაა დისკუსიაზე დაკვირვება და იმის კონტროლი, რომ კომენტარები არ იყოს რასისტული ან საზიანო. ნებისმიერი ასეთი კომენტარი დაუყოვნებლივ უნდა წაიშალოს საბჭოს ვებგვერდიდან. კონსულტაციის გახსნამდე ცოტა დრო დაუთმეთ იმის გააზრებას, თუ როგორ უნდა გამოარჩიოთ მიუღებელი კომენტარები. შეიძლება შეიმუშაოთ მოკლე ინსტრუქციები, ასევე, გამოაქვეყნოთ კომენტარები, რომელთა მაგალითზეც გააფრთხილებთ საზოგადოებას, რომ მათი ენა მიუღებელია ანდა მოუწოდოთ მონაწილეებს თავაზიანობისა და ყურადღებისკენ დებატებში ჩართული სხვა ადამიანების მიმართ.

თქვენ არ აძლევთ ხმას დებატებში.

დასარიგებელი მასალები

ქალაქის საბჭოს წევრები: ტრადიციონალისტების პარტია (2 ან 3 ადამიანი)

თქვენ წარმოადგენთ ტრადიციონალისტთა პარტიას ქალაქის საბჭოში და კატეგორიულად ეწინააღმდეგებით მეჩეთის მშენებლობას, ასევე არ მიიჩნევთ სწორად საბჭოს მიწისა და რესურსების დახარჯვას ისეთი სალოცავის ასაშენებლად, რომელიც არ სცემს პატივს ამ ქვეყნისა და ქალაქის ტრადიციებს. გრძნობთ, რომ ემიგრანტთა ოჯახებს აქვთ აქ ცხოვრების პრივილეგია და არ უნდა მოახვიონ საკუთრი ცხოვრების სტილი ქვეყანას, სადაც სტუმრები არიან.

ზოგიერთ თქვენს წევრს კატეგორიულად ანტიმუსლიმური განწყობა აქვს და სჯერა, რომ ზემოაღნიშნული ძალადობა მოსალოდნელი იყო ამ რელიგიის მიმდევარი თემის მხრიდან. თქვენ ნამდვილად გინდათ ქალაქში მუსლიმთა რაოდენობის შემცირება, ვინაიდან მიიჩნევთ, რომ ისინი არღვევენ სლიფვილის ტრადიციულ ღირებულებებს, ასევე დარწმუნებული ხართ, რომ მეჩეთი გახდება ტერორისტების დაქირავების ადგილი.

მოამზადეთ თქვენი პოზიციის პირველადი განცხადება, რომელსაც გამოაქვეყნებთ ვებგვერდზე კონსულტაციის დაწყებამდე. შეეცადეთ, ის იყოს მოკლე.

თქვენი პარტიის თითოეულ წევრს აქვს ხმის უფლება საბოლოო გადაწყვეტილებაში.

ქალაქის საბჭოს წევრი: პოპულისტური პარტია (1 ან 2 ადამიანი)

თქვენ წარმოადგენთ ქალაქის საბჭოს პოპულისტურ პარტიას და მხარი დაუჭირეთ თავდაპირველ გადაწყვეტილებას მეჩეთის მშენებლობასთან დაკავშირებით - ნაწილობრივ იმიტომ, რომ აცნობიერებთ მუსლიმური საზოგადოების დადებით როლს ქალაქის ეკონომიკაში და არ გსურთ მათი გარიყვა. თუმცა, ამასთანავე ძალიან შეშფოთებული ხართ მოსახლეობის საჩივრებისა და ბოლოდროინდელი ძალადობის ფაქტების გამო, ასევე გაწუხებთ საკუთარი ადგილის საკითხი საბჭოს მომდევნო არჩევნებში, ამიტომაც, სავარაუდოდ, მხარს დაუჭერთ ნაკლებად საკამათო მოსაზრებას.

მოამზადეთ თქვენი პოზიციის პირველადი განცხადება, რომელსაც გამოაქვეყნებთ ვებგვერდზე კონსულტაციის დაწყებამდე. შეეცადეთ, ის იყოს მოკლე.

თქვენი პარტიის თითოეულ წევრს აქვს ხმის უფლება საბოლოო გადაწყვეტილებაში.

NO HATE SPEECH MOVEMENT

დასარიგებელი მასალები

სლიფივილის „წარსულისა და აწმყოს“ ასოციაციის წევრები (2-4 ადამიანი)

თქვენ წარმოადგენთ ერთ-ერთ ძირითად ჯგუფს, რომელიც ეწინააღმდეგება მეჩეთის მშენებლობას. თქვენი წევრები არიან სლიფივილის ტრადიციული (არამუსლიმი) საზოგადოებიდან და ძალიან მნიშვნელოვნად მიიჩნევთ იმ ქალაქის იერსახის შენარჩუნებას, სადაც გაატარეთ მთელი ცხოვრება. მეჩეთისთვის შემოთავაზებული ადგილი მდებარეობს ცენტრში და შენობა გამოჩნდება ქალაქის შუაგულის თითქმის ყველა ადგილიდან. კერძოდ, მეჩეთმა შეიძლება დაფაროს მთავარი ეკლესიის ხედი ქალაქის მოედნიდან. თქვენ ფიქრობთ, რომ მშობლიური ქალაქის ხასიათი მთლიანად შეცვალა საზოგადოებამ, რომელიც სულ ახლახან ჩამოვიდა აქ და ვერ ხვდებით, რატომ არ უნდა იცავდნენ თქვენს წესებს ქალაქში სხვა ქვეყნებიდან ჩამოსული ადამიანები.

თქვენი წევრები მეტად რადიკალურები გახდნენ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, ორგანიზაციას კი ბრალი ედება ღია რასიზმში და პასუხისმგებლობა ეკისრება ქუჩაში ჩადენილ ძალადობის ფაქტებზე. თქვენ ახლო ურთიერთობა გაქვთ ტრადიციონალისტთა პარტიასთან, რომელიც წარმოდგენილია საბჭოში.

მოამზადეთ თქვენი პოზიციის პირველადი განცხადება, რომელსაც გამოაქვეყნებთ ვებგვერდზე კონსულტაციის დაწყებამდე. შეეცადეთ, ის იყოს მოკლე.

ახალგაზრდული მოძრაობის წევრები „ახალგაზრდა სლიფივიელები ადამიანის უფლებებისთვის!” (2-4 ადამიანი)

თქვენი ჯგუფი ჩამოყალიბდა სლიფივილის ახალგაზრდების ყველაზე რთული პრობლემების მოსაგვარებლად და მიგაჩნიათ, რომ გადაწყვეტილება მეჩეთის მშენებლობაზე გადაჭრის მუსლიმური საზოგადოების ლოცვის საჭიროებებსაც და მიტოვებული მიწის შედეგად წამოჭრილ არაერთ პრობლემასაც. შესაბამისად, მხარს უჭერთ მშენებლობას, მაგრამ გაღელვებთ ის, რომ თუკი საბჭო ჩაერთვება მშენებლობაში, შეიძლება უგულებელყოს სხვა სოციალური პრობლემები. კერძოდ, ახალგაზრდობის ბიუჯეტი ბოლო 5 წლის განმავლობაში ისე შემცირდა, რომ აღარ იკმარებს ქალაქის პრობლემათა გადასაჭრელად.

მოამზადეთ თქვენი პოზიციის პირველადი განცხადება (მაქსიმუმ, 250 სიტყვა), რომელსაც გამოაქვეყნებთ ვებგვერდზე კონსულტაციის დაწყებამდე.

დასარიგებელი მასალები

„სლიფივილის მუსლიმური ასოციაციის“ წევრები (2–4 ადამიანი)

წლების განმავლობაში საბჭოსგან ითხოვდით ისეთი ადგილის გამოყოფას, სადაც მუსლიმური საზოგადოება შეძლებდა ლოცვას, თუმცა ყოველთვის უარს იღებდით უსახსრობის მიზეზით. თქვენ უსამართლოდ მიგაჩნიათ ის, რომ მუსლიმურ საზოგადოებას მოეთხოვება სამშენებლო ხარჯების 10%-ის დაფინანსება, როდესაც ადამიანთა უმეტესი ნაწილი ძალიან რთულ ეკონომიკურ პირობებში ცხოვრობს, ქრისტიანულ საზოგადოებას კი ქალაქის 11 სხვადასხვა სალოცავში გაცილებით ნაკლები მრევლი ჰყავს, ვიდრე ეყოლებოდა მეჩეთს. გრძნობთ, რომ თქვენი საზოგადოების წვლილი ქალაქში არ დაფასდა, რომ ადამიანები ამ გარემოში უსამართლო დისკრიმინაციას განიცდიან ცხოვრების სხვადასხვა ასპექტში, მეჩეთის მშენებლობაზე უარით კი საბჭო უარყოფს თქვენი საზოგადოების წევრთა ფუნდამენტურ უფლებას რელიგიის თავისუფლებაზე.

ასევე იცით, რომ ზოგიერთი თქვენი წევრი ემხრობა გაცილებით რადიკალურ მოსაზრებებს ასოციაციის ოფიციალურ მოსაზრებებთან შედარებით და შეშფოთებული ხართ იმის გამო, რომ მუსლიმთა ნაწილმა ძალადობით უპასუხა თავდასხმას მის თემზე. გაწუხებთ ის ფაქტიც, რომ გადაწყვეტილების შეცვლა უფრო გარიყავს მუსლიმ მოსახლეობას და შეიძლება ძალადობის ახალი ტალღა გამოიწვიოს.

მოამზადეთ თქვენი პოზიციის პირველადი განცხადება, რომელსაც გამოაქვეყნებთ ვებგვერდზე კონსულტაციის დაწყებამდე. შეეცადეთ, ის იყოს მოკლე.

სლიფივილის მოქალაქეები

თქვენ შეშფოთებული ხართ კონფლიქტით, რომელმაც მოიცვა ქალაქი სლიფივილი. ჯერ არ იცით, რომელ პოზიციას ემხრობით: გინდათ, უკეთ გაიგოთ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საბჭოში წარმოდგენილი პარტიების პოზიციები და მხოლოდ შემდეგ მიიღოთ გადაწყვეტილება.

თქვენ არ გაქვთ განცხადებების გამოქვეყნების უფლება კონსულტაციის დაწყებამდე (და დაწყებიდან 30 წუთის განმავლობაში), მაგრამ შეგიძლიათ პირველადი განცხადებების წაკითხვა მათი გამოქვეყნებისთანავე. თქვენ უნდა შეეცადოთ, შეხვდეთ სხვა მოსახლეებს, ასევე, ასოციაციების ან ქალაქის საბჭოს წარმომადგენლებს მათი არგუმენტების მოსასმენად.

მოიფიქრეთ, რისი თქმა გსურთ საზოგადოებასთან კონსულტაციის დაწყებამდე და გაითვალისწინეთ, რომ თითოეული კომენტარი არ უნდა აღემატებოდეს 150 სიტყვას. მას შემდეგ, რაც ყველას მიეცემა ამის საშუალება, შეგიძლიათ გააკეთოთ მეორე კომენტარი.

აქტივობა შემუშავებულია კომპასში მოცემული სავარჯიშოს „მეჩეთი სლიფივილში“ ადაპტირების შედეგად.

კომპასი - სახელმძღვანელო ადამიანის უფლებების სფეროში ახალგაზრდების მონაწილეობით
www.coe.int/compass

NO HATE SPEECH MOVEMENT

დონე 4

ჯგუფი ნებისმიერი

დრო იხილეთ ქვემოთ

ქმედება და ნაბიჯ-ნაბიჯ კამპანია

4 აქტივობა სიძულვილის ენითა და სიძლვილით მოტივირებული დანაშაულის წინააღმდეგ. თითოეული ნაწილის გამოყენება შესაძლებელია ცალკე, ან სახელმძღვანელოს სხვა აქტივობასთან ერთად.

თემები	რასიზმი და დისკრიმინაცია, კამპანიის სტრატეგიები, ადამიანის უფლებები.
სირთულე	დონე 4
ჯგუფის სიდიდე	ნებისმიერი
დრო	3 სესია - შესაბამისად, 90, 60 და 45 წუთი, პირველი, მეორე და მესამე ნაწილებისთვის. დრო საჭიროა კამპანიის ჩატარებისთვისაც.

ნაწილი 1 (60 წუთი) - განხილულია ბოშების ოდითგანვე რთული ცხოვრება, მათ შორის, ნაცისტური ჰოლოკოსტის დროს. აქტივობის ჩატარება შესაძლებელია სხვა ნაწილების გარეშე. მისი მიზანია, ჯგუფს გააცნოს ბოშების მიმართ სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულები, რომლებიც არ აღიარეს, თუმცა შედეგები დღესაც სახეზეა.

ნაწილი 2 (60 წუთი) - მოიცავს მოქმედების დაგეგმვას, რომლის მიზანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ამ ტანჯვა-წამების შესახებ და ბოშების მიმართ სოლიდარობის გამოხატვა. ამ ნაწილის გამოყენება შესაძლებელია კამპანიის ფარგლებში ნებისმიერი აქტივობის დასაგეგმად, ასევე, სახელმძღვანელოს სხვა აქტივობათა შეფასებისა და სამომავლო ქმედებების განსაზღვრისათვის.

ნაწილი 3 - თავად ქმედება. ინსტრუქციებს შეადგენს თქვენი ჯგუფი.

ნაწილი 4 (45 წუთი) - ქმედების შეჯამება. შესაძლებელია ზოგადი კითხვების გამოყენება, რათა შეაჯამოთ თქვენი ჯგუფის ნებისმიერი ქმედება კამპანიის ფარგლებში.

ნაწილი 1: ისტორიის გაკვეთილები

დრო	60 წუთი
მიზნები	• ცნობიერების ამაღლება ნაცისტური ჰოლოკოსტის შედეგად დაზარალებული ბოშების შესახებ და სოლიდარობის გამოხატვის ხელშეწყობა; • ყურადღების გამახვილება ღრმად ფესვგადგმული ცრურწმენებისა და სიძულვილის ენის მაგალითებზე. დღევანდელი შედეგების ანალიზი; • ბოშების მიმართ სოლიდარობის გამოხატვის ხელშეწყობა და ჯგუფის მოტივირება რასიზმისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ.
მასალა	• ფლიპჩარტები და მარკერები; • მასალების ასლები, "X-ის დევნის მოკლე ისტორია" (ნებაყოფლობითი).
მომზადება	• სესიის დაწყებამდე უთხარით ჯგუფს, რომ გეგმავთ გენოციდის განხილვას და გაესაუბრეთ ცალკე ნებისმიერ ადამიანს, რომლისთვისაც ეს შეიძლება რთული აღმოჩნდეს; • გადაიღეთ მასალების ასლები (1 ასლი თითო ჯგუფზე).

ინსტრუქციები

- სთხოვეთ მონაწილეებს, რომლებსაც საერთო ნიშნები აერთიანებთ, დაიყონ 2 ან 3-კაციან ჯგუფებად. ეს შეიძლება იყოს მათი ეთნიკური წარმომავლობა, ეროვნება, კავშირი სხვადასხვა სოციალურ და რელიგიურ დაჯგუფებასთან (მათ შორის, ფეხბურთის გუნდიც კი). გამოუყავით, დაახლოებით, 10 წუთი საკუთარი გრძნობების გაზიარებისთვის თავიანთ მცირე ჯგუფებში;
- დაურიგეთ მონაწილეებს მასალა, "X-ის დევნის მოკლე ისტორია" ან გააცანით ინფორმაცია, რათა გააცნობიერონ დამოკიდებულება, რომლის გადატანაც მოუწიათ ბოშებს. თავიდან არ გაუმხილოთ სამიზნე პოპულაციის ვინაობა;
- მოკლედ განიხილეთ მათი რეაქცია, თუ შესაძლებელია, ჯგუფების წევრთა გადაადგილების გარეშე. შემდეგ სთხოვეთ თითოეულ ჯგუფს, დაწყვილდეს სხვა ჯგუფთან და გამოუყავით 15 წუთი შემდეგი საკითხების განსახილველად:
  - რას იგრძნობდნენ, თუ „მათი" ხალხი გახდებოდა ასეთი მოპყრობის მსხვერპლი ისტორიის რომელიმე მონაკვეთში? (სთხოვეთ, კონცენტრირდნენ ჯგუფზე, რომელიც აირჩიეს 1-ელი პუნქტის ფარგლებში);
  - მათი აზრით, რა იქნებოდა ყველაზე რთული იმ პოპულაციისთვის, რომელმაც ასეთი რამ განიცადა?

- რა მოხდებოდა, დღეს რომ ყოფილიყვნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც უარყოფენ გენოციდის ფაქტებს? რა აიძულებდა მათ ამ ფაქტების უარყოფას?

- შეკრიბეთ ჯგუფი და სთხოვეთ მის წევრებს, შეაფასონ თავიანთი დისკუსია. ჰკითხეთ, იციან თუ არა მონაწილეებმა (ან თუ გამოიცნობენ), რომელი ხალხის შესახებ იყო ეს მასალა. თუ ჯგუფები ვერ მიხვდებიან, აუხსენით, რომ საკითხი ბოშებს ეხებოდა და დააზუსტეთ, რა იციან ამ ხალხის დღევანდელ მდგომარეობაზე: როგორ ექცევიან მათ, რა არის ცნობილი ბოშების ისტორიულ ტანჯვა-წამებაზე? რა გავლენას ახდენს სიძულვილის ენა მათზე დღეს?
- მოუყევით მონაწილეებს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში შევიდა არაერთი საქმე, რომლებშიც გამოვლინდა ამ ჯგუფის უფლებათა დარღვევის უამრავი ფაქტი ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში. შეახსენეთ მონაწილეებს, რომ პრესა და მოსახლეობა, მთლიანობაში, შეუწყნარებელია ბოშების მიმართ და ისინი ხშირად არიან შეურაცხყოფისა და სიძულვილის ნიშნით ჩადენილი დანაშაულის მსხვერპლნი. ჰკითხეთ მონაწილეებს, შეხვედრიათ თუ არა ასეთი მაგალითები „რეალურ“ ცხოვრებაში ან ინტერნეტში;
- თუ თქვენ ატარებთ კამპანიის შესავალ აქტივობას, მიაწოდეთ მონაწილეებს ინფორმაცია Dosta-ს კამპანიის შესახებ და აცნობეთ, რომ შემდეგ სესიაში განიხილება ბოშათა დისკრიმინაციის საწინააღმდეგო მოქმედების შესაძლებლობები.

რჩევები ფასილიტატორებისთვის

- აქტივობაში მოცემული ინფორმაცია შეიძლება შემაშფოთებელი გახდეს ჯგუფის ზოგიერთი წევრისთვის. ცხადია, თუ თქვენს ჯგუფში არიან ბოშები, უნდა გააფრთხილოთ ისინი წინასწარ და მოემზადოთ საჭიროების შემთხვევაში მათ დასახმარებლად. თუმცა, არსებობს სხვა მრავალი ჯგუფიც, რომლებიც გახდნენ ნაცისტური გენოციდის სამიზნეები და შესაძლოა მათი წარმომადგენლებიც აღელდნენ. ეს განსაკუთრებით ეხება ებრაელებს, ვინაიდან მათი ტანჯვა საქვეყნოდ ცნობილია. წინასწარ შეამოწმეთ ჯგუფის შემადგენლობა და მისი წევრების სავარაუდო რეაქცია აქტივობაზე;
- შეგიძლიათ, მონაწილეებს მიაწოდოთ ინფორმაცია სხვა ჯგუფებზე, რომლებიც ასევე გახდნენ ნაცისტური რეჟიმის სამიზნეები, ან სთხოვოთ მონაწილეებს მათი დასახელება, მაგალითად:
  - პოლონელები (დაახლოებით, 2.5 მილიონი არაებრაელი პოლონელი დაიღუპა);
  - სხვა სლავი ხალხები;
  - საბჭოთა კავშირის მოქალაქეები (განსაკუთრებით, ტყვეები);
  - „არაევროპელები“(განსაკუთრებით, აფრიკული და აზიური წარმოშობის ადამიანები);
  - ფსიქიკურად დაავადებულები და კოგნიტიური შეზღუდვის მქონე პირები;
  - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები;
  - ჰომოსექსუალები და ტრანსსექსუალები;

- პოლიტიკური ოპონენტები (კერძოდ, კომუნისტები და მემარცხენეები);
- რელიგიური „დისიდენტები“ (კერძოდ, იეჰოვას მოწმეები).

(დამატებითი ინფორმაციისთვის, იხ: https://en.wikipedia.org/wiki/Holocaust_victims).

- დისკუსიას უნდა მიუდგეთ მაქსიმალურად სენსიტიურად და მოქნილად და არ დააჩქაროთ ჯგუფი, თუ იგრძნობთ, რომ მონაწილეებს მეტი დრო სჭირდებათ საკუთარი გრძნობების გამოსახატავად;
- მცირე ჯგუფებში მუშაობისას, უმჯობესია, წინასწარ დაფიქრდეთ, ხომ არ შეექმნება სირთულე რომელიმე წევრს. ამ შემთხვევაში, უფრო მარტივია, თუ სთხოვთ, ინდივიდუალობა „მიანიჭონ“ ყველას რაიმე ნიშნით (მაგ.: დაწყვილდნენ როგორც „მამაკაცები“ და „ქალები“, რომლებიც სწავლობენ სხვადასხვა საგანს ან უპირატესობას ანიჭებენ ფეხბურთს/ჩოგბურთს/მძლეოსნობას და სხვა);
- ბოშების გენოციდის მოკლე ქრონოლოგიაში (ქვემოთ) სიტყვა ბოშა ყველგან შეცვლილია X-ით. ამ ინფორმაციის გამოყენებისას, შეგიძლიათ მოიხსენიოთ, როგორც „ჯგუფი“ ან სთხოვოთ მონაწილეებს, წარმოიდგინონ, რომ ეს მათი ჯგუფია;
- მონაწილეთათვის მნიშვნელოვანი ნიშნით შერჩევის მიზანია, იგრძნონ, როგორია იყო სამიზნე ჯგუფი. თუ ჯგუფი ბოშების წინააღმდეგია, შეიძლება გაუჭირდეს ბოშების პრობლემების გაცნობიერება. ასეთ შემთხვევაში, მეტი დრო დაუთმეთ პირველი ნაწილის მე-4 პუნქტს, რათა მონაწილეებს მიეცეთ მათი პრობლემების სათანადოდ განხილვის საშუალება. მოუყევით, რომ გენოციდის დროს დაიღუპა ბოშური პოპულაციის, დაახლოებით, 75%-80% (ზოგიერთ ქვეყანაში 90%-იც). შეგიძლიათ, სთხოვოთ მონაწილეებს იმის წარმოდგენა, თუ როგორი იქნება მათი ხალხის ან ჯგუფის 90%-ის წმენდა (20 ადამიანისგან შექმნილ ჯგუფში დარჩება მხოლოდ 2 ადამიანი);
- შეიძლება დაგჭირდეთ მონაწილეებისთვის ინფორმაციის მიწოდება „სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის“ შესახებ და გაცნობა ბმულთან, რომელიც შეიცავს ცნობებს სიძულვილის ენაზე ინტერნეტსივრცეში და მის ფარგლებს გარეთ. „სიძულვილით მოტივირებული დანაშაული“ განიმარტება, როგორც ცალკეული ადამიანების ან ჯგუფების მიმართ ჩადენილი დანაშაული, რომელიც მოტივირებულია სიძულვილით. შეგიძლიათ, ნახოთ, როგორ იღებს სიძულვილის ან რასისტული შეურაცხყოფის „რბილი“ გამონათქვამები ექსტრემალურ ფორმას და როგორ ამართლებენ ადამიანების მიმართ ჩადენილ დანაშაულს;
- სიტყვა dosta ბოშურ ენაზე ნიშნავს „კმარას“. Dosta **არის ცნობიერების ამაღლების კამპანია, რომელიც მიზნად ისახავს არაბოშური მოსახლეობის დაახლოებას ბოშებთან** (**კამპანიის შესახებ ინფორმაციისთვის იხ**: http://dosta.org). სასურველია, გქონდეთ წვდომა ინტერნეტთან და მონაწილეებს მისცეთ საიტის დათვალიერების შესაძლებლობა. არსებობს სხვა საიტებიც, სადაც მოცემულია ინფორმაცია ბოშების გენოციდზე, რომლის გამოყენება შესაძლებელია კვლევის ჩასატარებლად;

- შეგიძლიათ, წაიკითხოთ სახელმძღვანელო ბოშების გენოციდის შესახებ (https://www.coe.int/en/web/youth-roma/right-to-remember) ან გაეცნოთ ვებ-გვერდებს, სადაც წარმოდგენილია ინფორმაცია ბოშების გენოციდზე;
- https://www.sintiundroma.org/en/
- https://www.coe.int/en/web/roma-genocide
- http://vhaonline.usc.edu/login
- http://isurvived.org/TOC-I.html#I-7_Romanies
- www.preventgenocide.org/edu/pastgenocides/nazi/parajmos/resources/

ჩაღრმავება

აქტივობის ბოლოს მონაწილეებს მიეცით დრო აქტივობისა და მიღებული ინფორმაციის შედეგად განცდილ გრძნობებზე სასაუბროდ. სთხოვეთ ყველას, რიგრიგობით აღწერონ თავიანთი ემოციები ორიოდე სიტყვით:

- მიიღეთ რაიმე ახალი ინფორმაცია ან ცოდნა აქტივობის შედეგად?
- შეცვალა აქტივობამ თქვენი დამოკიდებულება ბოშების მიმართ?
- როგორ ფიქრობთ, რატომ არის ასეთი მწირი ინფორმაცია ნაცისტური რეჟიმის მიერ ბოშებისთვის მიყენებულ ტანჯვაზე?
- მეტი ინფორმაცია რომ ყოფილიყო ხელმისაწვდომი, შეცვლიდა ეს ბოშების მიმართ დამოკიდებულებას დღეს?
- რისი გაკეთება შეგიძლიათ იმისთვის, რომ ინფორმაცია გაიცნონ უფრო ფართო წრეებმა?
- რა „შეიტყვეთ“ ნაცისტების გენოციდის შესახებ, შეგიძლიათ ახსნათ, როგორ გავრცელდა სიძულვილის ენა ისე, რომ დანაშაული მიემართება ადამიანთა ფართო წრეებს? შეგიძლიათ პარალელების გავლება, დღესდღეობით როგორ გამოიხატება სიძულვილის ენა ინტერნეტსივრცეში და მის გარეთ?

ადაპტირება

ამ აქტივობის გამოყენება შეგიძლიათ გენოციდის იმ სამიზნე ჯგუფების გასაცნობად, რომელთა ტანჯვაზეც ვერ შეიტყო ფართო საზოგადოებამ. ზოგიერთი ჯგუფის ჩამონათვალი მოცემულია რჩევებში ფასილიტატორებისთვის.

ნაწილი 2: მოქმედების დაგეგმვა

აქტივობის ეს ნაწილი ეფუძნება კომპასის მე-3 თავს „მოქმედებების განხორციელება“. უფრო დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად, შეგიძლიათ სახელმძღვანელოს მითითებების გამოყენება, რომლებიც მოცემულია ნაწილში „შედეგები“ (მასალა ხელმისაწვდომია საიტზე www.coe.int/compass).

დრო	60 წუთი
მიზნები	• მონაწილეთა მიერ ეფექტიანი მოქმედებების დაგეგმვის ხელშეწყობა; • მსჯელობა, როგორ გამოვიყენოთ ინტერნეტი კამპანიის ინსტრუმენტად; • მოქმედების გეგმის შემუშავება (რომელსაც ჯგუფი განახორციელებს).
მასალა	• დიაგრამის ასლები (ნებაყოფლობითი); • ფლიპჩარტები და მარკერები.
მომზადება	• გააკეთეთ დიაგრამის ასლები, ან დახატეთ ცარიელი ვერსია ფლიპ-ჩარტებზე.

ინსტრუქციები

1. აუხსენით ჯგუფს, რომ მოიფიქრონ მოქმედება, რომლის მიზანიც იქნება ბოშების (ან სხვა ჯგუფის) მიმართ სიძულვილის ენის პრობლემის გადაჭრა ინტერნეტში. შეახსენეთ სიძულვილის მასშტაბი და გავლენა ონლაინსივრცეში. სთხოვეთ მონაწილეებს მაგალითების მოყვანა საკუთარი გამოცდილებიდან;
2. სთხოვეთ ჯგუფს: განიხილონ ინტერნეტში სიძულვილის ენასთან დაკავშირებული ზოგიერთი პრობლემა და განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრონ იმ ასპექტებზე, რომელთა გადაჭრასაც შეძლებენ; იმსჯელონ სიძულვილის სხვადასხვა დონის შესახებ, მსუბუქი წყენიდან წაქეზებამდე, რამაც შეიძლება გამოიწვიოს სიძულვილით მოტივირებული დანაშაული; განიხილონ სხვადასხვა ფორუმი და მხარე, რომლებიც ხელს უწყობენ ინტერნეტსივრცეში სიძულვილის ენის გავრცელებას; დაწერონ თავიანთი წინადადებები ფლიპჩარტებზე;
3. აუხსენით ჯგუფებს, რომ უნდა აირჩიონ ერთ-ერთი „გადაწყვეტილება“, რომელზეც იმუშავებენ. შეახსენეთ, რომ მნიშვნელობა არა აქვს, პრობლემის გადაჭრის რომელ გზას აირჩევენ, მთავარია, შესაძლებელი იყოს განხორციელება და არ იყოს ზედმეტად ამბიციური;

4. მოკლედ განიხილეთ ყველაზე პოპულარული გადაწყვეტილებები და შეეცადეთ, შეთანხმდეთ ერთზე, რომელიც მისაღები იქნება ყველა წევრისთვის;
5. დაარიგეთ 65 გვერდზე მოცემული დიაგრამები, ან გამოიყენეთ ცარიელი ვერსია ფლიპჩარტებზე. გამოიყენეთ დიაგრამაზე (გვ. 65) მოცემული სათაურები და იმუშავეთ თითოეულ უჯრედზე მონაწილეებთან ერთად. უზრუნველყავით, რომ:
   - მათ მიერ გამოვლენილი მოქმედება ხელს უწყობდეს პრობლემის გადაჭრას;
   - ქმედება იყოს რეალისტური, ჯგუფის რესურსებისა და შესაძლებელი დაბრკოლებების გათვალისწინებით;
   - „გადაწყვეტილება“ იყოს კონკრეტული, რათა მათ შეძლონ გარკვევა, მიღწეულია თუ არა დასახული მიზანი.
6. შეადგინეთ ნახაზი მიღებულ გადაწყვეტილებათა მითითებით, რათა ყველამ იცოდეს თავისი მოვალეობა და შესაბამისი ვადები (მოდელი იხ: კომპასის „მოქმედებების განხორციელების“ ბოლო გვერდზე. www.coe.int/compass);
7. დებრიფინგის ეტაპი გამოიყენეთ იმის დასადგენად, ყველა კმაყოფილია თუ არა პროცესითა და შედეგებით და რამდენად მზად არიან მონაწილეები გეგმის განსახორციელებლად.

რჩევები ფასილიტატორებისთვის

- შეგიძლიათ, განახორციელოთ აქტივობა „ფესვები და ტოტები“, რომელიც ორიენტირებულია ჯგუფის მიერ გადასაჭრელი პრობლემის შერჩევაზე. ეს მათ უფრო ნათელ წარმოდგენას შეუქმნის, თუ რანაირად უკავშირდება ერთმანეთს ზოგიერთი პრობლემა. შედეგად, მონაწილეები შეძლებენ უფრო თანმიმდევრული გეგმის შემუშავებას;
- შეეცადეთ, ჯგუფს მისცეთ მაქსიმალური დამოუკიდებლობა პრობლემის არჩევის მხრივ და დიაგრამაზე მუშაობისას ქმედება უფრო ეფექტიანი იქნება, თუ მონაწილეები იგრძნობენ, რომ გეგმის ავტორები არიან. თუმცა, უნდა გაითვალისწინოთ ქმედებასთან დაკავშირებული პოტენციური სირთულეებიც და იფიქროთ მათი მინიმალიზაციის გზებზე;
- შესაძლებლობის შემთხვევაში, რეკომენდებულია, გეგმის შემუშავებასა და მოქმედების დაწყებამდე დაგეგმვაში ჩაერთონ ბოშათა თემის ან თქვენი სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლები. თუ შეძლებთ ვინმეს მოწვევას ჯგუფთან სასაუბროდ, აქტივობა უფრო წარმატებული იქნება და ეს ადამიანები ახალი იდეების შესანიშნავ წყაროდ იქცევიან. სხვა თუ არაფერი, საშუალება მოგეცემათ, ამ პირებისგან გაიგოთ, რამდენად მისაღებია მათი თემისთვის ჯგუფის მიერ დაგეგმილი ქმედება. გარდა ამისა, დაუკავშირდით საზოგადოებრივ ჯგუფს, რომელიც მუშაობს თქვენს სამიზნე ჯგუფთან ან მხარს უჭერს მას;
- თუ დიაგრამაზე მუშაობისას არ გსურთ მონაწილეთათვის წინადადებების მიწოდება შესავსებ უჯრებზე, შეგიძლიათ მოქმედების უფრო ზოგადი ვერსია გამოიყენოთ კომპასიდან ან საკუთარი ვერსია შექმნათ ფლიპჩარტებზე. თუ მონაწილეებისთვის რთულია ინტერნეტში სიძულვილის ენის პრობლემის გადაჭრის გზების მოფიქრება, მიაწოდეთ იდეები კამპანიის სტრატეგიებიდან.

ჩაღრმავება

- როგორ მოგწონთ თქვენ მიერ შექმნილი მოქმედების გეგმა?
- ყველას აქვს შეგრძნება, რომ გარკვეულ როლს შეასრულებს მოქმედების განხორციელების პროცესში? მოგწონთ საკუთარი როლი?
- დარჩა რაიმე განსახილველი? ან რაც უნდა ვიცოდეთ მოქმედების დაწყებამდე?
- როგორ გავიგებთ, იყო თუ არა ჩვენი მოქმედება „წარმატებული“?

ადაპტირება

აქტივობის განხორციელება შეიძლება სხვა ჯგუფთან მიმართებითაც, რომელიც ასევე სიძულვილის ენის სამიზნეა ინტერნეტსივრცეში. რეკომენდებულია, რაიმე ქმედების დაგეგმვამდე ჩაატაროთ შესავალი აქტივობა. ეს გააღრმავებს მონაწილეთა ცოდნას და შექმნის მოტივაციას გამოვლენილ პრობლემებზე მუშაობისთვის. შესავალის სახით შეგიძლიათ მრავალი აქტივობის გამოყენება, მაგალითად:

- „თამაშის შეცვლა“ - გენდერულ ნიადაგზე სიძულვილის განხილვის მიზნით;
- „უარესად თქმა“ - ჰომოფობიის განხილვის მიზნით;
- „ვებშეტევა“ - თავშესაფრის მაძიებელთა და ემიგრანტთა მიმართ სიძულვილის ენის განხილვის მიზნით.

ინტერნეტსივრცეში სიძულვილის ენის პრობლემის გადაჭრა შესაძლებელია მოქმედებებით როგორც ინტერნეტსივრცეში, ისე მის ფარგლებს გარეთ. განსახორციელებელი ღონისძიების განხილვისას, შეგიძლიათ, ჯგუფს შესთავაზოთ, შემოიფარგლოს მხოლოდ ინტერნეტის კონტექსტით.

აქტივობის მე-3 ნაწილია თავად მოქმედება.

ნაწილი 4: გააზრება და სწავლა პროცესის მეშვეობით

- უაღრესად მნიშვნელოვანია, გაანალიზოთ მოქმედება მისი დასრულების შემდეგ, ასევე, პროცესი, რომელმაც გამოიწვია ეს ქმედება. თუ საქმე პერმანენტულ კამპანიას ეხება, პროცესის გაანალიზება სასურველია მისი წამოწყებიდან მოკლე პერიოდში. ეს უაღრესად მნიშვნელოვანია, ვინაიდან ერთჯერად ქმედებებს შეიძლება უმნიშვნელო ეფექტი ჰქონდეს და ჯგუფი დარჩეს იმედგაცრუებული. გამოიყენეთ სესია, რათა გამოავლინოთ, ხომ არ აქვთ მონაწილეებს განცდა, რომ მოქმედების „განხორციელება არ ღირდა“ ან „ის ცუდად წარიმართა“. შეახსენეთ, რომ კამპანიები, როგორც წესი, შედგება ბევრი მოქმედებისა და აქტივობისაგან და ყველა მათგანი მნიშვნელოვანია ქცევისა და დამოკიდებულების შეცვლის პროცესში;
- გამოიყენეთ მონაწილეთა მოსაზრებები, როგორც სწავლის შესაძლებლობა სამომავლო მოქმედებათა დასაგეგმად;
- თავიდან სთხოვეთ მონაწილეებს, აღწერონ საკუთარი განცდები მოქმედების დღის შემდეგ. ამის გაკეთება შესაძლებელია მოკლე დისკუსიის სახით ჯგუფში;
- შექმენით 4-5-კაციანი ჯგუფები და დაუსვით ქვემოთ მოცემული კითხვები მცირე ჯგუფში განსახილველად:
  - თქვენი აზრით, რა წარიმართა კარგად?
  - იყო რაიმე რთული ან მოულოდნელი?
  - რას მიიჩნევთ მოქმედების მთავარ მიღწევებად? შეესაბამება ისინი თქვენ მიერ დასახულ მიზნებს?
  - როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია ამ გაკვეთილებით რაიმეს სწავლა მომავალში?
- დააბრუნეთ მონაწილეები მცირე ჯგუფებიდან და განიხილეთ კითხვებზე გაცემული სხვადასხვა პასუხი. დაასრულეთ სესია რამდენიმე ზოგადი დასკვნით მთლიანი პროცესის შესახებ:
  - კმაყოფილი ხართ თქვენი მუშაობით ამ მოქმედების დაგეგმვისა და განხორციელების მხრივ?
  - კიდევ ერთი მოქმედების ორგანიზატორი რომ ყოფილიყავით (ნებისმიერ თემაზე), რას დაასახელებდით სწავლების პროცესში განსახილველ ძირითად საკითხად?
  - თქვენ რას მიიჩნევთ ყველაზე მნიშვნელოვან შედეგად? როგორ ფიქრობთ, შეიცვალა თქვენი შეხედულებები და მიდგომები?
  - როგორ შეიძლება განვითარდეს ის, რაც გააკეთეთ? გინდათ სცადოთ?

რჩევები (შემდგომი) მოქმედებისთვის

სთხოვეთ ჯგუფის წევრებს, გააგრძელონ მუშაობა მათ მიერ გამოვლენილ პრობლემებზე შეუძლიათ, იმუშაონ სხვა საკითხზეც მე-2 ნაწილის დასაწყისში მოყვანილი ჩამონათვალიდან, ან სცადონ სხვა მიდგომის გამოყენება არჩეულ პრობლემასთან მიმართებით. ამ აქტივობის დაგეგმვისას ჩატარებული სამუშაო სასარგებლო იქნება სხვა მოქმედებებისთვის მოსამზადებლადაც და შეიძლება წაახალისოს მონაწილეები მეტის გასაკეთებლად.

მონაწილეებს შეუძლიათ სხვადასხვა ქვეყანაში ორგანიზებულ ჯგუფებთან გაერთიანებაც და უკვე განხორციელებული სამუშაოს მომდევნო ეტაპის დაგეგმვა.

დასარიგებელი მასალები

X-ის დევნის მოკლე ისტორია

1890 გერმანიაში ჩატარდა კონფერენცია „X ნაძირლების“ წინააღმდეგ. სამხედროებს მიენიჭათ უფლებამოსილება, დაერეგულირებინათ X-ის გადაადგილებები.

1909 ჩატარდა კონფერენცია „X საკითხზე“. რეკომენდებულია ყველა X-ის აღნიშვნა ადვილად გამოსაცნობი ნიშნით.

1920 ორმა აკადემიკოსმა შემოიღო ცნება „სიცოცხლისთვის უღირსი“ და გამოთქვა აზრი, რომ უნდა განხორციელდეს X-ების სტერილიზაცია და ერის განადგურება.

1922 (1920-ანი წლების განმავლობაში) ყველა X-ს გერმანიის ტერიტორიაზე გადაუღეს სურათი და აუღეს თითის ანაბეჭდები.

1926 მიღებულია კანონი, რომელიც გააკონტროლებს „X-ების შემოსევას“ (ასეთი მოპ-ყრობა უშუალოდ არღვევს კონსტიტუციის პირობებს).

1927 ბავარიაში აშენდა სპეციალური ბანაკები X-ების დასატყვევებლად. 8 ათასი X მოთავსებულია ამ ბანაკებში.

1928 ყველა X იმყოფება პოლიციის მუდმივი ზედამხედველობის ქვეშ. პროფესორი აქვეყ-ნებს პუბლიკაციას, რომელშიც წერს, რომ „X-ებმა უცხოური სისხლი შემოიტანეს ევროპაში“. უფრო მეტი ბანაკი შენდება X-ების მოსათავსებლად.

1934 უნდა განხორციელდეს X-ების სტერილიზაცია ინექციებისა და კასტრაციის მეშვე-ობით. ამ მიზნით, ისინი გაგზავნეს დახაუს, დისელშტრასეს, ზაქსენჰაუზენისა და სხვა ქალაქების ბანაკებში. იმ წელს გამოიცა ორი კანონი, რომელთა მიხედვითაც გერმანელებს აეკრძალათ „ებრაელებზე, X-ებსა და შავკანიანებზე“ დაქორწინება.

1938 12-18 ივნისს გერმანიასა და ავსტრიაში ასობით X დააპატიმრეს, სცემეს და ცი-ხეებში მოათავსეს. ეს პოპულაცია პირველი სამიზნეა, რომელსაც აეკრძალა სკო-ლაში სიარული.

1939 რასისტული ჰიგიენის ოფისი აქვეყნებს განცხადებას, რომელშიც ნათქვამია: „ყვე-ლა X-ს უნდა მოეპყროთ, როგორც გენეტიკურად დაავადებულს; ამ პრობლემის გადაწყვეტის ერთადერთი გზა მათი განადგურებაა (შესაბამისად, ჩვენი მიზანია ამ დეფექტური ელემენტის დაუყოვნებლივ აღმოფხვრა მოსახლეობაში)”.

1940 ჰოლოკოსტის პირველი მასობრივი გენოციდური აქცია: 250 X ბავშვი გამოიყენეს, როგორც ზღვის გოჯი, ციანიდის გაზის კრისტალის შესამოწმებლად ბუჰენვალდის საკონცენტრაციო ბანაკში. იმავე წელს X-ებს აეკრძალათ მუშაობა.

დასარიგებელი მასალები

1941	ივლისში ნაცისტებმა დაიწყეს საბოლოო გადაწყვეტილების განხორციელება: „მოვკლათ ყველა ებრაელი, X და ფსიქიკური პრობლემის მქონე პირი“. გენოციდი იწყება. ერთბაშად 800 X მოკლეს 24 დეკემბრის ღამეს ყირიმში.
1944	1 აგვისტო: 4 ათასი X გაგუდეს და დაწვეს ოსვენციმ-ბირკენაუს ერთიანი მასობრივი აქციის ფარგლებში.
1945	ომის დასრულების დროისთვის ნაცისტებმა X-ების მოსახლეობის 70-80% გაანადგურეს. არცერთი X არ გამოუძახებიათ ჩვენების მისაცემად ნიურნბერგის სასამართლოზე, არცერთი მოწმე არ გამოსულა მათი სახელით. X-ებს არ გადაუხადეს კომპენსაცია მათ მიმართ ჩადენილი დანაშაულისთვის.
1950	გერმანიის მთავრობამ პირველი განცხადება გააკეთა იმის შესახებ, რომ არ იყო ვალდებული, რაიმე სახის კომპენსაცია გადაეხადა X-ებისთვის, მათ მიმართ ჩადენილი დანაშაულის გამო.
1992	გერმანიამ 21 მილიონ დოლარად მიჰყიდა რუმინეთს თავშესაფრის მაძიებელი X-ები და 1 ნოემბერს დაიწყო მათთვის ხელბორკილების დადება. ზოგიერთმა X-ამ თვითმკვლელობა ამჯობინა წასვლას. გერმანიის პრესის სააგენტომ თხოვნით მიმართა დასავლეთის ჟურნალისტებს, არ გამოეყენებინათ სიტყვა „დეპორტაცია“, ვინაიდან ის იწვევს „უარყოფით ისტორიულ ასოციაციებს“.

ბოშების გენოციდის მოკლე ქრონოლოგიის რედაქტირებული ვერსია, იან ჰენკოკი (შენიშვნა: კომპასში შემუშავებულია Dosta!-დან).

კომპასი, სახელმძღვანელო ადამიანის უფლებების სფეროში ახალგაზრდების მონაწილეობით 2012
www.coe.int/compass

დასარიგებელი მასალები

რომელი პრობლემის გადაჭრა გსურთ?

- ამ ხალხმა არ იცის ბოშების გენოციდის შესახებ;
- სტერეოტიპები ბოშური პოპულაციის შესახებ;
- ბოშების გენოციდი არ არის აღიარებული ოფიციალურად;
- განათლების სისტემა უგულებელყოფს გენოციდის მსხვერპლ ბოშებს;
- მცირე ნაწილმა მიიღო კომპენსაცია;
- ისინი თავს გრძნობენ გარიყულად და მარგინალიზებულად.

რომელია თქვენი სამიზნე აუდიტორია?

- ჩვენი თემის მცხოვრებნი;
- ახალგაზრდები;
- ეროვნულ დონეზე მოღვაწე პოლიტიკოსები;
- ადგილობრივი სკოლების მასწავლებლები;
- ჰოლოკოსტს გადარჩენილები;
- ბოშები (ახალგაზრდა).

რა ცვლილებების იმედი გაქვთ?

- ბოშების ჰოლოკოსტის აღიარება;
- მეტი გაგება და შემწყნარებლობა;
- ჰოლოკოსტის ბოშა მსხვერპლის მემორიალი;
- ბოშათა ჰოლოკოსტისადმი მიძღვნილი ღონისძიების ორგანიზება სკოლაში;
- კომპენსაციის, სულ მცირე, ერთი წარმატებული განცხადება;
- კავშირების დამყარება ბოშური თემის ახალგაზრდებთან.

როგორ შეიცვლება?

- მათ წარუდგენენ მტკიცებულებას;
- მოისმენენ ბოშების აზრს;
- ზეწოლა და საჯაროობა მთელი ქვეყნის მასშტაბით;
- ახალგაზრდების მოთხოვნები მათ სკოლებში;
- განცხადებები კომპენსაციის მიღების მიზნით;
- ერთმანეთის ტრადიციებისა და ინტერესების უკეთ გაგება.

რა საშუალებებს გამოიყენებთ თქვენს აუდიტორიაზე გავლენისათვის?

- სტატიის დაწერა და საჯარო ღონისძიების მოწყობა;
- ბოშური თემის ისტორიის გაცნობა - „ცოცხალი ბიბლიოთეკა“;
- კონტაქტები ადგილობრივ მედიასთან; პეტიცია, სულ მცირე, 1,000 ადამიანის ხელმოწერით;
- ახალგაზრდებისთვის ინფორმაციის მიწოდება;
- თემისთვის ინფორმაციის მიწოდება კუთვნილ კომპენსაციაზე; დახმარების გაწევა თხოვნებთან დაკავშირებით;
- ერთობლივი კულტურული ღონისძიება.

დონე 3

ჯგუფი 15+

დრო 60’

თამაშის შეცვლა

მონაწილეები გაეცნობიან კამპანიას „მოძრაობა სიძულვილის ენის წინააღმდეგ“ და შექმნიან მინი კამპანიას ონლაინ თამაშებში სექსიზმის წინააღმდეგ.

თემები	რასიზმი და დისკრიმინაცია, ინტერნეტწიგნიერება, კამპანიის სტრატეგიები, დემოკრატია და მონაწილეობა.
სირთულე	დონე 3
ჯგუფის სიდიდე	15 და მეტი
დრო	60 წუთი.
მიზნები	• სექსისტური შეურაცხყოფის პრობლემის კვლევა ონლაინსივრცეში, განსაკუთრებით, თამაშების გარემოში; • ონლაინკამპანიის ორგანიზების უნარების განვითარება.
მასალა	• ფლიპჩარტები და მარკერები.
მომზადება	• მოამზადეთ „ინსტრუქციის ბარათების“ ასლები (გვ. 70-71) და სიძულვილის ენის მაგალითები (გვ. 72) (ან გამოიყენეთ A4 ფორმატის სლაიდი); • გაეცანით ინფორმაციას ინტერნეტში კამპანიის წარმოების შესახებ (თავი 5.7. კამპანიიის სტრატეგიები) და ახალგაზრდულ კამპანიას „მოძრაობა სიძულვილის ენის წინააღმდეგ“ (თავი 2).

ინსტრუქციები

1. აჩვენეთ მონაწილეებს მასალა 72 გვერდზე და ჰკითხეთ აზრი. თუ საჭიროა, დაიწყეთ რამდენიმე კითხვით, მაგალითად:

- თქვენი აზრით, როგორ იგრძნობს ქალი თავს მსგავსი შეტყობინების ან კომენტარის შემთხვევაში?
- როგორ ფიქრობთ, გავრცელებულია შეურაცხყოფის ასეთი სახეობა?
- თქვენი აზრით, როგორ იგრძნობს ქალი თავს, თუ მოისურვებს თამაშში მონაწილეობას და ნახავს მსგავს კომენტარებს სხვა ქალი მოთამაშეების შესახებ?

2. მოუყევით მონაწილეებს, რომ ქალების შეურაცხყოფა ძალიან ხშირია არა მარტო ონლაინ თამაშების გარემოში, არამედ სხვა სახის ონლაინკომუნიკაციისას. შეგიძლიათ, ჰკითხოთ, უნახავთ თუ არა ასეთი მაგალითები და ხომ არ მიუყენებიათ მსგავსი შეურაცხყოფა რომელიმე მონაწილე ქალისთვის;
3. აუხსენით მონაწილეებს, რომ ეს არის ინტერნეტში სიძულვილის ენის მაგალითები, რომ სიძულვილის ენა არღვევს ადამიანის უფლებებს და ინტერნეტსივრცის გარეთ ასეთი განცხადებები ქალების ან გოგონების მიმართ კანონდარღვევა იქნება;
4. აუხსენით მონაწილეებს, რომ აქტივობის შედეგად გამოკვლეული საშუალებებით, ჯგუფი ჩაერთვება კამპანიაში და განიხილავს ონლაინთამაშების მონაწილე ქალების სექსისტური შეურაცხყოფის სპეციფიკურ პრობლემას. მონაწილეები შექმნიან საკუთარ „მინი კამპანიას“ ამ საკითხზე და იმუშავებენ მცირე ჯგუფებში, რათა გამოიკვლიონ სხვადასხვა სამიზნე აუდიტორიასთან მიმართვის საშუალებები;
5. აჩვენეთ მონაწილეებს „სამიზნე აუდიტორიის“ სია და სთხოვეთ, აირჩიონ ერთ-ერთი მათგანი აქტივობაზე სამუშაოდ. შეეცადეთ, თითოეულ ჯგუფში იყოს წევრთა თანაბრი რაოდენობა.
   - **ჯგუფი 1:** „კომპიუტერული თამაშებში ჩართული ქალები (გეიმერები);
   - **ჯგუფი 2:** პირები, რომლებიც შეურაცხყოფას აყენებენ/მიაყენებენ მოთამაშე ქალებს;
   - **ჯგუფი 3:** სხვა მოთამაშეები (რომლებიც არ ერთვებიან შეურაცხყოფაში, მაგრამ ისინი ხედავენ შეურაცხყოფას და არ ეწინააღმდეგებიან მას);
   - **ჯგუფი 4:** ადგილობრივი ან ეროვნული საპარლამენტო ორგანოებისა და პოლიტიკური სტრუქტურების წარმომადგენლები, სამინისტროები და სხვა;
   - **ჯგუფი 5:** ონლაინმომსახურების მიმწოდებლები (მაგ.: ვებგვერდების მფლობელები, ინტერნეტპროვაიდერები, ონლაინმომხმარებელთა ჯგუფების მმართველები);
   - **ჯგუფი 6**: საზოგადოება, რათა სოციუმის წევრებმა უკეთ გაიაზრონ პრობლემის სირთულე და მხარი დაუჭირონ კამპანიას.
6. გადაეცით თითოეულ ჯგუფს ფლიპჩარტები და ინსტრუქციის ბარათი. აუხსენით, რომ დაახლოებით, 20 წუთი აქვთ კონკრეტული მეთოდების მოსაფიქრებლად, რომლებსაც გამოიყენებენ აუდიტორიის ყურადღების მისაპყრობად. შეახსენეთ, რომ სხვა მონაწილეები მუშაობენ სხვა აუდიტორიებზე. ისინი უნდა კონცენტრირდნენ იმ მეთოდებსა და გზავნილებზე, რომლებიც მეტად მიიქცევენ აუდიტორიის ყურადღებას და პოზიტიურ წვლილს შეიტანენ კამპანიაში. კარგი კამპანია ბევრ ადამიანს მიიზიდავს!
7. დაახლოებით, 20 წუთის შემდეგ მოიწვიეთ ჯგუფები მათი წინადადებების პრეზენტაციისათვის. გარკვეული დრო დაუთმეთ კითხვებსა და კომენტარებს.

8. აუხსენით მონაწილეებს, რომ რეალური კამპანიის სტრატეგიის შესამუშავებლად საჭრიოა 15 წუთზე მეტი. ძალიან ხშირად თავდაპირველი ჯგუფის წევრების შემოთავაზებები შეიცვლება ან სხვა იდეებით ჩანაცვლდება ხოლმე. კარგი სტრატეგიის შემუშავებას ხშირად რამდენიმე ადამიანი, რამდენიმე თვეც ანდომებს ხოლმე და რეალურად განხორციელებამდე შესაძლოა გამოიცადოს კიდევ. შეჯამების (დებრიფინგის/ჩაღრმავების) დროს უნდა განიხილოთ მონაწილეთა მოსაზრებები მათ მიერ შემუშავებული „სტრატეგიის საწყის პროექტზე“!

ჩაღრმავება

კითხვები სტრატეგიისა და ონლაინკამპანიის განხორციელების შესახებ:

- რამდენად მარტივად მოგეჩვენათ ონლაინქმედებებზე მსჯელობა? რა დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს ამ მოქმედებებს?
- მოგწონთ თქვენ მიერ შემოთავაზებული სტრატეგია? რა პრობლემას ხედავთ მის დანერგვაში?
- როგორ ფიქრობთ, შეიძლებოდა თქვენი კამპანიის გაძლიერება ინტერნეტსივრცის გარეთ რამდენიმე ქმედების დამატებით? შეგიძლიათ, შემოგვთავაზოთ რომელიმე?
- თქვენი აზრით, მოახერხეთ აუდიტორიის წარმატებული „შერჩევა“? როგორ?

კითხვები სექსიზმისა და ონლაინსივრცეში შეურაცხყოფის შესახებ:

- რამდენად მნიშვნელოვანია ონლაინთამაშების კონტექსტში სექსიზმის პრობლემის განხილვა? რატომ?
- მნიშვნელოვანია თუ არა სიძულვილის ენის პრობლემის განხილვა ზოგადად? რატომ?
- როგორ ფიქრობთ, შეძლებთ არსებული ვითარების შეცვლაში რაიმე წვლილის შეტანას? გაქვთ თუ არა მოტივაცია, რომ ამ მიმართულებით იმოქმედოთ?
- როგორ ფიქრობთ, „ისწავლეთ“ რაიმე ამ აქტივობით? შეიცვალა თქვენი აზროვნება? რამე უკეთ გაიგეთ?

რჩევები ფასილიტატორებისთვის

- შეიძლება ჩათვალოთ, რომ შეურაცხყოფის მაგალითები მიუღებელია თქვენი ჯგუფისთვის ან შეცვალოთ ისინი, აარჩიოთ ყველაზე შეურაცხმყოფელი, ანდა შექმნათ საკუთარი ნიმუშები. ზოგიერთმა მონაწილე ქალმა, სავარაუდოდ, წარსულში უკვე განიცადა სექსისტური შეურაცხყოფა ინტერნეტსივრცეში და შეგიძლიათ, სთხოვოთ თავიანთი გამოცდილების გაზიარება;
- აქტივობა უფრო წარმატებით განხორციელდება, თუ მეტი დრო დაეთმობა: როცა შესაძლებელია, მიეცით ჯგუფებს 30 წუთი თავიანთი სტრატეგიების განსახილველად, ასევე შესაძლებლობა, რომ გაეცნონ სხვადასხვა ონლაინკამპანიების ვებგვერდებს;
- მონაწილეებს შეგიძლიათ, გააცნოთ კამპანია „მოძრაობა სიძულვილის ენის წინააღმდეგ” და შესთავაზოთ, კამპანიის ვებ-გვერდი გამოიყენონ რესურსის სახით, მაგალითების მოსაძიებლად;
- თუ ჯგუფი მცირეა, არ არის აუცილებელი ყველა სამიზნე აუდიტორიის განხილვა: აირჩიეთ ის, რომელიც, თქვენი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანია მონაწილეებისთვის;

- სხვადასხვა სამიზნე ჯგუფთან დაკავშირებული ბევრი გზავნილი ან მეთოდი შეიძლება მსგავსი იყოს. ერთ სამიზნე ჯგუფზე კონცენტრირების მიზანია მონაწილეთა ყურადღების გამახვილება ერთ კონკრეტულ გზავნილზე, რომელიც ყველაზე მეტად შეეფრება ამ ჯგუფს;
- მიაქციეთ ყურადღება გენდერულ ბალანსს მცირე ჯგუფებში მუშაობისას. იდეალურ შემთხვევაში, სასურველია, ჯგუფში ქალები და მამაკაცები თანაბარი რაოდენობით იყვნენ წარმოდგენილნი;
- როდესაც მონაწილეები წარადგენენ თავიანთ სტრატეგიებს, სთხოვეთ, სხვა ჯგუფებს გაუზიარონ საკუთარი „კონსტრუქციული და კრიტიკული მოსაზრებები“. შეგიძლიათ, მონაწილეებს შესთავაზოთ, რომ პირველ რიგში ისაუბრონ სტრატეგიის დადებით ასპექტებზე და შემდეგ გაუზიარონ ჯგუფს წინადადებები მის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.

ადაპტირება

ჯგუფური დავალება მონაწილეებს შეიძლება მიეცეთ პროექტის ფორმით, რომელზეც იმუშავებენ კვირის განმავლობაში. სთხოვეთ, გამოიკვლიონ სხვა ვებგვერდები, გამოიძიონ პრობლემის მასშტაბი და შეისწავლონ კანონები და რეგულაციები ინტერნეტსივრცეში სექსისტურ შეურაცხყოფასთან მიმართებით.

მონაწილეებს შეუძლიათ, აირჩიონ კიდევ ერთი საკითხი, რომელზეც ყურადღებას გაამახვილებენ დაგეგმვის პროცესში (მაგ.: რასიზმი, კიბერბულინგი ან ზოგადად სექსიზმი ინტერნეტსივრცეში), ასევე, თვითონ შეარჩიონ პრობლემა, რომელზეც ჯგუფი იმუშავებს, თუმცა ასეთ შემთხვევაში, სასარგებლო იქნება კონკრეტული სამიზნე ჯგუფის გამოვლენა.

იდეები მოქმედებებთან დაკავშირებით

მონაწილეებს შეუძლიათ, თავად გამოიკვლიონ სექსიზმის პრობლემა ინტერნეტთამაშებში, მისი მასშტაბის დასადგენად. მცირე ჯგუფებმა კონკრეტული თამაშები აირჩიონ და მონიტორინგი გაუწიონ სიძულვილის ენის ფაქტებს.

მონაწილეებს შეუძლიათ მუშაობის გაგრძელება სტრატეგიებზე, რომლებიც სავარაუდოდ, ყველაზე ეფექტიანი გამოდგება და შემდეგ მათი განხორციელება, ასევე საკუთარი მედიაპროფილების, ონლაინფორუმებისა თუ სხვა სივრცის გამოყენება პრობლემაზე ინფორმაციის გასავრცელებლად და ცნობიერების ასამაღლებლად.

თუ მონაწილეები უშუალოდ არიან ჩართულნი ონლაინთამაშებში, ამ პრობლემის განხილვა შეუძლიათ სხვა მოთამაშეებთანაც. მათ ეძლევათ ძირითადი გზავნილების შემუშავების საშუალებაც. ამ გზავნილების გამოყენება შესაძლებელია მაშინ, როდესაც თამაშებში მონაწილეობისას მსგავს შეურაცხყოფის შემთხვევებს წააწყდებიან.

სთხოვეთ მონაწილეებს, წარმოადგინონ ზოგიერთი მათთვის ცნობილი თამაში და განიხილონ სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევები თამაშის პროცესში.

დასარიგებელი მასალები

ჯგუფი 1: „კომპიუტერული თამაშებში ჩართული ქალები“ (გეიმერები)

თქვენი ჯგუფი ყურადღებას გაამახვილებს თამაშებში ჩართულ ქალებზე, რომლებსაც უკვე მიაყენეს ან შეიძლება მიაყენონ შეურაცხყოფა.

- რა არის თქვენი ძირითადი გზავნილი?
- როგორ შეძლებთ, საკუთარი მხარდაჭერა აგრძნობინოთ თამაშებში ჩართულ ქალებს?
- რის გაკეთებას სთავაზობთ მათ?

მოიფიქრეთ, რომელი ონლაინინსტრუმენტების გამოყენება შეიძლება „კომპიუტერული თამაშებში ჩართულ ქალებს (გეიმერები) შორის სოლიდარობის დასამყარებლად.

ჯგუფი 2: „შეურაცხმყოფელთა“ გამოვლენა

თქვენი ჯგუფი შეეცდება, მიმართოს მათ, ვინც ხშირად აყენებს ან სავარაუდოდ, მიაყენებს შეურაცხყოფას თამაშებში ჩართულ ქალებს.

- რა არის თქვენი ძირითადი გზავნილი?
- როგორ შეძლებთ მათ დარწმუნებას, რომ შეცვალონ საქციელი?
- რა ინფორმაცია გჭირდებათ ამისთვის?

მოიფიქრეთ, რომელი ონლაინინსტრუმენტების გამოყენება შეიძლება თქვენი სამიზნე აუდიტორიის წევრთა მაქსიმალური რაოდენობის ჩასართავად.

ჯგუფი 3: ონლაინ მოთამაშეების ქმედებების ხელშეწყობა

თქვენი ჯგუფი აირჩევს ონლაინ თამაშებში მონაწილე საზოგადოების წევრებს, რომლებიც გახდნენ მოთამაშეების მიმართ სიძულვილის ენის გამოყენების მოწმეები, მაგრამ მსგავს დამოკიდებულებას არ იწონებენ.

- რა უნდა იცოდნენ მათ?
- რა გინდათ, რომ მოიმოქმედონ?
- როგორ შეძლებთ მათ დარწმუნებას, რომ ამ კონკრეტულ ქმედებებს მიმართონ?

მოიფიქრეთ, რომელი ონლაინინსტრუმენტების გამოყენება შეგიძლიათ მოთამაშეთა მაქსიმალური რაოდენობის ჩასართავად.

ჯგუფი 4: პოლიტიკის შემქმნელებთან დაკავშირება

თქვენი ჯგუფი ფოკუსირებული იქნება მათზე, ვინც შეძლებს პრობლემის გადაჭრას. ესენი არიან პოლიტიკოსები, ან თქვენი ქვეყნის მთავრობის წევრები.

- რა არის თქვენი ძირითადი გზავნილი?
- როგორ შეძლებთ სამიზნე აუდიტორიის დარწმუნებას, რომ ჩაერთოს პრობლემის გადაჭრაში?
- რა მოქმედებას ურჩევთ?

მოიფიქრეთ, რომელი ინსტრუმენტებით შეძლებთ თქვენი სამიზნე აუდიტორიის წევრთა მაქსიმალური რაოდენობის მოზიდვას.

NO HATE SPEECH MOVEMENT

დასარიგებელი მასალები

ჯგუფი 5: ონლაინმომსახურების მიმწოდებელთა წვდომა

თქვენი ჯგუფი ყურადღებას გაამახვილებს მათზე, ვინც შეძლებს პრობლემის გადაჭრას (მაგ.: ვებგვერდის მფლობელები, ინტერნეტპროვაიდერები და ონლაინჯგუფების მენეჯერები).

- რა არის თქვენი ძირითადი გზავნილი?
- როგორ შეძლებთ თქვენი სამიზნე აუდიტორიის დარწმუნებას, რომ ჩაერთოს პრობლემის გადაჭრაში?
- რის გაკეთებას ურჩევთ მათ?

მოიფიქრეთ, რომელი ინსტრუმენტებით შეძლებთ თქვენი სამიზნე აუდიტორიის წევრთა მაქსიმალური რაოდენობის მოზიდვას.

ჯგუფი 6: საზოგადოების ცნობიერების ამაღლება

თქვენი ჯგუფი ყურადღებას გაამახვილებს საზოგადოების წევრთა ჩართვაზე პრობლემის გადაჭრის პროცესში.

- რა არის თქვენი ძირითადი გზავნილი?
- რა გინდათ, რომ მოიმოქმედონ?
- რა ინფორმაცია გჭირდებათ ამისთვის?

მოიფიქრეთ, რომელი ონლაინინსტრუმენტების გამოყენება შეგიძლიათ თქვენს კამპანიაში საზოგადოების მობილიზაციისათვის.

დასარიგებელი მასალები





FramedAdam 03/08/2011

დაუბრუნდი სამზარეულოს

შეტყობინებას ვადა გასდის 30 დღეში

ON 4/29/2012 AT 1:13 PM

Garry Garry69-მ დაწერა:

ყელს გამოგჭრი, დამპალო ბოზო, იმის გამო, რომ შენი მეგობრების სია შევსებულია. დიეტაზე დაჯექი, მახინჯო ძროხა!

შეტყობინებას ვადა გასდის 30 დღეში | მომხმარებლის დაბლოკვა

დაწერეთ თქვენი პასუხი...

<u>წყარო:</u> http://fatuglyorslutty.com/ (მოძიებულია 2013 წლის 9 ოქტომბერს).

NO HATE SPEECH MOVEMENT

დონე 4

ჯგუფი 10-20

დრო 60'

ფაქტების შემოწმება

მონაწილეები ასრულებენ „მკვლევართა“ როლს, რათა ჰომოფობიური ნიშნით შეურაცხყოფის კვლევით მიღებული ინფორმაცია მიაწოდონ პოლიტიკოსებს. ისინი განიხილავენ ინტერნეტში გამოქვეყნებული ინფორმაციის სანდოობას და შეიმუშავებენ სტრატეგიებს საკუთარი პრაქტიკისთვის.

თემები	რასიზმი და დისკრიმინაცია, ინტერნეტწიგნიერება, კამპანიის სტრატეგიები, დემოკრატია და მონაწილეობა.
სირთულე	დონე 4
ჯგუფის სიდიდე	10-20
დრო	60 წუთი.
მიზნები	• ინტერნეტში მოძიებული ინფორმაციის სანდოობის შეფასება; • იმ სირთულეების კვლევა, რომლებსაც ახალგაზრდა გეიები აწყდებიან ინტერნეტში სიძულვილის ენის კონტექსტში; • საკუთარი საქციელის განხილვა ინტერნეტის კონტენტთან დაკავშირებით.
მასალა	• წვდომა ინტერნეტთან; • ფურცლები და კალმები; • ფლიპჩარტები და მარკერები.
მომზადება	• უზრუნველყავით მონაწილეთა წვდომა ინტერნეტთან; • მოამზადეთ მკვლევართა ამოცანებისა და მეთვალყურეთა ფურცლის ასლები დასარიგებლად; • ნებაყოფლობითი: წინასწარ გამოიკვლიეთ, რომელ მონაწილეებს სურთ იყვნენ პროცესზე დამკვირვებლები. ჯგუფის მონაწილეთა დაახლოებით, ნახევარმა დამკვირვებლის როლი უნდა შეასრულოს. აჩვენეთ მათ დამკვირვებლის ფურცელი და დარწმუნდით, რომ ესმით, რა სახის ინფორმაცია უნდა ეძებონ. დაეხმარეთ ცხრილის შევსებაში.

ინსტრუქციები

- აუხსენით მონაწილეებს, რომ აქტივობის მიზანია ინტერნეტის, როგორც ინფორმაციის წყაროს კვლევა. იკითხეთ, რა მოცულობით იყენებენ მონაწილეები ინტერნეტს ამ მიზნით და აქვთ თუ არა „საყვარელი“ საიტები;
- გადაეცით ქვემოთ მოყვანილი სცენარი და დარწმუნდით, რომ დავალება ყველა მონაწილემ გაიგო.

ახალგაზრდა გეიებზე რამდენიმე ჰომოფობური თავდასხმის შემდეგ (განსაკუთრებით, ონლაინ-საიტებზე და ვიდეოებში), ეს საკითხი, არასამთავრობო ორგანიზაციების ძლიერი ლობირებით, უნდა განიხილონ პარლამენტში. მთავრობამ შემოიტანა საკანონმდებლო პროექტი, რომელიც უკავშირდება ბიუჯეტიდან თანხის გამოყოფას საგანმანათლებლო მიზნებით, კერძოდ, ჰომოფობიურ მიდგომებთან გასამკლავებლად და ახალგაზრდა გეი ჯგუფების მხარდასაჭერად. მთავარი ოპოზიციური პარტიები დაუპირისპირდნენ ახალ კანონმდებლობას.
თქვენ უნდა აჩვენოთ, რომ მუშაობთ მკვლევარად პოლიტიკოსთან, რომელსაც სურს დებატებში მონაწილეობა. მან გთხოვათ რამდენიმე პუნქტიანი „მემოს“ მომზადება თავისი გამოსვლისთვის. თქვენ 20 წუთი გექნებათ წინასწარი კვლევის ჩასატარებლად.

- აუხსენით მონაწილეებს, რომ იმუშავებენ 4-კაციან ჯგუფებში, სადაც 2 „მკვლევარი“ იქნება და 2 დააკვირდება „მკვლევართა“ მეთოდოლოგიას. აუხსენით, რომ კვლევა საჭიროებს სათანადო მეთოდოლოგიას. სთხოვეთ რამდენიმე მნიშვნელოვანი წინადადების შემოთავაზება კვლევის ჩასატარებლად და დაწერეთ ისინი ფლიპჩარტებზე;
- სთხოვეთ მოხალისეებს, რომ იმუშაონ დამკვირვებლად. დაურიგეთ დამკვირვებლის ფურცლები და დარწმუნდით, რომ დავალება კარგად გაიგეს. ჯგუფის დანარჩენი შემადგენლობა ისე გაანაწილეთ, რომ გყავდეთ, დაახლოებით, ერთნაირი რაოდენობის წევრები, რომლებიც იმუშავებენ მთავრობისა და სხვადასხვა ოპოზიციური პარტიისთვის. გადაეცით თითოეულ ჯგუფს ბარათი დავალებით;
- აუხსენით მონაწილეებს, რომ 30 წუთი აქვთ კვლევის ჩასატარებლად. შესთავაზეთ პირველი 20 წუთის გამოყენება შესაბამისი ინფორმაციის მოსაძიებლად და 10 წუთი დაუტოვეთ მთავარ პუნქტებზე გადაწყვეტილების მისაღებად, რომელსაც წარუდგენენ თავიანთ საპარლამენტო წარმომადგენლებს;
- როდესაც ჯგუფები დაასრულებენ მუშაობას, სთხოვეთ, მოშორდნენ კომპიუტერებს. მიეცით კიდევ 5-10 წუთი, რათა დამკვირვებლებმა შეძლონ საკვანძო მოსაზრებების გაზიარება ჯგუფთან;
- მოიწვიეთ მკვლევარები იმ ძირითადი პუნქტების წარსადგენად, რომლებიც აირჩიეს თავიანთი პარლამენტის წევრების გამოსვლისთვის. მათ შეუძლიათ, უბრალოდ „საკვანძო პუნქტების“ სახით ჩამოაყალიბონ საკუთარი დასკვნები. მონაწილეებმა უნდა აჩვენონ, რომ თვითონ კი არ გამოდიან სიტყვით, არამედ ატარებენ ბრიფინგს პარლამენტის წევრთან ერთად;

- თითოეულ ჯგუფს პრეზენტაციისთვის მიეცით გარკვეული დრო, რათა მეთვალყურეებმა წარადგინონ თავიანთი შედეგები. დარწმუნდით დროის ისე გადანაწილებაში, რომ სხვა ჯგუფების წევრებმაც დასვან კითხვები წარმოდგენილ ინფორმაციასა ან სტრატეგიაზე. მოიწვიეთ მონაწილეები აქტივობის განსახილველად.

ჩაღრმავება

კითხვები კვლევის შესახებ და ბრიფინგი საპარლამენტო წარმომადგენელთათვის

- რამდენად მარტივი მოგეჩვენათ დავალება? რა იყო თქვენთვის ყველაზე რთული?
- როგორ შეარჩიეთ საიტები ინფორმაციის მოსაძიებლად? ხომ არ შეგაშფოთათ საიტების „სანდოობამ“ ან არჩეული ინფორმაციის „ნამდვილობამ“?
- რომელი ინფორმაციის მოძიებას მიანიჭეთ მეტი მნიშვნელობა: რომელიც გაამყარებდა თქვენი წარმომადგენლის პოზიციას, თუ რომელიც დაგეხმარებოდათ „ობიექტური“ ანგარიშის მომზადებაში საკითხის შესახებ? როგორ ფიქრობთ, რა უნდა გააკეთოს ნამდვილმა მკვლევარმა?
- მოიძიეთ გეიების წინააღმდეგ მიმართული სიძულვილის ენის მაგალითები? რამდენად მნიშვნელოვანი იქნებოდა ის მაგალითები, რომლებიც ზოგიერთმა ჯგუფმა არ გამოიკვლია?
- როგორ ფიქრობთ, კმაყოფილი იქნება თქვენი საპარლამენტო წარმომადგენელი ჩატარებული კვლევით? კმაყოფილები იქნებიან ის ადამიანები, რომელთა ინტერესებსაც წარმოადგენს იგი პარლამენტში?

კითხვები ინტერნეტის გამოყენებაზე კვლევის მიზნით

- აღმოაჩინეთ რამე მნიშვნელოვანი ინტერნეტის გამოყენებაზე კვლევის მიზნებით? გსურთ, რაიმე წინადადებები დაუმატოთ სიას, რომელიც შედგენილია აქტივობის დასაწყისში?
- ხომ არ გაგაკვირვათ მონაწილეთა მიერ მოძიებული ინფორმაციის განსხვავებულობამ? როგორ ახსნით ამას?
- რა გზებით არის შესაძლებელი ვებგვერდის ან ინფორმაციის სანდოობის შემოწმება? ზოგადად, ამოწმებთ ამას?

კითხვები ჰომოფობიაზე/სიძულვილის ენის გამოყენებაზე ინტერნეტში

- შეგვხვდათ დისკრიმინაციის ან შეურაცხყოფის რაიმე მაგალითი?
- როგორ ფიქრობთ, იყო თქვენ მიერ მოძიებული რომელიმე ინფორმაცია „მცდარი“ ან უსამართლო?
- თუ ვინმეს ნებას დართავთ, ინტერნეტში გამოაქვეყნოს თქვენი აზრი, რა რისკს უკავშირდება ეს? რისი გაკეთება შეიძლება იმისთვის, რომ სხვებმა მსგავსი მოსაზრებები „ფაქტად“ არ აღიქვან?

რჩევები ფასილიტატორებისთვის

- აქტივობა უფრო ეფექტიანი იქნება, თუ „დამკვირვებლები“ წინასწარ მიიღებენ ინფორმაციას მასზე. შესაძლებლობის შემთხვევაში, შეგიძლიათ აირჩიოთ მხოლოდ ერთი მეთვალყურე თითოეული მცირე ჯგუფისთვის და გაზარდოთ „მკვლევართა“ რაოდენობა;
- მკვლევარებმა არ უნდა იგრძნონ, რომ „ამოწმებენ“ დამკვირვებლები. შეგიძლიათ, უთხრათ, რომ დამკვირვებლებს ევალებათ კვლევების სხვადასხვა მეთოდების შესწავლა და რომ ამ დავალების შესრულების სხვადასხვა საშუალება არსებობს;
- შეიძლება გადაწყვიტოთ, რომ არ აჩვენოთ მკვლევარებს დამკვირვებელთა ფურცელი. ამ შემთხვევაში, ისინი არ იქნებიან წინასწარ ინფორმირებულნი ზოგიერთ საკვანძო ასპექტზე და შედეგები შეიძლება უფრო საინტერესო იყოს. ამავდროულად, ასეთ დროს მკვლევარებს შეიძლება მეტი ტვირთი დააწვეთ. ფურცლის ჩვენება უკეთეს თანამშრომლობას უზრუნველყოფს მკვლევარებსა და მეთვალყურეებს შორის;
- შეჯამების დროს თქვენთვის ნათელი გახდება, იქნება თუ არა კვლევა მიკერძოებული: კერძოდ, გამოჩნდება, ხომ არ უნდათ მკვლევარებს „სასურველი“ შედეგის მიღება. ამის დასადგენად, შეგიძლიათ ჰკითხოთ მონაწილეებს, როგორი დამოკიდებულება აქვთ იმ ინფორმაციისადმი, რომელსაც ეცნობიან, მაგრამ არ სურთ დაჯერება;
- ინტერნეტში მცდარი ინფორმაციის მიწოდების ან მიკერძოებულობის რისკი უფრო მაღალია, რადგან უაღრესად მარტივია ინფორმაციის „ფაქტად“გასაღება. შეგიძლიათ, გამოიკვლიოთ, მონაწილეებმაც ხომ არ შეიტანეს წვლილი მსგავსი „ფაქტებისა“ და მცდარი შეხედულებების გავრცელებაში ცალკეულ ადამიანებსა ან ჯგუფებზე;
- შეგიძლიათ გამოიყენოთ საკონტროლო ჩამონათვალი, რომლიც მოცემულია დამხმარე ინფორმაციაში ინტერნეტწიგნიერების შესახებ, რათა გაამდიდროთ მონაწილეთა წინადადებები ინტერნეტში გამოქვეყნებული ინფორმაციის სანდოობის შემოწმებაზე. ხაზი გაუსვით, რომ ყველაფერი, რასაც ვხედავთ, შეიცავს „მოსაზრების“ ელემენტს. არსებობს ინფორმაციის წარმოდგენის მრავალი საშუალება, რის შედეგადაც გარკვეული მოსაზრება ყალიბდება (მაგ.: ჰომოფობიური სიძულვილის ენის მაგალითების გამოტოვება ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ეს არ არის პრობლემა);
- შეგიძლიათ, ჩაატაროთ კვლევა ინტერნეტის მეშვეობით ყალბი ინფორმაციის მონიტორინგის შესახებ და განიხილოთ მონაწილეებთან, როგორ შეუძლია ცრუ ინფორმაციას სიძულვილის ენის გაღვივება.

ადაპტირება

შეგიძლიათ, სხვა „სამიზნე ჯგუფი“ შეურჩიოთ მონაწილეებს კვლევის ჩასატარებლად (მაგ.: ქალები, ბოშები ან სხვა ეთნიკური უმცირესობები, თავშესაფრის მაძიებლები და ა.შ). ასევე, აქტივობა განახორციელოთ დამკვირვებელთა გარეშე, თუმცა ასეთ დროს თითოეულმა მონაწილემ უნდა იმოქმედოს, როგორც საკუთარი თავის „დამკვირვებელმა“. ამ შემთხვევაში, ჯგუფთან ერთად წინასწარ უნდა გადაავლოთ თვალი მეთვალყურეთა ფურცელს და სთხოვოთ საკუთარი მეთოდების შემოწმება კვლევისას.

იდეები მოქმედებებთან დაკავშირებით

მონაწილეებს შეუძლიათ, დახვეწონ ონლაინკვლევასთან დაკავშირებული წინადადებების ჩამონათვალი და შექმნან სახელმძღვანელო პრინციპების საკუთარი ნაკრები.სიძულვილის ენის დიდ ნაწილს ავრცელებენ ის ადამიანები, რომლებიც დაუფიქრებლად უზიარებენ სხვებს შეურაცხმყოფელ ან მიკერძოებულ მოსაზრებებს.
ჟურნალისტებსაც დიდი წვლილი მიუძღვით ცრუ წარმოდგენების გავრცელებაში საზოგადოების გარკვეული ჯგუფების შესახებ. შედეგად, მკითხველები ამ ჯგუფების შეურაცხყოფას „მისაღებად“ მიიჩნევენ.

(სხვა საგანმანათლებლო აქტივობები, რომლებიც მოიცავს ჯგუფში მუშაობას მცდარი ინფორმაციის მიწოდების სტრატეგიებზე, იხილეთ ბმულზე:
https://mediasmarts.ca/diversity-and-media-toolbox-portal-page https://mediasmarts.ca/break-fake
ან გაეცანი სახელმძღვანელოს საწინააღმდეგო და ალტერნატიული ნარატივების შესახებ ჩვენ შეგვიძლია! სიძულვილის ენის წინააღმდეგ მოქმედება საპირისპირო და ალტერნატიული ნარატივებით“
https://www.coe.int/en/web/no-hate-campaign/we-can-alternatives
შესთავაზეთ მონაწილეებს იმ ვებგვერდების დასახელება, რომლებსაც ყველაზე ხშირად იყენებენ ინტერნეტში ინფორმაციის მოსაძიებლად და ერთად შეაფასეთ მათი სანდოობა და მიუკერძოებლობა.

დასარიგებელი მასალები

პოლიტიკოსი 1:

თქვენი პოლიტიკოსი მთავრობის წევრია. ის იძულებულია, მხარი დაუჭიროს ახალ კანონმდებლობას. ჩაატარეთ ინტერნეტკვლევა ნებისმიერი ინფორმაციის მოსაძიებლად, რომელიც სასარგებლო იქნება მისი გამოსვლისთვის. შემდეგ შეადგინეთ სია 5 საკვანძო პუნქტით, რომლებიც თქვენი აზრით, უნდა განიხილოს პოლიტიკოსმა.

პოლიტიკოსი 2:

თქვენი პოლიტიკოსი ოპოზიციის წევრია. ის არ უჭერს მხარს ბიუჯეტიდან თანხების გამოყოფას ამ პრობლემის გადასაჭრელად. ჩაატარეთ ინტერნეტკვლევა, რომელიც სასარგებლო იქნება მისი გამოსვლის მომზადებისას. შემდეგ შეადგინეთ სია 5 საკვანძო პუნქტით, რომლებიც თქვენი აზრით, უნდა განიხილოს პოლიტიკოსმა.

პოლიტიკოსი 3:

თქვენი პოლიტიკოსი უმცირესობის პარტიის წევრია, რომელმაც ჯერ ვერ გადაწყვიტა, მხარი დაუჭიროს თუ შეეწინააღმდეგოს კანონმდებლობას. ჩაატარეთ ინტერნეტკვლევა ნებისმიერი ინფორმაციის მოსაძიებლად, რომელიც სასარგებლო იქნება მის მიერ გადაწყვეტილების მისაღებად. შემდეგ შეადგინეთ სია 5 საკვანძო პუნქტით, რომლებიც თქვენი აზრით, უნდა განიხილოს პოლიტიკოსმა.

დამკვირვებლები

თქვენი ამოცანაა, გააანალიზოთ მკვლევარების მიერ გამოყენებული მიდგომა. შეეცადეთ შეძლებისდაგვარად მეტი ინფორმაცია შეაგროვოთ დამკვირვებლის ფურცელზე აღნიშნული საკითხის შესახებ. შეგიძლიათ მკვლევარებს სთხოვოთ ახსნა, თუ რას აკეთებენ ან რატომ აირჩიეს კონკრეტული მიდგომა, ოღონდ შეეცადეთ, არ დააბნიოთ ისინი!

NO HATE SPEECH MOVEMENT

დასარიგებელი მასალები

დამკვირვებლის ფურცელი

მოძებნეთ ტერმინები, რომლებიც გამოიყენება ინ-ფორმაციის მოსაძიებლად	
საიტის სახელწოდება	
საიტზე გატარებული წუთების მიახლოებული რაოდენობა	
„პოლიტიკური ორიენტაცია“ (გეიების მხარდამჭერი, გეიების მოწინააღმდეგე, ნეიტრალური).	
რატომ აირჩიეთ ეს საიტი?	
საიტის „რეპუტაცია“: - რატომ უნდა ვენდოთ საიტს? - შეამოწმა თუ არა ეს ჯგუფმა?	
მოცემული იყო ნებისმიერი მოძიებული ინფორმაციის წყარო? შეამოწმა ის ჯგუფმა?	
ნებისმიერი სხვა საკითხი, რომლებიც უკავშირდება მკვლევართა მიდგომას:	

დონე 4

ჯგუფი 10-20

დრო 120’

თავისუფლებების შეჯახება

ეს სიმულაციური აქტივობა გამოხატვის თავისუფლებაზე საპირისპირო მოსაზრებების მქონე ორი საზოგადოების შესახებაა, რომლებიც იძულებულნი არიან, ერთად იცხოვრონ კუნძულზე.

თემები	დემოკრატია/მონაწილეობა, გამოხატვის თავისუფლება, რასიზმი/დისკრიმინაცია
სირთულე	დონე 4
ჯგუფის სიდიდე	10-20
დრო	120 წუთი.
მიზნები	• მრავალფეროვნების, პლურალიზმისა და სიძულვილის ენის საკითხების გააზრება; • გამოხატვის თავისუფლების წვლილის გააზრება დემოკრატიული საზოგადოების ფუნქციონირებაში; • შეუზღუდავი გამოხატვის თავისუფლების დადებითი და უარყოფითი მხარეების განხილვა; • მოლაპარაკების უნარის განვითარება.
მასალა	• ფურცლები და კალმები; • ორი თემის შეკრების ადგილი (ცალ-ცალკე); • 2 ფასილიტატორი (იდეალურ შემთხვევაში).
მომზადება	• მოამზადეთ ინფორმაციის ასლები ორი კუნძულის შესახებ; • მოამზადეთ გადასაჭრელი პრობლემების ფურცლების ასლები.

ინსტრუქციები

- აუხსენით მონაწილეებს, რომ აქტივობა მოიცავს სიმულაციას და გაანაწილეთ ჯგუფი 2 სხვადასხვა თემად. „იქსპრატების“ თემი უნდა იყოს უფრო დიდი მონაწილეთა, დაახლოებით, 2/3, დარჩენილ 1/3-ს კი შეადგენენ „პასტიკები“. აუხსენით, რომ სიმულაციის პირველი ნაწილი მოიცავს „იქსპრატების“ და „პასტიკების“ თემთა ცალკე მუშაობას. 20 წუთის შემდეგ ჯგუფები შეხვდებიან ერთმანეთს;
- ერთ-ერთი ჯგუფი უნდა გავიდეს სხვა ოთახში. თითოეულის ფასილიტატორმა უნდა წაიკითხოს ინფორმაცია შესაბამისი თემის შესახებ და დაარიგოს საცნობარო მასალა;
- თითოეულ ჯგუფში განხილვა დაიწყეთ მონაწილეთა მოსაზრების გარკვევით კუნძულზე ცხოვრების შესახებ: ჰკითხეთ, სურთ თუ არა იქ ცხოვრება. ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ, დაუსვით ჯგუფებს შემდეგი კითხვები:

პასტიკების ჯგუფი

რა გაწუხებთ ახალ კუნძულზე გადასვლასთან დაკავშირებით?

იქსპრატების ჯგუფი

რატომ გაწუხებთ იმ ემიგრანტთა დიდი რაოდენობით მიღება, რომლებსაც არ აქვთ ცოდნა თქვენი კულტურისა და ტრადიციების შესახებ?

- 20 წუთის შემდეგ ორი ჯგუფი უნდა შეხვდეს ერთმანეთს. სთხოვეთ კუნძულის მცხოვრებთ, გაგეცნონ და სურვილის შემთხვევაში, გააკეთონ მოკლე განცხადებები. არ დახარჯოთ ამაზე 10 წუთზე მეტი.
- დაახლოებით 10 წუთის შემდეგ, გადაეცით მონაწილეებს შემდეგი ინფორმაცია:

გავიდა ერთი წელი და წარმოიშვა მთელი რიგი პრობლემები. დაძაბულობა თემებს შორის გაიზარდა და ბევრი ადამიანია შეშფოთებული მწვავე სოციალური წინააღმდეგობის გამო. პრეზიდენტმა მოგმართათ თხოვნით, რომ ჩამოაყალიბოთ სამუშაო ჯგუფები ამ პრობლემების გადასაჭრელად.

- გაანაწილეთ მთლიანი თემი უფრო მცირე სამუშაო ჯგუფებად, ისე, რომ თითოეულში იყოს დაახლოებით, 2 პასტიკების და 4 იქსპრატების წევრი. გადაეცით თითოეულ ჯგუფს რომელიმე პრობლემა;
- აუხსენით ჯგუფებს, რომ 20 წუთი აქვთ პრობლემის გადასაჭრელად და ნებისმიერ წინადადებაზე უნდა ჩატარდეს კენჭისყრა, რომელსაც დაამტკიცებს მონაწილეთა უმრავლესობა (სამუშაო ჯგუფში). შეახსენეთ, რომ თუ ვერ შეძლებენ ახალი გადაწყვეტილების მიღებას, არაფერი შეიცვლება!

- 20 წუთის შემდეგ ყველა შეკრიბეთ გადაწყვეტილების გასაცნობად. გამოუყავით თითოეულ სამუშაო ჯგუფს 2-3 წუთი უკუკავშირისთვის და გამოკვეთეთ მათი გადაწყვეტილება. გადადით შეჯამებაზე.

ჩაღრმავება

დაიწყეთ მონაწილეთა გამოყვანით როლებიდან. შეახსენეთ, რომ ახლა აქტივობა უნდა განიხილონ და შეეცადონ, არ დაუბრუნდნენ წინა დებატებს.

- როგორ მოგეწონათ აქტივობა? რა მოგეწონათ და რა არა?
- რამდენად მარტივი იყო თქვენი როლის შესრულება/მორგება, როდესაც კუნძულის მოსახლეობა შეგროვდა ერთად?
- რას ფიქრობთ მოლაპარაკებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესებზე? რა იყო თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი, როდესაც ცდილობდით გადაწყვეტილების მიღებას?
- იყო თუ არა სამართლიანი ის, რომ იქსპრატის თემმა ვეტო დაადო წინადადებას, რადგან ისინი უმრავლესობაში იყვნენ? როგორ უნდა დავრწმუნდეთ, რომ უმცირესობათა მოსაზრებები და უფლებები სამართლიანად არის წარმოდგენილი „რეალურ“ ცხოვრებაში?
- შეცვალა აქტივობამ თქვენი შეხედულებები? თუ ასეა, რომელი და რატომ?
- როგორ ფიქრობთ, ახლოს იყო აქტივობა რეალობასთან: ხომ არ გაგახსენდათ საზოგადოების რაიმე პრობლემა?
- თქვენი აზრით, როგორ უნდა გადავჭრათ იმ ადამიანთა პრობლემა, რომლებიც საწყენ, შეუწყნარებელ და ზოგჯერ საშიშ განცხადებებს აკეთებენ?

რჩევები ფასილიტატორებისთვის

- ორ კუნძულზე ცხოვრების აღწერილობა შედარებით გრძელია. მისი მიზანია მონაწილეთა ჩართვა თემის სულისკვეთებაში. ეს აღწერილობები უნდა წაიკითხოთ როგორც მოთხრობა და არა „ინფორმაცია“!
- სამუშაო ჯგუფი, რომელიც აირჩევს პრობლემას ინტერნეტკამპანიის შესახებ, ორიენტირებული უნდა იყოს პრობლემის ონლაინასპექტზე, თუმცა ყოველი შემთხვევისთვის, ეს ასპექტი უნდა განიხილოს ნებისმიერ წინადადებასთან ერთად ინტერნეტს გარეთ;
- შეეცადეთ, სიმულაცია განხორციელდეს თქვენი მხრიდან ნაკლები ხელმძღვანელობით. დარწმუნდით, რომ მონაწილეები აცნობიერებენ დროის შეზღუდვებსა და დავალების არსს. ამავდროულად, მიეცით შესაძლებლობა, დავალებებს მიუდგნენ იმ კუთხით, რომელსაც ყველაზე ეფექტიანად მიიჩნევენ. მათ მუშაობაში ჩაერიეთ მხოლოდ მაშინ, თუ რაიმეს სწორად ვერ გაიგებენ, ანდა მუშაობისას წარმოიშვება დაძაბულობა ან კონფლიქტი;
- მონაწილეებისთვის სასარგებლო იქნება ინფორმაციის მიღება გამოხატვის თავისუფლების შესახებ. თუ გექნებათ საკმარისი დრო, გამოიყენეთ ეს ინფორმაცია.

ადაპტირება

- თუ შეიზღუდებით დროში, აღწერილობები შეიძლება შემოკლდეს და საბოლოო მოლაპარაკებებში ყველა სამუშაო ჯგუფს განსახილველად გადაეცეს მხოლოდ პირველი პრობლემა. ეს დააჩქარებს პროცესს;
- თუ ჯგუფების პირველ (ცალკეულ) შეკრებებზე საკმარისი დრო გექნებათ, ჰკითხეთ მონაწილეებს, ხომ არ ისურვებდნენ რაიმეს თქმას. ამ ინფორმაციის გამოყენება შეიძლება მოკლე შესავალის სახით, რომელიც ჩატარდება შეხვედრის პირველი 10 წუთის განმავლობაში;
- თუ ჯგუფი დიდია, შეიძლება საჭირო გახდეს „ახალი“ თემის დამატებით დაყოფა მცირე ჯგუფებად, რათა ყველას ჰქონდეს წვლილის შეტანის შესაძლებლობა. თითოეულ ახალ ჯგუფში უნდა იყოს, დაახლოებით, 1/3 პასტიკელი და 2/3 იქსპრატი. ჯგუფებმა შეიძლება დანიშნონ 1 ან 2 სპიკერიც თავიანთი თემიდან.

იდეები მოქმედებებთან დაკავშირებით

მონაწილეებმა შეიძლება შეთავაზებები წარუდგინონ საკუთარ ჯგუფს, მსგავსად მოლაპარაკებების შედეგად შემუშავებული წინადადებებისა. საკითხზე შეიძლება ჩატარდეს კენჭისყრაც, შემდეგ კი შეთავაზებები გამოიყენონ როგორც სახელმძღვანელო პრინციპების ნაკრები, რომლებიც მიემართება ქცევას ინტერნეტსივრცეში ან მის გარეთ.

სურვილისამებრ, მონაწილეებს შეუძლიათ თავიანთი ქვეყნის ძირითადი ემიგრანტი ჯგუფების გამოკვლევაც და გარკვევა: რატომ გადავიდნენ ისინი ამა თუ იმ ქვეყანაში საცხოვრებლად; გრძნობენ თუ არა მათი უფლებებისა და მოსაზრებებისადმი პატივისცემას დანარჩენი საზოგადოების მხრიდან; რა ინფორმაცია არსებობს მათ შესახებ მედიაში, ინტერნეტში და მის ფარგლებს გარეთ; ჯგუფთან სასაუბროდ, შეგიძლიათ რამდენიმე წარმომადგენლის მოწვევაც სხვადასხვა თემიდან.

თუ თქვენი სამშობლო არ მიიჩნევა ემიგრაციის ქვეყნად, შეგიძლიათ, შეამოწმოთ, როგორ უყურებენ თქვენი ქვეყნიდან ჩასულ ადამიანებს სხვა სახელმწიფოებში.

დასარიგებელი მასალები

კუნძული პასტიკი

თქვენ ცხოვრობთ პატარა კუნძულზე, რომლის საზღვრებიც დახურულია. აქ არ ჩამოსულან ემიგრანტები და ტურისტებიც მცირე რაოდენობით სტუმრობენ. თქვენი თემი წყნარია და მშვიდობიანი: სიმშვიდე და უკონფლიქტობა გადაიქცა ტრადიციად და „ეროვნულ პრიორიტეტად" მიიჩნევა, თქვენი კონსტიტუცია შეიცავს მუხლს, რომელშიც ნათქვამია, რომ

არავის აქვს სხვებისთვის ტკივილისა და შეურაცხყოფის მიყენების უფლება;

ქვეყანაში აქტიური მონიტორინგი მიმდინარეობს ამ მუხლის შესრულებაზე და მისი დარღვევა მკაცრად ისჯება, თუმცა იშვიათად ის მაინც ირღვევა, უფრო მარტივია შეთანხმების მიღწევა, უთანხმოება მიუღებელია პასტიკებისთვის, ვინაიდან ის შემაწუხებელია.

თქვენი ქვეყანა თავს დემოკრატიულად მიიჩნევს. არჩევნები ტარდება ყოველწლიურად და მასში თითქმის ყველა მოქალაქე მონაწილეობს, თუმცა, ძირითადად, ერთსა და იმავე ადამიანებს ირჩევენ, ვინაიდან ალტერნატივა არ არსებობს.

ზოგადად, საუბრები, საჯარო გამოსვლები, მედიაც კი, არ არღვევს დამკვიდრებულ იდეებს და კუნძულის მცხოვრებთ არ აწუხებთ ეს საკითხი: მათ დაავიწყდათ ან ვერ წარმოუდგენიათ სხვაგვარად ცხოვრება, კუნძულზე მცირე ინფორმაცია აღწევს დედამიწის სხვა ადგილების შესახებ. აქ არ იღებენ ლიტერატურას სხვა ქვეყნებიდან და პრაქტიკულად, ყველაფერი ძველებურად რჩება, ვინაიდან ცვლილება მიუღებელია მათთვის.

წლების განმავლობაში მოსახლეობამ შენიშნა, რომ სანაპიროს ზოლი შეიცვალა: ზღვის დონემ იმატა და ქვეყნის დიდი ნაწილი, რომელიც მანამდე დასახლებული იყო, წყლის ქვეშ მოექცა. თუმცა ეს პრობლემა არ გახლდათ: ყველასთვის იყო საკმარისი მიწა და სანაპიროსთან ახლოს მცხოვრები თემები უბრალოდ კუნძულის სიღრმეში გადავიდნენ. მიუხედავად ამისა, ბოლო წლებში საკითხმა სერიოზული სახე მიიღო და რამდენიმე მოქალაქემ დაიწყო მასზე მსჯელობა. პრობლემა საკმაოდ მწვავე აღმოჩნდა და მთავრობამ აკრძალა მისი განხილვა.

ცხოვრება გრძელდებოდა მეტწილად მშვიდი, პროგნოზირებადი და უკონფლიქტო, ვიდრე ერთ საშინელ დღეს კუნძულს ძლიერი ქარიშხალი არ დაატყდა. შენობები განადგურდა, ბევრი ადამიანი დაიღუპა და ტერიტორიის უმეტესი ნაწილი დაიტბორა. როდესაც ტალღები დაწყნარდა, გადარჩა მხოლოდ რამდენიმე კულტურა, თითქმის მთლიანი ინფრასტრუქტურა განადგურდა. საკვები არ იშოვებოდა, გავრცელდა ინფექციები და დაავადებები და უკმარი იყო სამედიცინო საშუალებები. კუნძულზე ატყდა ქაოსი. მოსახლეობამ დაიწყო კამათი საუკეთესო გამოსავლის შესახებ!

როდესაც ყველა იმედი გადაიწურა, მეზობელი კუნძულიდან, იქსპრატიდან, მოვიდა შეტყობინება, რომელიც შეიცავდა გულწრფელ თანაგრძნობას ყველა პასტიკელის მიმართ და სთავაზობდა ყველა მსურველის იქსპრატზე მიღებას. თქვენ ხართ ერთ-ერთი, ვინც მიიღო გადასვლის გადაწყვეტილება.

დასარიგებელი მასალები

კუნძული იქსპრატი

თქვენ ცხოვრობთ კუნძულ იქსპრატზე, რომელიც მდებარეობს წყნარ ოკეანეში, ერთ-ერთ უძველეს საზღვაო მარშრუტზე. კუნძული, ტრადიციულად, დაკავებულია ვაჭრობითა და სხვა ქვეყნებთან კომუნიკაციით. შესაბამისად, მას ღია საზღვრების პოლიტიკა აქვს საუკუნეების განმავლობაში. ეს ნიშნავს, რომ მოგზაურები სხვადასხვა ქვეყნიდან კუნძულის ცხოვრების ნაწილად იქცნენ. ამის შედეგია მრავალფეროვანი მოსახლეობა, მოსაზრებების, რწმენისა და კულტურის ფართო სპექტრით.

თქვენი ეროვნული კულტურისთვის ასეთი მრავალფეროვნება ბუნებრივია, ადამიანებს აინტერესებთ სხვადასხვა მიდგომა, სარწმუნოება და იდეოლოგია, რომლებსაც სრულიად მისაღებად მიიჩნევენ. რა თქმა უნდა, ამგვარი მრავალფეროვნების პირობებში, ყველა იდეა ან იდეოლოგია ვერ იქნება საყოველთაოდ მისაღები. კუნძულ იქსპრატზე უთანხმოება და კონფლიქტებიც ცხოვრების წესია. ორი ადამიანის, პრაქტიკულად, ყველა შეხვედრას ახლავს აზრების, სარწმუნოებისა და იდეების განხილვა და წინააღმდეგობა. გარდა ამისა, თითქმის ნებისმიერი შეხვედრა მიმდინარეობს/მთავრდება უთანხმოებით. შეიძლება ითქვას, უთანხმოება ეროვნული ჰობი გახდა.

კუნძულზე არ არსებობს კანონი, რომელიც შეზღუდავს ადამიანების ან ჯგუფების გამოხატვის თავისუფლებას. ხშირად გაიგებთ საშინელ მოსაზრებებს, რომლებსაც მოსდევს საზარელი ქმედებები მოსახლეთა მხრიდან. „ქმედება“ ისჯება კანონით, აზრების გამოხატვა კი - არა. ცხოვრება იქსპრატზე საინტერესოა, გამოწვევებით სავსე და მუდამ ცვალებადი. თქვენ მოგწონთ კულტურის სიმდიდრე და გამოხატვის თავისუფლება, თუმცა იცით, რომ გამუდმებული კამათი და უთანხმოება არ იწვევს ბედნიერებას. ფაქტობრივად, უთანხმოება თქვენთვის ხშირად ძალზე დამღლელი და მტკივნეულია. არ არის მარტივი, უსმენდე ადამიანებს, როდესაც ისინი გამოხატავენ თქვენთვის მიუღებელ (რომ აღარაფერი ვთქვათ სასტიკზე) იდეებს. ნახეთ ისიც, როგორ ხდება საზოგადოების ზოგიერთი ჯგუფი სისატიკისა და შეუწყნარებლობის სამიზნე.

ამ შემთხვევაშიც, თქვენთვის მნიშვნელოვანია, ყველას ჰქონდეს საკუთარი აზრის თავისუფლად გამოხატვის შესაძლებლობა.

ერთ ქარიან დღეს თქვენმა კუნძულმა მიიღო შეტყობინება, რომ ძლიერმა ქარიშხალმა დაზარალა წყნარი ოკეანის ერთ-ერთი კუნძული. თქვენ თითქმის არაფერი იცით მის შესახებ. კუნძული ყოველთვის ჩაკეტილად ცხოვრობდა. გსმენიათ, რომ მისი მცხოვრებნი სულელები და ჩამორჩენილები არიან, მაგრამ არასდროს შეხვედრიხართ მათ. იცით ისიც, რომ კუნძულზე მოხვედრა თითქმის შეუძლებელია.

მთავრობის განცხადებით, კუნძული პასტიკი ისე დაზარალდა ქარიშხლის შედეგად, რომ გადარჩენილი მოსახლეობის უმეტესი ნაწილი გადმოსახლდება იქსპრატზე. სავარაუდოდ, ისინი დაეტევიან აქ, მაგრამ მოსახლეობას მოუწევს ბევრი ჩვევის შეცვლა. საჭირო გახდება სამსახურების განაწილება და შესაძლოა არ იყოს ყველასთვის საკმარისი საცხოვრებელი.

დასარიგებელი მასალები

პრობლემები სამუშაო ჯგუფებისთვის

პრობლემა 1:

შეიქმნა კამპანია „მოვიძიოთ პასტიკის ენა“ და მან დაიპყრო მთელი ინტერნეტი. კამპანიის საიტზე განთავსდა მოწოდებები:

- კარით ხელი პასტიკელ მანეკენს და ნახეთ, თუ დაიწრიპინებს!
- თუ არ არსებობს ენა, ესე იგი არ არსებობს ტვინი!
- მოძებნეთ ენა, მოიგეთ სმარტფონი!

ადამიანებს სთხოვენ, დადონ პასტიკების ენის სურათები. შეიქმნა „ენის გალერეა“ იმ პირთა ფოტოებითა და ვიდეოებით, რომლებიც ცდილობენ, პირი გააღებინონ პასტიკებს და ფანარი ჩაანათონ, ისინი პოზიორობენ ტელესკოპების მეშვეობით, ან მიუთითებენ ენაზე. კამპანია ფართოვდება და მოხდა ბევრი ინციდენტი, რა დროსაც პასტიკებს თავს დაესხნენ ქუჩებში. ძალადობის ტალღას პასტიკებმა იმით უპასუხეს, რომ უარი განაცხადეს შეურაცხმყოფელ საუბრებში ჩართვაზე ადამიანებთან, რომლებსაც პატივს არ სცემენ.

პრობლემა 2:

ახალგაზრდა პასტიკელ გოგონას ქუჩაში უყვიროდნენ იქსპრატი ბიჭები. ისინი უწოდებდნენ მას „მსუქან ფეთხუმს“, „ბინძურ მეძავს“ და ეუბნებოდნენ, რომ არ აქვს ენა და ტვინი. გოგონამ ძალიან დამცირებულად იგრძნო თავი. 2 კვირის განმავლობაში არ გამოსულა სახლიდან, არავის დალაპარაკებია და 3 დღის განმავლობაში არაფერი უჭამია. მშობლები ძალიან შეშფოთდნენ.

პრობლემა 3:

გამოიცა ანგარიში, რომელშიც ნაჩვენებია, რომ უმუშევრობის დონე პასტიკებს შორის უფრო მაღალია, ვიდრე მთლიანად მოსახლეობაში. პარლამენტში არ არიან პასტიკების წარმომადგენლები, ორგანიზაციებში კი მხოლოდ რამდენიმეს უკავია თანამდებობა. ანგარიში მოიცავს სხვა სოციალურ ფაქტორებსაც, როგორიცაა სტრესისა თუ დანაშაულის დონეები, ფსიქიკური დაავადებები და საგანმანათლებლო კვალიფიკაცია. ყველა მაჩვენებელში პასტიკებს უფრო ცუდი შედეგები აქვთ, ვიდრე საზოგადოების ნებისმიერ სხვა სექტორს. დამოკიდებულება მათ მიმართ საზოგადოებაში უაღრესად ნეგატიურია.

NO HATE SPEECH MOVEMENT

დონე 1

ჯგუფი 10-20

დრო 45’

კიბერბულინგთან ბრძოლა

აქტივობის მონაწილეები ცდილობენ, დაადგინონ ადამიანთა სავარაუდო რეაქცია ბულინგის სხვადასხვა სცენარზე და განიხილავენ მოქმედების ალტერნატიულ ვარიანტებს.

თემები	კიბერბულინგი, დემოკრატია/მონაწილეობა, ინტერნეტწიგნიერება
სირთულე	დონე 1
ჯგუფის სიდიდე	10-20
დრო	45 წუთი.
მიზნები	• ინფორმაციის მიღება ბულინგის სხვადასხვა ფორმის შესახებ და ბულინგის სახეებს შორის ინტერნეტსივრცესა და მის ფარგლებს გარეთ კავშირის გააზრება; • ბულინგზე, კიბერბულინგსა და ინტერნეტში სიძულვილის ენაზე რეაგირების სხვადასხვა საშუალების აღმოჩენა; • ცნობიერების ამაღლება რეაგირების მნიშვნელობაზე.
მომზადება	• დაწერეთ 4 წინადადება A4 ფორმატის ფურცელებზე და მიამაგრეთ ისინი ოთახის სხვადასხვა კუთხეში. ნიშნებზე უნდა ეწეროს: - არაფერი; - რეაგირება მჩაგვრელის ქმედებებზე; - შეტყობინება საქციელის შესახებ; - სხვა რამ. • მიეცით მონაწილეებს საკმარისი სივრცე ოთახში გადასაადგილებლად.

ინსტრუქციები

- ჰკითხეთ მონაწილეებს, როგორ ესმით სიტყვა „ბულინგი“. სთხოვეთ, მოიფიქრონ გზები, რომლებითაც ადამიანებს შეუძლიათ ბულინგის განხორციელება;
- მიუთითეთ ოთახის კუთხეებში მიმაგრებულ ფურცლებზე და აუხსენით, რომ ხმამაღლა წაუკითხავთ რამდენიმე სცენარს, მათ კი უნდა აირჩიონ ყველაზე შესაფერისი ვარიანტი:
  - არაფერი გააკეთოთ;
  - უპასუხეთ მჩაგვრელებს (მაგ.: ჩაერთეთ დისკუსიაში, შეუტიეთ თავდასხმით, ან მოიფიქრეთ სხვა რამ. თუ მჩაგვრელი უცნობია, ეს ვარიანტი შეიძლება არ გამოდგეს);
  - შეატყობინეთ საქციელის შესახებ (მაგ.: მასწავლებელს, მშობელს, საიტის ადმინისტრატორს ან სხვა ორგანოს);
  - იმოქმედეთ სხვაგვარად (მაგ.: ჩართეთ სხვები განხილვაში, შექმენით „სოლიდარობის ჯგუფი“ და ა.შ. შეგიძლიათ, მონაწილეებს სთხოვოთ იდეების მოწოდება).
- აუხსენით მონაწილეებს, რომ თითოეული სცენარის წაკითხვის შემდეგ წავიდნენ იმ კუთხეში, რომელიც ყველაზე ზუსტად ასახავს მათ რეაქციას. უთხარით, რომ გულახდილად გამოხატონ, თუ რას გააკეთებენ სავარაუდოდ!
- წაიკითხეთ ხმამაღლა პირველი სცენარი და მიეცით მონაწილეებს კუთხის არჩევის დრო. როდესაც მიიღებენ გადაწყვეტილებას, სთხოვეთ თითოეული ჯგუფის რამდენიმე წევრს, ახსნან თავიანთი არჩევანი. შემდეგ ხმამაღლა წაიკითხეთ სცენარი და არ შეჩერდეთ, ვიდრე არ მიხვდებით, რომ საკმარისი რაოდენობით საქმე განიხილეთ.

ჩაღრმავება

გამოიყენეთ ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რამდენიმე კითხვა აქტივობის გასაანალიზებლად:

- როგორ მოგეწონათ აქტივობა? რომელ სცენარზე გაგიჭირდათ რეაგირება ყველაზე მეტად და რატომ?
- თქვენი აზრით, ყველა მოყვანილი მაგალითი უკავშირებოდა ბულინგს?
- ოდესმე გამოგიცდიათ კიბერბულინგი, როგორც სამიზნეს ან გამვლელს? რა შეგიძლიათ თქვათ ინტერნეტსივრცეში და მის გარეთ არსებულ ბულინგებს შორის კავშირზე? მნიშვნელოვნად განსხვავდება ისინი?
- ხომ არ შეგიცვალათ აქტივობამ ბულინგის/კიბერბულინგის აღქმა? ან ხომ არ გაფიქრებინათ, რომ მომავალში შეიძლება სხვა რეაქცია გქონდეთ?
- რისი გაკეთება შეგიძლიათ კიბერბულინგის საწინააღმდეგოდ?
- ვინ უნდა იმუშაოს ინტერნეტში სიძულვილის ენის პრევენციაზე? რა როლი უნდა შეასრულოს ამაში მედიამ, მომსახურების მიმწოდებელმა, პოლიციამ, სკოლის ხელმძღვანელობამ და სხვებმა?

რჩევები ფასილიტატორებისთვის

- თუ ჯგუფი დიდია, ან განხილვის პროცესი გართულდა, კარგი იქნება, „ჯადოსნური ჯოხის“ ან მიკროფონის შემოღება, რომელიც მოაწესრიგებს სიტყვით გამოსვლის მსურველთა ნაკადს;
- მონაწილეებმა შეიძლება აირჩიონ რამდენიმე ვარიანტი (მაგ.: მჩაგვრელისთვის პასუხის გაცემა, დარღვევის შესახებ შეტყობინება და ა.შ.). თუ ასეა, უთხარით, რომ აირჩიონ კუთხე, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანია მათთვის, შემდეგ კი მიეცით თავიანთი პოზიციის ახსნის შესაძლებლობა;
- ზოგიერთი მონაწილე შეიძლება ბულინგს განიცდიდეს ჯგუფის სხვა წევრების მხრიდანაც კი. გაითვალისწინეთ სხვადასხვა პირადი საჭიროება და კონფლიქტი და არ აიძულოთ ადამიანს რეაგირება, თუ ამის გაკეთება არ სურს;
- თუ ჯგუფებში არიან ბულინგის მსხვერპლნი, აქტივობამ შეიძლება გამოააშკარაოს მათი პრობლემები და მიხვდნენ, რომ დახმარება სჭირდებათ. აუხსენით მონაწილეებს, რომ ასეთი დახმარების გაწევა შეგიძლიათ კონფიდენციალურად, ან მიუთითეთ მათ დახმარებაზე ორიენტირებული სხვა ალტერნატიული სისტემები. აქტივობის დაწყებამდე შეგიძლიათ ხელმისაწვდომი მომსახურების მოძიება (მაგ.: ცხელი ხაზები, ან ორგანიზაციები, რომლებსაც შეუძლიათ დაზარალებულთა მხარდაჭერა);
- თუ მონაწილეთათვის უცნობია კიბერბულინგი, ან ვერ აცნობიერებენ მის შესაძლო ზიანს, გამოიყენეთ დამატებითი ინფორმაცია, რათა აამაღლოთ მათი ცნობიერება ამ საკითხზეც და სხვების მიერ გამოყენებულ მიდგომებზეც. თუ შესაძლებელია, გამოავლინეთ კავშირები სიძულვილის ენასა და ბულინგს შორის (განსაკუთრებით, როდესაც ბულინგს ახლავს სიძულვილის ენა).

ადაპტირება

აქტივობა შეიძლება გამარტივდეს, თუ შესთავაზებთ მხოლოდ ორ ვარიანტს: „არაფერი მოიმოქმედო“, ან „მოიმოქმედე რამე“. ეს ორი ნიშანი უნდა განთავსდეს ოთახის სხვადასხვა ნაწილში და მონაწილეები განლაგდებიან მათ შორის ხაზის გასწვრივ, საკუთარი არჩევანის მიხედვით.

იდეები მოქმედებებთან დაკავშირებით

ნებისმიერი შემდგომი ქმედება უფრო ეფექტიანი იქნება, თუ მონაწილეები ერთობლივად იმუშავებენ. შეგიძლიათ, განიხილოთ აქტივობაზე მონიტორინგის სხვადასხვა შესაძლებლობა (მაგ.: ცნობიერების ამაღლება პრობლემის შესახებ (ინტერნეტსივრცეში ან მის გარეთ); მხარდაჭერის ან სოლიდარობის ჯგუფის შექმნა; ბულინგის საწინააღმდეგო პოლიტიკის დანერგვა ჯგუფში/კლასში/სკოლაში; კამპანიის წამოწყება სახელწოდებით: „არა ინტერნეტბულინგს!“).

დასარიგებელი მასალები

სცენარები

თქვენ მიიღეთ მთელი რიგი შეურაცხმყოფელი შეტყობინებები და ელექტრონული წერილები უცნობი ადამიანებისგან ან ნომრებიდან. ზოგიერთი მოიცავდა მუქარას: „როგორც ჩანს, ხულიგნები გიცნობენ.“ რას მოიმოქმედებთ?

თქვენი სკოლის მოსწავლეებმა დაამახინჯეს ზოგიერთი თქვენი ფოტო და გამოაქვეყნეს ინტერნეტში საზიზღარი კომენტარებით. ხვდებით, ვინც გააკეთა ეს. რას მოიმოქმედებთ?

სულ ახლახან თქვენს კლასში გადმოვიდა ბიჭი სხვა ქვეყნიდან. თქვენი მეგობრები დასცინიან მას და რასისტულ ხუმრობებს უქვეყნებენ სოციალურ ქსელში. ისინი გამუდმებით მოითხოვენ, რომ თქვენც გააზიაროთ ეს პოსტები. რას მოიმოქმედებთ?

თანაკლასელთა ჯგუფი სოციალურ ქსელში გივრცელებთ საწყენ ჭორს. ამის გამო ბევრი ბავშვი აღარ გეთამაშებათ, ან აღარ გელაპარაკებათ. თქვენი მეგობრებიც კი ფიქრობენ, რომ ჭორი შეიძლება სიმართლე იყოს. რას მოიმოქმედებთ?

მასწავლებელი უყვება კლასს, რომ ზოგიერთ ბავშვს ჩაგრავენ და ერთ ახალგაზრდას თავს დაესხნენ, როდესაც შინ ბრუნდებოდა. პედაგოგს აინტერესებს, ფლობს თუ არა ვინმე ინფორმაციას ამ ფაქტის შესახებ და ხომ არ შეუძლია, უამბოს გაკვეთილების შემდეგ. თქვენ ფიქრობთ, რომ იცით, ვისზეა საუბარი, ვინაიდან არაერთი ტექსტური შეტყობინება მიიღეთ, რომლითაც გაფრთხილებდნენ, არ ამოგეღოთ ხმა. რას მოიმოქმედებთ?

თქვენ ხედავთ ბავშვს სათამაშო მოედანზე, რომელიც მარტო დგას და ტირის. იცით, რომ სხვა ბავშვები დასცინიან მას შეზღუდული შესაძლებლობის გამო და უწოდებენ „კრეტინს“ ან „მახინჯ ღორს“. თქვენი მეგობრები ძალიან ცუდად იქცევიან და ხშირად იგდებენ მას აბუჩად, როდესაც ერთად ხართ. რას მოიმოქმედებთ?

ეს აქტივობა გახლავთ „ბულინგის სცენების“ ადაპტირებული ვერსია, რომელიც მოცემულია სახელმძღვანელოში „კომპასიტო - სახელმძღვანელო ადამიანის უფლებათა განათლების სფეროში ბავშვებისთვის“ აი ეს არის სწორი სახელწოდება კომპასიტოს მიხედვით. www.coe.int/compass

NO HATE SPEECH MOVEMENT

ДОНЕ 2

ჯგუფი 12-20

დრო 45’

შეუზღუდავი თავისუფლება?

მონაწილეები იკვლევენ გამოხატვის თავისუფლების იდეას მთელი რიგი ქეისიების მაგალითზე. მათ უნდა მოიფიქრონ, როგორ მოიქცევიან საკამათო, შეურაცხმყოფელ ან საშიშ კომენტარებსა და კომუნიკაციასთან მიმართებით.

თემები	გამოხატვის თავისუფლება, დემოკრატია და მონაწილეობა, ადამიანის უფლებები
სირთულე	დონე 2
ჯგუფის სიდიდე	12-20
დრო	45 წუთი.
მიზნები	• გამოხატვის თავისუფლების არსის შესწავლა; • ყოველი ადამიანისა და ზოგადად, საზოგადოებისთვის გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობის გააზრება; • გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საჭიროების გააზრება ადამიანის უფლებათა დასაცავად, განსაკუთრებით, სიძულვილის ენის შემთხვევაში.
მასალა	• ფლიპჩარტები და მარკერები; • ბარათების ასლები.
მომზადება	• მოამზადეთ ბარათების ასლები (საკმარისი რაოდენობით, რომ ყველა მცირე სამუშაო ჯგუფს ეყოს).

ინსტრუქციები:

- ჰკითხეთ მონაწილეებს, რას ნიშნავს მათთვის „გამოხატვის თავისუფლება“. შეაგროვეთ იდეები ფლიპჩარტებზე, განიხილეთ თემები, რომლებსაც არ წამოჭრიან მონაწილეები:
  - ნიშნავს თუ არა გამოხატვის თავისუფლება, რომ შეგვიძლია ვთქვათ ყველაფერი, რაც გვსურს?

- როგორ მივხვდებით, რომელი უნდა აიკრძალოს იმ „გამოთქმებს“ შორის, რომლებიც დაუშვებლად მიგაჩნიათ? ვისი გადასაწყვეტია ეს?
- გარდა საუბრისა და წერისა, რა საშუალებებით შეგვიძლია „გამოვხატოთ“ საკუთარი თავი (მუსიკა, თეატრი, სურათები, სხეულის ენა და სხვა)?

- არ შეეცადოთ პრობლემური საკითხების „გადაჭრა“ ახლავე: შეაგროვეთ მოსაზრებები და აუხსენით მონაწილეებს, რომ ეს საკითხები ხშირად საკამათოა და უფრო დეტალურად და კარგად მათ აქტივობა წარმოაჩენს;
- იკითხეთ, შეეზღუდა თუ არა ვინმეს აზრის გამოთქმის უფლება შინ, სკოლაში, ან საზოგადოებაში. თუ ასეა, როგორ იგრძენით თავი? რატომ იყო თქვენთვის მნიშვნელოვანი საკუთარი აზრის გამოხატვა?
- მიაწოდეთ მონაწილეებს მოკლე ინფორმაცია გამოხატვის თავისუფლების შესახებ. გამოიყენეთ ქვემოთ მოცემული ინფორმაცია ან დაამატეთ დამხმარე მასალა;

გამოხატვის თავისუფლება

ჩვენი აზრების ან შეხედულებების თავისუფლად გამოხატვა უმნიშვნელოვანესი უფლებაა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში, ვინაიდან აზრები, შეხედულებები და კომუნიკაციის შესაძლებლობები ჩვენი ფუნქციონირების განუყოფელი ნაწილია. შესაბამისად, გამოხატვის თავისუფლება არსებითია ეფექტიანი დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის. სხვა ადამიანების გაგება და მათთან ერთად ცხოვრება საზოგადოებაში დამოკიდებულია ღია და თავისუფალ კომუნიკაციაზე, თუმცა ზოგჯერ გვიწევს ისეთი აზრების მოსმენა, რომლებსაც არ ვეთანხმებით.

მიუხედავად ამისა, გამოხატვის თავისუფლება არ არის „აბსოლუტური“ უფლება, რომლითაც ყოველთვის შეგვიძლია შეუზღუდავად სარგებლობა. ის უნდა დაბალანსდეს სხვათა უფლებებსა ან საზოგადოების ინტერესებთან. როდესაც მოსაზრება უკიდურესად საზიანოა ადამიანებისა თუ მთლიანი საზოგადოებისთვის, იგი უნდა შეიზღუდოს.

- აუხსენით მონაწილეებს, რომ იმუშავებენ მცირე ჯგუფებში (4-5 ადამიანი) და განიხილავენ მთელ რიგ შემთხვევებს, რომლებიც უკავშირდება ადამიანებისა და მათი უფლებებისთვის საზიანო ინფორმაციის გამოქვეყნებას ინტერნეტში. ჯგუფმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, არის თუ არა კონკრეტული შემთხვევა ის შემთხვევა, როდესაც ნებისმიერი მასალა უნდა ამოიღონ ინტერნეტიდან (სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უნდა შეიზღუდოს თუ არა გამოხატვის თავისუფლება).
  - თუ მონაწილეები დადებით გადაწყვეტილებას მიიღებენ საკითხზე, რა უნდა ამოიღონ ინტერნეტიდან და რატომ?
  - თუ გადაწყვეტილება უარყოფითია, რატომ არა? კიდევ რისი გაკეთებაა შესაძლებელი და ვინ უნდა იმოქმედოს?

- შექმენით 4-5-კაციანი ჯგუფები, გადაეცით საქმეების ასლები და მიეცით, დაახლოებით, 20 წუთი თითოეულის განსახილველად. მათ უნდა წარმოადგინონ გადაწყვეტილებათა მიზეზები.

შეჯამება/ჩაღრმავება

გაიარეთ თითოეული ქეისი და გაარკვიეთ ჯგუფების რეაქცია. მოკლედ განიხილეთ მათი გადაწყვეტილებების მიზეზები. გამოიყენეთ ქვემოთ მოცემული კითხვები სხვა ძირითადი ასპექტების გასარკვევად:

- გქონიათ ისეთი ვითარება, როდესაც ვერ მიაღწიეთ შეთანხმებას ჯგუფში? რა იყო ძირითადი განსხვავება მოსაზრებაში?
- რამდენად მნიშვნელოვანი იყო ის, თუ ვის ეკისრებოდა პასუხისმგებლობა პოსტზე? ასევე, ადამიანების რაოდენობა და მათი რეაქციის ფორმა?
- ჩამოყალიბდით ზოგად პრინციპებზე, რომ მიიღოთ გადაწყვეტილება, თუ როდის არის შესაძლებელი გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა? რა შეიძლება მოჰყვეს ზედმეტ შეზღუდვას? რა რისკები ახლავს ზედმეტ ლმობიერებას?
- როგორ ფიქრობთ, ვებგვერდების დახურვა ან საზიანო პოსტების ამოღება ეფექტიანი საშუალებაა ინტერნეტსივრცეში სიძულვილის ენასთან საბრძოლველად?
- თქვენს ქვეყანაში დაწესებულია შეზღუდვები, თუ რისი თქმის უფლება აქვთ ადამიანებს ინტერნეტში ან მის გარეთ? ეს წესები განსხვავებულია ინტერნეტისთვის?

რჩევები ფასილიტატორებისთვის

- როდესაც მონაწილეები განიხილავენ შემთხვევებს, შეახსენეთ, რომ მასალის ამოღებაზე გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინონ მისი მასშტაბი (მაგ.: შეიძლება დახურონ მთელი საიტი (ან პროფილი), ამოიღონ ერთი პოსტი/ვიდეო, დაბლოკონ მომხმარებელი, რომელმაც გამოაქვეყნა პოსტი და ა. შ);
- კარგი იქნება, თუ შეახსენებთ მონაწილეებს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო გამოხატვის თავისუფლების ნებისმიერ შეზღუდვას მიიჩნევს სერიოზულ ზომად! ეს ზომა უნდა მიიღონ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა არსებობს სერიოზული საჭიროება;
- შეგიძლიათ, მონაწილეებთან ერთად გამოიკვლიოთ, რამდენად სასარგებლო იყო დისკუსიები მათი აზრის ჩამოყალიბებისთვის და რაზე მეტყველებს მათი დასკვნები გამოხატვის თავისუფლების კონტექსტში;
- აუხსენით მონაწილეებს, რომ ადამიანის უფლებათა სამართალი საბოლოო ჯამში, გულისხმობს იმას, თუ როგორ უნდა მოიქცეს მთავრობა ასეთ დროს. გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა ინტერნეტსივრცეში ხშირად უფრო რთულია, ვინაიდან ინტერნეტის დიდი ნაწილი „ეკუთვნის“ კერძო კომპანიებს (მაგ.: ჰოსტინგის პროვაიდერები, ახალი ამბების საიტები, რომლებიც წარმოადგენენ კომპანიების „საკუთრებას“ და სხვა). გაეცანით მე-5 თავში („ზოგადი ინფორმაცია“)

მოცემულ მთავარ პუნქტებს, ან ინფორმაციას, რომელიც ასახულია ინტერნეტმომხმარებელთა ძირითადი უფლებების სახელმძღვანელოში, კერძოდ, თავში: „გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლება“;

- აქტივობის დაწყებამდე, გაარკვიეთ, რომელიმე საქმეში განხილულ ასპექტებს დარღვევად ხომ არ მიიჩნევს ეროვნული კანონმდებლობა;
- კარგი იქნება, თუ აქტივობას დაასრულებთ მსგავს საქმეებზე რეაგირების სხვა საშუალებათა მიმოხილვით (სხვადასხვა მოსაზრების მოსაძიებლად, იხ: მასალა მე-2 თავში, რომელიც შეეხება კამპანიას „მოძრაობა სიძულვილის ენის წინააღმდეგ“). შეახსენეთ მონაწილეებს, რომ შეურაცხმყოფელი მასალის ან საიტის ამოღება არ არის რეაგირების ერთადერთი გზა! მისი პრაქტიკაში განხორციელება შეიძლება რთული აღმოჩნდეს იმის გათვალისწინებით, თუ რა რაოდენობის მასალა ქვეყნდება ინტერნეტში ყოველდღიურად.

ადაპტირება

პრობლემის ანალიზი შესაძლებელია როლური თამაშის ფორმით, თითოეულ ჯგუფს შეუძლია მოამზადოს ერთი სცენარი, რომელსაც შეასრულებს სხვა მონაწილეთა წინაშე. ყველაზე შესაბამისი რეაგირება უნდა გამოვლინდეს მთელი ჯგუფის მონაწილეობით.

იდეები მოქმედებებთან დაკავშირებით

რა იციან მონაწილეებმა თავიანთი საპარლამენტო წარმომადგენლის შესახებ? მათ შეიძლება გამოიკვლიონ წარმომადგენლის საჯარო განცხადებები უმცირესობების ან სხვა მოწყვლადი ჯგუფების შესახებ და დაწერონ წერილი საკუთარი მხარდაჭერის ან საპირისპირო მოსაზრებების გამოსახატავად. ნებისმიერი ჯგუფის წერილმა შეიძლება გამოიწვიოს რეაგირება!

მონაწილეებს, ასევე, შეუძლიათ გაეცნონ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რომელ უწყებას უნდა შეატყობინონ ინტერნეტსივრცეში სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევები. ამ მხრივ, სასარგებლო რესურსია: https://www.coe.int/en/web/no-hate-campaign/reporting-to-national-bodies

განიხილეთ ჯგუფთან განსახორციელებელი შესაძლო მოქმედებები იმ შემთხვევისთვის, თუ რომელიმე მონაწილე რასისტულ პოსტებს წააწყდება ინტერნეტში. ერთად შეიმუშავეთ რამდენიმე არგუმენტი და მოკლე შეტყობინებები, რომელთა გამოყენებაც შეეძლებათ მათ, როცა ინტერნეტსივრცეში წააწყდებიან სიძულვილის ენის მაგალითებს.

NO HATE SPEECH MOVEMENT

დასარიგებელი მასალები

განსახილველი საქმეები

1. ჯგუფმა სახელწოდებით „დაგვიბრუნეთ ჩვენი ერი“ შექმნა ვებგვერდი, რომელშიც მხარს უჭერს „ტრადიციულ ღირებულებებს“. არაერთი მისი პოსტი რასისტულია. საიტზე კეთდება ბევრი კომენტარი და მიმდინარეობს ცხარე დისკუსია. ზოგიერთი დისკუსია შეიცავს შეურაცხმყოფელ სიტყვებს, თუმცა კომენტარების ავტორთა უმეტესობა არ უჭერს მხარს საიტის რასისტულ იდეოლოგიას.
   - ხომ არ უნდა წაიშალოს აღნიშნული გვერდი? ან შეიცვალოს რამე? თუ ასეა, რა მოცულობით და რატომ?
   - თუ პასუხი უარყოფითია, კიდევ რისი გაკეთება შეიძლება?

2. ნიკოლაი, პოლიტიკოსი, იყენებს პირად ვებგვერდს, სადაც მოუწოდებს ბოშების გასახლებისკენ თავისი საარჩევნო ოლქიდან და დანაშაულის მაღალ მაჩვენებლებს სწორედ მათ აბრალებს. მისი მოწოდებების შემდეგ, ბოშებს რამდენჯერმე დაესხნენ თავს ქვეყნის მასშტაბით. მედიამ დაიწყო სტატიების გამოქვეყნება, რომლებშიც ასახულია ბოშების მიერ (და არა მათ წინააღმდეგ) ჩადენილი დანაშაულები.
   - ხომ არ უნდა გაუქმდეს ეს პოსტი ან მისი რაიმე ნაწილი? თუ ასეა, რა მოცულობით და რატომ?
   - თუ პასუხი უარყოფითია, კიდევ რისი გაკეთება შეიძლება?

3. პირად ბლოგში რორიმ დადო მულტფილმი, რომელშიც ნაჩვენებია კარგად ცნობილი პოლიტიკოსი. მისი თითებიდან წვეთავს სისხლი და ირგვლივ მიმოფანტულია უამრავი ცხედარი. ბევრი ადამიანი დებს კომენტარებს მულტფილმის შესახებ და ძირითადად, მხარს უჭერს მას.
   - ხომ არ უნდა გაუქმდეს ეს პოსტი ან მისი რაიმე ნაწილი? თუ ასეა, რა მოცულობით და რატომ?
   - თუ პასუხი უარყოფითია, კიდევ რისი გაკეთება შეიძლება?

4. ელამ დადო ვიდეო თავის საჯარო პროფილზე, რომელშიც დასცინის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს და მათ ახასიათებს, როგორც „უუნარო და უცხო არსებებს“. საიტის სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ თითქმის არავის უნახავს ვიდეო. მას არც მნახველთა კომენტარები ახლავს.
   - ხომ არ უნდა გაუქმდეს ეს პოსტი ან მისი რაიმე ნაწილი? თუ ასეა, რა მოცულობით და რატომ?
   - თუ პასუხი უარყოფითია, კიდევ რისი გაკეთება შეიძლება?

დასარიგებელი მასალები

5. ჟურნალისტი უყურებს ვიდეოს (მე-4 მაგალითი) და იწყებს კამპანიას სოციალური მედიასაიტიდან ელას პროფილის გასაუქმებლად. შედეგად, ვიდეო ხდება პოპულარული. მომხმარებლები წერენ კომენტარებს, რომ ეს არის „ყველა დროის საუკეთესო ვიდეო“, „ჩვენ უნდა ვიყოთ რეალისტები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მიმართებით“ და სხვა.

   - ხომ არ უნდა გაუქმდეს ეს პოსტი ან მისი რაიმე ნაწილი? თუ ასეა, რა მოცულობით და რატომ?
   - თუ პასუხი უარყოფითია, კიდევ რისი გაკეთება შეიძლება?

6. დიტა, ცნობილი ადამიანი, ახალი ამბების საიტზე აქვეყნებს სტატიას, სადაც ნათქვამია, რომ ტრანსგენდერი ქალები წარმოადგენენ „კაცობრიობის შეურაცხყოფას“. დიტას წინააღმდეგ შეიქმნა ვებგვერდი მისი პირადი ცხოვრების დეტალებით. ის იწყებს ასობით შეურაცხმყოფელი წერილის მიღებას. ზოგიერთი მოიცავს მუქარასაც.
   - ხომ არ უნდა გაუქმდეს ეს პოსტი ან მისი რაიმე ნაწილი? თუ ასეა, რა მოცულობით და რატომ?
   - თუ პასუხი უარყოფითია, კიდევ რისი გაკეთება შეიძლება?

NO HATE SPEECH MOVEMENT

ДОНЕ 4

ჯგუფი 12-24

დრო 60’

ჯგუფი X

მონაწილეები აანალიზებენ ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში ასახულ უფლებებს ახალგაზრდა ბოშების მიმართ განხორციელებული შეურაცხყოფის სხვადასხვა ფორმებთან მიმართებაში

თემები	რასიზმი/დისკრიმინაცია, ადამიანის უფლებები, კონფიდენციალობა/უსაფრთხოება.
სირთულე	დონე 4
ჯგუფის სიდიდე	12-24
დრო	60 წუთი.
მიზნები	• სიძულვილის ენის სამიზნეთა სხვა უფლებების შეზღუდვების განხილვა; • ცნობიერების ამაღლება ბოშათა უფლებების ყველაზე ხშირ დარღვევებზე; • ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში ასახული უფლებების დაკავშირება მათი დარღვევის რეალურ მაგალითებთან.
მასალა	• საინფორმაციო ბარათები X ჯგუფის შესახებ (თითოეული მცირე ჯგუფისთვის); • ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (ECHR) შემოკლებული ვერსიის რამდენიმე ასლი (სულ მცირე, 2 - თითოეული მცირე ჯგუფისთვის); • ფლიპჩარტები და მარკერები; • მაკრატელი და წებო (ნებაყოფლობით).
მომზადება	• მოამზადეთ ფლიპჩარტები თითოეული მცირე ჯგუფისთვის. დაამაგრეთ X ჯგუფის შესახებ ინფორმაცია ფლიპჩარტის შუა ნაწილში.

ინსტრუქციები

- ხმამაღლა წაიკითხეთ ისტორია X ჯგუფის შესახებ (გვ. 101). აუხსენით მონაწილეებს, რომ მასში მოცემულია კონკრეტული უმცირესობის წარმომადგენელთა ყოველდღიური ცხოვრებისეული გამოცდილებები, განსაკუთრებით, როდესაც მათ არ აქვთ საკუთარი სახელმწიფო და მიმოფანტულნი არიან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. მიეცით მონაწილეებს შესაძლებლობა, თავისით მიხვდნენ, რომელ უმცირესობაზეა საუბარი და შემდეგ დაადასტურეთ, რომ მოყვანილი მაგალითები ასახავს ბოშათა ტიპიურ გამოცდილებას ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში;
- განიხილეთ ტექსტი. აუხსენით მონაწილეებს, რომ ამ მაგალითების უმეტესობა ევროპის ყველა ქვეყანაში აღიარებულია ადამიანის უფლებათა სამართლის დარღვევად. თუ საჭიროა, მიაწოდეთ მონაწილეებს ინფორმაცია ზოგადად ადამიანის უფლებების და კერძოდ, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (ECHR) შესახებ. გამოიყენეთ დამატებითი ინფორმაცია (გვ. 259);
- აუხსენით მონაწილეებს, რომ იმუშავებენ მცირე ჯგუფებში (4-5 მონაწილე) და გამოიყენებენ კონვენციის (ECHR) შემოკლებულ ვერსიას, რათა ტექსტში მოცემული მაგალითები შეადარონ კონვენციით გარანტირებულ უფლებებს;
- ყველას დაურიგეთ კონვენციის (ECHR) ერთი ასლი და საჭიროების შემთხვევაში, გადახედეთ ერთად. განიხილეთ ყველა საკითხი, რომლებიც უკავშირდება უფლებათა არსს;
- სთხოვეთ მონაწილეებს, ჩამოაყალიბონ მცირე სამუშაო ჯგუფები (დაახლოებით, 5 წევრით) და მიეცით თითოეულს ფლიპჩარტის ერთი ფურცელი, ტექსტით X ჯგუფის შესახებ. სთხოვეთ, ფლიპჩარტის ფურცელზე, ტექსტის გვერდით, მიუთითონ ნებისმიერი კავშირი ბავშვის ისტორიასა და კონკრეტულ ადამიანის უფლებებს შორის;
- გამოუყავით ჯგუფებს, დაახლოებით, 20 წუთი შედარების დასასრულებლად, დაამაგრეთ შევსებული ფურცლები კედელზე, მიეცით მონაწილეებს შესაძლებლობა, იმუშაონ სხვა ჯგუფების ფურცლებზე და აღნიშნონ ნებისმიერი მსგავსება ან განსხვავება;
- გადადით შეჯამებაზე.

ჩაღრმავება

დააბრუნეთ მონაწილეები ჯგუფში და გამოიყენეთ შემდეგი კითხვები აქტივობის გასაანალიზებლად:

- გაგაკვირვათ სხვადასხვა შეურაცხყოფამ, რომლებსაც, როგორც წესი, განიცდიან ბოშების თემის წევრები? როგორ ფიქრობთ, ირღვევა თუ არა მათი რომელიმე (ან ყველა) უფლება ამ სახელმწიფოში?
- ოდესმე გსმენიათ ან შესწრებიხართ ბოშების შესახებ შეურაცხმყოფელ საუბარს? რაიმე გინახავთ ინტერნეტში?
- წარმოიდგინეთ, რომ სოციალურ მედიაში წააწყდით არასასიამოვნო კომენტარს ბოშების შესახებ. რას მოიმოქმედებდით? თქვენი აზრით, რა იქნება უკეთესი, ასეთი კომენტარების გაპროტესტება ადამიანების მიერ, თუ, ამის ნაცვლად, დადებითი ისტორიების გამოქვეყნება ბოშებზე?

გამოიყენეთ შემდეგი კითხვები მცდარი შეხედულებების გამოსაკვლევად, რომლებიც მონაწილეებს შეიძლება ჰქონდეთ ბოშების მიმართ:

- ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ავტორებს მიაჩნდათ, რომ არასოდეს უნდა ვიმსჯელოთ ვინმეზე ამა თუ იმ „ჯგუფისადმი“ კუთვნილების მიხედვით. ეთანხმებით?
- რას ფიქრობთ ბავშვის კომენტარზე: კრიმინალები არიან ყველა თემში, მაგრამ ჩვენ ხომ არ განვაზოგადებთ ამ ფაქტს და არ ვამბობთ, რომ სხვა თემის ყველა წარმომადგენელი კრიმინალია? რატომ ვსაუბრობთ ასე „ყველა ბოშის“ შესახებ, თუკი „ყველა ბოშას“ არ ვიცნობთ?
- ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (ECHR) შემდგენლებს მიაჩნდათ, რომ არის ქმედებები, რომლებიც დაუშვებელია ნებისმიერი ადამიანის მიმართ, იმის მიუხედავად, რა ჩაიდინეს. ეთანხმებით მათ?
- როგორ იგრძნობდით თავს, თუ გამუდმებით მოგაყენებდნენ შეურაცხყოფას საზოგადოების სხვა წევრები? როგორ მოიქცეოდით?
- რა იცით ბოშების ცხოვრებაზე? იმ პრობლემებზე, რომელთა წინაშეც ისინი დგანან?

რჩევები ფასილიტატორებისთვის

- შეიძლება აღმოაჩინოთ, რომ ბევრ მონაწილეს მცდარი წარმოდგენა აქვს ბოშებზე. შეეცადეთ, თავი აარიდოთ ამის განხილვას ჯგუფური მუშაობის დაწყებამდე. ზოგიერთი შეკითხვა გამოიყენეთ დებრიფინგის დროს, რომელიც აქტივობის დასრულების შემდეგ გაიმართება;
- ფლიპჩარტებზე მუშაობისას, აუხსენით ჯგუფებს, რომ ნებისმიერი მეთოდის გამოყენება შეუძლიათ ადამიანის უფლებებთან კავშირების ილუსტრირებისათვის: სტატიების დაწერა, საინფორმაციო ფურცლის დაჭრა, ბარათების ამოჭრა და დამაგრება ფლიპჩარტებზე, მარკერის გამოყენება, ისრების დახატვა და სხვა. თუ გაუთავდებათ ბარათები, რომლებზეც ასახულია კონკრეტული უფლებები, უთხარით, რომ გამოიყენონ ფანტაზია სხვა კავშირების საჩვენებლად!
- მოთხრობა არ არის რეალური ისტორია ბოშა ბავშვის შესახებ, თუმცა აღსანიშნავია, რომ ასეთი შემთხვევები ზოგადად ფართოდ არის გავრცელებული ევროპის ნებისმიერ ქვეყანაში. აღწერილ შეურაცხყოფაზე სასაუბროდ შეგიძლიათ გამოიყენოთ ინფორმაცია ინტერნეტიდან;
- აუხსენით მონაწილეებს, რომ ბარათებზე არ არის ასახული ადამიანის ყველა უფლება, ვინაიდან ECHR ფარავს გარკვეულ უფლებებს. ადამიანის უფლებათა უფრო ვრცელი ჩამონათვალი კი შეუძლიათ, იხილონ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში;
- გამოიყენეთ რესურსები 102 გვერდზე („უფლებები, რომლებიც შეიძლება დარღვეულად ჩაითვალოს“), რათა ფლიპჩარტებზე ასახოთ. გაითვალისწინეთ, რომ ამბავი მოიცავს რამდენიმე უფლების დარღვევას და თითქმის ყველა მათგანი უკავშირდება დისკრიმინაციისგან დაცვას;
- შეახსენეთ მონაწილეებს, რომ ადამიანის უფლებათა დარღვევა ოდნავ განსხვავდება „ჩვეულებრივი“ დანაშაულისგან და გულისხმობს მათ დარღვევას ხელისუფლების ან საჯარო მოხელეების მხრიდან (მაგ.: მასწავლებლები, პოლიციის ოფიცერი ან ციხის პერსონალი). საჯარო

ხელისუფლების წარმომადგენლებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა, რომ არა მხოლოდ თვითონ არ დაარღვიონ ადამიანის უფლებები, არამედ სხვებსაც არ მისცენ ამის შესაძლებლობა. თუ პოლიცია სრული სერიოზულობით არ იღებს საჩივარს უფლების დარღვევის შესახებ, იგი სათანადოდ ვერ ასრულებს დაკისრებულ მოვალეობებს.

ადაპტირება

აქტივობის ფარგლებში ევროპული კონვენციის (ECHR) ნაცვლად შეგვიძლია გამოვიყენოთ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (UDHR).

იდეები მოქმედებებთან დაკავშირებით

სთხოვეთ მონაწილეებს, გამოიძიონ ბოშების მდგომარეობა მათ ქვეყანაში. სხვადასხვა ჯგუფს შეუძლია სხვადასხვა თემაზე მუშაობა.

გარდა ამისა, მონაწილეებს შეუძლიათ, მონიტორინგი გაუწიონ იმ საიტებს, რომლებსაც ხშირად სტუმრობენ, და მოძებნონ უარყოფითი კომენტარები ბოშების შესახებ. მათ, შეუძლიათ, გამოიყენონ ჩვენ შეგვიძლია! (We Can!) სიძულვილის ენის წინააღმდეგ მოქმედება საპირისპირო და ალტერნატიული ნარატივებით და მის საფუძველზე მოახდინონ რეაგირება.

ასევე, გამოიყენოთ ევროპის საბჭოს მიერ შემუშავებული საინფორმაციო ბიულეტენები ბოშების ისტორიის შესახებ, რათა გააცნოთ მონაწილეებს ამ ხალხის წარსული და ახლანდელი მდგომარეობა ევროპის მასშტაბით (დეტალური ინფორმაციისთვის იხ: www.coe.int/t/dg4/education/roma/histoCulture_en.asp)

ანტი-ბოშური განწყობის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, შეგიძლიათ, გაეცნოთ სახელმძღვანელოს “სარკეები” (Mirrors), რომელიც შეეხება ადამიანის უფლებების სწავლების გზით ანტი-ბოშურ განწყობებთან ბრძოლას. სახელმძღვანელო ხელმისაწვდომია აქ: https://www.coe.int/en/web/youth-roma/mirrors

NO HATE SPEECH MOVEMENT

დასარიგებელი მასალები

X ჯგუფი

მე ვარ ბავშვი X ჯგუფიდან. სკოლაში გამანაწილეს დასწავლის სირთულის მქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კლასში. ჩვენ არ გვაქვს უფლება, ვიაროთ „ჩვეულებრივ“ კლასებში. ხშირად მჩაგრავენ სხვა ბავშვები, რადგან ვარ X ჯგუფიდან. ისინი ჩაგრავენ ჩემს მეგობრებსაც. მასწავლებლები არაფერს აკეთებენ ამასთან დაკავშირებით, ზოგიერთი მათგანი აქეთ გვაკრიტიკებს. ისინი არასდროს ისჯებიან. ვიცი, რომ ერთ ქვეყანაში ყველა ბავშვი X ჯგუფიდან გაგზავნეს სკოლაში, რომელიც განკუთვნილია დასწავლის სირთულის მქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის.

ხალხს არ უნდა, რომ ვიყოთ მათ გარემოში. ისინი არც კი გვიცნობენ, მხოლოდ გვიყვირიან ან გვცემენ იმის გამო, ვინც ვართ (ან მათი აზრით ვართ). ჩვენ ბავშვები ვართ, ისეთივე, როგორიც სხვები და როგორ უნდა მოვიქცეთ, როცა ვინმე გვიყვირის ან გვცემს? ეს უნდა მოვიწონოთ?

თუ პოლიციას მივმართავთ, ხშირ შემთხვევაში, არ გვისმენენ და ყველაფერს ჩვენ გვაბრალებენ, იმ მიზეზით, რომ ჩვენ ვართ პრობლემატურები. საიდან იციან ეს? მეგონა, რომ ეს სასამართლოს გადასაწყვეტია. პოლიცია გამუდმებით გვაჩერებს ქუჩებში სრულიად უმიზეზოდ ეჭვობენ, რომ რაღაც მოვიპარეთ და უნდა შეგვამოწმონ. ზოგჯერ კვირაში 6-ჯერაც მაჩერებენ, მაგრამ მე არასდროს მომიპარავს რაიმე.

მსმენია ჩემი თემის წევრებზე, რომლებიც დაიჭირეს ციხეში და სცემეს ციხის ოფიცრებმა. რატომ არ უნდა დაისაჯოს ის, ვინც ვიღაცას სცემს? ციხის ოფიცრებსაც კი ევალებათ კანონის დაცვა.

გასულ ზაფხულს ერთნაირად ჩაცმული ადამიანების ჯგუფებმა, რომლებიც მღეროდნენ ჩვენს საწინააღმდეგო სიმღერებს, სოფელში გაიარეს. შეგვეშინდა და შინ ჩავიკეტეთ. ისინი ქვებს ესროდნენ ჩვენს სახლებს და სცემეს რამდენიმე ახალგაზრდა, რომლებმაც მათი გაგდება სცადეს. პოლიციამ არაფერი მოიმოქმედა...

მთავრობის წევრები ხშირად გვაყენებენ შეურაცხყოფას, თითქოს ყველა ადამიანი X ჯგუფიდან ერთნაირი იყოს და ყველა ადამიანი ამ ჯგუფში დანაშაულს სჩადიოდეს. ჩვენ ასეთები არ ვართ. ყველა თემს ჰყავს წევრები, რომლებიც დანაშაულს სჩადიან. მთავრობა ხომ არ აყენებს შეურაცხყოფას სხვა თემის ყველა ადამიანს მხოლოდ იმის გამო, რომ ზოგიერთი მათგანი დამნაშავეა? რატომ არ შეუძლიათ X ჯგუფის წევრებზე კარგი ამბების მოყოლა? ჩვენ არაფრით განვსხვავდებით სხვებისგან.

ტელევიზორსა და ინტერნეტში ადამიანები ჩვენ შესახებ იმას ამბობენ, რაც სურთ. დავიღალე ონლაინჯგუფებისგან, რომლებიც გვეუბნებიან, რომ ვართ ჭუჭყიანები ან სულელები... უარესსაც: რომ უნდა დავტოვოთ ქვეყანა, დავბრუნდეთ სახლში და ვიმუშაოთ, როგორც სხვებმა. მამაჩემი ბედნიერი იქნებოდა, სამსახური რომ ჰქონოდა. არავინ ასაქმებს მას, რადგანაც X ჯგუფის წარმომადგენელია.

როგორ უნდა ვიცხოვროთ?! როგორ უნდა ვიგრძნოთ თავი, როდესაც ყველა გვლანძღავს, მაშინაც კი, როდესაც საერთოდ არ გვიცნობენ?! ძალიან ძნელია. ზოგჯერ არ მინდა გასვლა გარეთ, რადგან მეშინია, რომ მიყვირებენ, ან მცემენ.

დასარიგებელი მასალები

უფლებები, რომლებიც შეგვიძლია მივიჩნიოთ დარღვეულად

ყველა მაგალითი უკავშირდება დისკრიმინაციისგან დაცვის უფლებას (მუხლი 13, ან პროტოკოლი 12). სხვა უფლებები, რომლებიც ასევე შეგვიძლია მივიჩნიოთ დარღვეულად :

სპეციალური კლასები ან სკოლები ბოშა ბავშვებისთვის	ოქმი 1, მუხლი 2.
მასწავლებლები, რომლებიც აკრიტიკებენ ბავშვებს	შესაძლოა, მუხლი 8 (პირადი ცხოვრება); თუ დარღვევა მძიმეა, მუხლი 3; თუ ის გავლენას ახდენს მათ განათლებაზე, შესაძლოა, 1-ლი ოქმის მე-2 მუხლიც.
მასწავლებლები არ „ისჯებიან“	თუ არავინ იღებს საჩივრებს სერიოზულად, შესაძლოა, მუხლი 8 (ან მუხლი 3, თუ დარღვევა ძალიან მძიმეა); ასევე, 1-ლი ოქმის მე-2 მუხლიც.
ადამიანები, რომლებიც უყვირიან ბოშებს, ან დადიან სოფლებში, სადაც ცხოვრობენ ბოშები	შესაძლოა, მუხლი 8, თუკი დარღვევა მძიმეა, აქვს რეგულარული სახე და პოლიცია არაფერს აკეთებს ამასთან დაკავშირებით.
ადამიანები სცემენ მათ	შესაძლოა, მუხლი 8, თუ პოლიცია არ რეაგირებს საჩივრებზე; ან მუხლი 3, როცა ცემას ძალიან სასტიკი ან რეგულარული სახე აქვს.
პოლიცია არ ისმენს საჩივრებს	მუხლები: 8 ან 3, იმის მიხედვით, რამდენად სერიოზულია საჩივარი. თუ არსებობს საფრთხე ადამიანების სიცოცხლისთვის, შესაძლოა, მუხლი 2.
პოლიცია აჩერებს და ჩხრეკს ბოშებს	შესაძლოა, მუხლი 5 (თავისუფლება), თუ ადამიანებს ძალიან ხშირად აჩერებენ უმიზეზოდ; ასევე, მუხლი 8 (პირადი ცხოვრების დაცვა).
ციხის პერსონალი სცემს ბოშებს	შესაძლოა, მუხლი 3, თუ ცემა სასტიკია; აგრეთვე, მუხლი 8.
ციხის პერსონალი არ „ისჯება“	შესაძლოა, მუხლი 3, თუ ცემა ძალიან სასტიკია; აგრეთვე, მუხლი 8.
მთავრობის წევრები შეურაცხყოფას აყენებენ ბოშებს	შესაძლოა, მუხლი 8, თუ დარღვევა მძიმეა და გავლენა იქონია სხვების მოპყრობაზე ბოშების მიმართ.
შეურაცხყოფა ინტერნეტში/მედიაში	ეს შეიძლება არ იყოს ადამიანის უფლებათა მძიმე დარღვევა, ვინაიდან პასუხისმგებელი პირი არ არის სახელმწიფო მოხელე. უფლების დარღვევას უნდა ჰქონდეს ძალიან მძიმე ფორმა და გულისხმობდეს დაზარალებულის მხრიდან ოფიციალური საჩივრების წარდგენას, რომლებიც უგულებელყოფილია სახელმწიფო მოხელეთა მიერ.
დასაქმება შეუძლებელია იმის გამო, რომ პირი არის ბოშა	შესაძლოა, მუხლი 8, თუ რომელიმე სახელმწიფო ორგანიზაცია უარს აცხადებს პირის სამსახურში აყვანაზე, რადგან ის არის ბოშა.
ქუჩაში გასვლის შიში	შესაძლოა, მუხლები 8 და 3 (ან 2), თუ ქუჩაში რეალური საფრთხე არსებობს ბოშა ბავშვებისთვის და პოლიცია არაფერს აკეთებს ამასთან მიმართებით.

დონე 3

ჯგუფი 6+

დრო 60'

ადამიანის უფლებათა ონლაინქვიზი

ონლაინქვიზი ადამიანის უფლებების შესახებ ეხმარება მონაწილეებს, რომ გაეცნონ საკუთარ უფლებებს ონლაინგარემოში, ინტერნეტმომხმარებელთა ძირითადი უფლებების სახელმძღვანელოს გამოყენებით.

თემები	ადამიანის უფლებები
სირთულე	დონე 3
ჯგუფის სიდიდე	6 და მეტი
დრო	60 წუთი
მიზნები	• ინტერნეტში ადამიანის უფლებათა დაცვასთან დაკავშირებული მოთხოვნების გააზრება; • ცნობიერების ამაღლება ადამიანის უფლებათა უნივერსალურობის შესახებ; • ინტერნეტსივრცეში ადამიანის უფლებათა დაცვასთან დაკავშირებული საკითხების გააზრება.
მასალა	• დასარიგებელი მასალები; • ინტერნეტმომხმარებელთა ძირითადი უფლებების სახელმძღვანელო; • კალმები ან ფანქრები თითოეული ჯგუფისთვის.
მომზადება	• მოამზადეთ დასარიგებელი მასალების თითო ასლი თითო ჯგუფისთვის, ამოუბეჭდეთ მონაწილეებს სახელმძღვანელო, ან მიეცით კომპიუტერებით მუშაობის შესაძლებლობა.

ინსტრუქციები

აქტივობის არასავალდებულო ნაწილი **იმ შემთხვევაში თუ მუშაობთ ისეთი ჯგუფებთან, რომლებიც არ არიან ინფორმირებულნი ადამიანის უფლებათა შესახებ.**

1. ჰკითხეთ მონაწილეებს, თუ როგორ ესმით ადამიანის უფლებები. დაწერეთ ვარიანტები ფლიპჩარტებზე და თუ საჭიროა, დასვით შემდეგი კითხვები:
   - ვის შეუძლია ადამიანის უფლებებით სარგებლობა?
   - შეგიძლიათ, დაასახელოთ რომელიმე ეს უფლება?
   - საიდან წარმოიშვა ადამიანის უფლებები?
   - გამოიყენება თუ არა ისინი ონლაინსივრცეში?

2. მოკლედ მიმოიხილეთ ადამიანის უფლებები, მაგალითად:

ადამიანის უფლებები ეკუთვნის ყველას. ეს არის „კანონები მთავრობებისთვის“, რაც ნიშნავს, რომ მთავრობებმა უნდა დაიცვან ადამიანები უსამართლო მოპყრობის, შეურაცხყოფისა და ძალადობისაგან. ადამიანის უფლებები ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან გვიცავს და გვასწავლის ისე მოქცევას, რომ არ დავარღვიოთ სხვათა უფლებები.

ძირითადი აქტივობა

1. აუხსენით მონაწილეებს, რომ აქტივობა მოიცავს ონლაინქვიზს ადამიანის უფლებათა შესახებ და ითვალისწინებს ჯგუფურ თამაშს ონლაინსივრცეში გამოსაყენებელ უფლებებზე ინფორმაციის მისაღებად;
2. დაურიგეთ მონაწილეებს ინტერნეტმომხმარებელთა ძირითადი უფლებების სახელმძღვანელოს გამარტივებული ვერსია ან მიეცით მისი ბმული. გამოუყავით დრო მის გასაცნობად და დაუსვით კითხვები, თუ არ ესმით რომელიმე უფლება;
3. როდესაც ყველა იქნება მზად, დაყავით მონაწილეები 2-6-კაციან ჯგუფებად. თითოეულს დაურიგეთ მასალები;
4. აუხსენით მონაწილეებს, რომ ქვიზს ჩაატარებენ ჯგუფებში და უნდა აირჩიონ ერთი ადამიანი, რომელიც დაწერს პასუხებს ფურცელზე. შემდეგ ექნებათ, დაახლოებით, 30 წუთი ქვიზის დასამთავრებლად (კითხვების წყაროდ გამოიყენებენ სახელმძღვანელოს);
5. ქვიზის დასრულების შემდეგ, მონაწილეებთან ერთად განიხილეთ სწორი პასუხები და აირჩიეთ საუკეთესო გუნდი (სწორი პასუხებია: 1B, 2A და B, 3B, 4C, 5A, 6B, 7B, 8C, 9C, 10B, 11C, 12C, 13A, 14B).

შეჯამება:

მოსაზრებები გამოკითხვის შესახებ:

- რომელი კითხვა იყო ყველაზე რთული? რატომ?

მოსაზრებები ადამიანის უფლებების შესახებ:

- იყო თუ არა რომელიმე უფლება განსაკუთრებით რთული გასაგები?
- როგორ ფიქრობთ, შეძლებთ რომელიმე ამ უფლების გარეშე ცხოვრებას? თუ ასეა, რომლის?
- როგორ ფიქრობთ, ადამიანის უფლებები ინტერნეტსივრცეში ისევე გამოიყენება, როგორც „რეალურ“ სამყაროში? შეგიძლიათ, გაიხსენოთ მაგალითები, როცა რომელიმე ეს უფლება მნიშვნელოვანია ინტერნეტსივრცეშიც?
- როგორ ფიქრობთ, დაცულია ადამიანის უფლებები ინტერნეტში?

მოსაზრებები სიძულვილის ენის შესახებ:

- მოკლედ ახსენით, რომ სიძულვილის ენა ნიშნავს სიძულვილის „გამოხატვას“ მთლიანი ჯგუფის ან მისი წევრისადმი, არასასიამოვნო და საწყენი ფორმით, რომელიც, სავარაუდოდ, ძალადობრივ რეაქციას გამოიწვევს ჯგუფის წევრთა მიმართ. სთხოვეთ ასეთი მაგალითების მოყვანა;
- ქვიზიდან რომელი უფლებები შეიძლება იყოს ყველაზე მნიშვნელოვანი სიძულვილის ენის კონტექსტში? რატომ?
- თქვენ რომ გახდეთ ონლაინსივრცეში სიძულვილის ენის სამიზნე, რომელი უფლებები დაგჭირდებათ ყველაზე მეტად?
- რისი გაკეთება შეიძლება ონლაინსივრცეში სიძულვილის ენის თავიდან ასაცილებლად?

რჩევები ფასილიტატორებისთვის

- უფლებების განხილვის პროცესში მონაწილეებმა შეიძლება იმუშაონ წყვილებში. მათთვის სასარგებლო იქნება უფლებათა მნიშვნელობის დეტალური განხილვა, თუმცა ამ აქტივობაზე მეტი დრო დაიხარჯება;
- განხილვის პროცესში შეგიძლიათ ყურადღების გამახვილება ერთ ან ორ სფეროზე, რათა ეს საკითხები უფრო სიღრმისეულად გამოიკვლიოთ;
- გაეცანით დამატებით ინფორმაციას ადამიანის უფლებების შესახებ - ზოგადად და ინტერნეტსივრცეში (თავი 5);
- სახელმძღვანელოსთან დაკავშირებულ თემებზე დაწვრილებითი ინფორმაცია იხილეთ დამატებით ნაწილში.

იდეები მოქმედებებთან დაკავშირებით

სთხოვეთ მონაწილეებს, გამოაქვეყნონ სტატუსი სოციალურ მედიაში ან დაწერონ ბლოგპოსტი, რომელიც უკავშირდება ინტერნეტმომხმარებელთა ძირითადი უფლებების სახელმძღვანელოს მათი ნაცნობების ცნობიერების ამაღლების მიზნით.

დასარიგებელი მასალები

ნაწილი I: შესავალი

1. როდის გამოქვეყნდა სახელმძღვანელო?
   A. 1990;
   B. 2014;
   C. 2010.

2. რატომ შეიქმნა სახელმძღვანელო?
   A. როგორც ინტერნეტმომხმარებელთა ინსტრუმენტი;
   B. ინტერნეტსივრცეში ადამიანის უფლებათა შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად;
   C. კითხვის წახალისების მიზნით.

3. სახელმძღვანელო ეფუძნება:
   A. ევროკავშირის ლისაბონის ხელშეკრულებას;
   B. ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას;
   C. კარგი იდეების კრებულს.

4. ვინ უნდა დაიცვას სახელმძღვანელოს ინსტრუქციები?
   A. მხოლოდ ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა;
   B. მსოფლიოს ყველა სახელმწიფომ;
   C. ევროპის საბჭოს ყველა წევრმა სახელმწიფომ.

5. რა ფუნქცია აქვს ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას?
   A. იცავს ადამიანის უფლებებს;
   B. ადამიანებს მატებს თავდაჯერებულობას
   C. იცავს მხოლოდ მოზრდილთა უფლებებს.

6. ვის აქვს ადამიანის უფლებები?
   A. ადამიანებს, რომლებიც კარგად იქცეოდნენ;
   B. ყველას;
   C. მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებიც იხდიან გადასახადებს.

დასარიგებელი მასალები

ნაწილი II: წვდომა და დისკრიმინაციის აკრძალვა/გამოხატვის თავისუფლება და ინფორმაციის მიღების უფლება/შეკრების, გაერთიანებისა და მონაწილეობის თავისუფლება.

7. ინტერნეტში მუშაობის ან სხვადასხვა სოციალური ქსელის გამოყენებისას, თქვენ მიმართ არ უნდა განხორციელდეს დისკრიმინაცია შემდეგი ნიშნებით:
   A. თვალის ფერი;
   B. სქესი და ენა;
   C. სმარტფონის ან კომპიუტერის გამოყენება.

8. რას ნიშნავს გამოხატვის თავისუფლება ინტერნეტში?
   A. გქონდეს გამოხატვის თავისუფლება, მაგრამ მხოლოდ წერილობით ფორმაში;
   B. გქონდეს გამოხატვის თავისუფლება ზოგიერთ არხზე;
   C. გქონდეს გამოხატვის თავისუფლება ინტერნეტში და წვდომა ინფორმაციაზე.

9. ჩამოთვლილთაგან რომელი არ შედის გამოხატვის თავისუფლებაში?
   A. საწყენი, შეურაცხმყოფელი ან აღმაშფოთებელი მოსაზრებების გამოხატვა;
   B. პოლიტიკური გამოსვლები;
   C. შეხედულებები რელიგიაზე;
   D. დისკრიმინაციის, სიძულვილისა და ძალადობის გამომწვევი გამოხატულებები.

10. რას ნიშნავს ინტერნეტში მონაწილეობის უფლება?
   A. ნებისმიერი ვებგვერდის ან აპლიკაციის არჩევას, მაგრამ ერთდროულად მხოლოდ ოთხ მათგანში მონაწილეობას;
   B. ნებისმიერი ვებგვერდის, აპლიკაციის ან სხვა მომსახურების არჩევას, სოციალურ ჯგუფებში, შეკრებებსა და გაერთიანებებში მონაწილეობასა და მათ ორგანიზებას;
   C. ნებისმიერი ვებგვერდის ან აპლიკაციის არჩევას, ინტერნეტში პროტესტის გამოხატვის გარდა.

დასარიგებელი მასალები

ნაწილი III: კონფიდენციალობა და მონაცემთა დაცვა/განათლება და წიგნიერება/ბავშვები და ახალგაზრდები/სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალებები

11. სახელმძღვანელოს მიხედვით, ყველას აქვს განათლების მიღების უფლება. რას ნიშნავს ეს ინტერნეტში?
    A. მაგალითად, ყველა ბავშვმა გააკეთოს საშინაო დავალება კომპიუტერზე;
    B. მაგალითად, ყველას ჰქონდეს წვდომა ონლაინგაზეთებზე;
    C. მაგალითად, ყველას ჰქონდეს წვდომა ონლაინკურსებსა და ციფრულ განათლებაზე.

12. ვისზე ვრცელდება დაცვის სპეციალური გარანტიები და დახმარების უფლება ინტერნეტით სარგებლობისას?
    A. ყველაზე;
    B. მხოლოდ ბავშვებსა და 14-დან 16 წლამდე ახალგაზრდებზე;
    C. ბავშვებსა და ახალგაზრდებზე.

13. ინტერნეტპროვაიდერმა მომხმარებლებს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია:
    A. მათი უფლებების დარღვევის შესახებ შეტყობინების გაგზავნაზე ან საჩივრის წარდგენაზე;
    B. დისკრიმინაციასთან დაკავშირებული შემთხვევების აღრიცხულ რაოდენობაზე;
    C. თითოეულ კომპანიაში მომუშავე პირთა რაოდენობაზე.

14. ხელისუფლების რომელ ორგანოს უნდა მიმართოთ თავდაპირველად ინტერნეტში სისხლის სამართლის დანაშაულისგან დასაცავად?
    A. საერთაშორისო ორგანოებს;
    B. ადგილობრივ ორგანოებს;
    C. ევროპულ ორგანოებს.

ДОНЕ 3

ჯგუფი
ნებისმიერი

დრო
45’

ონლაინ მონაწილეობა

ეს აქტივობა ეხმარება მონაწილეები დაფიქრდნენ თუ როგორ იყენებენ ინტერნეტს და რა სახით მონაწილეობენ ონლაინსივრცეში. ისინი განსაზღვრავენ და შეაფასებენ საკუთარ ჩართულობას და სამომავლო როლს ამ გარემოში.

მონაწილეები შეაფასებენ თავიანთ საქმიანობას ონლაინ სივრცეში და დაგეგმავენ, თუ სამომავლოდ რა როლი სურთ, რომ ითამაშონ. მონაწილეები, ასევე, გაეცნობიან ონლაინ სივრცეში სიძულვილის ენაზე რეაგირების გზებს და ადამიანის უფლებების ეფექტურად დაცვის შესაძლებლობებს.

თემები	ინტერნეტწიგნიერება, პირადი ცხოვრება და უსაფრთხოება, ადამიანის უფლებები.
სირთულე	დონე 3
ჯგუფის სიდიდე	ნებისმიერი
დრო	45 წუთი
მიზნები	• მომხმარებლის ინტერნეტში ჩართულობის დონისა და როლის გამოვლენა; • სიძულვილის ენაზე მსჯელობა და ადამიანის უფლებათა ეფექტიანი დაცვა ინტერნეტსივრცეში; • სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლის რისკების გაცნობიერება ინტერნეტსივრცეში.
მასალა	• დიდი მუყაოს ფურცლები; • ფლიპჩარტები; • ფერადი კალმები/მარკერები; • წებოვანი (post-it) ფურცლები; • „მონაწილეობის კიბის“ ასლები მონაწილეთათვის დასარიგებლად.

მომზადება	• მოამზადეთ დიდი ბარათები, ონლაინროლების მითითებით, და მოათავსეთ ისინი იატაკზე. შეგიძლიათ, დააწეროთ როლები (მაგ.: შემქმნელი, მოსაუბრე/განმხილველი, კრიტიკოსი, იდეების შემგროვებელი, სოციალურ ქსელებში აქტიური, მაყურებელი, პასიური, დამკვირვებელი, წევრი); • გააკეთეთ მასალის ასლები.

ინსტრუქციები

1. აუხსენით მონაწილეებს, რომ იატაკზე დალაგებული ბარათები ასახავს სხვადასხვა როლს ინტერნეტში (შემქმნელი, მოსაუბრე/განმხილველი, კრიტიკოსი, იდეების შემგროვებელი, სოციალურ ქსელებში აქტიური, მაყურებელი, პასიური, დამკვირვებელი, წევრი). აუხსენით თითოეული როლი;
2. სთხოვეთ მონაწილეებს, აირჩიონ ერთ-ერთი როლური ბარათი, იმის მიხედვით, რას აკეთებენ ინტერნეტში „ჩვეულებრივ“. როგორ ხედავენ საკუთარ როლს ამ სივრცეში? რა სახით მონაწილეობენ მასში?
3. მას შემდეგ, რაც მონაწილეები აირჩევენ ადგილებს, სთხოვეთ, მიიხედ-მოიხედონ და მიაქციონ ყურადღება, სად მოთავსდნენ სხვები. შეგიძლიათ, სთხოვოთ თავიანთი ონლაინქმედებების მაგალითების მოყვანაც;
4. სთხოვეთ მონაწილეებს, განთავსდნენ ბარათებზე კიდევ ერთხელ, იმის მიხედვით, თუ რას აკეთებენ ინტერნეტსივრცეში სიძულვილის ენასთან ბრძოლის კუთხით. მას შემდეგ, რაც აირჩევენ ადგილებს, უთხარით, რომ მიიხედ-მოიხედონ და დააკვირდნენ, სად განთავსდნენ სხვები. შეგიძლიათ, სთხოვოთ თავიანთი ქმედებების მაგალითების მოყვანაც ინტერნეტში სიძულვილის ენასთან საბრძოლველად;
5. სთხოვეთ მონაწილეებს, კვლავ განთავსდნენ ბარათებზე, იმის მიხედვით, რაში მიიღებდნენ მონაწილეობას ერთი წლის შემდეგ, როდესაც დადგება ინტერნეტში სიძულვილის ენასთან ბრძოლის დრო. მას შემდეგ, რაც აირჩევენ ადგილებს, სთხოვეთ, განმარტონ, რატომ აირჩიეს ესა თუ ის როლი;
6. შექმენით 2-4-კაციანი ჯგუფები. სთხოვეთ, მოიფიქრონ ქმედებები, რომელთა განხორციელებაც სურთ ინტერნეტში სიძულვილის ენასთან ბრძოლისას;
7. სთხოვეთ ჯგუფებს, გაუზიარონ ერთმანეთს ეს ქმედებები.

ჩაღრმავება

- რას ფიქრობთ აქტივობის შესახებ?
- გაგიჭირდათ ინტერნეტში თქვენი როლის გამოვლენა? რა აღმოაჩინეთ ონლაინსივრცეში საკუთარ ქცევასთან მიმართებით?
- გაგიჭირდათ თქვენი ონლაინროლის დადგენა ინტერნეტში სიძულვილის ენასთან დაკავშირებულ ქმედებებში?
- გაგიჭირდათ როლის არჩევა ონლაინ სიძულვილის ენასთან ბრძოლისთვის? რთული იყო მოფიქრება, რის გაკეთებას შეძლებდით ინტერნეტში?
- რას ფიქრობთ ონლაინმონაწილეობის ამ მაგალითებზე? როგორ უკავშირდება ისინი „ინტერნეტსივრცის გარეთ“ მონაწილეობას? ადამიანებს ისევე შეუძლიათ ონლაინში მონაწილეობა, როგორც რეალურ სამყაროში?
- რამდენად მნიშვნელოვანია ონლაინ სიძულვილის ენის პრობლემის განხილვა? რატომ?
- გაგიჭირდათ ონლაინქმედებების მოფიქრება სიძულვილის ენის წინააღმდეგ?
- როგორ ფიქრობთ, შეგიძლიათ თავისუფალი ონლაინმონაწილეობა?

რჩევები ფასილიტატორებისთვის

შეგიძლიათ:

- მეტი ინფორმაცია იხილოთ ინტერნეტში მონაწილეობის შესახებ თავში 5.6 „დემოკრატია და მონაწილეობა“;
- მეტი შეიტყოთ ინტერნეტში ადამიანის უფლებების შესახებ ინტერნეტმომხმარებელთა ძირითადი უფლებების სახელმძღვანელოდან, კერძოდ, თავში: „შეკრების, გაერთიანებისა და მონაწილეობის თავისუფლება“. კარგი იქნება, თუ შეახსენებთ მონაწილეებს სახელმძღვანელოს შესახებ. ინტერნეტის მომხმარებლებს ადამიანის უფლებები სჭირდებათ ინტერნეტში დაცულობისათვის, რისთვისაც მნიშვნელოვანია საკუთარი უფლებების ცოდნა და შეურაცხყოფის წინააღმდეგ გამოსვლა (სახელმძღვანელო ხელმისაწვდომია საიტზე: www.coe.int/en/web/internet-users-rights/guide).

იდეები მოქმედებებთან დაკავშირებით

მონაწილეებს შეუძლიათ „ინტერნეტში მონაწილეობის“ საკუთარი რუკის შექმნა ამ სივრცეში მეტი აქტიურობისათვის, ასევე, სიძულვილის ენასთან საბრძოლველად.

მონაწილეებს შეუძლიათ, გაეცნონ დამატებით ინფორმაციას ინტერნეტ მმართველობის შესახებ და იმის შესახებ, თუ რა როლი შეუძლიათ ითამაშონ ახალგაზრდებმა ინტერნეტის ფორმირებაში.

ეს აქტივობა შემუშავებულია ბუქმარქსის საფუძველზე, პირველი რეგიონული ტრენინგკურსის განმავლობაში, რომელიც ჩატარდა ბელგიაში, 2014 წლის ოქტომბერში.

დასარიგებელი მასალები

ინტერნეტში მონაწილეობა

შემქმნელები

- ბლოგის გამოქვეყნება;
- საკუთარი ვებგვერდის გამოქვეყნება;
- თქვენ მიერ შექმნილი ვიდეოს ატვირთვა;
- თქვენ მიერ შექმნილი აუდიო ფაილის/მუსიკის ატვირთვა;
- სტატიის ან ისტორიის შექმნა და მათი გამოქვეყნება;
- საჯარო დისკუსიებისა ან მშვიდობიანი პროტესტების წარმართვა;
- ონლაინკამპანიების დაწყება.

მოსაუბრე

- სოციალურ ქსელში სტატუსის განახლება;
- Twitter-სა და Facebook-ზე განახლებების გამოქვეყნება.

კრიტიკოსები

- პროდუქტის ან მომსახურების რეიტინგების/მიმოხილვების გამოქვეყნება;
- ბლოგის კომენტირება;
- ინტერნეტფორუმში წვლილის შეტანა;
- ვიკიპედიაზე სტატიების დამატება/რედაქტირება;
- მონაწილეობა ინიციატივების, პროდუქტების მიმოხილვაში;
- ადგილობრივ/ეროვნულ კანონმდებლობაზე კომენტარების დაწერა;
- საჯარო დისკუსიების კრიტიკა;
- საჯარო ხელისუფლების საქმიანობის მეთვალყურეობა და ანგარიშების შექმნა.

იდეების შემგროვებლები

- გამოიყენეთ RSS feeds;
- ვებგვერდს ხმა მიეცით ონლაინ;
- დაამატეთ „თეგები“ ვებგვერდებს ან ფოტოებს.

სოციალურ ქსელებში აქტიური

- მართეთ თქვენი პროფილი სოციალურ ქსელში;
- ესტუმრეთ სოციალური ქსელების საიტებს.

მაყურებლები

- წაიკითხეთ ბლოგები;
- მოუსმინეთ „პოდქასტებს“;
- უყურეთ სხვა მომხმარებელთა ვიდეოებს;
- გაეცანით ონლაინფორუმებს;
- გაეცანით მომხმარებელთა რეიტინგებს/მიმოხილვებს;
- წაიკითხეთ ტვიტები.

NO HATE SPEECH MOVEMENT

დონე 2

ჯგუფი 14-35

დრო 60’

ჩვენი უფლებები ონლაინსივრცეში

მონაწილეები მეტ ინფორმაციას მიიღებენ ინტერნეტმომხმარებელთა ძირითადი უფლებების სახელმძღვანელოზე, გააანალიზებენ მის ძირითად გზავნილებსა და მოსაზრებებს და იმსჯელებენ მის გამოყენებაზე ყოველდღიურ ცხოვრებაში.

თემები	ადამიანის უფლებები, დემოკრატია და მონაწილეობა
სირთულე	დონე 2
ჯგუფის სიდიდე	14-35
დრო	60 წუთი
მიზნები	• ინტერნეტმომხმარებელთა უფლებების კვლევა მონაწილეებთან ერთად; • ინტერნეტმომხმარებელთა ძირითადი უფლებების სახელმძღვანელოს გამარტივებული ვერსიის გაცნობა; • სახელმძღვანელოს ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენების გზები; • მსჯელობა სახელმძღვანელოს გამავრცელებლთა როლზე.
მასალა	• სახელმძღვანელოს გამარტივებული ვერსიის ასლი (გვ. 117); • კალმები და ფურცლები შენიშვნებისთვის; • ფლიპჩარტები და მარკერები; • მცირე ჯგუფებისთვის სამუშაო სივრცე.
მომზადება	• გაამრავლეთ სახელმძღვანელოს გამარტივებული ვერსია და გაანაწილეთ მონაწილეები 7 მცირე ჯგუფში სამუშაოდ.

ინსტრუქციები

1. გააცანით მონაწილეებს ინტერნეტმომხმარებელთა ძირითადი უფლებების სახელმძღვანელოს ქვემოთ მოცემული აღწერილობის ან მოკლე ვერსიის გამოყენებით (გვ. 269)
2. აუხსენით მონაწილეებს, რომ იმუშავებენ სახელმძღვანელოს 7 სხვადასხვა თემაზე;
3. გაანაწილეთ მონაწილეები 7 მცირე ჯგუფში. მიეცით თითოეულს გამარტივებული სახელმძღვანელოს ერთი თემა (გვ. 117) და სთხოვეთ, წაიკითხონ;

ინტერნეტმომხმარებელთა ძირითადი უფლებების სახელმძღვანელო არის რეკომენდაციის ნაწილი, რომელიც ევროპის საბჭომ მიიღო 47 წევრი სახელმწიფოსთვის.

სახელმძღვანელო იმ განცხადებებისა და პრინციპების კრებულია, რომლებიც უკავშირდება ინტერნეტში ადამიანის უფლებებით სარგებლობას. იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საზოგადოების, განმანათლებლებისათვის და ახალგაზრდებისთვის, რადგან მათ აწვდის ინფორმაციას ინტერნეტსივრცეში ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებზე, მათ შესაძლო შეზღუდვებსა და დაცვის ხელმისაწვდომ საშუალებებზე.

სახელმძღვანელო არ ადგენს ახალ უფლებებს: ის ეყრდნობა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას, ევროპის საბჭოს სხვა კონვენციებთან ერთად, და ადამიანის უფლებათა დაცვის სხვა ინსტრუმენტებს.

სახელმძღვანელოში აღწერილია, თუ როგორ შეიძლება ადამიანის უფლებების განხორციელება და დაცვა შემდეგი მიმართულებებით: „ხელმისაწვდომობა და დისკრიმინაციის აკრძალვა“, „გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლება“, „შეკრების, გაერთიანებისა და მონაწილეობის უფლება“, „კონფიდენციალობა და მონაცემთა დაცვა“, „განათლება და წიგნიერება“, „ბავშვები და ახალგაზრდები“ და „დაცვის ეფექტიანი საშუალებები“.

სახელმძღვანელოში ყურადღება გამახვილებულია მომხმარებელთა, საჯარო მოხელეთა, ინტერნეტპროვაიდერთა და ონლაინკონტენტის მიმწოდებელთა პასუხისმგებლობაზე ინტერნეტში ადამიანის უფლებებით სარგებლობისას.

4. სთხოვეთ თითოეულ ჯგუფს, მოამზადოს მოკლე გამოსვლა, რომელშიც, წაკითხულ თემაზე დაყრდნობით, ისაუბრებს ადამიანის უფლებების შესახებ. სთხოვეთ ჯგუფებს, არ გაუმხილონ ერთმანეთს, რას ეხება მათი გამოსვლა;
5. მომზადებისთვის გათვალისწინებული 15 წუთის ამოწურვის შემდეგ, სთხოვეთ თითოეულ ჯგუფს, მოამზადოს პრეზენტაცია;
6. ყოველი პრეზენტაციის შემდეგ, რამდენიმე წუთი დაუთმეთ უკუკავშირს. სთხოვეთ დანარჩენ ჯგუფებს, გამოიცნონ, ადამიანის რომელი უფლებები იყო წარმოდგენილი;

7. მიეცით ჯგუფს ერთი წუთი და სთხოვეთ მის წევრებს, ახსნან, რისი გამოხატვა სურდათ წაკითხულის მიხედვით. დაწერეთ მათი მოსაზრებები ფლიპჩარტებზე;
8. გაიმეორეთ ეს ქმედება თითოეული გამოსვლისთვის;
9. გადადით შეჯამებაზე.

ჩაღრმავება

- როგორ მოგეწონათ ეს სავარჯიშო?
- რა გაიგეთ ახალი ამ აქტივობიდან თქვენი უფლებების შესახებ?
- არის თუ არა რაიმე განსხვავება ადამიანის უფლებებს შორის ინტერნეტსივრცეში და მის გარეთ?
- ვინ არის პასუხისმგებელი ამ უფლებების დაცვაზე ონლაინგარემოში?
- როგორ შეგვიძლია აღნიშნული უფლებების დაცვა ინტერნეტში? რისი გაკეთება შეგვიძლია ჩვენ? რა უნდა გააკეთოს მთავრობამ? რა უნდა მოიმოქმედონ ვებგვერდების მფლობელებმა?
- სახელმძღვანელოს შინაარსის გაცნობის შემდეგ, რას ურჩევდით ინტერნეტის სხვა მომხმარებლებს, თუკი წააწყდებიან ონლაინ სიძულვილის ენას?
- რა სახის დახმარების მიღება შეუძლია ადამიანს სახელმძღვანელოდან ონლაინ სიძულვილის ენასთან ბრძოლისას?

რჩევები ფასილიტატორებისთვის

- გაეცანით სახელმძღვანელოს სრულ ვერსიას შესავლისა და მონაწილეთა კითხვებისთვის მოსამზადებლად;
- სთხოვეთ მონაწილეებს, ყურადღება გაამახვილონ ძირითად იდეებზე, რომელთა წარმოდგენაც სურთ გამოსვლისას;
- ანალიზის დროს ყურადღება მიაქციეთ ფლიპჩარტებს ძირითადი იდეებით, რომლებიც მომზადებულია ჯგუფების გამოსვლების შედეგად. როდესაც მონაწილეები განიხილავენ საკუთარ როლებს ინტერნეტში ადამიანის უფლებათა გავრცელებასთან დაკავშირებით, სთხოვეთ, მოიყვანონ კონკრეტული მაგალითები, თუ რისი გაკეთება შეუძლიათ ახალგაზრდებს ინტერნეტში ყოველდღიური საქმიანობისას.

ადაპტირება

თუ ჯგუფს უჭირს გამოსვლის მომზადება, სთხოვეთ, დახატონ რის წარმოდგენასაც აპირებენ, ან თავიანთი იდეები გამოხატონ სხვა სათანადო და კრეატიული საშუალებით. შეგიძლიათ, ეს აქტივობა გამოიყენოთ ახალგაზრდების ინტერნეტთან მუშაობის მხარდასაჭერად: ისინი ისწავლიან ბლოგპოსტის მომზადებას, ინტერნეტ-ინსტრუმენტების გამოყენებით პოსტერების ან ვიზუალური მასალების დამზადებას, gif-ის ან ვიდეოს შექმნას.

იდეები მოქმედებებთან დაკავშირებით

შეგიძლიათ, თქვენს ჯგუფთან ერთად შეადგინოთ ძირითადი პუნქტების სია, თუ რა უნდა იცოდნენ ინტერნეტმომხმარებლებმა საკუთარი უფლებების შესახებ.

ასევე, იკითხოთ ჯგუფში ის ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომლებიც თქვენს ქვეყანაში იცავენ ადამიანის უფლებებს ინტერნეტსივრცეში.

აქტივობის შედეგად, მონაწილეებს შეუძლიათ მოქმედების გეგმების შემუშავება, რომელთა მეშვეობითაც თქვენს მეგობრებს, კლასელებსა და თანასკოლელებს შორის ამაღლდება ცნობიერება ინტერნეტში ადამიანის უფლებათა შესახებ.

NO HATE SPEECH MOVEMENT

დასარიგებელი მასალები

ინტერნეტმომხმარებელთა ძირითადი უფლებების სახელმძღვანელო

გამარტივებული ვერსია

ჯგუფი 1

ინტერნეტის ხელმისაწვდომობა და დისკრიმინაციის აკრძალვა

- ნებისმიერ ადამიანს უნდა ჰქონდეს წვდომა ინტერნეტთან, განურჩევლად სქესის, ასაკის, რასის, ფერის, ენის, რელიგიის ან სარწმუნოების, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, ეთნიკური კუთვნილების ან სექსუალური ორიენტაციისა.
- თუ ცხოვრობთ სოფელში ან გეოგრაფიულად მოშორებულ ადგილებში, გაქვთ დაბალი შემოსავალი და/ან ხართ სპეციალური საჭიროებებისა თუ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს, რომ გქონდეთ წვდომა ინტერნეტზე.

ჯგუფი 2

გამოხატვის თავისუფლება და ინფორმაციაზე წვდომის უფლება

- ნებისმიერ ადამიანს აქვს გამოხატვისა და ინფორმაციის გაცნობის უფლება ინტერნეტში. ეს უფლება შეიძლება შეიზღუდოს ისეთი შემთხვევაში, როცა გამოხატვა მოიცავს დისკრიმინაციას, სიძულვილს ან ძალადობას. შეიძლება დამალოთ საკუთარი ვინაობა ინტერნეტში (მაგ.: ფსევდონიმის გამოყენებით), თუმცა, რიგ შემთხვევებში, თქვენი ვინაობის დადგენას შეძლებს ხელისუფლება.

ჯგუფი 3

შეკრების, გაერთიანებისა და მონაწილეობის თავისუფლება

- ნებისმიერ ადამიანს აქვს უფლება, გაერთიანდეს სხვებთან და მშვიდად გამოხატოს პროტესტი ინტერნეტსივრცეში. შეგიძლიათ ნებისმიერი ინტერნეტინსტრუმენტის გამოყენება, რომ შეუერთდეთ რომელიმე სოციალურ ჯგუფს, ან მიიღოთ მონაწილეობა სოციალური ჯგუფისა თუ საჯარო პოლიტიკის დებატებში.

ჯგუფი 4

კონფიდენციალობა და მონაცემთა დაცვა

- ნებისმიერ ადამიანს აქვს ინტერნეტში პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცვის უფლება. ეს მოიცავს თქვენი პირადი კორესპონდენციისა და კომუნიკაციის კონფიდენციალობას ონლაინსივრცეში. პირადი ინფორმაცია ინტერნეტში უნდა გამოიყენოთ მხოლოდ მაშინ, თუ ამაზე წინასწარ შეთანხმდებით.
- საჯარო ხელისუფლება და კერძო კომპანიები ვალდებულნი არიან, პატივი სცენ კონკრეტულ წესებსა და პროცედურებს თქვენი პირადი მონაცემების დამუშავებისას.

ჯგუფი 5

განათლება და წიგნიერება

- ნებისმიერ ადამიანს აქვს ინტერნეტში განათლების, კულტურისა და ცოდნის მიღების უფლება.
- თქვენ უნდა მიიღოთ დახმარება უნარების განვითარების მხრივ, რათა გაიცნოთ და გამოიყენოთ სხვადასხვა ინსტრუმენტი ინტერნეტში, ასევე, შეამოწმოთ თქვენ მიერ გამოყენებული ინფორმაციისა და მომსახურების სიზუსტე და სანდოობა.

ჯგუფი 6

ბავშვები და ახალგაზრდები

- ბავშვებს და ახალგაზრდებს აქვთ სპეციალური დაცვისა და ხელმძღვანელობის უფლება ინტერნეტის გამოყენებისას.
- ინტერნეტის უსაფრთხო გამოყენებაზე ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ თქვენი მასწავლებლებისა და მშობლებისგან.
- თქვენ გაქვთ უფლება, ინტერნეტმომსახურებისა და ინფორმაციის მიმწოდებლებისგან ზუსტი ინფორმაცია მიიღოთ უკანონო შინაარსზე ონლაინში, ან ქცევაზე, რომელმაც შეიძლება დაგაზარალოთ.

ჯგუფი 7

დახმარება და მხარდაჭერა

- ნებისმიერ ადამიანს აქვს დახმარებისა და მხარდაჭერის მიღების, მათ შორის, სასამართლოში მისვლის უფლება, როდესაც ინტერნეტში მისი უფლებები არ არის დაცული.
- ინტერნეტპროვაიდერებმა (რომლებიც უზრუნველყოფენ წვდომას შინაარსზე ონლაინსივრცეში) უნდა გაცნობონ თქვენი უფლებები და დარღვევის შემთხვევაში, გასაჩივრების პროცედურები.
- თქვენი ციფრული ვინაობა, კომპიუტერი და მონაცემები, რომლებსაც ის შეიცავს, დაცულია უკანონო წვდომისგან, ქურდობისა და სხვა თაღლითობისგან.

NO HATE SPEECH MOVEMENT

ДОНЕ 2

ჯგუფი 10-20

დრო 60’

გაითამაშეთ კიდევ ერთხელ

ეს აქტივობა დაფუძნებულია როლურ თამაშზე: ერთ-ერთი მონაწილე ახორციელებს ბულინგს თანატოლთა ზეწოლის შედეგად; დანარჩენ მონაწილეებს სთხოვენ სცენარის გადათამაშებას განსხვავებული შედეგის მისაღებად.

თემები	კიბერბულინგი, დემოკრატია/მონაწილეობა, რასიზმი/დისკრიმინაცია
სირთულე	დონე 2
ჯგუფის სიდიდე	10-20
დრო	60 წუთი
მიზნები	• ბულინგის პროცესის გააზრება მონაწილეთა მიერ; • ბულინგის მსხვერპლთა მიმართ სოლიდარობისა და თანაგრძნობის ხელშეწყობა; • მონაწილეთა მხარდაჭერა, იმოქმედონ ბულინგისა და ონლაინ სიძულვილის ენის წინააღმდეგ.
მომზადება	• გამოავლინეთ 4 მოხალისე აქტივობის დაწყებამდე. სთხოვეთ, შეასრულონ მცირე როლი ჯგუფის დანარჩენი ნაწილისთვის (არაუმეტეს 5 წუთით). დაურიგეთ სცენარის ასლები, რათა მათ შეძლონ წინასწარ მომზადება. საჭიროების შემთხვევაში, დაეხმარეთ როლური სიტუაციის წარდგენის დაწყებაში; • გამოუყავით საკმარისი ადგილი როლების შესასრულებლად.

ინსტრუქციები

1. მოუყევით ჯგუფს, რომ აქტივობა დაიწყება მცირე როლების შესრულებით: წაიკითხეთ ხმამაღლა სცენარი, შემდეგ მონაწილეებს გააცანით მოხალისეები და მიიწვიეთ როლების შესასრულებლად.

სცენარი:

ალბერტი მშვიდი და თითქოს ცოტა „განსხვავებული“ ბავშვია. მას არ ჰყავს ბევრი მეგობარი და ხშირად ნერვიულობს, რომ კლასელებს იგი არ მოსწონთ. ზოგჯერ სულელობს, რომ გააცინოს ბავშვები და კარგადაც გამოსდის (მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებელს ხშირად არ მოსწონს ასეთი საქციელი).
ერთხელ, გაკვეთილების შემდეგ, როდესაც ალბერტი აცინებდა ბავშვებს,მიუახლოვდნენ დარეკი და ჯარედი - კლასის ყველაზე პოპულარული ბიჭები. სამივე იცინოდა მისი საქციელის გამო და შემდეგ ერთად წავიდნენ შინ. ალბერტი ძალიან ამაყობდა, რომ როგორც იქნა, მიიღეს.

2. ახლა დაიწყეთ როლური თამაში;
3. როლური თამაშის შემდეგ, ჰკითხეთ მონაწილეებს მათი რეაქციის შესახებ. თუ საჭიროა, დაიწყეთ რამდენიმე კითხვით, მაგალითად:
   - როგორ ფიქრობთ, სცენარი რეალისტურია?
   - რას ფიქრობთ ალბერტის საქციელზე?
   - თქვენი აზრით, როგორ იგრძნო თავი აჰმედმა?
4. სთხოვეთ მონაწილეებს, იფიქრონ, როგორ მოიქცეოდნენ ალბერტის ადგილზე. უთხარით, რომ როლები უნდა შეასრულონ კიდევ ერთხელ, მაგრამ ამჯერად უკეთესი იქნება, თუ სხვა მოხალისეებს მოიწვევთ და ნახავთ შედეგს აჰმედისა (და ალბერტის) როლების შესრულების შემდეგ.
5. დაიწყეთ როლების გათამაშება კიდევ ერთხელ (იმავე მოხალისეებით), მაგრამ გაჩერდით კონკრეტულ მომენტში და სთხოვეთ, ახალმა მოხალისემ ჩაანაცვლოს რომელიმე მოქმედი პირი. ამის გამეორება შეიძლება რამდენჯერმე, რათა მეტი ადამიანი ჩაერთოს აქტივობაში;
6. როლური თამაშის შემდეგ, სთხოვეთ მონაწილეებს, მოიფიქრონ, რისი გამოქვეყნება შეეძელო ალბერტს ინტერნეტში თავდაპირველი სცენარის ბოლოს, რომ დახმარებოდა სიტუაციის გამოსწორებას (მაგ.: ტვიტი, პირადი შეტყობინება, კომენტარი ან სხვა რამ). გადადით შეჯამებაზე.

ჩაღრმავება

დარწმუნდით, რომ მონაწილეები გამოვიდნენ როლებიდან. შეახსენეთ მათ, რომ კითხვებზე პასუხები უნდა გასცენ საკუთარი თვალთახედვით, და არა როლების შემსრულებელთა პოზიციიდან.

- რას ფიქრობთ ამ აქტივობის შესახებ?
- რის გამო შეუერთდა ალბერტი ჩაგვრას?
- რამდენად მარტივია ასეთ ზეწოლასთან შეწინააღმდეგება რეალურ ცხოვრებაში?

- ეს რომ ინტერნეტში მომხდარიყო? რა გამეორდებოდა? რა იქნებოდა განსხვავებული?
- ოდესმე გინახავთ პირად პროფილზე ან ზოგადად, ინტერნეტში ადამიანების წინააღმდეგ მიმართული ისეთი პოსტები, როგორიც ალბერტმა გამოაქვეყნა ამ სცენაში?
- რისი გაკეთება შეგიძლიათ ასეთი პოსტების შესაჩერებლად ან მათი გავლენის შესამცირებლად?
- რა ისწავლეთ ამ აქტივობიდან და შეგეცვალათ თუ არა შეხედულება დევნაზე?

რჩევები ფასილიტატორებისთვის

- აქტივობის დაწყებამდე, დარწმუნდით, რომ ფლობთ ინფორმაციას თქვენს ჯგუფში ნებისმიერ შესაძლო დაძაბულობაზე. შეგიძლიათ, შეცვალოთ სცენარი ისე, რომ მასში არ აისახოს უაღრესად უარყოფითი დამოკიდებულება ჯგუფის მონაწილეთა მიმართ (მაგ.: შეცვალოთ აჰმედის ეროვნება, ალბერტის კომენტარები, ან ქალების პერსონაჟები სცენარში);
- ყურადღებით აირჩიეთ მოხალისეები: შეეცადეთ, აირჩიოთ ისინი, ვისაც არ აქვს კავშირი სცენარში წამოჭრილ საკითხებთან. აუხსენით პირველ მოხალისეებს, რომ როლების გათამაშება არ უნდა გაგრძელდეს დიდხანს;
- როლების შესრულების შემდეგ ცოტა დრო დაუთმეთ მათ, ვისაც არ ჰქონდა მონაწილეობისა და საკუთარი წინადადებების წარდგენის საშუალება. სცენარის სამზე მეტჯერ გათამაშება მოსაწყენი გახდება, თუმცა შეგიძლიათ, მონაწილეებს სთხოვოთ შედეგის სხვა შესაძლო ვარიანტების აღწერა;
- თუ როლების შესრულება მონაწილეებს შორის ძლიერ ემოციებს გამოიწვევს, კარგი იქნება რაიმე მოკლე აქტივობის შესრულება შეჯამებამდე, რათა მათ მიეცეთ როლებიდან გამოსვლის შესაძლებლობა. როგორც წესი, საკმარისია, ვთხოვოთ თავიანთი სახელების ხმამაღლა წარმოთქმა, ან ფიზიკური სავარჯიშოს შესრულება;
- შეეცადეთ, არ მოახვიოთ მონაწილეებს საკუთარი შეხედულებები როლების მიმართ. ამის ნაცვლად, გამოიყენეთ კითხვები, რათა ისინი გაეცნონ განსხვავებულ მოსაზრებებს. მნიშვნელოვანია, მონაწილეებმა თავისუფლება იგრძნონ და გულახდილად ისაუბრონ საკუთარ დამოკიდებულებასა ან ქცევაზე, მათ შორის, ნებისმიერ სირთულეზე, რომელსაც წააწყდებოდნენ, თუკი არ ისურვებდნენ თანატოლების გავლენის ქვეშ მოქცევას.

ადაპტირება

როლების შესრულების ნაცვლად, მაგალითი შეიძლება გამოვიყენოთ პრაქტიკულ ნიმუშად, ალტერნატიული სცენარებით, რომლებიც განიხილება მცირე ჯგუფებში, ან მთლიანად მონაწილეებში.

იდეები მოქმედებებთან დაკავშირებით

სთხოვეთ მონაწილეებს შეტყობინებების შემუშავება ბულინგის ან კიბერბულინგის სამიზნის მხარდასაჭერად, ან შემოთავაზებების სიის შექმნა იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც „აიძულებენ“დევნაში ჩართვას. ასეთი შეტყობინებების გაზიარება შეიძლება სოციალური მედიის პლატფორმებზე ან სკოლის საკომუნიკაციო არხების საშუალებით.

შეიმუშავეთ მოქმედების გეგმა ისეთი მაგალითებისთვის, როდესაც მონაწილეები ინტერნეტში აწყდებიან კიბერბულინგს, როგორც სამიზნეები ან როგორც დამკვირვებლები. ჯგუფს შეუძლია დაწეროს პაქტი, რომ ყოველთვის მოახდენს რეაგირებას სამოქმედო გეგმის შესაბამისად, თუკი წააწყდება ონლაინბულინგს.

არაერთი ორგანიზაცია ან საიტი მუშაობს კიბერბულინგის საკითხებზე. დარწმუნდით, რომ მონაწილეები ფლობენ ინფორმაციას დახმარების სისტემებზე, რომლებსაც შეუძლიათ მიმართონ აქტივობის შემდეგ და საჭიროების შემთხვევაში. გამოიყენეთ ძიების სისტემა ადგილობრივი ინიციატივების მოსაძიებლად (ზოგადი ინფორმაციისთვის იხ: https://www.stopbullying.gov/cyberbullying/what-is-it და https://www.cybersmile.org).

დასარიგებელი მასალები (მოხალისეებისთვის)

ინსტრუქციები:

მოამზადეთ მოკლე როლური თამაში სცენარის ილუსტრირებისთვის. ის უნდა დაიწყოს იმ მომენტიდან, როდესაც ჯარედი და დერეკი მიუახლოვდებიან ალბერტს გაკვეთილების შემდეგ. აირჩიეთ, ვინ შეასრულებს დერეკის, ჯარედის, ალბერტისა და აჰმედის როლებს.

- დერეკი და ჯარედი - პოპულარული ბიჭები სკოლაში. ისინი დაიწყებენ ჩაგვრას;
- ალბერტი - ბიჭი, რომელსაც უჭირს ბავშვებთან დამეგობრება. მას მიიღებენ დერეკი და ჯარედი;
- აჰმედი - ახალი ბიჭი, წარმოშობით ეთიოპიიდან.

დაიწყეთ როლური თამაში აქედან:

დერეკი, ჯარედი და ალბერტი მიდიოდნენ შინ. წინ დაინახეს აჰმედი, რომელიც მარტო იყო. აჰმედი სხვა ქვეყნიდან არის და ახლახან გადმოვიდა კლასში. მას ზოგიერთი ბავშვი დასცინის, რადგან ცუდად საუბრობს სკოლაში მიღებულ ენაზე, მოსწავლეთა უმრავლესობასთან შედარებით პატარაა და აცვია გაცვეთილი ტანსაცმელი.

დერეკი და ჯარედი აუჩქარებენ ნაბიჯს, რათა დაეწიონ აჰმედს, ეძახიან ცუდ სიტყვებს, ექაჩებიან ჩანთაზე და ეკითხებიან, ყველას მისნაირად აცვია ეთიოპიაში თუ არა. ეუბნებიან, რომ დაწყებით კლასში უნდა იყოს, თუკი ვერ საუბრობს სკოლაში მიღებულ ენაზე.

ალბერტი თავს ძალიან ცუდად გრძნობს. დერეკი და ჯარედი თვალს არ აშორებენ, იწვევენ და ეკითხებიან, თუ რას ფიქრობს. ბოლოს ალბერტი აკეთებს, მისი აზრით, გონებამახვილურ კომენტარს ეთიოპიის მოსახლეობის შესახებ, რომელიც ცხოვრობს ხეებზე და საუბრობს მაიმუნების ენაზე. დერეკი და ჯარედი ბევრს იცინიან, მაგრამ ალბერტი ხედავს, რომ აჰმედი მოწყენილია და ეშინია ამ სამი ბიჭის.

შინ დაბრუნებული ალბერტი თავს ცუდად გრძნობს. მან იცის, რას ნიშნავს, როდესაც ბავშვები დაგცინიან, აჰმედს კი უთხრა ბევრად უარესი რამ, ვიდრე მისთვის ოდესმე დაუძახიათ. თუმცა, დერეკთან და ჯარედთან ერთად სიცილიც კარგი იყო და ძალიან აფასებს მათთან მეგობრობას. ალბერტი შევიდა ინტერნეტში და, დერეკი და ჯარედი მეგობრებში დაიმატა, შემდეგ კი თავის პროფილზე გამოაქვეყნა კომენტარი ეთიოპიის შესახებ.

დონე 1

ჯგუფი 10-16

დრო 60’

უფლებებისთვის რბოლა!

მოცემული აქტივობა ხელს უწყობს ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ძირითადი პრინციპების გაცნობას ჯგუფური თამაშის მეშვეობით. მონაწილეებმა, სიტყვების გარდა, ნებისმიერი საშუალებით უნდა წარუდგინონ გუნდის წევრებს სხვადასხვა უფლება.

თემები	ადამიანის უფლებები, რასიზმი და დისკრიმინაცია, კონფიდენციალობა/უსაფრთხოება
სირთულე	დონე 1
ჯგუფის სიდიდე	10 - 16
დრო	60 წუთი
მიზნები	• ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში (UDHR) მოცემული უფლებების გააზრება; • მსჯელობა ადამიანის უფლებების დაცვაზე ონლაინგარემოში; • კავშირების გააზრება ადამიანის უფლებებსა და ინტერნეტში გამოხატულ სიძულვილის ენას შორის.
მასალა	• უფლებების ამსახველი ბარათების ასლები (1 ასლი თითოეული ჯგუფისთვის); • პასუხის ფურცლების ასლები (5 ასლი); • ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის (UDHR) (მოკლე ვერსიის) ეგზემპლარები (ყველასთვის საკმარისი რაოდენობით); • ფლიპჩარტები და მარკერები (ნებაყოფლობით); • სივრცე 2 ან მეტი გუნდისთვის, ცალკე სამუშაოდ, იდეალურ შემთხვევაში სხვადასხვა ოთახში; • 2 ფასილიტატორი (იდეალურ შემთხვევაში).
მომზადება	• დაჭერით უფლებების და პასუხის ფურცლები; • შეიძლება გაამრავლოთ „ინსტრუქციები შემგროვებელთათვის“ ან დაამაგროთ ტექსტი მაგნიტურ დაფაზე/აჩვენოთ პროექტორზე.

ინსტრუქციები

სავარჯიშოს დაწყების დამატებითი ხერხი - არჩევითი (ისეთი ჯგუფებისთვის, რომლებიც არ არიან ინფორმირებულნი ადამიანის უფლებების შესახებ)

- ჰკითხეთ მონაწილეებს, როგორ ესმით ადამიანის უფლებები. დაწერეთ ვარიანტები ფლიპ-ჩარტებზე და, თუ საჭიროა, დასვით კითხვები, მაგალითად:
  - ვის შეუძლია ადამიანის უფლებებით სარგებლობა?
  - შეგიძლიათ, დაასახელოთ ადამიანის რომელიმე უფლება?
  - ვინ უნდა დაიცვას ადამიანის უფლებები?
  - საიდან წარმოიშვა ისინი?
  - გამოიყენება თუ არა ადამიანის უფლებები ინტერნეტში?
- მოკლედ მიმოიხილეთ ადამიანის უფლებები, მაგალითად:

ადამიანის უფლებები ეკუთვნის ყველას. ეს არის „კანონები მთავრობებისთვის“, რაც ნიშნავს, რომ მთავრობებმა უნდა დაიცვან ადამიანები უსამართლო მოპყრობის, შეურაცხყოფისა და ძალადობისგან. ადამიანის უფლებები ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან გვიცავს და გვასწავლის ისე მოქცევას, რომ არ დავარღვიოთ სხვათა უფლებები.

ძირითადი აქტივობა

- აუხსენით მონაწილეებს, რომ აქტივობა მოიცავს გუნდურ თამაშს, რომელიც შეახსენებს მათ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში დაცულ უფლებებს. განსაზღვრეთ თამაშის მიზანი და წესები (გვ. 128-129) და დაყავით ჯგუფი 5-8-კაციან გუნდებად. დაურიგეთ თითოეულ ჯგუფს შემდეგი მასალა:
  - UDHR-ის მოკლე შინაარსის ასლები;
  - 2 პასუხის ფურცელი;
  - ინფორმაცია იდეების შემგროვებლებისთვის, ან დაწერეთ ეს ფლიპჩარტებზე;
  - ფლიპჩარტები თითოეული გუნდისთვის და მარკერები (ნებაყოფლობით).
- თუ მონაწილეები არ არიან ინფორმირებულნი ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის შესახებ (UDHR), მიეცით ცოტა დრო სტატიების წასაკითხად, თუ ვერ გაიგებენ რომელიმე უფლებას, დაუსვით კითხვები;
- გადახედეთ წესებს (გვ. 128-129) და დარწმუნდით, რომ ისინი ყველასთვის გასაგებია. შემდეგ დაიწყეთ თამაში!
- როდესაც ერთი გუნდი გაიგებს ყველა უფლებას და დაუმთავრდება პასუხის ფურცლები, თამაში მთავრდება. სთხოვეთ მონაწილეებს, გააკეთონ კომენტარები და მიეცით დრო დასვენებისთვის. შეჯიბრის შემდეგ გამოიყენეთ ზოგიერთი ქვემოთ მოცემული კითხვა აქტივობის გასაანალიზებლად.

ჩაღრმავება:

თამაშის გააზრება:

- რომელი უფლებების გადმოცემა იყო ყველაზე რთული? რატომ?
- რა დასკვნების გაკეთება შეგიძლიათ კომუნიკაციის შესახებ: რატომ არის ხშირად რთული ერთმანეთის გაგება? ვისი ბრალია ეს: პირის, რომელიც „უფლების არსის გადაცემას“ ცდილობდა, „მსმენელის“ თუ ორივესი?
- რა ემოციები გაქვთ თქვენი გუნდის მიმართ ახლა? რას გრძნობთ სხვა გუნდის მიმართ?
- მოიფიქრეთ თამაშები, რომლებიც მოიცავს შეჯიბრს: რატომ ვემხრობით ამა თუ იმ გუნდს? რამდენად გონივრულია ეს საქციელი? შეგიძლიათ პარალელების გავლება რეალურ ცხოვრებასთან?

მოსაზრებები ადამიანის უფლებების შესახებ:

- იყო თუ არა რომელიმე უფლების გაგება რთული?
- როგორ ფიქრობთ, შეძლებთ რომელიმე ამ უფლების „გარეშე“ ცხოვრებას? თუ ასეა, რომლის?
- თქვენი აზრით, ეს უფლებები ინტერნეტსივრცეში ისევე უნდა იყოს დაცული, როგორც რეალურ სამყაროში? შეგიძლიათ გაიხსენოთ მაგალითები, სადაც ზოგიერთი ეს უფლება მნიშვნელოვანია ონლაინგარემოში?
- როგორ ფიქრობთ, დაცულია ადამიანის უფლებები ინტერნეტში?

მოსაზრებები სიძულვილის ენის შესახებ:

- მოკლედ ახსენით, რომ სიძულვილის ენა ნიშნავს სიძულვილის „გამოხატვას“ ჯგუფის ან მისი წევრისადმი, არასასიამოვნო და საწყენი ფორმით, რომელიც სავარაუდოდ, ძალადობრივ რეაქციას გამოიწვევს ჯგუფის წევრების მიმართ. სთხოვეთ, მოიყვანონ რამდენიმე მაგალითი;
- თამაშიდან რომელი უფლებების დაკავშირება შეიძლებოდა სიძულვილის ენასთან? რატომ?
- თქვენ რომ გამხდარიყავით ონლაინ სიძულვილის ენის სამიზნე, რომელი უფლებები დაგჭირდებოდათ ყველაზე მეტად?
- რისი გაკეთება შეიძლება ონლაინ სიძულვილის ენის წინააღმდეგ?

რჩევები ფასილიტატორებისთვის

- თამაში უფრო ეფექტიანი იქნება 2 ფასილიტატორის მონაწილეობით. მათ არ უნდა მისცენ იდეების შემგროვებლებს „არაოფიციალურ“ გამოცნობაზე რეაგირების შესაძლებლობა (მაგ.: თავის დაქნევით დადასტურება ან გამამხნევებელი გამოხედვა);
- მონაწილეებს შეუძლიათ, წყვილებში იმუშაონ უფლებების ასახსნელად. ეს მათ დაეხმარება საკუთარ უფლებებზე მსჯელობაში, თუმცა გაზრდის აქტივობის დროს;
- როდესაც ბარათების შემგროვებლები მოგიახლოვდებიან ახალი ბარათის მისაღებად, შეახსენეთ, რომ უნდა გადმოგცენ ნებისმიერი გამოყენებული პასუხის ფურცელი. შეამოწმეთ წარწერა ბარათებზე და საჭიროების შემთხვევაში, გადაეცით ახალი პასუხის ფურცელი.
- შეიძლება მოისურვოთ „გააზრების“ ერთ ან ორ სფეროზე კონცენტრირება, რათა საკითხები უფრო სრულად გამოიძიოთ. ნუ შეეცდებით ყველა კითხვის ამოწურვას!
- მოსაზრებები გუნდის „წევრობაზე“ შეიძლება გამოიყენოთ სხვა ჯგუფის წევრობის გასააზრებლად (მაგ.: სხვა ქვეყანა, ეთნიკური ჯგუფი). შეგიძლიათ გამოიკვლიოთ ემოციური კავშირი, რომლებიც ადამიანებს ხშირად აქვთ „საკუთარი ჯგუფის“ მიმართ და გამოიყენოთ რასიზმისა და დისკრიმინაციის საკითხების გამოსაკვლევად;
- თუ გექნებათ დრო ინტერნეტში ადამიანის უფლებათა განსახილველად, შეგიძლიათ, მონაწილეებთან ერთად გაეცნოთ ევროპის საბჭოს ინტერნეტმომხმარებელთა ძირითადი უფლებების სახელმძღვანელოს.

ადაპტირება

აქტივობა შეიძლება გულისხმობდეს ხატვას, დრამას ან ორივეს, როგორც აღწერილია ზემოთ მოცემულ ინსტრუქციებში.

იდეები ქმედებებთან დაკავშირებით

სთხოვეთ მონაწილეებს, მოძებნონ ინტერნეტში ახალი ამბების სტატია, რომელიც ასახავს ადამიანის უფლებათა დარღვევას. შეახსენეთ მათ, რომ ადამიანის უფლებების დარღვევა არ არის „ჩვეულებრივი“ დანაშაული: ეს გულისხმობს მთავრობის „უუნარობას“ ადამიანთა დაცვის თვალსაზრისით.

დასარიგებელი მასალები

გუნდური თამაში: თამაშის წესები

თამაშის მიზანი: უნდა გამოიცნოთ ყველა ადამიანის უფლების ბარათი სხვა გუნდ(ებ)ზე ადრე, ან დაამთავროთ თამაში დარჩენილი პასუხის ფურცელის ყველაზე დიდი რაოდენობით.

წესები:

- თითოეული გუნდის 1 წარმომადგენელი („შემგროვებელი“) ფასილიტატორისგან იღებს ადამიანის უფლების ბარათს. მათი დავალებაა, ბარათზე დაწერილი უფლება უსიტყვოდ მიანიშნონ თავიანთი გუნდის წევრებს. მათ უფლება აქვთ, დახატონ სურათები, გამოიყენონ ჟესტიკულაცია ან მიმიკა, მაგრამ არ შეუძლიათ სხვა სახის დამხმარე საშუალებების გამოყენება ბარათზე დაწერილი უფლების ასაწერად;
- გუნდის დანარჩენ წევრებს აქვთ UDHR-ის უფლებათა სია და უნდა გამოიცნონ, რომელი უფლებებია ასახული ბარათზე. ეს უნდა განიხილოს და შეათანხმოს მთლიანმა გუნდმა, „ოფიციალური“ ვერსიის დასახელებამდე. შეთანხმებული ვერსია გუნდმა უნდა დაწეროს ერთ-ერთ გამოსაცნობ ბარათზე და გადასცეს იდეების შემგროვებელს რეაგირებისათვის;
- თითოეული უფლებისთვის შეიძლება, მაქსიმუმ, 2 გამოსაცნობი ბარათის გამოყენება. ამის შემდეგ, ითვლება, რომ უფლება ვერ გამოიცნეს და მომდევნო შემგროვებელი მიდის ბარათის ამოსაღებად ფასილიტატორთან. მათ უნდა გადასცენ ნებისმიერი გამოსაცნობი ბარათი, რომელიც გამოიყენეს:

თუ პირველად გამოიცნობენ სწორად, გუნდს გადაეცემა 2 ახალი გამოსაცნობი ბარათი;

თუ მეორე ვერსია იქნება სწორი, მათ გადაეცემათ 1 ახალი გამოსაცნობი ბარათი;

თუ უფლებას ვერ გამოიცნობენ ვერცერთ ცდაზე, დამატებითი ბარათები არ გადაეცემათ.

- თითოეული ბარათის ამოსაღებად უნდა გაიგზავნოს სხვადასხვა შემგროვებელი. როდესაც ყველა მიიღებს მონაწილეობას, დაიწყება მეორე რაუნდი;
- თამაში სრულდება, როდესაც ერთი გუნდი ყველა ბარათს სწორად გამოიცნობს, ან მას დაუმთავრდება ბარათები.

დაიმახსოვრეთ!

- ყველა უფლება არ შედის თამაშში: UDHR-ში არის 30 სხვადასხვა უფლება, გამოსაცნობი ბარათი კი მხოლოდ 12-ია;
- თითოეული გუნდი იწყებს გამოცნობის მხოლოდ 20 რაუნდით. მათ უნდა ეცადონ პასუხების ნაყოფიერად გაცემა! თუ პირველებს დაუმთავრდებათ პასუხის ფურცელი, წაადებენ თამაშს.

ინსტრუქცია შემგროვებლებისთვის

როდესაც თქვენი ჯერია, იყოთ შემგროვებელი, არ უნდა ისაუბროთ! შეგიძლიათ, დახატოთ სურათები და გამოიყენოთ ჟესტიკულაცია ან მიმიკა, რათა დაეხმაროთ გუნდს, გამოიცნოს, რა არის მითითებული ბარათზე. შეეცადეთ, არ გამოიყენოთ სხვა დახმარება.

თუ გუნდი არჩევს „არაოფიციალურ გამოცნობას“ (არ დაწერს ვერსიას ბარათზე), არ უპასუხოთ! შეგიძლიათ, წაახალისოთ ისინი და თავი დაუქნიოთ, როცა სვამენ კითხვებს რაიმეს შესახებ (მაგ.: „თქვენ გვით იატაკს?“, „ციხეში ხართ?“, „ეს ნაყინია?“), მაგრამ არ ისაუბროთ ხმამაღლა!

დასარიგებელი მასალები

პასუხის ფურცელი

გამოსაცნობი ბარათი	გამოსაცნობი ბარათი
დაწერეთ თქვენი ვერსია აქ	*დაწერეთ თქვენი ვერსია აქ*
გამოსაცნობი ბარათი	გამოსაცნობი ბარათი
დაწერეთ თქვენი ვერსია აქ	*დაწერეთ თქვენი ვერსია აქ*
გამოსაცნობი ბარათი	გამოსაცნობი ბარათი
დაწერეთ თქვენი ვერსია აქ	*დაწერეთ თქვენი ვერსია აქ*
გამოსაცნობი ბარათი	გამოსაცნობი ბარათი
დაწერეთ თქვენი ვერსია აქ	*დაწერეთ თქვენი ვერსია აქ*
გამოსაცნობი ბარათი	გამოსაცნობი ბარათი
დაწერეთ თქვენი ვერსია აქ	*დაწერეთ თქვენი ვერსია აქ*
გამოსაცნობი ბარათი	გამოსაცნობი ბარათი
დაწერეთ თქვენი ვერსია აქ	*დაწერეთ თქვენი ვერსია აქ*

დასარიგებელი მასალები

ბარათები ადამიანის უფლებათა შესახებ

მუხლი 1:	**მუხლი 14:**
ყველა ადამიანს აქვს თანასწორი უფლებები.	ყველა დევნილ ადამიანს აქვს უფლება, ეძიოს თავშესაფარი სხვა ქვეყნებში.
მუხლი 2:	**მუხლი 18:**
არავინ უნდა გახდეს დისკრიმინაციის მსხვერპლი.	ყველა ადამიანს აქვს რელიგიის უფლება.
მუხლი 3:	**მუხლი 19:**
ყველა ადამიანს აქვს სიცოცხლის უფლება.	ყველა ადამიანს აქვს გამოხატვის თავისუფლება (უფლება, თქვას ის, რაც სურს).
მუხლი 5:	**მუხლი 20:**
არავინ უნდა გახდეს წამების მსხვერპლი.	ყველა ადამიანს აქვს მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების უფლება.
მუხლი 11:	**მუხლი 21:**
თითოეულ პირს, რომელსაც ბრალად ედება დანაშაულის ჩადენა, უფლება აქვს, ითვლებოდეს უდანაშაულოდ, ვიდრე მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად.	ყოველ ადამიანს აქვს თავისი ქვეყნის მართვა-გამგეობაში ხმის მიცემისა და მონაწილეობის უფლება.
მუხლი 12:	**მუხლი 27:**
ყველა ადამიანს აქვს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება.	ყველა ადამიანს აქვს უფლება, თავისუფ-ლად მონაწილეობდეს საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში.

დონე 3

ჯგუფი ნებისმიერი

დრო 60’

წესების გაცნობა

მონაწილეები განიხილავენ ვებგვერდის გამოყენების პირობებსა და წესებს და იღებენ შესაბამის ზომებს, რათა მის ოპერატორს შეატყობინონ მიუღებელი შინაარსის შესახებ. მონაწილეები განიხილავენ იმ უპირატესობებსა და ნაკლოვანებებსაც, რომლებიც ახლავს შეტყობინებას (დარეპორტებას), განსაკუთრებით, WEB 2.0 შესაძლებლობების თვალსაზრისით.

თემები	კამპანიის ორგანიზების სტრატეგიები, ინტერნეტწიგნიერება, დემოკრატია და მონაწილეობა
სირთულე	დონე 3
ჯგუფის სიდიდე	ნებისმიერი
დრო	60 წუთი
მიზნები	• ზოგიერთი საშუალების გაცნობა, რომელთა მეშვეობითაც რეგულირდება ინტერნეტში არსებული ინფორმაცია, მათ შორის, ონლაინ სიძულვილის ენის აკრძალვის წესები; • ზოგიერთი ცნობილი ვებგვერდით სარგებლობის წესებისა და პირობების განხილვა, ასევე, მათი შესაბამისობის შეფასება; • სიძულვილის ენის წინააღმდეგ საბრძოლველად ონლაინშეტყობინების გაგზავნის მექანიზმების განხილვა.
მასალა	• ინტერნეტში ჩართული კომპიუტერები; • კალმები და კითხვარები (გვ. 138-140).
მომზადება	• მოამზადეთ კითხვარის ასლი (გვ. 138-140). თქვენ დაგჭირდებათ თითო ასლი თითო ჯგუფისათვის (4 ადამიანი).

ინსტრუქციები

1. ჰკითხეთ მონაწილეებს, ვინ ადგენს ინტერნეტის წესებს. არსებობს კი რაიმე წესები? სად წერია მათ შესახებ?
2. გამოიყენეთ 136 - 138 გვერდზე მოცემული ინფორმაცია იმის ასახსნელად, რომ ინტერნეტში წესები არსებობს სხვადასხვა „დონეზე“: მაგალითად, წესები, რომლებიც დადგენილია ვებგვერდის მფლობელების (ან ჰოსტინგის პროვაიდერების) მიერ, ანდა ეროვნული კანონმდებლობითა თუ საერთაშორისო სამართლით (კერძოდ, ადამიანის უფლებების შესახებ). მოცემული აქტივობა ყურადღებას გაამახვილებს პირველ დონეზე, კერძოდ, ვებგვერდების მფლობელების მიერ დადგენილ წესებზე;
3. ჰკითხეთ მონაწილეებს, ხომ არ დაინტერესებულან ოდესმე იმ ვებგვერდების „წესებით“, რომლებითაც სარგებლობენ. გამოუყენებიათ თუ არა ისინი, მაგალითად, ვებგვერდის მფლობელის ინფორმირებისათვის შეურაცხმყოფელ კომენტარსა ან შეტყობინებაზე, როდესაც ამ წესების მიხედვით, იკრძალებოდა მსგავსი ქცევა? რომელიმე ოდესმე დაინტერესებულა ასეთი შესაძლებლობით, ან იმით, როგორ შეიძლება ამის გაკეთება?
4. ახსენინთ, რომ მომხმარებელთათვის „სარგებლობის წესები და პირობები“ თითქმის ყველა ვებგვერდზეა მოცემული. ეს წესები, ხშირ შემთხვევაში, ძალიან გამოსადეგი იარაღია, განსაკუთრებით, სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლისას, რადგან ბევრ ვებგვერდს ამ მიმართულებით დაწესებული აქვს აკრძალვები. პრობლემა ის არის, რომ ადამიანები ყოველთვის შესაბამისად ვერ იყენებენ ამ წესებს და არც მფლობელები უწევენ მუდმივ მონიტორინგს ვებგვერდების შინაარსს მათივე დადგენილი წესების მიხედვით;
5. მონაწილეები დაყავით 4-კაციან ჯგუფებად და თითოეულ გუნდს დაურიგეთ 138-140 გვერდზე მოცემული კითხვარის თითო ასლი. აუხსენით, რომ ყოველმა ჯგუფმა უნდა შეარჩიოს ერთი ვებგვერდი, რომლითაც ხშირად სარგებლობს და შეეცადოს, გადახედოს კითხვარს. საჭიროების შემთხვევაში, ჯგუფის წევრებთან ერთად სწრაფად გაიარეთ კითხვები, რათა მონაწილეებს წარმოდგენა შეექმნათ, რა უნდა მოძებნონ;
6. მონაწილეებს დავალების შესასრულებლად მიეცით 20 წუთი, შემდეგ კი უკან მოიხმეთ შეჯამებისათვის.

ჩაღრმავება

შეჯამება დაიწყეთ კითხვარის გავლით, რათა შეადაროთ მონაწილეთა აღმოჩენები.

- რაიმე მნიშვნელოვანი სხვაობა ხომ არ შეამჩნიეთ თქვენს შედეგებში (მაგ.: ნებადართულ შინაარსსა ან შეტყობინების სიმარტივესთან დაკავშირებით)?
- „სარგებლობის წესებისა და პირობების“ საუკეთესო მაგალითი ხომ არ მოუძიებია ვინმეს?
- რომელიმე ჯგუფს ხომ არ დაუფლებია განცდა, რომ „სარგებლობის წესები და პირობები“

სრულიად შეუსაბამო იყო, რადგან არ მოიცავდა ინფორმაციას სიძულვილის ენაზე, ანდა ეს წესები და შეტყობინების პროცედურა ხომ არ ერთულა?

- ახლა, როცა უკვე გაეცანით „სარგებლობის წესებსა და პირობებს“, როგორ ფიქრობთ, გაგზავნით შეტყობინებას ვებგვერდზე ნანახი შეურაცხმყოფელი შინაარსის შესახებ? პასუხი დაასაბუთეთ;
- რა მოხდება, თუ არავინ გაგზავნის შეტყობინებას შეურაცხმყოფელი შინაარსის შემცველ პოსტებზე?
- როგორც ვებგვერდით მოსარგებლე პირებს, შეგწევთ უნარი, გააუმჯობესოთ „სარგებლობის წესები და პირობები“ ან გაამკაცროთ მათზე დაკვირვება? როგორ მოახერხებთ ამას?
- კიდევ რისი მოფიქრება შეგიძლიათ შეტყობინების პროცედურის ეფექტიანობისათვის? მაგალითად: აქვს მნიშვნელობა იმას, ერთი ინტერნეტმომხმარებელი წარადგენს შეტყობინებას მიუღებელ შინაარსზე თუ 1000? რა შეიძლება მოხდეს, თუ კომპანია, რომელიც მოცემულ ვებგვერდზე ათავსებს რეკლამას, დაიმუქრება, რომ შეწყვეტს თანამშრომლობას ვებგვერდიდან შეურაცხმყოფელი ინფორმაციის ამოღებამდე?
- შეტყობინების პროცედურის გარდა, სხვა რა საშუალებების მოფიქრება შეგიძლიათ სიძულვილის ენაზე რეაგირებისათვის ინტერნეტში?

რჩევები ფასილიტატორებისთვის

- ვიდრე მონაწილეები საკითხის გამოკვლევას დაიწყებენ, შეგიძლიათ, მოიყვანოთ მაგალითი: აარჩიოთ ვებგვერდი და წარმოაჩინოთ „სარგებლობის წესებისა და პირობების“ მოძებნის პროცესი, ასევე შესაბამისი პუნქტების სწრაფად მოძიების გზები. გაითვალისწინეთ, შეიძლება ყველა ვებგვერდს არ ჰქონდეს „სარგებლობის წესები და პირობები“ ან სხვა სახელწოდებით იყოს წარმოდგენილი (მაგ.: „რეკომენდაციები მომხმარებელთათვის“ ან „შეტყობინების განთავსების რეკომენდაციები“). ასეთ შემთხვევებზე, მონაწილეებმა ინფორმაცია უნდა ჩაინიშნონ;
- შეგიძლიათ, მონაწილეებს შეურჩიოთ სხვადასხვა ვებგვერდი ან კვლევის დაწყებამდე გამოუყოთ რამდენიმე წუთი, რომ თვითონ გააკეთონ ეს არჩევანი. დარწმუნდით, რომ კარგი გვერდები შეარჩიეთ (მაგ.: სოციალური ქსელი; ახალი ამბების მთავარი სააგენტო; თამაშების საიტი; გვერდი, სადაც ვიდეოებს აზიარებენ და ა. შ.);
- კითხვარში მოცემული შენიშვნების განყოფილება შეიძლება გამოვიყენოთ სხვა ფაქტორების ჩასანიშნად (მაგ.: როცა ბმული მოცემულია საწყის გვერდზე; არსებობს საჩივრის ფორმა; მოწოდებულია ინფორმაცია, რომ ვებგვერდი საჩივრებს უპასუხებს წინასწარ განსაზღვრულ დროში და ა. შ.);
- შეახსენეთ მონაწილეებს, რომ „სარგებლობის წესები და პირობები“ საკმაოდ მოცულობითია, ამიტომ შეუძლიათ, საჭირო ინფორმაცია კონკრეტული სიტყვების მეშვეობით ეძებონ (მაგ.: „სიძულვილის ენა“, „შეურაცხყოფა“, „რასიზმი“ და სხვა);

- შესაძლოა, კითხვარის ერთად გადახედვაში ჯგუფმა დიდი დრო დაკარგოს. ზოგიერთი მონაწილისთვის ეს მოსაწყენიც იქნება. ამიტომ შეგიძლიათ, მონაწილეებს 5 წუთი გამოუყოთ თავიანთი კვლევის დასრულების შემდეგ, რომ დაწყვილდნენ მეორე ჯგუფთან და შეადარონ მიღებული შედეგები. შესაძლებელია ჯგუფებს შორის კითხვარების გაცვლაც, რათა მონაწილეები დისკუსიის დაწყებამდე გაეცნონ მათ;
- გაამახვილეთ მონაწილეთა ყურადღება იმაზე, რომ საჩივრის შედგენამდე, მნიშვნელოვანია ვებგვერდის წესების გაცნობა, თუმცა ეს არ ზღუდავს მათ, რომ გაასაჩივრონ ის, რასაც შეურაცხმყოფელად მიიჩნევენ და შესაბამისი რეაგირება არ მოჰყოლია ვებგვერდზე (ან არ ასახავს „სარგებლობის წესებს და პირობებს“). მაგალითისთვის, შეგიძლიათ, მონაწილეები გადაამისამართოთ სექსიზმის საწინააღმდეგო კამპანიაზე ფეისბუქში (იხ. ბმულები: www.bbc.co.uk/news/technology-22689522 და www.bbc.co.uk/news/technology-22699761);
- მონაწილეებს შეახსენეთ, რომ შეტყობინება არ არის ერთადერთი სტრატეგია ონლაინ სიძულვილის ენასთან საბრძოლველად და ხშირად ის შეიძლება არც ისე კარგი აღმოჩნდეს (იხ. თავი 5, კამპანიის სტრატეგიები სხვა საპასუხო საშუალებებთან მიმართებით);
- შესაძლოა, საინტერესო იყოს იმის გაცნობა, როგორ გამოიყენება ადამიანის უფლებები ონლაინგარემოში ინტერნეტმომხმარებელთა ძირითადი უფლებების სახელმძღვანელოს გამოყენებით.

ადაპტირება

მონაწილეებს შეუძლიათ, მცირე დრო დაუთმონ იმ საიტების ძიებასაც, რომლებიც შეარჩიეს სიძულვილის ენის გამოყენების ნიმუშად. ეს მათ დაეხმარება, რომ გაიაზრონ, რამდენად კარგად მუშაობს „სარგებლობის წესები და პირობები“ რეალურად. საიტზე ძიება მათ შეუძლიათ სიძულვილის შემცველი სიტყვების გამოყენებით, როგორიცაა: “ზანგი“, „პედერასტი“, „ბოზი“ და ა. შ. ეს მეტ დროს წაიღებს, მაგრამ გამოსადეგი მასალა იქნება შეტყობინების პროცედურისათვის, კერძოდ, ვებგვერდზე საჩივრის მოსამზადებლად.

არასათანადო შინაარსზე შეტყობინება ვებგვერდისთვის მოქმედების მხოლოდ პირველი ეტაპია, შემდეგი ნაბიჯი გახლავთ პირდაპირ სახელმწიფო სტრუქტურის ინფორმირება, რომელიც დისკრიმინაციის საკითხებზე მუშაობს ან პოლიციისთვის მიმართვა. შეგიძლიათ, წარმოადგინოთ ამ აქტივობის ვარიანტი და სთხოვოთ მონაწილეებს შეურაცხმყოფელ შინაარსზე საჩივრის შედგენა პოლიციის ან მათ ქვეყანაში არსებული შესაბამისი უწყებისათვის. ამასთანავე, რამდენიმე სახელმწიფოში წარმოდგენილნი არიან INACH-ის მსგავსი არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც შეტყობინების პროცედურებს იყენებენ (შეგიძლიათ, დამატებით მოიხმოთ True Vision-ის მაგალითი დიდ ბრიტანეთში: www.report-it.org.uk.)

იდეები მოქმედებებთან დაკავშირებით

თუ ზემოაღნიშნული „ვერსია“ არ გამოგიყენებიათ აქტივობის დროს, შეგიძლიათ, მონაწილეებს სთხოვოთ, უფრო საფუძვლიანად შეისწავლონ საკვლევად შერჩეული ვებგვერდები. მათ შეუძლიათ, გაანალიზონ სიძულვილის ენის მაგალითები, რომლებსაც ინტერნეტში წააწყდნენ, კერძოდ, დაასახელონ დაფიქსირებული შემთხვევების რაოდენობა, სამიზნე აუდიტორია და აღწერონ მათი სიმძიმე. თუ მონაწილეები ბევრ ასეთ შემთხვევას აღმოაჩენენ, მათ მიერ ჩატარებული ანალიზის შემდეგ, შესთავაზეთ მოქმედების ასეთი მიმართულებები:

- მაგალითების გამოქვეყნება და ანალიზი სიძულვილის ენის მონიტორზე (www.nohatespeechmovement.org/hate-speech-watch); სხვა აქტივისტებთან ერთად განხილვა, რა შეიძლება გაკეთდეს;
- გაუგზავნეთ ვებგვერდის მფლობელს ყველაზე ცუდი მაგალითები, შესაბამისი ანალიზით და ვებგვერდის წესებისა და პირობების გამოყენებით, რაც უფრო სარწმუნოს გახდის მონაწილეთა საჩივარს;
- თუ საიტი განეკუთვნება სოციალურ მედიას, მათ შეუძლიათ პროფილის შექმნა მასზე, სადაც გაასაჯაროებენ მიღებულ შედეგებს (იხ. www.nohatespeechmovement.org/hate-speech-watch და https://en-gb.facebook.com/WOH247);
- დაალაგეთ მაგალითები სიმწვავის მიხედვით (მიმართულებისთვის იხ. „უარესად თქმა“). შემდგომ განსაზღვრეთ სტრატეგიები სხვადასხვა შემთხვევისთვის (მაგ.: როგორ უნდა გაეცეს პასუხი მცდარ ინფორმაციაზე დაფუძნებულ შეტყობინებებს და მათ ავტორებს);
- გაეცანით ონლაინმექანიზმს სახელად EULAlyzer (www.brightfort.com/eulalyzer.html), რომელიც ინტერნეტმომხმარებლებს აძლევს „სარგებლობის წესებისა და პირობების“ გადამოწმების საშუალებას, რა დროსაც გამოიკვეთება საინტერესო ენა და ტერმინები, ამასთანავე, მოინიშნება ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელსაც უნდა იცნობდეს მომხმარებელი.

დასარიგებელი მასალები

ინტერნეტის გამოყენების მარეგულირებელი კანონები

ძირითადად, ინტერნეტის მფლობელები კერძო კომპანიები არიან. კერძო ბლოგის ჰოსტინგიც კი კერძო სერვერზე ხორციელდება. სერვერის მფლობელ კომპანიას შეუძლია, ბლოგზე გამოსაქვეყნებელ მასალაზე დააწესოს/არ დააწესოს გარკვეული შეზღუდვები! წესები, რომლებსაც ვებგვერდით მოსარგებლეები უნდა იცნობდნენ, ძირითადად მოცემულია „სარგებლობის წესებსა და პირობებში“. ეს უკანასკნელი კი შეიძლება რადიკალურად განსხვავდებოდეს ვებგვერდებზე.

გარდა ამისა, ინტერნეტმომხმარებლებსა და ვებგვერდთა მფლობელებს კანონები შეიძლება დაუწესონ მთავრობებმაც. ზოგიერთი მაგალითი მოიცავს კანონებს პირადი ცხოვრებისა და უსაფრთხოების ან მკვეთრად გამოხატული სიძულვილის ენის შესახებ. თუნდაც მთავრობას არ ჰქონდეს შემუშავებული კონკრეტული კანონი ინტერნეტში ადამიანთა უსაფრთხოების დაცვის შესახებ, მას ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი მაინც მოიცავს (იხ. მაგალითი ქვემოთ).

მაშასადამე, ინტერნეტი გარკვეულწილად სავაჭრო ცენტრს ან ღამის კლუბს წააგავს. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს კანონი, რომელიც ჯინსის ტარებას ან გარეთ მოუწესრიგებლად სიარულს ზღუდავს, შეიძლება მაინც ღამის კლუბის გარეთ აღმოჩნდეთ, თუკი მათი წესების მიხედვით ჯინსის ტარება არ არის ნებადართული. მსგავსად, ვებგვერდებსაც შესწევთ უნარი, საკუთარი პირობები შეიმუშაონ თავიანთ „კერძო სივრცეში“ და მაინც, ეს წესები უნდა შეესაბამებოდეს ქვეყნის საერთო კანონმდებლობას.

კ.უ. ფინეთის წინააღმდეგ (K. U. v. Finland)

1999 წლის მარტში, ინტერნეტში, გაცნობის საიტზე დაიდო განცხადება, რომელსაც თითქოს 12 წლის ბიჭი აქვეყნებდა. განცხადება შეიცავდა ბიჭის ვებგვერდზე გადასასვლელ ბმულს და ინფორმაციას, რომ ინტიმური ურთიერთობის მიზნით გაიცნობდა თავისი ასაკის ან ცოტა უფროს ბიჭს, რათა „მისთვის გზა ეჩვენებინა“. განაცხადის შესახებ ბიჭმა მას შემდეგ შეიტყო, როდესაც ელექტრონული შეტყობინება მიიღო დაინტერესებული მამაკაცისგან. სერვისის მიმწოდებელმა უარი განაცხადა შეტყობინების ავტორის დასახელებაზე, იმ მიზეზით, რომ ეს იქნებოდა კონფიდენციალობის დარღვევა. ფინურმა სასამართლოებმა დაადგინეს, რომ სერვისის მიმწოდებელს სამართლებრივად ვერ დაეკისრებოდა ინფორმაციის გასაჯაროების ვალდებულება.

აღნიშნული საქმე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილა, რომელმაც დაასკვნა, რომ ფინეთმა ვერ შეძლო თავისი მოვალეობის შესრულება, კერძოდ, ბავშვებისა და სხვა მოწყვლადი ადამიანების დაცვა. ამ განაცხადმა ინტერნეტში ბავშვი აქცია პედოფილების სამიზნედ, სახელმწიფომ კი ვერ დაიცვა მისი პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება (ევროპული კონვენცია, მუხლი 8)

დასარიგებელი მასალები

კანონთა წყება



კითხვარი

1. რამდენად მარტივია „სარგებლობის წესებისა და პირობების“ (შემდგომში სარგებლობის წესები) მოძებნა?

ძალიან მარტივი	საკმაოდ მარტივი	რთული	ძალიან რთული
○	○	○	○

შენიშვნები:

2. რამდენად მარტივია სარგებლობის წესების გაგება?

ძალიან მარტივი	საკმაოდ მარტივი	რთული	ძალიან რთული
○	○	○	○

შენიშვნები:

3. რამდენად გასაგებია ინფორმაცია საჩივრის შედგენასთან დაკავშირებით?

სრულიად გასაგები	საკმაოდ გასაგები	ნაკლებად გასაგები	ძალიან გაუგებარი
○	○	○	○

შენიშვნები:

4. რამდენად გასაგებია ინფორმაცია საჩივრის მიღების შემდეგ საპასუხო ქმედებაზე?

სრულიად გასაგები	საკმაოდ გასაგები	საკმაოდ რთული	ძალიან რთული
○	○	○	○

შენიშვნები:

სიძულვილის ენა

5. იყო თუ არა რაიმე ნათქვამი სარგებლობის წესებში სიძულვილის ენის შესახებ?

კი	არა	არ ვარ დარწმუნებული/ სხვა რამ
○	○	○

შენიშვნები: *თუ სარგებლობის წესებში დასახელებულია სხვა სახის შეურაცხყოფა (მაგ.: რასისტული, ჰომოფობიური ან სხვა), გთხოვთ, შესაბამისად მოინიშნოთ.*

6. ნახსენებია სადმე კიბერბულინგი?

კი	არა	არ ვარ დარწმუნებული / სხვა რამ
○	○	○

შენიშვნები:

შეუსაბამო შინაარსი

7. არის თუ არა საუბარი სარგებლობის წესებში შეუსაბამო შინაარსზე (მაგ.: ნებადართულია თუ არა საიტზე პორნოგრაფია)?

კი	არა	არ ვარ დარწმუნებული / სხვა რამ
○	○	○

შენიშვნები:

რეკომენდაციები მომხმარებელთათვის?

8. გვაწვდის თუ არა ვებგვერდი დამატებით რაიმე ინფორმაციას, რომ განვსაზღვროთ, რა სახის შინაარსია საიტზე წახალისებული (მაგ.: მოკლე აღწერილობა ყველაზე აქტიურ განყოფილებაში, როგორიცაა „ჩვენ შესახებ“, „შეტყობინების გამოქვეყნების რეკომენდაციები“ ან სხვა რამ)?

კი	არა	არ ვარ დარწმუნებული / სხვა რამ
○	○	○

შენიშვნები:

NO HATE SPEECH MOVEMENT

დონე 2

ჯგუფი 12-20

დრო 45’

ფესვები და ტოტები

მონაწილეები გამოიკვლევენ ინტერნეტში სიძულვილის ენის მიზეზებსა და შედეგებს, რისთვისაც ისარგებლებენ „პრობლემის ხის“ მეთოდით. ამ დავალების გამოყენება შესაძლებელია როგორც დამოუკიდებელ, ისე აქტივობა „X ჯგუფის“ შემდგომ აქტივობად.

თემები	რასიზმი/დისკრიმინაცია, ადამიანის უფლებები, კამპანიის ორგანიზების სტრატეგიები
სირთულე	დონე 2
ჯგუფის სიდიდე	12–20
დრო	45 წუთი
მიზნები	• ონლაინ სიძულვილის ენის გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების გაცნობიერება; • კავშირების განხილვა ინტერნეტსა და მის გარეთ არსებულ სიძულვილის ენას შორის; • მიდგომების ძიება ინტერნეტში გავრცელებული სიძულვილის ენის წინააღმდეგ, პრობლემის საფუძვლების შესწავლით.
მასალა	• ფლიპჩარტები და მარკერები.
მომზადება	• მონაწილეებისათვის დაამზადეთ ან ფლიპჩარტებზე დახატეთ „სიძულვილის ენის ხე“.

ინსტრუქციები

1. გააკეთეთ მცირე შესავალი ევროპის საბჭოს ახალგაზრდულ კამპანიაზე „მოძრაობა სიძულვილის ენის წინაღმდეგ“, თუ რა თქმა უნდა, ეს არის თქვენი აქტივობის საწყისი ნაბიჯი. მონაწილეთათვის სიძულვილის ენის შესავლის გასაცნობად გამოიყენეთ „უარესად თქმის“ აქტივობის 1 და 2 პუნქტები. შეგიძლიათ, მე-2 თავიდანაც გამოიყენოთ გარკვეული ინფორმაცია კამპანიის აღწერისათვის.

2. ახსენით შემდეგი: იმისთვის, რომ გავიგოთ ონლაინ სიძულვილის ენა და საპასუხოდ ვიმოქმედოთ, აუცილებელია, ის აღვიქვათ პრობლემად, რომელსაც კავშირი აქვს მრავალ საკითხსა და „რეალურ“ სამყაროსთან. კერძოდ, როდესაც ვებრძვით სიძულვილის ენას, მნიშვნელოვანია, მის ძირითად გამომწვევ მიზეზებზეც ვიმსჯელოთ. ამ საკითხზე ყურადღების გამახვილება ხშირად შესაძლოა უფრო ეფექტიანი იყოს, ვიდრე უშუალოდ სიძულვილის ენის მაგალითების განხილვა.
3. წარუდგინეთ მონაწილეებს „სიძულვილის ენის ხე“ და უთხარით, რომ ჯგუფებად იმუშავებენ, რათა დაადგინონ ონლაინ სიძულვილის ენის მიზეზები (ხის „ფესვები“) და ზოგიერთ შემთხვევაში, შედეგები (ტოტები).
4. მონაწილეებს აუხსენით, თუ როგორ მუშაობს ხე. თითოეული გრაფა ხეზე ზემოთ მიუძღვის მეორე გრაფას - კითხვაზე „რატომ“ პასუხის გაცემის გზით. ეს კი მნიშვნელოვანია როგორც „ტოტების“, ისე „ფესვებისთვის“. შეგიძლიათ, სიძულვილის ენის მაგალითი მოიხმოთ, რათა უკეთ შეძლოთ ამის ილუსტრირება (იხ. სასარგებლო ინფორმაცია ფასილიტატორებისთვის).
5. **„ფესვებისთვის“:** როდესაც მონაწილეები მუშაობენ ხის ფესვებზე, საკუთრივ სიძულვილის ენის გაანალიზებით იწყებენ, პასუხობენ შეკითხვას: „რატომ მოხდა ეს?“ მათ უნდა შეავსონ „ფესვები“ შეძლებისდაგვარად მეტი მიზეზის აღწერით. საილუსტრაციოდ დაუსახელეთ მაგალითი, როგორ შეიძლება ჰქონდეს ერთ „მიზეზს“ საკუთარი მიზეზები. მაგალითად, ჰკითხეთ, რატომ „საუბრობს ყველა უარყოფითად“ კონკრეტულ ჯგუფებზე. დაუსვით კითხვები, საიდან „ვსწავლობთ“ ნეგატივს კონკრეტულ ჯგუფებზე, რომელიც სიმართლე გვგონია (მაგ.: შეიძლება დასახელდეს მედია, საჯარო პირები, მძლავრი ცრურწმენები ან საზოგადოების ზოგადი უმეცრება).
6. **„ტოტებისთვის“:** აქ მონაწილეებმა უნდა გააანალიზონ იმ საკითხების შესაძლო შედეგები, რომლებიც მოცემულია ტოტების ქვეშ. ჰკითხეთ, რა ბედი შეიძლება ეწიოს იმ ინდივიდს ან ჯგუფს, რომელიც სიძულვილის ენის სამიზნეა; ასევე, რა შეიძლება მოჰყვეს ამ ამბავს.
7. დაყავით მონაწილეები ჯგუფებად და მიეცით ფლიპჩარტის ფურცელი თავიანთი ხის დასახატად. უთხარით, რომ დაწერონ შემდეგი ტექსტი (ან თავიანთი მაგალითი) ხის „ტანის“ ნაწილში და დაასრულონ იმდენი ტოტით და ფესვით, რამდენის გაკეთებასაც შეძლებენ. მათ უნდა წარმოიდგინონ, რომ ეს ტექსტი ინტერნეტშია გამოქვეყნებული:

   “X ჯგუფის წევრები ბინძური კრიმინალები არიან. ისინი ქურდობენ და აქ ყოფნის ღირსები არ არიან. აიძულეთ, აქედან წავიდნენ!“
8. მიეცით ჯგუფებს 15 წუთი, რომ დაასრულონ თავიანთ „ხეებზე“ მუშაობა. შემდეგ სთხოვეთ, წარმოადგინონ მიღებული შედეგები, ან გამოფინონ „ხეები“ ოთახში, რომ სხვებმაც შეძლონ მათი დათვალიერება.

შეჯამება

- რაიმე საინტერესო განსხვავებები ხომ არ აღმოგიჩენიათ ჯგუფების მიერ შედგენილ ხეებს შორის? გაქვთ შეკითხვები სხვა ჯგუფებთან?
- რამდენად მარტივი იყო სიძულვილის ენის ფესვების პოვნა? ახსენით ყველა სირთულე ან აზრთა სხვაობა, რომელსაც ჯგუფის წევრებს შორის წააწყდით.
- რომელიმე თქვენ მიერ დასახელებული ფესვი ან ტოტი ხომ არ გადასულა „რეალურ“ სამყაროში? რას გვეუბნება ეს ინტერნეტში სიძულვილის ენის შესახებ?
- დაგეხმარათ თუ არა ეს აქტივობა, რომ უფრო ღრმად გარკვეულიყავით აღნიშნულ პრობლემაში? რამდენად მნიშვნელოვნად მიგაჩნიათ ჩვენი მცდელობა, ვიპოვოთ გზები ინტერნეტში სიძულვილის ენის შესაჩერებლად?
- დაგეხმარათ მოცემული აქტივობა ამის მიღწევაში? როგორ გამოიყენებთ თქვენს „პრობლემების ხეს“ სიძულვილის ენის [თქვენი სამიზნე ჯგუფის წინააღმდეგ] შესამცირებლად?

იმისთვის, რომ აქტივობას მეტი პრაქტიკული ფოკუსი მიეცეს, შეგიძლიათ, რამდენიმე ჩანაწერი აიღოთ ფესვებიდან და განიხილოთ მათი გადაჭრის გზები (მაგ.: თუ მონაწილეებმა „ცრურწმენა“ ან „X ჯგუფის უმეცრება“ დაასახელეს ძირითად მიზეზებში, ჰკითხეთ, როგორ შეიძლება ამ პრობლემის გადაწყვეტა. აუხსენით, რომ კამპანიის დაგეგმვისას, ხშირად გამოიყენება „პრობლემების ხის“ მიდგომა, რათა გაანალიზდეს პრობლემა და დაისახოს მისი გადაჭრის გზები).

რჩევები ფასილიტატორებისთვის

- „პრობლემების ხე“ გავრცელებული მეთოდია საკითხის ღრმად გააზრებისათვის. უფრო ადვილი იქნება, თუ სხვადასხვა განცხადების დახმარებით ახსნით და ამ ფორმით წარადგენთ „ხეებს“ (მაგ.: „ახალგაზრდები უსაქმურები და ეგოისტები არიან. ისინი საზოგადოებისგან უნდა გადამალო მანამ, სანამ არ ჩამოყალიბდებიან ნორმალურ ადამიანებად“).
- როდესაც მონაწილეები თავიანთ „ხეებზე“ მუშაობენ, შეგიძლიათ, დასარიგებელი მასალის ასლები (A3 ზომის) მიაწოდოთ, ან სთხოვოთ, თვითონვე დახატონ ფლიპჩარტებზე. მეორე მეთოდი მათ მეტ შესაძლებლობას მისცემს ფესვებისა და ტოტების გასაფართოებლად, თუმცა შეიძლება უფრო რთული აღმოჩნდეს, ვიდრე განსაზღვრული რაოდენობის გრაფების შევსება. დარწმუნდით, რომ ჯგუფები გაითვალისწინებენ ზეგავლენას - როგორც ცალკეულ ადამიანებზე, ასევე საზოგადოებაზე.
- მონაწილეთა მიერ განსახილველ ტექსტში, „X ჯგუფი“ შეცვალეთ იმ ჯგუფით, რომელიც ყველაზე ხშირად ხდება საზოგადოების სამიზნე. შეგიძლიათ, კიბერბულინგის შემთხვევაც გამოიყენოთ და წარმოსახვითი სახელი დაარქვათ სამიზნეს.
- თუ ხედავთ, რომ მონაწილეებს გამორჩათ მნიშვნელოვანი მიზეზები და შედეგები, შეგიძლიათ, შეახსენოთ მათ შესახებ. ასევე, როდესაც ისინი თავიანთი ხეების ხატვით იქნებიან დაკავებულნი, მიაწოდოთ შემდეგი სახის სია (რის მერეც თვითონ გადაწყვეტენ, სიაში ჩა-

მოთვლილ რომელ ფაქტორებს ან მოქმედ პირებს აქვთ კავშირი მოცემულ პრობლემასთან და, შესაბამისად, „ხის“ რომელ ნაწილში უნდა განათავსონ ისინი):

- მედია;
- პოლიტიკოსები/საჯარო პირები;
- სიძულვილის ენა ინტერნეტსივრცის გარეთ;
- შეზღუდული ურთიერთკავშირი ჯგუფ X-სა და საზოგადოების დანარჩენ ნაწილს შორის;
- ზეწოლა თანატოლების მხრიდან;
- დისკრიმინაცია სამუშაო ადგილზე;
- ეკონომიკური ფაქტორები;
- სკოლები/განათლება.

• შეგიძლიათ, დამატებითი ინფორმაცია მოიძიოთ ინტერნეტში ადამიანის უფლებებზე, ინტერნეტმომხმარებელთა ძირითადი უფლებების სახელმძღვანელოს დახმარებით. კერძოდ, „ხელმისაწვდომობა და დისკრიმინაციის აკრძალვა“ წარმოდგენას გვიქმნის იმ პირის უფლებებზე, რომელიც სიძულვილის ენის სამიზნეა.

იდეები მოქმედებებთან დაკავშირებით

მონაწილეებს შეუძლიათ, აირჩიონ მათ მიერ გამოვლენილი ერთი მიზეზი და შეიმუშაონ ამ პრობლემის გადაჭრის სტრატეგია. ასევე, შეარჩიონ თითო აქტივობა ინტერნეტში და მის ფარგლებს გარეთ, რომლებსაც ჯგუფი განახორციელებს.

ინტერნეტში ადამიანის უფლებათა დასაცავად მეტი ინფორმაციის მისაღებად გაეცანით “მოძრაობა სიძულვილის ენის წინააღმდეგ” კამპანიის მიერ შემუშავებულ რესურსებს.

თუ მეტი ინფორმაცია გესაჭიროებათ ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით, თვალი გადაავლეთ კომპასს („ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო განათლება ადამიანის უფლებების შესახებ ახალგაზრდებთან ერთად“, www.coe.int/compass), სადაც ცალკე თავი ეძღვნება მოქმედების განხორციელებისთვის საჭირო ნაბიჯებს.

NO HATE SPEECH MOVEMENT

დასარიგებელი მასალები



დონე 1

ჯგუფი 12-20

დრო 45’

უარესად თქმა

აქტივობა ხელს უწყობს სიძულვილის ენის ძირითადი ასპექტების გაცნობას. მონაწილეები გეიების მიმართ სიძულვილის ენის მაგალითებს დაახარისხებენ ყველაზე „უარესის“ მიხედვით.

თემები	რასიზმი/დისკრიმინაცია, დემოკრატია/მონაწილეობა
სირთულე	დონე 1
ჯგუფის სიდიდე	10–25
დრო	45 წუთი
მიზნები	• ონლაინ სიძულვილის ენის სხვადასხვა ფორმის გაცნობიერება და მათი ზემოქმედების შეფასება; • მოქმედება გეიებთან დაკავშირებული სტერეოტიპებისა და ცრურწმენების წინააღმდეგ; • შესატყვისი პასუხების განხილვა ონლაინ სიძულვილის ენის სხვადასხვა შემთხვევასთან დაკავშირებით.
მასალა	• ბარათები (გვ. 151); • სივრცე მაგიდაზე ან იატაკზე, სადაც ჯგუფები ბარათების განთავსებას შეძლებენ.
მომზადება	• მოამზადეთ ბარათების თითო ასლი თითოეული ჯგუფისთვის (4-5 ადამიანი); • დაჭერით ბარათების სახით და ჯგუფებისთვის განსახილველად შეარჩიეთ 9 ან 12 ბარათი.

ინსტრუქციები

1. ჰკითხეთ მონაწილეებს, რას მიიჩნევენ ონლაინ სიძულვილის ენად, ან თუ ჰქონიათ ონლაინ სიძულვილის ენასთან დაკავშირებული შემთხვევა, მიმართული კონკრეტული პირის ან ჯგუფის წევრთა წინააღმდეგ (მაგ.: გეიები, შავკანიანები, მუსლიმები, ებრაელები, ქალები და ა.შ.). რას გრძნობენ ადამიანები, როდესაც ასეთი შემთხვევის წინაშე აღმოჩნდებიან? რას ფიქრობს ან განიცდის მსხვერპლი ამ დროს?
2. აუხსენით, რომ ტერმინი „სიძულვილის ენა“ გამოიყენება უფრო ფართო გაგებით:
   - მოიცავს „ენაზე“ მეტს და შეიძლება გამოყენება კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმის სახით (მაგ.: ვიდეოები, სურათები, მუსიკა და ა.შ).
   - შეიძლება გამოყენება როგორც უკიდურესად შეურაცხმყოფელი და მუქარის შემცველი საქციელის აღსაწერად, ასევე „ცალსახად“ აგრესიული კომენტარებისთვის. შესაძლოა, სიძულვილის ენის განსაზღვრების შესახებ არ არსებობდეს უნივერსალური შეთანხმება, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ის მოიცავს შეურაცხყოფას და ადამიანის უფლებათა ხელყოფას.
3. მონაწილეებს განუმარტეთ, რომ სიძულვილის ენაზე პასუხი ხშირად დამოკიდებულია შეფასების უნარზე, ანუ რამდენად „ცუდია“ მდგომარეობა: მიუხედავად იმისა, რომ ყველა სახის სიძულვილის ენა „ცუდია“, ზოგიერთი მაგალითი მოწმობს, რომ უარესიც შეიძლება არსებობდეს.
4. თუ მონაწილეებს „ბრილიანტების განლაგების სისტემაზე“ არ სმენიათ, უჩვენეთ, როგორ მუშაობს ის (იხ. დიაგრამა და განმარტებები „სასარგებლო რჩევებში ფასილიტატორებისთვის“). ახსენით, რომ მონაწილეებს დაურიგდებათ რამდენიმე მაგალითი ინტერნეტში გეიების წინააღმდეგ გამოქვეყნებულ შეტყობინებებზე, რომლებიც შეძლებისდაგვარად უნდა დაალაგონ „ნაკლებად ცუდიდან“ „ყველაზე ცუდისკენ“. „ყველაზე ცუდის“ მაგალითებად შეიძლება ჩაითვალოს ის შემთხვევები, რომელთა ნახვასაც მონაწილეები საერთოდ არ ისურვებდნენ ინტერნეტში.
5. მონაწილეები დაყავით ჯგუფებად და დაურიგეთ ბარათების ასლები.
6. მიაწოდეთ ინფორმაცია, რომ 20 წუთი აქვთ ბარათების განსახილველად და დასახარისხებლად. ამ დროის შემდეგ, მოიწვიეთ მონაწილეები სხვა ჯგუფების მიერ მომზადებული „ბრილიანტების“ სანახავად, ბოლოს კი - შესაჯამებლად.

შეჯამება

კითხვები აქტივობის შესახებ:

- როგორ მოგეწონათ მოცემული აქტივობა? რამდენად მარტივი იყო სხვადასხვა მაგალითის შეფასება?
- ხომ არ წააწყდით სერიოზულ აზრთა სხვადასხვაობას თქვენს ჯგუფში ან მნიშვნელოვანი განსხვავება ხომ არ შეგინიშნავთ თქვენი და სხვა ჯგუფების „ბრილიანტებს“ შორის?

- რაიმე კრიტერიუმით ხომ არ გიხელმძღვანელიათ იმის გადასაწყვეტად, რომელი შემთხვევა იყო „ყველაზე ცუდი“ (მაგ.: თუ გაითვალისწინეთ, ვინ აკეთებდა განაცხადს ან, სავარაუდოდ, რამდენ ადამიანს შეეძლო მისი ნახვა?

კითხვები ინტერნეტში სიძულვილის ენაზე რეაგირებასთან დაკავშირებით:

- როგორ ფიქრობთ, ნებადართული უნდა იყოს ამგვარი განცხადებები ინტერნეტში? რა არგუმენტები შეიძლება არსებობდეს ამის სასარგებლოდ/საწინააღმდეგოდ?
- თქვენი აზრით, სიძულვილის გამოხატვის „ყველაზე ცუდი“ ფორმების წინააღმდეგ სხვაგვარი წესები უნდა არსებობდეს? უნდა აიკრძალოს თუ არა რომელიმე სრულად?
- თუკი მიიჩნევთ, რომ ზოგიერთი ფორმა უნდა აიკრძალოს, სად გაავლებდით ზღვარს?
- როგორ მოიქცევით, თუ სიძულვილის ენის ამგვარ მაგალითს წააწყდებით ინტერნეტში?

კითხვები ჰომოფობიის შესახებ

- რატომ არიან სიძულვილის ენის გავრცელებული სამიზნეები ჰომოსექსუალები? შეგიძლიათ გამოსავალის მოძებნა ცრურწმენის დასაძლევად?
- მიგაჩნიათ, რომ სამართლიანია ვინმეს მიმართ ამგვარი მოპყრობა, თქვენი პირადი შეხედულებების მიუხედავად?

რჩევები ფასილიტატორებისთვის

- თქვენ უნდა ფლობდეთ ინფორმაციას ჯგუფში არსებულ მძლავრ ჰომოფობიურ დამოკიდებულებებზე, ასევე, მონაწილეებზე, რომლებიც შესაძლოა ამ აქტივობამ (ან სხვა მონაწილეებმა) გააღიზიანოს. თუ თვლით, რომ ასეთი რისკი არსებობს, უმჯობესია, დაიწყოთ ამ სახელმძღვანელოში მოცემული აქტივობით: „ფაქტების შემოწმება“ ან თვალი შეავლოთ ზოგიერთ აქტივობას (მაგ.: გენდერი მნიშვნელოვანია; ყველა განსხვავებული - ყველა თანასწორი).
- მეტი ინფორმაცია კამპანიაზე „მოძრაობა სიძულვილის ენის წინააღმდეგ“ შეგიძლიათ შეიტყოთ მე-2 თავიდან. ონლაინ სიძულვილის ენაზე ზოგადი ინფორმაციისთვის იხილეთ თავი 5.
- მეტი ინფორმაციის მოპოვება ინტერნეტში ადამიანის უფლებებზე შეგიძლიათ ინტერნეტ-მომხმარებელთა ძირითადი უფლებების სახელმძღვანელოში. კერძოდ, თავი „ხელმისაწვდომობა და დისკრიმინაციის აკრძალვა“ დეტალურ ინფორმაციას იძლევა უფლებაზე დისკრიმინაციისგან თავისუფალი ინტერნეტის შესახებ.
- „ბრილიანტების განლაგების სისტემა“ არის მეთოდი, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა შემთხვევის შესადარებლად „საუკეთესოსა“ და „ყველაზე ცუდის“ (ან „ცუდისა“ და „უარესის“) განსაზღვრის საფუძველზე. ბარათები დიაგრამაზე მოცემული სქემის მიხედვით უნდა განალაგოთ შემდეგი სახით:

- ნაკლებად ცუდი მაგალითი დიაგრამის ძირში უნდა განთავსდეს (1-ლი პოზიცია), ყველაზე ცუდი კი - თავში (მე-7 პოზიცია პირველ დიაგრამაზე, მე-5 პოზიცია - მეორეზე). დანარჩენი ბარათები სხვა მწკრივებში უნდა მოთავსდეს. ზედა რიგი განკუთვნილია ქვედაზე უარესი მაგალითებისთვის (მე-4 რიგის ბარათები უფრო ცუდია, ვიდრე მე-3 რიგის).



- ონლაინ სიძულვილის ენაზე მე-5 თავში მოცემული ინფორმაცია შეიცავს სიძულვილის ენის შეფასების „კრიტერიუმებს“:
  - გამონათქვამის **შინაარსი** ან **ტონი** - მოიცავს გამოყენებული ენის ტიპს;
  - **ადამიანის განზრახვა** - რომელიც განაცხადს აკეთებს (სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გულისხმობდა თუ არა იგი ვინმესთვის ტკივილის მიყენებას);
  - **სამიზნე აუდიტორია** - ნაკლებად რელევანტურია მოცემული აქტივობისთვის, რადგან სამიზნე აუდიტორია იგივეა;
  - **გამონათქვამის კონტექსტი** - მოცემულ შემთხვევაში, ეს შეიძლება გულისხმობდეს, რომ შემოთავაზებულია ჰომოფობიური კანონმდებლობა (მე-6 ბარათი), ან ქვეყანაში არსებობს ძლიერი ჰომოფობიური დამოკიდებულება;
  - **გავლენა** - სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როგორი ზეგავლენა შეიძლება ჰქონდეს განაცხადს ინდივიდსა ან სრულიად საზოგადოებაზე.
- ალბათ სურვილი გექნებათ, მეტი ინფორმაცია მიაწოდოთ მონაწილეებს გამოხატვის თავისუფლებაზე, როდესაც ისინი დაიწყებენ მოყვანილი მაგალითების განხილვას რეაგირების მიზნით. ამ თვალსაზრისით, ზოგად ინფორმაციას იპოვით მე-5 თავში, ასევე, ინტერნეტ-მომხმარებელთა ძირითადი უფლებების სახელმძღვანელოში, კერძოდ, თავში: „გამოხატვის თავისუფლება და ინფორმაცია“.

ადაპტირება

განლაგება შესაძლებელია სწორი ხაზის მეთოდითაც, „ბრილიანტის“ ფორმის ნაცვლად, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ერთ „რიგში“ ნებადართულია მხოლოდ ერთი ბარათი. ეს ოდნავ რთულია და შეიძლება მეტი დროც წაიღოს.

- შეგიძლიათ, 12-ვე ბარათი გამოიყენოთ, თუმცა ამას მეტი დრო დასჭირდება და შეიძლება „ბრილიანტის“ ფორმაც დაირღვეს. შეგიძლიათ, 9 ბარათი აარჩიოთ და გამოხშიროთ ისინი, რომლებსაც თქვენი ჯგუფისთვის ყველაზე ნაკლებად რელევანტურად ან გამოსადეგად მიიჩნევთ. მოცემული ორი დიაგრამა გვიჩვენებს, როგორ განლაგდება „ბრილიანტები“ ნებისმიერი არჩევანის შემთხვევაში.

იდეები მოქმედებებთან დაკავშირებით

- ონლაინ სიძულვილის ენის პრობლემის გადასაჭრელი მეთოდების განხილვისას, შეგიძლიათ, მონაწილეებს აჩვენოთ ჰომოფობიის, ბიფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ სამოქმედო კამპანიის რესურსების კრებული - მაგალითად, “სამოქმედო დღე - საერთაშორისო დღე ჰომოფობიის, ბიფობიის და ტრანსფობიის წინააღმდეგ”.
- შესაბამის თემებზე დამატებითი ინფორმაციის მისაღებად გაეცანით საგანმანათლებლო რესურსს: http://ifm-sei.org/publications-2/educational-resources/rainbow-resources/

NO HATE SPEECH MOVEMENT

დასარიგებელი მასალები

1. პირადი ელფოსტით მიწერა მეგობარს - როგორც „ხუმრობა“:

ჩვენ უნდა გავანადგუროთ გეიები!

2. ფეისბუქის გვერდზე დადო პეტიცია, ჰყავს 1000 „მეგობარი“:

აუკრძალეთ გეიებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა! მოაწერეთ ხელი, რომ ჩვენს პოლიტიკოსებს გავაგებინოთ!

3. ნეონაცისტურ საიტზე გამოქვეყნებული კომენტარი, რომელსაც 576-მა ადამიანმა მისცა ხმა:

ჰიტლერი სწორად იქცეოდა, გეიებს რომ გაზის კამერაში გზავნიდა.

4. ნაწყვეტი სიმღერიდან გეიების წინააღმდეგ. ონლაინვიდეოს 25 000 ნახვა აქვს:

გავანადგუროთ გეიები!

5. ინტერნეტგაზეთის რედაქცია უკმაყოფილებას გამოთქვამს ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით:

მხოლოდ ავადმყოფი საზოგადოება მიიჩნევს, რომ „ბუნებრივი“ მოვლენაა, იყო ჰომოსექსუალი.

6. ინტერვიუ შინაგან საქმეთა მინისტრთან, რომელიც ახალი კანონმდებლობის შეთავაზებაზე საუბრობს:

უნდა ვკონცენტრირდეთ გეიების განკურნებაზე და არა მათ მიღებაზე.

7. კომენტარი სტატიაზე, რომელიც დაწერილია ჰომოსექსუალი ჟურნალისტის მიერ:

თქვენი დ* მ******. ავადმყოფო *******

8. პირად ბლოგზე (რომელსაც რამდენიმე მკითხველი ჰყავს) განთავსებული ცნობილი ადამიანის სურათი, წარწერით:

გეია თუ გონებასუსტი? გეიების უმრავლესობა გონებასუსტია

9. ცნობილი ვებგვერდი, რომლის მიზანია გეიების გარიყვა; გამოქვეყნებულია ფოტო და სკოლის დასახელება.

ეს პიროვნება არის გეი და ბავშვებს ასწავლის სკოლაში! დაწერეთ საჩივარი აქ

10. ჰომოფობიური ვიდეო, სადაც საუბარია, რომ იყო გეი უფრო საშიშია (შიდსის გამო), ვიდრე მოწევა.

შენ მალე მოკვდები!

11. პოლიტიკოსის მიერ გამოქვეყნებული შეტყობინება Twitter-ზე, რომელსაც 350 000 მიმდევარი ჰყავს:

ჩემი ძველი სკოლიდან არცერთ გეის არ მიუღწევია წარმატებისათვის ცხოვრებაში.

12. მულტფილმში უჩვენებენ სტერეოტიპულ „გეის“ რქებითა და კუდით:

ჰომოსექსუალები დემონების მიერ არიან შეპყრობილნი.

დონე 1

ჯგუფი
12 ან მეტი

დრო
45’

არსში გარკვევა

აქტივობის მიზანია საზოგადოებაში კონკრეტული ჯგუფების მიმართ არსებული ცრურწმენების გამოვლენა „აკვარიუმის დისკუსიის“ მეთოდით; ასევე, მონაწილეთა წახალისება, რომ კრიტიკულად იმსჯლონ ამ წარმოდგენებზე და შეიმუშაონ არგუმენტები სიძულვილის ენის წინააღმდეგ.

თემები	კამპანიის სტრატეგიები, რასიზმი და დისკრიმინაცია, ინტერნეტწიგნიერება
სირთულე	დონე 1
ჯგუფის სიდიდე	12 ან მეტი
დრო	45 წუთი
მიზნები	• რეფლექსია კონკრეტული ჯგუფების მიმართ არსებულ პირად ცრურწმენებსა და ნეგატიურ სტერეოტიპებზე; • არგუმენტების შემუშავება ინტერნეტში გავრცელებული სიძულვილის შემცველი გამონათქვამების წინააღმდეგ და შესაბამისი პასუხების მოძიება; • საზოგადოების მიერ გარიყულ ჯგუფებზე არსებული ცრურწმენების აღმოფხვრა და მათ მიმართ თანაგრძნობის, ემპათიისა და გაგების ხელშეწყობა.
მასალა	• 3 სკამი; • სივრცე მონაწილეებისთვის, წრეზე დასასხდომად და ირგვლივ სამოძრაოდ; • მცირე ზომის ფურცლები და კალმები; • ქუდი (ან მცირე ზომის კონტეინერი).

მომზადება	• დაჭერით გარკვეული რაოდენობის ქაღალდის ფურცლები მცირე ზომებად, ისე, რომ ჯგუფის ყველა წევრს, დაახლოებით, 2 ცალი შეხვდეს (ნაწილი დაიტოვეთ რეზერვში); • ყურადღებით იყავით, რომ ჯგუფის წარმომადგენლებიდან რომელიმე არ მოხვდეს საერთო „სამიზნე ჯგუფში“. თუ თვლით, რომ შეიძლება სირთულეებს წააწყდეთ, წინასწარ გაიყვანეთ ცალკე ასეთი მონაწილეები და აუხსენით აქტივობის არსი. უთხარით, რომ ისინი საჭირო რესურსს წარმოადგენენ ჯგუფისთვის და დარწმუნდით, რომ აქტივობისას თავს უხერხულად არ იგრძნობენ; • სასარგებლო იქნება რამდენიმე პასუხის მომზადება მონაწილეთა გარკვეული ცრურწმენების გასაქარწყლებლად.

ინსტრუქციები

სავარჯიშოს დაწყების შესაძლებელი გზა (არჩევითი)

1. ფლიპჩარტზე/სლაიდზე დადეთ ქვემოთ მოყვანილი გამოგონილი განაცხადებები, სათაურად კი წაუმძღვარეთ „ნამდვილი ფაქტები“, ისე, რომ ყველა მონაწილემ შეძლოს მათი წაკითხვა. შეგიძლიათ, რაიმე მიამატოთ სიას.

ნამდვილი ფაქტები:

- ყველა ემიგრანტი რომ დაბრუნდეს საკუთარ ქვეყანაში, საკმარისი სამუშაო იქნებოდა ყველასათვის;
- ონლაინთამაშებში გოგოები არ არიან ისეთი კარგები, როგორიც ბიჭები;
- მეცნიერულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ევროპელებს უფრო პატარა ტვინი აქვთ, ვიდრე აზიელებს;
- იყო გეი, დაავადებაა, რისი განკურნებაც შესაძლებელია.

2. ჰკითხეთ მონაწილეებს მათ რეაქციებზე. რამდენიმე პასუხის შემდეგ უთხარით, რომ ყველა განცხადება გამოგონილია და მცდარი, შემდეგ ისევ გამოიკითხეთ მათი რეაქციები და მოკლედ გააანალიზეთ, რატომ დაიჯერეს მონაწილეებმა ეს განაცხადები (თუ, რა თქმა უნდა, ასეა).
3. ჰკითხეთ მონაწილეებს, თუ წაუკითხავთ ინტერნეტში ისეთი რამ, რომელზეც იცოდნენ, რომ სცირუე იყო, ან ამის დაზუსტების სურვილი გასჩენიათ. რა მოიმოქმედეს ამ თვალსაზრისით?

ძირითადი აქტივობა

4. მონაწილეებს აუხსენით, რომ ხშირ შემთხვევაში სიძულვილის ენას და რასისტულ განწყობებს გულგრილობა იწვევს. ხალხს სჯერა (ან დააჯერეს) გარკვეული ინფორმაცია იმ ადამიანთა ჯგუფებზე, რომლებსაც პირადად არასდროს შეხვედრიან ცხოვრებაში ან თვლიან, რომ ერთი ადამიანის მიერ გავრცელებული ინფორმაცია მთელ ჯგუფს ეხება. როდესაც ამგვარი წარმოდგენები განიხილება ფართოდ და მსჯელობა ყოველგვარი კამათის გარეშე სრულდება, სწორედ მაშინ იღებენ მათ „ფაქტად“. შეიძლება დაგვავიწყდეს, სად მოვისმინეთ ესა თუ ის მოსაზრება, რომ ის იყო მცდარი ან უბრალოდ, სხვისი აზრი და დავიჯეროთ, როგორც სიმართლე;
5. მონაწილეებს მიაწოდეთ ინფორმაცია, რომ ყველას შეუძლია მნიშვნელოვანი როლის შესრულება იმ „ფაქტების“ ეჭქვეშ დაყენებით, რომლებსაც წააწყდებიან ინტერნეტში. მხოლოდ კითხვის დასმაც კი - რატომ ? ან ახსნა: რატომ არა ? - ძალიან მნიშვნელოვანი ქმედებაა, რომლის განხორციელებაც ყველას შეგვიძლია ცრუ ან ბოროტი იდეების შესაჩერებლად. ეს საუკეთესო გზაა საკუთარი მოსაზრებების ჩამოსაყალიბებლადაც;
6. მონაწილეებს აუხსენით, რომ ეს აქტივობა შეეცდება, გამოავლინოს ზოგიერთი უარყოფითი „ფაქტი“ ან აზრი გარკვეულ ჯგუფებთან მიმართებით, დღეისათვის ფართოდ მიღებული საზოგადოებაში. მონაწილეები, ჯგუფის ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით, შეეცდებიან არგუმენტების შემუშავებას გავრცელებული სტერეოტიპების „დასამსხვრევად“. მათ უნდა გააცნობიერონ, რომ ეს არის შესაძლებლობა, უკეთესად გაიგონ პრობლემის არსი და გააზიარონ თავიანთი ცოდნა/გამოცდილება;
7. დაარიგეთ ქაღალდის ფურცლები, 2 ცალი თითოეული მონაწილისათვის, დანარჩენი კი საერთო სათავსოში ჩადეთ და აუხსენით, რომ, საჭიროების შემთხვევაში, შეუძლიათ დამატებით აღებაც. მონაწილეებს სთხოვეთ, ნებისმიერი უარყოფითი აზრი ან განაცხადი დაწერონ, როგორც კონკრეტულ ჯგუფებზე მოსმენილი „ფაქტი“, რომლის განხილვაც სურთ ახლა. მოიყვანეთ, რამდენიმე მაგალითი:
   - ადამიანები უნდა ცხოვრობდნენ საკუთარ ქვეყნებში და არ გადაადგილდებოდნენ პლანეტის გარშემო;
   - ქალის ადგილი სახლშია: მათ უნდა შეწყვიტონ სამუშაოების წართმევა მამაკაცებისთვის;
   - დროა, ბოშებმა იმ ქვეყნის ჩვეულებების მიხედვით იცხოვრონ, რომელშიც იმყოფებიან.
8. მონაწილეებს უთხარით, რომ აუცილებელი არ არის, თვითონ დაიჯერონ ეს განცხადებები. უბრალოდ, უნდა მოიფიქრონ პასუხები ზოგადად გავრცელებულ „წარმოდგენებზე“. ფურცლები არ უნდა იყოს მონიშნული და დასრულების შემდეგ, უნდა მოთავსდეს ქუდში ან კონტეინერში;
9. ჯგუფის წინ დადგით სამი სკამი, ნახევრად წრიულ მდგომარეობაში. მხოლოდ ის პირები ჩაერთვებიან დისკუსიაში, რომლებიც ერთ-ერთ სკამზე დასხდებიან. ჯგუფის დანარჩენი წევრები დამკვირვებლები იქნებიან.

10. მონაწილეებს აუხსენით, რომ 3 მოხალისეს მოიხმობთ დისკუსიაში ჩასართავად. თუ რომელიმე ეტაპზე ვინმე გადაწყვეტს საუბართან შეერთებას, შეგიძლიათ, მისცეთ ამის უფლება. თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ მხოლოდ 3 მოსაუბრე წარმართავს მუდმივად დისკუსიას, ერთ-ერთმა ადგილი უნდა გაუცვალოს ახალ მსურველს. მსურველი უნდა გავიდეს წინ და ფრთხილად დაადოს ხელი ერთ-ერთ მოსაუბრეს მხარზე. ისინი გაცვლიან ადგილებს და პირველი მოსაუბრე გახდება დამკვირვებელი;
11. წაახალისეთ მონაწილეები საკუთარი ან თუნდაც, სხვისი აზრების გამოსათქმელად. ამ გზით წარმოიშვება საწინააღმდეგო, „არაპოლიტკორექტული“ ან წარმოუდგენელი აზრების წყება, რაც საკითხის ღრმა განხილვას შეუწყობს ხელს და წარმოაჩენს მრავალ სხვა პერსპექტივას. შეურაცხმყოფელი ან საზიანო კომენტარები ჯგუფის წევრების მიმართ დაუშვებელია;
12. ერთ-ერთ მოხალისეს სთხოვეთ, აარჩიოს შეკითხვა ქუდიდან და დაიწყეთ მისი განხილვა. განაგრძეთ დისკუსია, ვიდრე მონაწილეები ბოლომდე არ ამოწურავენ საკითხს და არ დაიწყებენ გამოთქმული მოსაზრებების გამეორებას. შემდეგ მოიხმეთ 3 მოხალისე მომდევნო საკითხის განსახილველად და დაიწყეთ დისკუსიის მორიგი რაუნდი, იმავე წესების დაცვით;
13. განიხილეთ იმდენი საკითხი, რამდენსაც მოასწრებთ მოცემულ დროში. შემოინახეთ მცირე დრო დისკუსიის ბოლოს, რომ „შენელდეს“ განხილვა და მონაწილეებმა მოახერხონ აქტივობის სრულად გააზრება.

შეჯამება

გამოიყენეთ შემდეგი შეკითხვები, რათა მონაწილეებმა გააანალიზონ აქტივობის ზეგავლენა მათ შეხედულებებზე (ან მიაწოდეთ არგუმენტები, ცრურწმენის მაგალითების საპირწონედ):

- ხომ არ შეიტყო რომელიმე თქვენგანმა ისეთი რამ, რაც აქამდე არ იცოდა?
- რომელიმეს შეხედულება ხომ არ შეცვლილა კონკრეტულ ჯგუფსა ან საკითხზე?
- გრძნობთ, რომ უფრო მეტად შეგიძლიათ ცრურწმენებთან დაკავშირებულ დისკუსიაში ჩართვა? როგორ ფიქრობთ, შეგიძლიათ ასე მოქცევა ინტერნეტში ან მის გარეთ? პასუხი დაასაბუთეთ;
- როგორ შეძლებთ ამგვარ დისკუსიაში ჩართვას ინტერნეტში? რა იქნება მსგავსი? რა იქნება განსხვავებული?

რჩევები ფასილიტატორებისთვის

- აუცილებელია, იცოდეთ, რა დამოკიდებულებები არსებობს ჯგუფში ან რა სენსიტიური ასპექტებია სახეზე, რომ მათზეც მიაწოდოთ ინფორმაცია მონაწილეებს დისკუსიის დროს გასათვალისწინებლად;
- შესაძლოა, იყოს რამდენიმე ისეთი შეკითხვა ან განაცხადი, რომლებზეც მონაწილეებს ან თქვენ პირდაპირი რეაგირება არ შეგიძლიათ. დაწერეთ ეს ფლიპჩარტებზე და კარგად

გაიაზრეთ შემდგომში უკუკავშირისთვის, ანდა მონაწილეებს დაუნაწილეთ შესასწავლად და უკუკავშირის მოსამზადებლად;

- თუ 3 მოსაუბრე ვერ ახერხებს არგუმენტების მოძიებას ცრურწმენის შემცველი განცხადებების წინააღმდეგ, თავისუფლად შეგიძლიათ, შეუერთდეთ დისკუსიას. ძალიან ხშირად ნუ მოიქცევით ასე: სასარგებლო იქნება, თუ საუბარს დროდადრო შეაწყვეტინებთ და სხვებსაც ჰკითხავთ ჯგუფში, რაიმე ალტერნატიული აზრის შეთავაზება ხომ არ შეუძლიათ;
- მნიშვნელოვანია, დისკუსია დარჩეს ღია, რათა მონაწილეებმა თავისუფლება იგრძნონ იმ შეხედულებათა გამოხატვისას, რომლებსაც თავისთვის ინახავენ ან რომლებიც წინააღმდეგობრივად მიიჩნევა, მაგრამ, ამის მიუხედავად, ჩვეულებრივად ტირაჟირებულია მედიასა და ფართო საზოგადოებაში. ამავდროულად, საუბარი არ უნდა გადაიქცეს უარყოფითი სტერეოტიპების ულმობელ და გაუმართლებელ გამეორებად. წაახალისეთ მონაწილეები, რომ განსაზღვრონ გამოკითხვის ტონი და შეძლებისდაგვარად ემოციურად გააკეთონ კომენტარები, თუნდაც კონკრეტულ ჯგუფზე უარყოფითი აზრის გამოთქმისას. საჭიროების შემთხვევაში, მათ მიაწოდეთ რამდენიმე ფორმულირება, მაგალითად:
    - „მსმენია, რომ ...“
    - „ზოგი ადამიანი ფიქრობს, რომ...“
    - „ხომ ვერ დამეხმარებით, გავიგო..?“
    - „რატომ შეიძლება იყოს ეს მოსაზრება მცდარი?“
    - წაახალისეთ ყველა მონაწილე, რომ რაღაც ეტაპზე შეუერთდნენ განხილვას.

ადაპტირება

მონაწილეთაგან კითხვების შეგროვების შემდეგ, უმჯობესი იქნება, დისკუსიაში ჩართვამდე, მისცეთ დრო ზოგიერთი კომენტარის გასაანალიზებლად. შეიძლება დარიგდეს კითხვები/განაცხადები, მონაწილეებს კი სთხოვოთ მოკლე არგუმენტების მომზადება კონკრეტული საკითხის საპასუხოდ. შედეგად, დისკუსიამ, ზოგადი ცნობიერების თვალსაზრისით, შედარებით მაღალ დონეზე უნდა გადაინაცვლოს.

ამ აქტივობის ორგანიზება შესაძლებელია სერიების სახითაც (მაგ.: ცალკეული ცრურწმენის შერჩევა, რომელიც საზოგადოების კონკრეტულ ჯგუფზე ახდენს ზეგავლენას). შეგიძლიათ, ყოველ ჯერზე გუნდის მოხალისეებს სთხოვოთ ინფორმაციის მომზადება კონკრეტულ ჯგუფის შესახებ საკუთარ ქვეყანაში ან ეს თვითონ გააკეთოთ.

იდეები მოქმედებებთან დაკავშირებით

- მონაწილეებს შეუძლიათ, მოამზადონ საინფორმაციო ვიდეოები, რომელშიც წარმოდგენილი იქნება ფართოდ გავრცელებული მოსაზრებებისაგან განსხვავებული, ალტერნატიული ინფორმაცია;

- შეგიძლიათ, წაახალისოთ მონაწილეები, რომ შეისწავლონ საკითხები, რომელთა სრულად დაფარვაც ვერ მოხერხდა დისკუსიის დროს, შემდეგ კი გაუზიარონ ეს ინფორმაცია ჯგუფს;
- მათ შეუძლიათ, აქტივობა დაიწყონ „მითების მსხვრევაზე“ მიმართული სიის შედგენით. სიაში შეიძლება მოყვანილი იყოს ყველაზე გავრცელებული ცრურწმენები სიძულვილის ენის კონკრეტულ სამიზნეებზე, რომლებსაც უნდა ერთვოდეს არგუმენტები, ინფორმაცია და სტატისტიკა ამ ცრურწმენების გასაბათილებლად;
- შეგიძლიათ, ჯგუფთან ერთად შეიმუშაოთ კონტრარგუმენტების სიაც, რომლებსაც მონაწილეები გამოიყენებენ ინტერნეტში აღმოჩენილი ცრურწმენების ან რასისტული გამონათქვამების წინააღმდეგ. მნიშვნელოვანია იმის განხილვაც, თუ როგორ უნდა წარადგინონ ეს არგუმენტები ინტერნეტში - იუმორის გზით, ინფორმაციის სახით, ბმულების გაზიარებით თუ სხვა ფორმით.

დონე 2

ჯგუფი 20-25

დრო 60’

მათი მოყოლილი ისტორიები

მონაწილეები იმუშავებენ მცირე ჯგუფებში და გააანალიზებენ ახალ პუბლიკაციას ემიგრანტებისა და ემიგრაციის შესახებ. შედეგები წარმოდგენილია კოლაჟის სახით.

თემები	რასიზმი და დისკრიმინაცია, ადამიანის უფლებები, გამოხატვის თავისუფლება
სირთულე	დონე 2
ჯგუფის სიდიდე	20–25
დრო	60 წუთი
მიზნები	• განხილვა, თუ როგორ არიან წარმოჩენილნი ემიგრანტები ბეჭდურ მედიაში. მედიის გავლენის გაანალიზება საზოგადოების დამოკიდებულებაზე ემიგრანტების მიმართ; • რასიზმის ისეთი აშკარა ფორმების იდენტიფიცირება, როგორიცაა „ფარული“ თუ შერჩევითი გზავნილები ან სურათების გამოყენება ისეთი გზით, რომელიც ასაზრდოებს სიძულვილის ენას; • ემიგრანტებთან დაკავშირებული „პოზიტიური“ ამბების განხილვა/შესწავლა.
მასალა	• დაახლოებით, 3 ასლი 5 სხვადასხვა გაზეთიდან ან ჟურნალიდან (ზუსტი რაოდენობა დამოკიდებულია ჯგუფის ზომაზე); • ფლიპჩარტის რამდენიმე ფურცელი; • მარკერები, წებო, მაკრატლები; • საკმარისი სივრცე 4 ან 5 ჯგუფის სამუშაოდ, სადაც დიდი კოლაჟის შექმნას შეძლებენ; • ინტერნეტი (სურვილისამებრ).

მომზადება	• მიამაგრეთ ფლიპჩარტის 4 ფურცელი ერთმანეთს თითოეული ჯგუფის სამუშაოდ; • მოამარაგეთ ყველა ჯგუფი მარკერებით, წებოთი, მაკრატლებითა და შერჩეული ახალი ამბების პუბლიკაციებით (ასლები); • გააკეთეთ საკონტროლო ჩამონათვალის (გვ. 162) ასლი ყველა ჯგუფისათვის.

ინსტრუქციები

1. მონაწილეებს ჰკითხეთ, როგორ ესმით შემდეგი ტერმინები:
   სტერეოტიპი, რასიზმი, დისკრიმინაცია.
2. ტერმინები ახსენით მოკლედ (საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენეთ ინფორმაცია, რომელიც წარმოდგენილია შემდეგ გვერდებზე გვ. 215 - 220) და ხაზი გაუსვით შემდეგ საკითხებს:
   - ადამიანთა ჯგუფების შესახებ არსებული განზოგადებები (სტერეოტიპები) ძალიან იშვიათადაა ჭეშმარიტი ყველა ადამიანისთვის;
   - მაშინ როდესაც, ამგვარი განზოგადებები საყოველთაოდ მიღებული ხდება, მათ ხშირად იყენებენ დისკრიმინაციის, ჩაგვრის, შეურაცხყოფისა და კიდევ უარესი მოპყრობის გასამართლებლად.
3. ჰკითხეთ მონაწილეებს, თუ შეუძლიათ კონკრეტული ჯგუფის დასახელება, რომელიც გახდა სტერეოტიპის მსხვერპლი და ხშირად დისკრიმინაციული პრაქტიკის, ჩაგვრისა და სიძულვილის სამიზნეა. მიაწოდეთ ინფორმაცია, რომ აქტივობა ყურადღებას მიაპყრობს ერთი ასეთი ჯგუფის, კერძოდ, ემიგრანტების წარმოჩენაზე მედიის მიერ.
4. მონაწილეებს უჩვენეთ თქვენ მიერ შერჩეული პუბლიკაცია (გაზეთები ან ჟურნალები) და აუხსენით, რომ ჯგუფებად იმუშავებენ და შეეცდებიან, გააანალიზონ, თუ როგორ არიან ემიგრანტები წარმოდგენილი მედიაში:
   - ზოგადად, დადებითად;
   - ზოგადად, უარყოფითად;
   - ნეიტრალურად.
5. წარუდგინეთ მონაწილეებს საკონტროლო ჩამონათვალი (გვ. 162) და დარწმუნდით, რომ მონაწილეებმა კარგად გაიგეს, რა უნდა მოძებნონ ანალიზის დროს. მოუწოდეთ, რომ შეიტანონ ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც შესაბამისად ჩათვლიან.
6. მონაწილეები დაყავით 5 ან 6-კაციან ჯგუფებად და თითოეულს დაურიგეთ რომელიმე გაზეთის 2-3 ასლი, ასევე, ფლიპჩარტების მოზრდილი ფურცლები, კალმები, წებო, მაკრატლები და ა.შ. აუხსენით, რომ მოეთხოვებათ საკონტროლო სიის გადამოწმება, ყველა შესაძლო მიკერძოებული აზრის გამოვლენა და შედეგების ანალიზის წარდგენა კოლაჟის სახით. მათ

უნდა გამოჭრან გაზეთები, წაუმძღვარონ ანოტაცია და დაურთონ საკუთარი სურათები ან ტექსტი. უთხარით, რომ ყველა კოლაჟი გამოიფინება აქტივობის დასასრულს.

7. როდესაც ჯგუფები მორჩებიან მუშაობას, გამოფინეთ პოსტერები და ყველას მიეცით დრო სხვა გუნდების ნამუშევართა დასათვალიერებლად. შემდგომ მონაწილეებს კვლავ მოუყარეთ თავი შესაჯამებლად.

ჩაღრმავება

- მონაწილეებს ჰკითხეთ, რა შთაბეჭდილებები დარჩათ აქტივობაზე: რამდენად სასარგებლო/მოულოდნელი იყო ის? ზოგადად, როგორ წარმოაჩენს მედია ემიგრანტებს და რამდენად „სამართლიანად“ მიიჩნევთ მათ დამოკიდებულებას?
- თუ ჯგუფებს ამ საკითხზე არ გაუმახვილებიათ ყურადღება თავიანთ კოლაჟებში, ჰკითხეთ „კარგი ახალი ამბების“ შესახებ, რომლებიც შეგიძლიათ წარმოადგინოთ ალტერნატიულ ჭრილში (მაგ.: თუ ნახეთ, კარგი ამბები არაემიგრანტებზე?);
- რას ფიქრობენ მონაწილეები, რატომ ხდებიან ემიგრანტები დისკრიმინაციის, ჩაგვრისა და სიძულვილის ენის მსხვერპლნი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში? რა როლს ასრულებს მედია უარყოფითი სტერეოტიპების გაძლიერების თვალსაზრისით?
- ხომ არ შეხვედრიათ მონაწილეებს ამგვარი მიკერძოებული ან არატოლერანტული დამოკიდებულებები ვებგვერდებზე, რომლებსაც იყენებენ? სთხოვეთ, დაასახელონ მაგალითები;
- რა გავლენა აქვს ამას უშუალოდ ემიგრანტებზე, მათ ოჯახებსა და შვილებზე და საერთოდ, იმ საზოგადოებრივ კულტურაზე, სადაც ემიგრანტებს მრავალ პრობლემაში „ადანაშაულებენ“?
- შეუძლიათ ახალგაზრდებს რამის გაკეთება ემიგრანტთა პოზიტიური კუთხით დანახვისათვის? უნახავთ რომელიმე საიტი ან გვერდი, რომლებიც ემიგრანტების შესახებ პოზიტიურ ინფორმაციას ავრცელებს?

რჩევები ფასილიტატორებისთვის

- შეეცადეთ, ისეთი გაზეთი ან ჟურნალი შეარჩიოთ, სადაც დადებითი და სიღრმისეული პოლიტიკური/კულტურული შეხედულებებია წარმოდგენილი. შესაძლებელია, ემიგრანტთა მიმართ ყველაზე დიდი სიმპატიით განწყობილი პირებიც არ შეეცადონ, წინ აღუდგნენ საზოგადოებაში არსებულ ძლიერ უარყოფით დამოკიდებულებებს ან რაიმე მოიმოქმედონ მათ საპირწონედ (მაგ.: „კარგი ამბების“ გავრცელება ემიგრანტთა თემებსა ან ინდივიდებზე);
- მოსალოდნელია, ჯგუფში ბევრმა გაიზიაროს და მართებულად მიიჩნიოს პუბლიკაციაში ასახული აშკარა უარყოფითი დამოკიდებულებები. ამიტომ ხმამაღლა გაუზიარეთ მონაწილეებს საკუთარი აზრი, რათა ჯგუფმა შეძლოს მისი განხილვა. უმჯობესი იქნება, თუ წინასწარ

მოძებნით რამდენიმე „კარგ ამბავს“, რომლებიც შეიძლება გამოქვეყნებულიყო პუბლიკაციაში ან თვალი გადაავლეთ იმ ქვეყნების მდგომარეობას, საიდანაც ემიგრანტები ჩამოვიდნენ. სთხოვეთ მონაწილეებს, წარმოიდგინონ, რომ არიან, მაგალითად, ერაყში ან ავღანეთში მცხოვრები ახალგაზრდები, სადაც ომმა ქვეყნის ძირითადი ნაწილი გაანადგურა.

გადასინჯვა/ადაპტირება

მონაწილეებს შეუძლიათ, გამოიკვლონ ინტერნეტგამოცემები, დაბეჭდილი მასალების ნაცვლად. საჭირო იქნება, მხოლოდ ურჩიოთ კონკრეტული გვერდები (მაგ.: გარეკანი 5 დღის განმავლობაში, რათა შესაძლო მასალების რაოდენობა შეამციროთ). მსგავსი მიდგომის გამოყენება შეიძლება სატელევიზიო ახალ ამბებთან დაკავშირებითაც.

იდეები მოქმედებებთან დაკავშირებით

დაეხმარეთ მონაწილეებს, შექმნან ვებგვერდი ან პროფილი სოციალურ ქსელში, რომელიც დადებით ისტორიებს წარმოაჩენს ემიგრანტებზე. მონაწილეებს შეუძლიათ, შეისწავლონ თავიანთ არეალში მცხოვრები კონკრეტული ემიგრანტთა თემები, დააკვირდნენ მათ ქვეყნებსა და რეგიონებში არსებულ ვითარებას და ემიგრაციის ზოგიერთ მიზეზს, ასევე, ამ ადამიანთა ყოველდღიურ ისტორიებს ახალ ქვეყანაში ცხოვრების შესახებ. შემდგომ გაუგზავნეთ ვებგვერდის ბმული იმ გაზეთის ჟურნალისტებს, რომლებიც განიხილეთ დავალების შესრულებისას და მოახსენეთ, რომ აღნიშნული საიტის იდეა შთაგაგონათ მათ მიერ უარყოფითად დახატულმა პორტრეტმა პუბლიკაციაში.

შეგიძლიათ, სავარჯიშო პირდაპირ ონლაინ წარმართოთ და მთავარი სიახლეების ვებგვერდებზე შეხვიდეთ, თუ რა თქმა უნდა, კარგი ინტერნეტი გაქვთ. ამ შემთხვევაში შესაძლებელია, ინტერნეტფორუმების როლის საკითხიც წამოჭრათ ონლაინსტატიებსა და მათ ქვემოთ გაკეთებულ კომენტარებთან დაკავშირებით. ზოგჯერ შეიძლება სწორედ ეს კომენტარები იყოს რასისტული. ასეთ დროს შეგიძლიათ, ჯგუფთან ერთად განიხილოთ, რამდენად მისაღებია და რა პირობების საფუძველზე - ასეთი ფორუმების არსებობა.

შეგიძლიათ, კონტექსტის შესაბამისად, ვარიაციები აქციოთ სავარჯიშოებად, კერძოდ, შეცვალოთ ჯგუფი, რომელსაც საკითხი ეხება.

დასარიგებელი მასალები

საკონტროლო სია ჯგუფებისათვის

თუ წარმოდგენილია ემიგრანტის ფოტო /გამოსახულება?

- რომელიმე მათგანი „პოზიტიურია“?
- რომელიმე მათგანი „ნეგატიურია“?

რამდენ ამბავს შეიცავს მოცემული გამოცემები ემიგრანტების შესახებ?

- არსებობს რაიმე „კარგი ამბები“, რომლებიც ემიგრანტებს დადებითად წარმოაჩენს?
- არსებობს უარყოფითი ისტორიები?

რა სიტყვები გამოიყენება ემიგრანტთა აღსაწერად თქვენს ხელთ არსებულ გამოცემებში?

- მეტწილად დადებითი, მეტწილად უარყოფითი, თუ მეტწილად ნეიტრალური?

ღიად რასისტული განცხადება ხომ არ დაფიქსირებულა?

- თუ ასეა, საჯარო პირების განცხადებაა, თუ ჟურნალისტების მიერ გამოხატული „აზრი“?

რა გრძნობა დაგეუფლებოდათ ამის კითხვისას, ემიგრანტი რომ იყოთ? რას დაამატებდით ან შეცვლიდით?

NO HATE SPEECH MOVEMENT

დონე 2

ჯგუფი 12-25

დრო 60’

სიძულვილის ენის გაგება

მონაწილეები ეცნობიან სიძულვილის ენის მაგალითებს და განიხილავენ მათ შესაძლო ზეგავლენას ინდივიდებსა და საზოგადოებაზე.

თემები	ადამიანის უფლებები, რასიზმი და დისკრიმინაცია
სირთულე	დონე 2
ჯგუფის სიდიდე	10 – 25
დრო	60 წუთი
მიზნები	• ონლაინ სივრცეში სიძულვილის ენის სხვადასხვა ფორმების გაგება და მათი ზეგავლენა მსხვერპლსა და საზოგადოებაზე; • საპასუხო ქმედებების განსაზღვრა ონლაინ სივრცეში სიძულვილის ენის წინააღმდეგ.
მასალა	• სიძულვილის ენის მაგალითების ასლები; • ფურცლები და კალმები; • ფლიპჩარტის ფურცლები.
მომზადება	• მოამზადეთ სიძულვილის ენის მაგალითების ასლები; • მოამზადეთ ფლიპჩარტები თანდართული სათაურებით: „შედეგები მსხვერპლთათვის“ და „შედეგები საზოგადოებისთვის“.

ინსტრუქციები

1. ჰკითხეთ მონაწილეებს, რა გაიგეს ონლაინ სიძულვილის ენის შესახებ. გაარკვიეთ, რომელიმე მათგანი ხომ არ შესწრებია ონლაინ სივრცეში სიძულვილის ენას, რომელიც პირდაპირ იყო მიმართული კონკრეტული პირისაკენ ან ადამიანთა ჯგუფისაკენ (მაგ.: გეიები, შავკანია-

ნები, მუსლიმები, ებრაელები, ქალები და ა.შ.). რა განიცადეს მონაწილეებმა ამ დროს? მათი აზრით, რას გრძნობს ამ დროს მსხვერპლი?

მონაწილეებს აუხსენით, რომ ტერმინი „სიძულვილის ენა“ გამოიყენება უფრო ფართო გაგებით:

(1) მოიცავს „ენაზე“ მეტს და შეიძლება გამოყენება კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმით (მაგ.: ვიდეოები, სურათები, მუსიკა და ა.შ.);

(2) შეიძლება გამოყენება როგორც უკიდურესად შეურაცხმყოფელი და მუქარის შემცველი საქციელის აღსაწერად, ასევე „ცალსახად“ აგრესიული კომენტარებისთვის.

2. მიაწოდეთ მონაწილეებს ინფორმაცია, რომ გააანალიზებენ ინტერნეტში სიძულვილის ენის რეალურ მაგალითებს და დააკვირდებიან მათ კონკრეტულ გავლენას უშუალოდ მსხვერპლსა და საზოგადოებაზე.
3. დაყავით მონაწილეები ჯგუფებად და თითოეულს შესასწავლი შემთხვევებიდან (გვ. 166 - 169) მიეცით ონლაინ სივრცეში არსებული ერთი სიძულვილის ენის მაგალითი.
4. სთხოვეთ მონაწილეებს, განიხილონ თავიანთი შემთხვევა და უპასუხონ კითხვებს. აუხსენით, რომ მოცემული დავალებისთვის 15 წუთი აქვთ.

ჩაღრმავება

გაიარეთ ყველა მაგალითი და მოითხოვეთ ჯგუფების პასუხები, რომლებსაც ფლიპჩარტებზე მონიშნავთ. თუ ჯგუფები ერთნაირ პასუხებს გასცემენ, შესაბამისად მიუთითეთ ან გვერდით მიუწერეთ რიცხვი, რომ ერთზე მეტი ჯგუფი მივიდა ამ პასუხამდე. მას შემდეგ, რაც ყველა ჯგუფი წარადგენს თავის შედეგს, გადაავლეთ თვალი ორ ფურცელს და დასვით შეკითხვები აქტივობის მთელ ჯგუფთან ერთად შესაფასებლად:

- რას ფიქრობთ აქტივობაზე? რა განიცადეთ, როდესაც თქვენს მაგალითს აანალიზებდით?
- როგორია სიძულვილის ენის ყველაზე გავრცელებული „შედეგი“, რომელიც ჯგუფებმა ჩამოაყალიბეს?
- რა საერთო აქვთ მაგალითებში მოცემულ ჯგუფებს, რომლებიც სიძულვილის ენის სამიზნეები არიან?
- იყო თუ არა რაიმე მსგავსება შედეგებს შორის, მიუხედავად იმისა, რომ სიძულვილის ენის სამიზნე ჯგუფები განსხვავდება ერთმანეთისგან?
- რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამგვარი საქციელის გავრცელებას ინტერნეტში, თუ არავინ მიიღებს პრობლემის გადასაჭრელ ზომებს?
- რა საშუალებისა და მეთოდების გამოყენებას მიიჩნევთ მართებულად ინტერნეტში სიძულვილის ენის პრობლემის მოსაგვარებლად?
- როგორ უნდა მოვიქცეთ, თუ ამგვარ მაგალითებს წავაწყდებით ინტერნეტში?

რჩევები ფასილიტატორებისთვის

შეგიძლიათ, დამატებითი ინფორმაცია მოიძიოთ მე-2 თავში, რომელიც ეხება კამპანიას „მოძრაობა სიძულვილის ენის წინააღმდეგ“ ან ეწვიოთ მის ვებგვერდს (www.nohatespeechmovement.org). მე-5 თავში მოცემულია ზოგადი ინფორმაცია სიძულვილის ენაზე ინტერნეტში.

ინფორმაცია ინტერნეტში ადამიანის უფლებების შესახებ მონაწილეებს შეგიძლიათ მიაწოდოთ ინტერნეტმომხმარებელთა ძირითადი უფლებების სახელმძღვანელო.

შესაძლებელი ცვლილებები

თუ დრო გექნებათ, შეგიძლიათ, მონაწილეებს სთხოვოთ სოლიდარობის შეტყობინებების მოფიქრება სიძულვილის ენის მსხვერპლთათვის, რომლებზეც მაგალითებშია მოთხრობილი.

შესასწავლი შემთხვევების გამოყენება შეიძლება სიძულვილის ენასა და გამოხატვის თავისუფლებას შორის კავშირების გამოსავლენადაც. ასეთ შემთხვევაში, კარგი იქნება, მონაწილეებთან ერთად განიხილოთ ის შეზღუდვები (ან მათი ნაკლებობა), რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია ყველა მოცემულ გარემოებაში.

იდეები ქმედებებთან დაკავშირებით

თუკი მონაწილეები ონლაინ სიძულვილის ენის მაგალითებს გადააწყდებიან, მათ შეუძლიათ, განიხილონ სიძულვილის ენის შემთხვევების შეტყობინების გზები. თქვენც შეგიძლიათ, მონაწილეებთან ერთად გახსნათ სიძულვილის ენის მონიტორის დაარქივებული გვერდი და იქ წარმოდგენილი მაგალითები. მონაწილეებს შეუძლიათ, თავიანთი სკოლის ან ახალგაზრდული ცენტრისთვის შეიმუშაონ „ქარტია“ან მოაწყონ სკოლის დღე ონლაინ სიძულვილის ენის წინააღმდეგ, რისთვისაც გამოიყენებენ უკვე დადგენილ ადამიანის უფლებათა დღეებს. ეს ხელს შეუწყობს ცნობიერების გაზრდას პრობლემის შესახებ. მონაწილეებს შეუძლიათ, ონლაინ სიძულვილის ენის საწინააღმდეგო ღონისძიება დაგეგმონ 21 მარტს (საერთაშორისო დღე რასიზმისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ).

დასარიგებელი მასალები

მაგალითი 1:

ახალგაზრდა კაცმა ნაციონალისტური პარტიის დიდი დროშა გამოაქვეყნა სოციალური ქსელის პროფილზე, სათაურით: „არა ისლამს ჩემს ქვეყანაში - დაიცავით ჩვენი ხალხი“. ის აქვეყნებს ფოტოებს ნახევარმთვარისა და ვარსკვლავის სიმბოლოებით, რომლებიც გადახაზულია ამკრძალავი ნიშნით. ახალგაზრდა ამ ინფორმაციას ავრცელებს სოციალური მედიისა და პირადი გვერდის საშუალებით.

- ვინ არიან სიძულვილის ენის მსხვერპლნი მოცემულ მაგალითში? რა გავლენა შეიძლება იქონიოს სიძულვილის ენამ მათზე?
- რა გავლენა შეიძლება იქონიოს სიძულვილის ენის ამ მაგალითმა ადამიანებზე, რომლებიც მოცემულ თემსა და ზოგადად, საზოგადოებასთან არიან გაიგივებულნი?

მაგალითი 2:

A მუშაობს პუბლიკაციაზე, რომელშიც ხაზს უსვამს, რომ ჰოლოკოსტი არასოდეს მომხდარა, ამასთანავე, ებრაელ ხალხზე აკეთებს შეურაცხმყოფელ და რასისტულ შენიშვნებს. იგი პუბლიკაციას აზიარებს საკუთარ ბლოგზე და სხვა ანტიებრაულ ვებგვერდებზე. A იყენებს ონლაინ ვიკიწყაროებსაც, რომელთაც წარმოადგენს „სამეცნიერო ინფორმაციად“ ჰოლოკოსტის შესახებ .

- ვინ არიან სიძულვილის ენის მსხვერპლნი მოცემულ მაგალითში? რა გავლენა შეიძლება იქონიოს სიძულვილის ენამ მათზე?
- რა გავლენა შეიძლება იქონიოს სიძულვილის ენის ამ მაგალითმა ადამიანებზე, რომლებიც მოცემულ თემსა და ზოგადად, საზოგადოებასთან არიან გაიგივებულნი?

მაგალითი 3:

წამყვანი ჟურნალისტის სტატია წამყვან პოლიტიკურ პარტიასთან დაახლოებულ გაზეთში „ცხოველებს“ უწოდებს ბოშებს და ნებისმიერ ფასად მოითხოვს მათ განადგურებას. გაზეთის ონლაინვერსიის ფორუმზე დატოვებულია მრავალი კომენტარი, რომელთა ავტორებიც ჟურნალისტის შენიშვნებს ეთანხმებიან.

გაზეთი არც ცდილობს, განმარტება გააკეთოს ან მოიბოდიშოს ჟურნალისტის მოსაზრებების გამო. ჩნდება სხვა სტატიებიც ინტერნეტში, რომელთაც მსგავსი პოზიცია აქვთ და იმავე ტონს იყენებენ. ამავდროულად, ფორუმზე კომენტარის დამტოვებელთა რიცხვი თანდათან იზრდება.

- ვინ არიან სიძულვილის ენის მსხვერპლნი მოცემულ მაგალითში? რა გავლენა შეიძლება იქონიოს სიძულვილის ენამ მათზე?
- რა გავლენა შეიძლება იქონიოს სიძულვილის ენის ამ მაგალითმა ადამიანებზე, რომლებიც მოცემულ თემსა და ზოგადად, საზოგადოებასთან არიან გაიგივებულნი?

მაგალითი 4:

მიმდინარეობს ონლაინკამპანიის ორგანიზება, რომელიც ქვეყნის ეკონომიკურ კრიზისში ემიგრანტებსა და ლტოლვილებს ადანაშაულებს. სოციალური მედიის პლატფორმებზე ვრცელდება შემდეგი სახის პოსტები: ფოტოები, სადაც ლტოლვილები გამოსახულნი არიან აგრესიული სახეებით ან დამამცირებელ მდგომარეობაში და კომენტარები, რომ ისინი სამუშაო ადგილებს პარავენ ადგილობრივებს. სოციალური მედიის საიტებზე ფართოდ ვრცელდება დეზინფორმაცია, მათ შორის, მცდარი სტატისტიკა, რომელიც ცდილობს, აჩვენოს, რომ ემიგრანტები ძალადობრივი ბუნების ხალხია და პრობლემებს ქმნიან.

- ვინ არიან სიძულვილის ენის მსხვერპლნი მოცემულ მაგალითში? რა გავლენა შეიძლება იქონიოს სიძულვილის ენამ მათზე?
- რა გავლენა შეიძლება იქონიოს სიძულვილის ენის ამ მაგალითმა ადამიანებზე, რომლებიც მოცემულ თემსა და ზოგადად, საზოგადოებასთან არიან გაიგივებულნი?

მაგალითი 5:

შეურაცხმყოფელი კომენტარები იდება ახალი ამბების სხვადასხვა საიტზე, სადაც საუბარია, რომ უცხოელებს ქვეყანაში ყოფნის უფლება არ აქვთ. ზოგიერთ კომენტარში ვრცელდება მოწოდება ძალადობის გამოყენებაზე არათეთრკანიანი უცხოელების წინააღმდეგ.

- ვინ არიან სიძულვილის ენის მსხვერპლნი მოცემულ მაგალითში? რა გავლენა შეიძლება იქონიოს სიძულვილის ენამ მათზე?
- რა გავლენა შეიძლება იქონიოს სიძულვილის ენის ამ მაგალითმა ადამიანებზე, რომლებიც მოცემულ თემსა და ზოგადად, საზოგადოებასთან არიან გაიგივებულნი?

მაგალითი 6:

ინტერნეტში გაჩნდა ვიდეოები, სადაც ნათქვამია, რომ ლგბტ ადამიანები „გადახრების მქონე“ და „ავადმყოფი“ პირები არიან, რომლებიც საზოგადოებას უნდა ჩამოაშორო, რადგან ანადგურებენ ტრადიციებს და ხელს უშლიან ერის განვითარებას. ვიდეოები წყაროდ იშველიებს „სამეცნიერო კვლევას“, თუმცა მითითებული ლიტერატურა, ხშირ შემთხვევაში, არასწორად არის ციტირებული ან შერჩევითია. ზოგიერთ ვიდეოში წარმოდგენილნი არიან ლგბტ ოჯახები, თავიანთ შვილებთან ერთად.

- ვინ არიან სიძულვილის ენის მსხვერპლნი მოცემულ მაგალითში? რა გავლენა შეიძლება იქონიოს სიძულვილის ენამ მათზე?
- რა გავლენა შეიძლება იქონიოს სიძულვილის ენის ამ მაგალითმა ადამიანებზე, რომლებიც მოცემულ თემსა და ზოგადად, საზოგადოებასთან არიან გაიგივებულნი?

მაგალითი 7:

საფეხბურთო მატჩი წყდება, რადგან გულშემატკივრებმა ერთ-ერთი „შავკანიანი“ ფეხბურთელის წინააღმდეგ დაიწყეს შეურაცხმყოფელი შეძახილების ყვირილი და სიმღერა. ამ ფაქტის ამსახველი ვიდეო ხვდება ინტერნეტში და ფართოდ ვრცელდება. რამდენიმე ვებგვერდზე იდება რასისტული კომენტარები. როდესაც საჩივრებმა იმატა, აღნიშნული კომენტარების მხარდამჭერებმა განაცხადეს, რომ ცენზურის მსხვეპლნი გახდნენ.

- ვინ არიან სიძულვილის ენის მსხვერპლნი მოცემულ მაგალითში? რა გავლენა შეიძლება იქონიოს სიძულვილის ენამ მათზე?
- რა გავლენა შეიძლება იქონიოს სიძულვილის ენის ამ მაგალითმა ადამიანებზე, რომლებიც მოცემულ თემსა და ზოგადად, საზოგადოებასთან არიან გაიგივებულნი?

მაგალითი 8:

გარკვეული პერიოდის განმავლობაში ინტერნეტში ტრიალებს ლურჯი ჯინსების რეკლამა. მასში მოცემულ სცენას, სადაც ქალი გარშემორტყმულია მამაკაცების მიერ, ახლავს სექსუალური ქვეტექსტები, თუმცა, საერთო შთაბეჭდილებით, მისი ძირითადი აზრი სექსუალური ძალადობა და გაუპატიურებაა. ერთსა და იმავე სახელმწიფოში რამდენიმე ორგანიზაცია აქვეყნებს საჩივარს. ამ საქმეზე გავრცელებული ახალი ამბები ინტერნეტში მრავალ კომენტარს ბადებს. ბევრი მათგანი აძლიერებს იდეას, რომ ქალები არიან ნივთები, რომლებითაც მამაკაცებს შეუძლიათ ითამაშონ და ძალაც კი გამოიყენონ მათ წინააღმდეგ.

- ვინ არიან სიძულვილის ენის მსხვერპლნი მოცემულ მაგალითში? რა გავლენა შეიძლება იქონიოს სიძულვილის ენამ მათზე?
- რა გავლენა შეიძლება იქონიოს სიძულვილის ენის ამ მაგალითმა ადამიანებზე, რომლებიც მოცემულ თემსა და ზოგადად, საზოგადოებასთან არიან გაიგივებულნი?

მაგალითი 9:

პოლიტიკოსი მუსლიმებს ადანაშაულებს თეთრკანიანი გოგონების მიმართ ჩადენილი დანაშაულების უმეტესობაში. იგი მიმართავს „ზოგად ცოდნას“ და მოჰყავს რამდენიმე „მნიშვნელოვანი მაგალითი“. ვიდეოს, რომელიც სტატიას ერთვის, მრავალი კომენტარი მოჰყვება, მათ შორის, ბევრი რასისტული და ძალადობრივიც. ადამიანები მიმართვენ პოლიტიკოსის საუბრის ციტირებას, მხარს უჭერენ მსგავს მოსაზრებებს და წარმოაჩენენ, როგორც პატივსაცემ და მნიშვნელოვან აზრს.

- ვინ არიან სიძულვილის ენის მსხვერპლნი მოცემულ მაგალითში? რა გავლენა შეიძლება იქონიოს სიძულვილის ენამ მათზე?
- რა გავლენა შეიძლება იქონიოს სიძულვილის ენის ამ მაგალითმა ადამიანებზე, რომლებიც მოცემულ თემსა და, ზოგადად, საზოგადოებასთან არიან გაიგივებულნი?

მაგალითი 10:

წარსულში ორ ქვეყანას შორის მძაფრ კონფლიქტზე გამოქვეყნებული ვიდეოები კვლავ განთავსებულია ინტერნეტში. პერიოდულად ემატება უამრავი კომენტარი, რომლებშიც რასისტულ ენას იყენებენ ერთ-ერთი ქვეყნის მოქალაქეთა მიმართ. რასიზმი და შეურაცხყოფა ორი თემის წარმომადგენლებს შორის საკმაოდ დიდხანს გრძელდება.

- ვინ არიან სიძულვილის ენის მსხვერპლნი მოცემულ მაგალითში? რა გავლენა შეიძლება იქონიოს სიძულვილის ენამ მათზე?
- რა გავლენა შეიძლება იქონიოს სიძულვილის ენის ამ მაგალითმა ადამიანებზე, რომლებიც მოცემულ თემსა და ზოგადად, საზოგადოებასთან არიან გაიგივებულნი?

მაგალითი 11:

მუსიკალური ინტერნეტარხით ვრცელდება ნაციონალისტური შინაარსის მუსიკა. ზოგიერთ სიმღერას აქვეყნებენ იმ ორი ეთნიკური ჯგუფის წევრები, რომლებსაც წარსულში კონფლიქტი ჰქონდათ. სიმღერების ტექსტი ხშირად მოუწოდებს ერთ ჯგუფს მეორის წინააღმდეგ ძალადობისკენ.

- ვინ არიან სიძულვილის ენის მსხვერპლნი მოცემულ მაგალითში? რა გავლენა შეიძლება იქონიოს სიძულვილის ენამ მათზე?
- რა გავლენა შეიძლება იქონიოს სიძულვილის ენის ამ მაგალითმა ადამიანებზე, რომლებიც მოცემულ თემსა და ზოგადად, საზოგადოებასთან არიან გაიგივებულნი?

დონე 3

ჯგუფი
სულ მცირე, 12

დრო
60’

ვირტუალური მოქმედება

ანტირასისტული ღონისძიებებით შთაგონებული მონაწილეები შეეცდებიან, თვითონ დაგეგმონ მსგავსი ერთობლივი ქმედებები ინტერნეტში.

თემები	კამპანიის სტრატეგიები, რასიზმი/დისკრიმინაცია, ადამიანის უფლებები
სირთულე	დონე 3
ჯგუფის სიდიდე	სულ მცირე, 12
დრო	60 წუთი
მიზნები	• ინტერნეტის როლის, როგორც იმ სივრცის გააზრება, სადაც ახალგაზრდებს შეუძლიათ შესაბამისი ზომების გატარება პატივისცემისა და თავისუფლების მხარდასაჭერად; • ადამიანის უფლებების, ღირებულებებისა და პრინციპების დასაცავად ახალგაზრდების მობილიზებისათვის, კავშირების გააზრება ინტერნეტის ნაკლოვანებებსა და ინტერნეტის ფარგლებს გარეთ არსებულ გარემოს შორის.
მასალა	• ფურცლები და კალმები; • ხელმისაწვდომი ინტერნეტი (სურვილისამებრ).
მომზადება	• ეწვიეთ ორგანიზაციების ვებგვერდებს იმ ღონისძიებათა სანახავად, რომლებსაც მონაწილეები აქტივობისას უნდა დააკვირდნენ, რათა გაეცნონ ახალგაზრდების მიერ გაწეულ ანტირასისტულ სამუშაოს; • დასარიგებელი მასალების ფოტოასლები მონაწილეებისათვის.

ინსტრუქციები

1. მონაწილეებს ჰკითხეთ, თუ სმენიათ ინიციატივის ან ისეთი მოქმედების შესახებ, სადაც ადამიანებმა რასიზმისა და დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმის წინააღმდეგ იმოქმედეს. მოკლედ განიხილეთ მათი მაგალითები.

2. მონაწილეებს მიაწოდეთ ინფორმაცია, რომ გაეცნობიან ანტირასისტული მოქმედების მაგალითებს და მოიფიქრებენ, როგორ შეიძლება ამ ქმედებების განხორციელება ონლაინ.
3. მონაწილეები დაყავით მცირე ჯგუფებად (5 მონაწილემდე თითოეულში) და დაურიგეთ თითო მაგალითი მასალებიდან. სთხოვეთ, წაიკითხონ მათთვის გადაცემული შესასწავლი შემთხვევა და განიხილონ შემდეგი კითხვები:
   - რა პრობლემის დაძლევას ეხება პროექტი?
   - რა არის პროექტის მიზანი?
   - რა მეთოდებს იყენებს პროექტი თავისი მიზნების მისაღწევად?
4. მიეცით ჯგუფებს, დაახლოებით, 10 წუთი კითხვების განსახილველად, შემდეგ კი ახალი დავალება გააცანით: სთხოვეთ, განიხილონ, როგორ მოაგვარებდნენ ინტერნეტის გამოყენებით მსგავს საკითხს, განსხვავებით ინტერნეტს გარეთ მოქმედებისგან; ასევე, იფიქრონ აქტივობებზე, რომლებსაც ინტერნეტის მეშვეობით განახორციელებდნენ, უინტერნეტო ზომების საპირწონედ, როგორც აღწერილია შესასწავლ შემთხვევებში. მათ უნდა განიხილონ შემდეგი კითხვები:
   - რომელი ონლაინ მეთოდებით შეიძლება მიზნის მიღწევა?
   - რა შეზღუდვები არსებობს მათ გამოყენებაზე შედეგების მისაღწევად?
5. მონაწილეებს მიეცით, დაახლოებით, 20 წუთი დავალების შესასრულებლად, შემდეგ კი მოიხმეთ, რომ თავიანთი იდეები სხვა ჯგუფებს გაუზიარონ.

ჩაღრმავება

გამოიყენეთ შეჯამების დრო, რომ მონაწილეებთან ერთად გადახედოთ ჯგუფების ნამუშევარს და გამოავლინეთ ინტერნეტის გამოყენების დადებითი და უარყოფითი მხარეები რასიზმისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ სამოქმედოდ. ამისათვის გამოიყენეთ შემდეგი კითხვები:

- როგორ ფიქრობთ, შეიძლება ჯგუფების შემოთავაზებების წარმატებით განხორციელება?
- შეიტანენ წვლილს ისინი მიზნის მიღწევაში?
- რა დადებითი მხარეები აქვს ინტერნეტის გამოყენებას კამპანიის ინსტრუმენტად?
- რა უარყოფითი მხარეები ან შეზღუდვები აქვს ონლაინკამპანიას?
- გსმენიათ რამე სხვა ონლაინსაშუალებებსა ან ინიციატივებზე, რომლებითაც შეძლებთ, მხარი დაუჭიროთ მოცემული შემთხვევების მსგავს კამპანიებს?
- გსმენიათ რამე რასიზმისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ გამართულ ონლაინ-კამპანიაზე?
- როგორ გამოიყენებდით ინტერნეტს რასიზმისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ კამპანიის ორგანიზებისათვის?

რჩევები ფასილიტატორებისთვის

- თუ მონაწილეებმა ცოტა რამ იციან სიძულვილის ენისა და რასიზმის/დისკრიმინაციის შესახებ, შეგიძლიათ, აქტივობა ამ საკითხებზე მსჯელობით დაიწყოთ;

- თუ მონაწილეებს უჭირთ ამ ონლაინინიციატივების წარმოდგენა, რამდენიმე მაგალითი მიაწოდეთ, თუ როგორ უნდა იმოქმედონ ინტერნეტის საშუალებით;
- კამპანიის სტრატეგიებისა და ინტერნეტში მონაწილეობის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მოძიება შეგიძლიათ სახელმძღვანელოს ზოგადი ინფორმაციის ნაწილში, კერძოდ, თავებში 5.6 და 5.7, ასევე, 112 გვერდზე;
- შეგიძლიათ, გაეცნოთ ინტერნეტმომხმარებელთა ძირითადი უფლებების სახელმძღვანელოს, კერძოდ, თავს: „შეკრების, გაერთიანებისა და მონაწილეობის თავისუფლება“.

ადაპტირება

შეგიძლიათ, შეცვალოთ არსებული მაგალითები და ადგილობრივ ან ეროვნულ რეალობას მოარგოთ; ასევე, შეარჩიოთ სხვა ქმედების ნიმუშები, რომლებიც უფრო შესაბამისი იქნება ჯგუფისთვის. არ დაგავიწყდეთ სხვადასხვა სახის ინიციატივის შერჩევა - ეს მონაწილეებს დაანახვებს, რამდენად ბევრი გზა არსებობს მოქმედებისთვის.

შეგიძლიათ, აქტივობა პირიქითაც შეასრულოთ: შეარჩიეთ ინტერნეტმოქმედებები ჯგუფებისთვის. ამ შემთხვევაში, მთავარი დავალებაა მოქმედებების გადატანა ინტერნეტსივრცის გარეთ.

აქტივობის შემდგომ

დაუკავშირდით ადგილობრივ ორგანიზაციებს, რომლებიც ანტირასისტულ სამუშაოს ასრულებენ და მოიწვიეთ მონაწილეებთან სასაუბროდ, სადაც განიხილავენ, თუ რას აკეთებენ და როგორ მუშაობენ.

მონაწილეებთან ერთად იმსჯელეთ, რამდენად შესაძლებელია მათ მიერ მოფიქრებული იდეების განხორციელება და გაამხნევეთ, რომ ასეც მოიქცნენ. შეგიძლიათ, თქვენი ჯგუფისთვის გახსნათ ბლოგი და მონაწილეები მოიწვიოთ იმ ჯგუფებზე ინფორმაციის განსათავსებელად, რომლებიც ყველაზე ხშირად ხდებიან რასიზმის სამიზნეები. ეს შეცვლის საყოველთაოდ გავრცელებულ ცრურწმენებს და ცნობიერებას აამაღლებს ამ საკითხის მტკივნეულ შედეგებზე.

დასარიგებელი მასალები

მაგალითი 1. რასიზმი სპორტში

„ეს კოშმარს ჰგავდა. იქ წასვლამდე ვერ წარმოვიდგენდი, რომ ემოციურად ასე დავზარალდებოდი“.

22 წლის ფეხბურთის გულშემატკივარი

გერმანელი ფეხბურთის ქომაგები მუდმივად მღერიან ანტისემიტურ სიმღერებს საფეხბურთო მატჩების დროს. ინიციატივა - Dem Ball Ist Egal Wer Ihn Tritt („ბურთს, არ აინტერესებს, ვინ გააგორებს მას“) - მიზნად ისახავს ამ პრობლემის გადაწყვეტას და მის ფარგლებში სხვადასხვა

კლუბის გულშემატკივრები მიჰყავთ ყოფილი აუშვიცის საკონცენტრაციო ბანაკის სანახავად.

რატომ აუშვიცი? ინიციატივა წარმოშვა გულშემატკივრების მიერ შესრულებულმა სიმღერამ: „ჩვენ გავიყვანთ მიწისქვეშა მატარებელს მენხენგლადბახიდან აუშვიცამდე“. „აუშვიცის სიმღერამ“ ეროვნულ დონეზე დაიმკვიდრა თავი და მისი მოსმენა შესაძლებელი გახდა ფეხბურთის ყველა სტადიონზე და კლუბში, ქვეყნის მასშტაბით.

ორგანიზაციამ დაიწყო საპილოტე პროექტი: სხვადასხვა კლუბის 18-დან 20 წლამდე გულშემატკივრებმა მონაწილეობა მიიღეს საკონცენტრაციო ბანაკების სამდღიან ექსკურსიაში, რათა უფრო ღრმა დისკუსია დაწყებულიყო ფეხბურთში გამეფებული ანტისემიტიზმისა და რასიზმის შესახებ. გულშემატკივრები ძლიერ დაითრგუნენ მიღებული გამოცდილებით. ბევრმა მათგანმა შთაბეჭდილებები გაუზიარა უფრო ფართო აუდიტორიას. დამზადდა ფლაერები კლუბების ვებგვერდებზე გამოსაქვეყნებლად. ინიციატივას თან სდევდა მედიის მიერ ორგანიზებული ფართომასშტაბიანი კამპანიაც.

(შენიშვნა: ინიცირებულია Amadeu Antonio Organisation-ის შთაგონებით https://www.amadeu-antonio-stiftung.de/w/files/pdfs/1_living-equality.pdf)

მაგალითი N2. რასისტული გრაფიტები

კრაკოვში არსებულმა ანტირასისტულმა ორგანიზაციამ Never Again („აღარასოდეს“) ადგილობრივ დონეზე გამართა ღონისძიება სიძულვილის გამომხატველი გრაფიტების წინააღმდეგ. კამპანიის დევიზი იყო: „მოდი, მოვხატოთ კრაკოვის კედლები!“ მთელი წლის განმავლობაში Never Again მუშაობდა ადგილობრივ პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, რათა შეძლებისდაგვარად მეტი აქტივისტი და მოქალაქე ჩაერთოთ ღონისძიებაში:

- ახალგაზრდები შეგროვდნენ, რომ წაეშალათ რასისტული სტიკერები და გრაფიტები და თავიდან მოეხატათ კედლები ანტირასისტული გრაფიტებით;
- სახლის მფლობელები მოწვეულნი იყვნენ კედლების გადაღებვის აქციაში ჩასართავად;
- ანტირასისტული გრაფიტებით მოიხატა სკოლის შიდა კედლები მასწავლებლისა და მოსწავლეების დახმარებით;
- მოწვეულნი იყვნენ ჟურნალისტებიც კამპანიის გასაშუქებლად და სტატიების გამოსაქვეყნებლად ადგილობრივ გაზეთებსა და ჟურნალებში.

ამგვარად, მრავალი ცალკეული აქტივობა ერთ დიდ ქმედებად იქცა, რომელმაც ძლიერი შეტყობინება გამოკვეთა: „გაათავისუფლე კრაკოვი სიძულვილის გამომხატველი გრაფიტისაგან“. (http://www.unitedagainstracism.org/wp-content/uploads/2014/05/GraffitiLeaflet_GB.pdf, www.nigdywiecej.org)

მაგალითი N3. ცოცხალი ბიბლიოთეკა

ცოცხალი ბიბლიოთეკის იდეა შემუშავებულია ევროპის საბჭოს მიერ. ინიციატივა მიზნად ისახავს ცრურწმენებისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრას. ცოცხალი ბიბლიოთეკა მუშაობს ისე, როგორც ჩვეულებრივი ბიბლიოთეკა: ვიზიტორებს შეუძლიათ კატალოგის გახსნა ხელმისაწვდომი სათაურების მოსაძიებლად, სასურველი წიგნის შერჩევა წასაკითხად და განსაზღვრული დროით მისი თხოვება. შემდეგ მათ უნდა დააბრუნონ წიგნი ბიბლიოთეკაში, რომ სხვებმაც შეძლონ მისი წაკითხვა. თუ სურვილი ექნებათ, მოგვიანებით მეორე წიგნსაც ითხოვებენ.

ცოცხალ ბიბლიოთეკაში მხოლოდ ერთი განსხვავებაა - „წიგნები“ არიან ადამიანები, კითხვა კი მოიცავს „წიგნთან“ საუბარს.

ცოცხალი ბიბლიოთეკა ცდილობს, ცრურწმენებს აღუდგეს, ორ ადამიანს - „წიგნსა“ და „მკითხველს“ შორის დიალოგის ხელშეწყობით. წიგნები არიან მოხალისეები, რომლებმაც თავად გამოსცადეს დისკრიმინაცია, ან წარმოადგენენ იმ ჯგუფებსა თუ ინდივიდებს საზოგადოებაში, რომლებიც ჩაგვრის, სტიგმის, ცრურწმენისა და დისკრიმინაციის რისკის წინაშე დგანან. მათ ხშირად ჩაგვრის ან სოციალური გარიყვის პირადი გამოცდილება აქვთ, რისი გაზიარებაც სურთ მკითხველებისათვის. ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ „წიგნები“ „მკითხველებს“ აძლევენ დიალოგში ჩართვის უფლებას, იმ იმედით, რომ მათი პერსპექტივებისა და გამოცდილების შეპირისპირება საყოველთაოდ გაბატონებულ ცრურწმენებსა და სტერეოტიპებთან გავლენას მოახდენს ფართო საზოგადოების დამოკიდებულებასა და ქცევაზე.

ნუ განსჯით წიგნს გარეკანის მიხედვით (იხ. ვებგვერდი: https://rm.coe.int/16807023dd).

მაგალითი N4. „გიყვარდეს მუსიკა, გძულდეს რასიზმი!“

„ჩვენი მუსიკა იმ ფაქტის ცოცხალი დადასტურებაა, რომ კულტურებს შეუძლიათ ერთმანეთთან შერევა და ასეც ხდება.“

„გიყვარდეს მუსიკა, გძულდეს რასიზმი!“ მიზნად ისახავს ეროვნული მოძრაობის ჩამოყალიბებას, რომელიც რასიზმსა და ფაშიზმს დაუპირისპირდება მუსიკის მეშვეობით. იგი 2002 წელს შეიქმნა ისეთ მოვლენებზე რეაგირების სახით, როგორიცაა რასიზმის გავრცელება და „ბრიტანეთის ეროვნული პარტიის“ (ექსტრემალური მემარჯვენეები) გამარჯვება არჩევნებში. ორგანიზაცია მუსიკის ენერგიას იყენებს, რათა იზეიმოს მრავალფეროვნება და ანტირასისტულ თუ ანტიფაშისტურ აქტივობებში ჩართოს ხალხი. ასევე, საზოგადოებას მოუწოდებს, რომ არჩევნებში ხმა არ მისცენ ფაშისტ კანდიდატებს.

უკვე რამდენიმე ასეული ღონისძიება შედგა დევიზით: „გიყვარდეს მუსიკა, გძულდეს რასიზმი!“ გაიმართა რამდენიმე დიდი ფესტივალიც ღია ცის ქვეშ და გამოსვლები ადგილობრივ კლუბებში. „გიყვარდეს მუსიკა, გძულდეს რასიზმის“ ფარგლებში ჩატარებულ ღონისძიებებში წამყვანი ხელოვანები მონაწილეობდნენ, მათ შორის: Ms Dynamite, Hard-Fi, Babyshambles, Akala, Get Cape Wear Cape Fly, Estelle, The View, Lethal Bizzle, Roll Deep და Basement Jaxx. ბევრ დამწყებ ბენდს, დიჯეისა და MC-ს მიეცა შესრულებისა და საკუთარი საღამოების ორგანიზების შესაძლებლობა

(იხ: http://lovemusichateracism.com/about).

NO HATE SPEECH MOVEMENT

ДОНЕ 1

ჯგუფი ნებისმიერი

დრო 40’

გაზიარება

მონაწილეები შეავსებენ დიაგრამას და მიუთითებენ, თუ როგორ ამჯობინებენ ონლაინგარემოში კონკრეტული ინფორმაციის გაზიარებას. ასევე, განიხილავენ მეტი სიფრთხილის გზებს ამ სივრცეში პერსონალური ინფორმაციის გაზიარებისას.

თემები	კონფიდენციალობა/უსაფრთხოება, ინტერნეტის ცოდნა, კიბერბულინგი
სირთულე	დონე 1
ჯგუფის სიდიდე	ნებისმიერი
დრო	40 წუთი
მიზნები	• სხვადასხვა სახის „ურთიერთობების“ გაანალიზება ონლაინ სივრცეში; • ინტერნეტში გაზიარებისა და კომუნიკაციის პიროვნული სტანდარტების დაწესებამდე მისვლა; • ცნობიერების ამაღლება ინტერნეტში კონფიდენციალობის პრობლემასთან დაკავშირებით. იმის შესწავლა, როგორ მივიღოთ წინასწარი ზომები ინტერნეტში ჩვენი კონფიდენციალობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით.
მასალა	• დიაგრამის ასლები (გვ. 178); • ფლიპჩარტები და მარკერები.
მომზადება	• მოამზადეთ საკმარისი რაოდენობის დიაგრამის ასლი ყველა მონაწილისათვის.

ინსტრუქციები

1. ჰკითხეთ მონაწილეებს, წინასწარ რა ზომებს იღებენ პირადი სივრცის დასაცავად უცნობი ადამიანებთან ურთიერთობისას, მაგალითად სავაჭრო ცენტრში. საჭიროებისამებრ, დაუსვით შემდეგი შეკითხვები:

- იმავე ტანსაცმელს ატარებთ, რასაც სანაპიროზე?
- თქვენი მობილური ტელეფონის ნომერს სახეზე იწერთ?
- ინტერნეტში თქვენი პაროლის შესახებ თუ ეუბნებით სხვებს?

- აუხსენით, რომ ეს საკითხები შესაძლოა ნათელი იყოს „რეალურ“ ცხოვრებაში, მაგრამ ინტერნეტში, როგორც წესი, იმავე ზომებს არ ვიღებთ ხოლმე წინასწარ. ჰკითხეთ მონაწილეებს, პირადი ინფორმაციის დაცვის თვალსაზრისით, ინტერნეტშიც ისეთივე ფრთხილები არიან, როგორც მის გარეთ? უთხარით, რომ ეს აქტივობა შეეცდება, გამოავლინოს ის ინფორმაცია, რომლის ონლაინ სივრცეში სხვა ადამიანებთან გასაზიარებლადაც მზად ვართ;
- გადაშალეთ დიაგრამის ასლი 178 გვერდზე (ან დახატეთ ფურცელზე), შემდეგ კი გაიარეთ რამდენიმე მაგალითი მონაწილეებთან, რათა აუხსნათ, თუ როგორ მიუდგებიან დავალებას. უთხარით, რომ ინდივიდუალური პასუხები გასცენ, რადგან სხვადასხვა ადამიანს შეიძლება სხვადასხვა რამის გაზიარების მზაობა ჰქონდეს;
- მიეცით 15 წუთი, რომ დაასრულონ დავალება, შემდეგ კი სთხოვეთ, საკუთარი დიაგრამა აჩვენონ ორ ან სამ სხვა ადამიანს. მონაწილეებს შეუძლიათ, იარონ ირგვლივ და სხვებს საკუთარი დიაგრამები აჩვენონ. ასევე, შეგიძლიათ, ისინი დაყოთ მცირე ჯგუფებად, დროის, სივრცისა და ჯგუფის სიდიდის მიხედვით;
- მას შემდეგ, რაც მონაწილეები თავიანთ დიაგრამებს შეადარებენ სხვა მონაწილეებისას, მოუხმეთ მთელ ჯგუფს ძირითადი განხილვისათვის.

ჩაღრმავება

დაიწყეთ რამდენიმე ზოგადი კითხვის დასმით:

- შეგხვდათ რაიმე ინფორმაცია, რომლის გასაზიარებლადაც არ იყავით მზად? იკითხეთ მიზეზები;
- შეგხვდათ რაიმე ინფორმაცია, რომლის გასაზიარებლადაც იყავით მზად? გამოიკვლიეთ ნებისმიერი აზრთა სხვადასხვაობა ჯგუფის ფარგლებში;
- შენიშნეთ რაიმე განსხვავება, როდესაც თქვენი დიაგრამა შეადარეთ სხვებისას? შეგიძლიათ, ახსნათ ეს განსხვავებები?
- თქვენი აზრით, რატომ არის მნიშვნელოვანი სიფრთხილე თქვენზე ინფორმაციის უცხო ადამიანებისთვის გაზიარებისას? რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამას?
- თქვენი აზრით, რატომ არის მნიშვნელოვანი სიფრთხილე სხვებზე ინფორმაციის გაზიარებისას?
- ვინმეს გაუზიარებია თქვენ შესახებ ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებაც არ გსურდათ? შეიძლება თუ არა, ეს ჩაითვალოს ადამიანის უფლებათა დარღვევად ან გამოიყენონ ინტერნეტში სიძულვილის ენისთვის?

დაასრულეთ აქტივობა კითხვით: შეძლეს მონაწილეებმა მეტის გაგება ინტერნეტში ურთიერთობების შესახებ? აპირებს თუ არა ვინმე თავისი ქცევის გადახედვას? რა გამოავლინეს მონაწილეებმა ისეთი, რაც ყოველთვის გასათვალისწინებელია ინტერნეტში პირადი ინფორმაციის გაზიარებამდე?

რჩევები ფასილიტატორებისთვის:

- შეიძლება არ არსებობდეს „სწორი“ პასუხი დიაგრამის ბევრ კავშირთან მიმართებით. ეს, ნაწილობრივ, დამოკიდებულია იმაზე, თუ რას ანიჭებენ უპირატესობას ცალკეული ადამიანები. მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანია, მონაწილეები გააფრთხილოთ ზოგიერთი რისკის შესახებ, როდესაც არ მიიღება ზომები ინტერნეტში კონფიდენციალობის დასაცავად. თუ თვითონ არ წამოჭრიან ამ საკითხებს, თქვენ გააცანით კიბერბულინგისა და ფინანსური ექსპლოატაციის საფრთხეები, რომლებიც შეიძლება მნიშვნელოვნად გაიზარდოს ყურადღების მოდუნებით პირადი კონფიდენციალობისა და უსაფრთხოების მიმართ (კიბერბულინგისა და კონფიდენციალობის/უსაფრთხოების შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად, იხ. თავი 5);
- ანალიზისას შეიძლება მიუთითოთ, რომ კონფიდენციალობის დაცვა ინტერნეტში მნიშვნელოვანია, ნაწილობრივ, უსაფრთხოებიდან გამომდინარე და ნაწილობრივ, პირად ხელშეუხებლობასა თუ ღირსებასთან დაკავშირებული მიზეზების გამო. ჩვენ არ უნდა ჩავიგდოთ თავი საფრთხეში (თუ გაგვიმართლებს) ნახევრად შიშველი სიარულით ან სულელური, ბოროტი კომენტარებით სხვებზე, რაც შეიძლება არ მოგვეწონოს შემდგომში. ინტერნეტში გამოქვეყნებული შინაარსი უფრო დიდხანს რჩება, ვიდრე ის, რასაც ვაკეთებთ არავირტუალურ სამყაროში, და ხშირად არ შეგვიძლია მისი წაშლა;
- დამატებით ინფორმაციას ყველა ადამიანის კონფიდენციალობის უფლებისა და მონაცემთა დაცვის შესახებ გაეცნობით ინტერნეტმომხმარებელთა ძირითადი უფლებების სახელმძღვანელოში.

ადაპტირება

აქტივობის ფარგლებში ძირითადი ყურადღება გამახვილებულია პირადი სივრცის დაცვაზე, თუმცა მისი გამოყენება შეგიძლიათ სხვების პირადი სივრცის პატივისცემის საკითხთა გამოსაკვლევადაც (მაგ.: შეგიძლიათ, ითხოვოთ ნებართვა სხვა ადამიანებზე ინფორმაციის გაზიარებამდე). ადამიანის უფლებათა ასპექტებზე სასაუბროდ, გამოიყენეთ მე-5 თავში ასახული ინფორმაცია კონფიდენციალობისა და უსაფრთხოების შესახებ.

იდეები მოქმედებებთან დაკავშირებით

მონაწილეებმა შეიძლება აღრიცხონ მათი „გაზიარებები“ კვირის განმავლობაში, კერძოდ, რა სახის ინფორმაცია გაავრცელეს და რამხელა აუდიტორიამ გაიგო ის. მათ არ დასჭირდებათ დაწვრილებითი ინფორმაციის მიწოდება, მაგრამ შესაძლებელი იქნება მონიტორინგის გაწევა დიაგრამაში იდენტიფიცირებული ჯგუფებისთვის (მშობლები, მეგობრები, მასწავლებლები და სხვა) ხელმისაწვდომ ინფორმაციაზე. მონაწილეებს შეუძლიათ იმ ინფორმაციის ჩაწერა, რომელსაც თვითონ აზიარებენ სხვებზე ან სხვები აქვეყნებენ მათ შესახებ.

დასარიგებელი მასალები

თქვენი საერთო ურთიერთობები:

ვის ეტყოდით?



წრეში თითოეული ტექსტური ყუთი დააკავშირეთ ტექსტების ყუთებს მარჯვენა მხარეს, ისრების გამოყენებით. მაგალითი:



NO HATE SPEECH MOVEMENT

ДОНЕ 3

ჯგუფი 10-20

დრო 90’

ვებშეტევა

მონაწილეები შეეცდებიან გამოგონილი კამპანიის ვებგვერდის შეცვლას, რათა გაუმკლავდნენ რასისტული კომენტარების ნაკადს ადგილობრივი თემის მხრიდან.

თემები	ინტერნეტწიგნიერება, კამპანიის ჩატარების სტრატეგიები, რასიზმი და დისკრიმინაცია.
სირთულე	დონე 3
ჯგუფის სიდიდე	10–20
დრო	90 წუთი
მიზნები	• რასიზმთან ბრძოლაზე მიმართული ძირითადი გზავნილების განხილვა; • რასიზმისა და სიძულვილის ენის წინააღმდეგ კამპანიის ორგანიზების კვლევა; • პრეზენტაციის, დარწმუნებისა და ონლაინკომუნიკაციის უნარების განვითარება.
მასალა	• ფლიპჩარტები და ფერადი კალმები/მარკერები.
მომზადება	• გაამრავლეთ დასარიგებელი მასალა (გვ. 182-183); • სთხოვეთ მონაწილეებს, გამოავლინონ მათი „ყველაზე კარგი“ და „ყველაზე ცუდი“ ვებგვერდები აქტივობის დაწყებამდე (სურვილისამებრ); • წვდომა ინტერნეტთან (სურვილისამებრ).

ინსტრუქციები

1. აუხსენით მონაწილეებს, რომ აქტივობა მოიცავს ვებგვერდის დიზაინის გადაკეთებას სკოლის კამპანიისთვის. წარუდგინეთ შემდეგი დამატებითი ინფორმაცია:

თქვენი სკოლა ფუნქციონირებს ტერიტორიაზე, სადაც ბევრი ემიგრანტი ცხოვრობს. სკოლა ამაყობს თავისი ძალისხმევით, დაამყაროს კარგი ეთნიკური ურთიერთობები. შესაბამისად, მოსწავლეებს შორის მხოლოდ რამდენიმე რასისტული გამოსვლა დაფიქსირდა. მიუხედავად ამისა, ურთიერთობა სკოლის გარეთ რჩება პრობლემურად. ეთნიკური უმცირესობები ხშირად ხდებიან შეურაცხყოფისა და ძალადობის მსხვერპლნი „თეთრი" უმრავლესობის მხრიდან და მრავლდება ნეონაცისტური ჯგუფები.

სკოლის ხელმძღვანელობამ სცადა ამ პრობლემის გადაჭრა ინტერნეტკამპანიის ორგანიზებით, რომლის მიზანი იყო ცნობიერების ამაღლება, თუ რატომ არის მნიშვნელოვანი ყველას მიღება თემში. შეიქმნა ვებგვერდი, ფორუმით, საზოგადოების კომენტარებისა და კითხვებისთვის. თუმცა, ადამიანებს არ სთხოვდნენ ფორუმზე დარეგისტრირებას და ის მალევე გაივსო რასისტული კომენტარებით.

2. აჩვენეთ მონაწილეებს „კამპანიის გვერდი" და ჰკითხეთ, რას ფიქრობენ მის შესახებ. დაიწყეთ რამდენიმე კითხვით:
   - არის თუ არა კამპანიის შეტყობინება მკაფიო?
   - რას ფიქრობთ ინფორმაციის ზოგადი შინაარსის, ასევე, მისი წარმოდგენის შესახებ?
   - კარგია კამპანიის გვერდი? რატომ?
3. აუხსენით, რომ აქტივობა მოიცავს ვებგვერდის დიზაინის შეცვლას და ონლაინფორუმის პოლიტიკის გადახედვას საჭიროების შემთხვევაში. დაარიგეთ სამუშაო ფურცლები (გვ. 182) და გაანაწილეთ მონაწილეები მცირე ჯგუფებში (მაქსიმუმ, 6 მონაწილე თითოეულ ჯგუფში).
4. გამოუყავით ჯგუფს, დაახლოებით, 20 წუთი კითხვების განსახილველად.
5. ამ დროის შემდეგ თითოეულ ჯგუფს დაურიგეთ ფლიპჩარტები და ფერადი ფანქრები. აცნობეთ, რომ კიდევ 15 წუთი აქვთ პირველი გვერდის მაკეტის შესაქმნელად. შესთავაზეთ, რომ გაინაწილონ საქმიანობა და ჯგუფის ზოგიერთ წევრს შინაარსზე მუშაობა დაავალონ, სხვებს კი - დიზაინზე (იხ. რჩევები ფასილიტატორებისთვის).
6. როდესაც ჯგუფები დაამთავრებენ მუშაობას, განათავსეთ „ვებგვერდები" ოთახის ირგვლივ და შეკრიბეთ მონაწილეები შეჯამებისთვის.

ჩაღრმავება

- რამდენად რთული იყო დავალება? რა იყო ყველაზე რთული და რა წარიმართა კარგად თქვენს ჯგუფში?
- მოგეწონათ დასრულებული პროდუქტი?
- რამდენად გაითვალისწინეთ თქვენი სამიზნე აუდიტორია ვებგვერდის შექმნისას: რაიმე გაა-კეთეთ ამ კონკრეტული ჯგუფისთვის (მაგ.: გამოიყენეთ წერის კონკრეტული სტილი)?

- აღმოაჩინეთ, რისი გაკეთება შეიძლება ვებგვერდის სტუმრების კამპანიაში ჩასართავად ან ვებგვერდის გამოყენებისთვის? თქვენი აზრით, რამდენად მნიშვნელოვანია ეს?
- შეადარეთ სხვადასხვა ჯგუფის ფორუმების პოლიტიკა და ჰკითხეთ, რატომ აირჩიეს ის. რომელ მოსაზრებას მიიჩნევთ ყველაზე მნიშვნელოვნად?
- როგორ ფიქრობთ, რასიზმი პრობლემაა თქვენს საზოგადოებაში? ჰკითხეთ მიზეზები;
- ოდესმე შეგხვედრიათ რასისტული შეურაცხყოფა ინტერნეტში? რას იღონებთ, თუ წააწყდებით ამ პრობლემას?

რჩევები ფასილიტატორებისთვის

- შეეცადეთ, ჩაიწეროთ მონაწილეთა შეხედულებები, თუ რა აკლია სკოლის „კამპანიის ვებგვერდს“. შეგიძლიათ, პუნქტები ჩამოწეროთ ფლიპჩარტებზე: შუაში გაუსვათ ხაზი და „პლუსები“ დაწეროთ ფურცლის ერთ ნახევარზე, „მინუსები“ კი - მეორეზე;
- თუ აზრთა სხვადასხვაობა გამოიკვეთა, დააფიქსირეთ ეს. ვებგვერდი შეიძლება მისაღები იყოს ერთი ადამიანისთვის მეორისთვის კი არა. შეიძლება ღირდეს ამის აღნიშვნა, როდესაც ისინი იმსჯელებენ სამიზნე აუდიტორიის შესახებ და მუშაობენ საკუთარ ვებგვერდებზე;
- სასურველია მეტი დროის გამოყოფა ჯგუფური სამუშაოსთვის. დიზაინის ეტაპზე, შეგიძლიათ, უფლება დართოთ მონაწილეებს, რომ ინტერნეტი გამოიყენონ „რეალური“ საიტების სანახავად. ეს წარმოდგენას შეუქმნით, თუ რა მოცულობის შინაარსი დაეტევა გვერდზე და ინფორმაციის მოწოდების რომელი საშუალებების გამოყენება შეიძლება;
- როდესაც ჯგუფი დაიწყებს მუშაობას ფლიპჩარტებზე, სთხოვეთ, გაინაწილონ დავალებები ჯგუფის წევრებს შორის (მაგ.: ზოგს შეუძლია, სამუშაოდ აირჩიოს კამპანიის მესიჯის გაუმჯობესება, ზოგს - სხვა საიტებზე (ან გვერდებზე) ბმულების შემოთავაზება, ანდა ფაქტიური დიზაინის შექმნა. შეახსენეთ, რომ შინაარსი და სტილი ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც დიზაინი;
- მეტ ინფორმაციას და მაგალითებს კამპანიის სტრატეგიების შესახებ შეგიძლიათ გაეცნოთ თავში 5.7;
- დამატებითი ინფორმაციისთვის გაეცანით „მოძრაობა სიძულვილის ენის წინააღმდეგ“ კამპანიის ვებ-გვერდზე არსებულ რესურსებს.

ადაპტირება

შეგიძლიათ, შეცვალოთ კამპანია, სიძულვილის სხვადასხვა სამიზნე ჯგუფზე ყურადღების გასამახვილებლად (მაგ.: ქალები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდები, რელიგიური უმცირესობები ან ბოშები).

თუ ჯგუფის წევრებს კარგი IT (ინფორმაციული ტექნოლოგიები) უნარები აქვთ, გვერდის დიზაინი შეიძლება გაკეთდეს ვორდის პროგრამაში, ან ვებ-გვერდის შექმნის უფასო პროგრამის გამოყენებით, რასაც მეტი დრო დასჭირდება.

იმის მიხედვით, რამდენი დრო გაქვთ, შემდეგ ეტაპზე შეგიძლიათ, მონაწილეებს სთხოვოთ ყველაზე საყვარელი და ნაკლებად საყვარელი ვებგვერდების დასახელება. შედეგად, შეიძლება წამოიჭრას სხვა თემებიც, რომლებიც, მათი აზრით, მნიშვნელოვანია კამპანიის გვერდის შესაქმნელად.

ფორუმის პოლიტიკის განხილვა შეიძლება დაიწყოს მთელ ჯგუფში, თუ დრო არ კმარა. შეგიძლიათ განიხილოთ იმ პოლიტიკის დადებითი და უარყოფითი მხარეები, რომელიც კომენტარების გაკეთების შესაძლებლობას იძლევა და არ მოითხოვს დარეგისტრირებას.

იდეები ქმედებებთან დაკავშირებით

შეჯამების შემდეგ, გაუზიარეთ მონაწილეებს ინფორმაცია ევროპის საბჭოს ინიციატივით განხორციელებულ კამპანიაზე „მოძრაობა სიძულვილის ენის წინააღმდეგ“. ასევე, მოუწოდეთ მონაწილეებს, გამოიყენონ კამპანიის ფარგლებში შემუშავებული რესურსები.

შეგიძლიათ, ჯგუფის ვებგვერდის გეგმები გამოიყენოთ როგორც ნამდვილი კამპანიის ვებგვერდის საფუძველი. იდეები უნდა შეგროვდეს ისე, რომ საბოლოო პროდუქტი იყოს მთელი ჯგუფის მუშაობის შედეგი და მონაწილეებმა იმუშაონ საიტის შინაარსობრივ მხარეზე. ეს შეიძლება იყოს გრძელვადიანი პროექტი და შესაბამისი შინაარსობრივი ნაწილის შესამუშავებლად ჩაერთონ კომპეტენტური ადამიანები. მონაწილეებს შეუძლიათ, სოციალური მედიის საიტზე შექმნან ჯგუფის გვერდი. ასევე, გამოიკვლიონ მათ თემში ეთნიკური ურთიერთობების თვალსაზრისით არსებული რეალური მდგომარეობა. ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან კონტაქტის დამყარება კარგი დასაწყისი იქნება.

დასარიგებელი მასალები

დავალების ფურცელი

განიხილეთ თქვენს ჯგუფში:

1. ვინ არის თქვენი ძირითადი სამიზნე აუდიტორია (მაგ.: ახალგაზრდები, ადგილობრივი თემის ყველა წევრი, ეთნიკური უმცირესობები, „თეთრკანიანი“ უმრავლესობის წევრები ... მთელი მსოფლიო)?
2. რა არის თქვენი კამპანიის მიზანი და როგორ შეიძლება მასში ჩართვა?
3. რა პოლიტიკა გაქვთ კომენტარების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით:
   - საჭიროა რეგისტრაცია კომენტარების გამოქვეყნებამდე?
   - რა არის თქვენი ფორუმის „პოლიტიკა“: ყველაფრის გამოქვეყნება შეიძლება თუ ზოგიერთი კომენტარი მიუღებელია?

NO HATE SPEECH MOVEMENT

კამპანიის გვერდი

სიდლფილდის საშუალო სკოლა

კამპანია ინტერეთნიკური გაგებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ხელშეწყობისთვის

ფორუმი

ამ ფორუმზე შეგიძლიათ თქვათ ყველაფერი, რასაც მოისურვებთ. ჩვენ გვჯერა აზრის გამოხატვის თავისუფლების!

ძირითადი თემები:

- მოგწონთ, რასაც ვაკეთებთ? 7,345 პოსტი
- გაწმინდეთ ჩვენი სკოლები; 3,231 პოსტი
- წაათრიეთ თქვენი ****სახლში; 3,123 პოსტი
- თეთრები შერეული განათლების წინააღმდეგ. 2,898 პოსტი
- გილოცავთ, სიდლფილდ! 1,002 პოსტი
- *** აქედან. ჩვენ არ გვითხოვია შენთვის აქ მოსვლა. 976 პოსტი
- როგორ შეძლებ სწავლას ტვინის გარეშე 535 პოსტი
- მშობლების პეტიცია რასიზმის წინააღმდეგ 812 პოსტი

<u>დაუჭირეთ აქ</u> დისკუსიაში მონაწილეობის მისაღებად!

ჩვენი ბლოგი

სიდფილდის საშუალო სკოლისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ინტერკულტურული გაგება ჯანსაღ სასწავლო გარემოში. წაიკითხეთ მეტი

სიდფილდმა კომისიას წარუდგინა შუალედური ანგარიში, რომელიც შეეხება რასობრივი თანასწორობის ბოლო კონსულტაციასთან დაკავშირებულ პოზიტიურ ქმედებას საშუალო განათლების დაწესებულებებში. წაიკითხეთ მეტი

სხვა ნაწილები

- <u>სკოლის დირექტორის განცხადება;</u>
- <u>ადგილობრივი ხელისუფლების განცხადება;</u>
- <u>ოფიციალური დოკუმენტაცია;</u>
- <u>ეკონომიკური მაჩვენებლები;</u>
- <u>სტატისტიკისა და არგუმენტების ბაზა.</u>

კამპანიის შესახებ

ჩვენი კამპანია შეიქმნა სკოლებსა და ადგილობრივ თემში ინტერეთნიკური გაგების ხელშეწყობისათვის. ჩვენ მივიღეთ პროაქტიული მიდგომა, რაც გამოიხატება მოსწავლე-ებისთვის პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნით, მათი რასის, ეთნიკური წარმოშობის, რელიგიური შეხედულებების ან კულტურული იდენტობის მიუხედავად. გაიგეთ მეტი

დონე 1

ჯგუფი
10-20

დრო
35’-25’

ვებპროფილები

აქტივობა ხორციელდება წარმოსახვით ინტერნეტფორუმზე. მონაწილეებს სთხოვენ ერთმანეთთან მისალმებას კონკრეტული ჯგუფების მიმართ არსებული ზოგადი სტერეოტიპების შესაბამისად. აქტივობის მეშვეობით ისინი შეიმუშავებენ ინტერნეტში ურთიერთობის სახელმძღვანელო პრინციპებს.

თემები	რასიზმი და დისკრიმინაცია, ინტერნეტწიგნიერება, დემოკრატია და მონაწილეობა.
სირთულე	დონე 1
ჯგუფის სიდიდე	10 – 20 მონაწილე
დრო	ნაწილი I: 35 წუთი ნაწილი II: 25 წუთი
მიზნები	• ცრურწმენისა და სიძულვილის ენის განხილვა ზოგიერთი ჯგუფის შესახებ; • განსხვავების განხილვა ინტერნეტსა და მის გარეთ კომუნიკაციას შორის; • სახელმძღვანელო პრინციპების განსაზღვრა ინტერნეტში კომუნიკაციისთვის.
მასალა	• წებოვანი ფირი; • კალმები და ფანქრები (და მომჭერები ან რამე, რაზეც დამაგრდება ქაღალდი); • ფლიპჩარტები და მარკერები; • სამოძრაო სივრცე.

მომზადება	• შექმენით ყველასთვის საკმარისი „პროფილი“ ჯგუფში (გამოიყენეთ გვ. 189 ან შექმენით საკუთარი); • დაწერეთ თითოეული პროფილი ფურცელზე (დაახლოებით, A5 ზომის) და მოამზადეთ წებოვანი ქაღალდის ნაჭრები, რათა ფურცელი მონაწილეებს ზურგზე დააწებოთ; • გაამრავლეთ ევროპის საბჭოს მიერ შემუშავებული სიძულვილის ენის განმარტება თითოეული მონაწილისთვის; • ასევე, დაგჭირდებათ საკმარისი სივრცე, რათა მონაწილეებმა შეძლონ გადაადგილება.

ინსტრუქციები

ნაწილი I. ფორუმზე (15 წუთი)

1. სთხოვეთ მონაწილეებს, წარმოიდგინონ, რომ არიან ინტერნეტფორუმზე ფეხბურთის (ჰოკეის ან ნებისმიერი სხვა სპორტის) შესახებ. აუხსენით, რომ ყველა მიიღებს ახალ „პროფილს“ და მათ უნდა წარმოადგინონ ეს პიროვნება. თუმცა, არავის ეცოდინება, რა წერია მის პროფილზე;
2. მოუყევით მონაწილეებს, რომ აქტივობისას მათ უნდა წარადგინონ საკუთარი თავი და მიესალმონ სხვებს. დისკუსიები უნდა იყოს მოკლე, მონაწილეები კი ეცადონ, რომ ფორუმზე შეძლებისდაგვარად მეტ სტუმარს მიესალმონ გამოყოფილ დროში;
3. აუხსენით მონაწილეებს, რომ აქტივობის მიზანია საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფზე არსებული წარმოდგენებისა და ცრურწმენების გამოკვლევა. ერთმანეთთან შეხვედრისას მონაწილეებმა უნდა იფიქრონ, თუ რისი თქმა შეუძლიათ ადამიანებს (ინტერნეტში) ვინმესთვის მათი იდენტიფიკატორის მიხედვით (მაგ.: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანისთვის სპორტულ ჯგუფში, შავკანიანი აფრიკელისთვის, მოხუცი ქალბატონისთვის და ა.შ). არ არის აუცილებელი, ადამიანებმა სხვებთან ურთიერთობა დაამყარონ ისე, როგორც რეალურ ცხოვრებაში, მაგრამ მათ უნდა მოიფიქრონ და წარმოაჩინონ ინტერნეტში არსებული ვარიანტები. დასაშვებია ცუდი კომენტარები, არავინ იქნება პასუხისმგებელი კომენტარზე, რომელსაც გაავეთებს აქტივობისას;
4. დაამაგრეთ იდენტიფიკატორი ყველა მონაწილეს ზურგზე ისე, რომ ვერ დაინახონ ისინი. დაურიგეთ ყველას ფურცლები და ფანქრები, რათა ჩაიწერონ სხვა მონაწილეთა მიერ გამოყენებული სიტყვები მათი იდენტიფიკატორის მიმართ;
5. სთხოვეთ, იმოძრაონ ოთახის ირგვლივ. დაუთმეთ, დაახლოებით, 10 წუთი შეხვედრისა და მისალმებისთვის. შემდეგ მონაწილეებს სთხოვეთ, შეჩერდნენ, მოიხსნან იდენტიფიკატორები და გადავიდნენ ჩაღრმავებაზე.

ჩაღრმავება (20 წუთი)

დარწმუნდით, რომ მონაწილეები გამოვიდნენ როლებიდან ჩაღრმავებამდე: დაიწყეთ თხოვნით, რომ ყველამ თქვას თავისი ნამდვილი სახელი და რამე საკუთარი თავის შესახებ. შემდეგ გამოიყენეთ ზოგიერთი ქვემოთ მოცემული კითხვა:

- ხომ არ შეძლო რომელიმე მონაწილემ მისი პროფილის ასპექტების გამოცნობა? სთხოვეთ, მოიყვანონ მიზეზები და ჩამოთვალონ ზოგიერთი სიტყვა, რომლებიც გამოყენებულია მათთან მისასალმებლად;
- ვის მოეწონა აქტივობა? ვის არ მოეწონა? რატომ?
- სთხოვეთ მონაწილეებს, გადახედონ საკუთარ პროფილებს
- გაუკვირდა ვინმეს სიტყვები, რომლებიც გამოყენებული იყო მასთან მისალმებისას?
- როგორ ფიქრობთ, პროფილები „რეალისტური“ იყო? გამოაქვეყნებენ ადამიანები ამ ტიპის ინფორმაციას საჯარო პროფილზე?
- რამდენად მარტივი იყო ცუდი ფრაზების თქმა სხვებისთვის? კონკრეტული პროფილებისთვის უფრო მარტივი იყო ცუდი ფრაზების მოძებნა?
- როგორ ფიქრობთ, ინტერნეტში უფრო მარტივი იქნებოდა ცუდი ფრაზების თქმა (ანუ თუ ადამიანთან პირისპირ არ იქნებოდით)? რა განსხვავებაა?

ნაწილი II. სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება (25 წუთი)

1. მონაწილეებს გააცანით სიძულვილის ენის განმარტება, რომელსაც იყენებს ევროპის საბჭო:

> სიძულვილის ენა მოიცავს გამოხატვის ყველა ფორმას, რომელიც ავრცელებს, აქეზებს, ხელს უწყობს ან ამართლებს რასობრივ სიძულვილს, ქსენოფობიას, ანტისემიტიზმს ან სიძულვილის სხვა სახეებს, დაფუძნებულს შეუწყნარებლობის სხვადასხვა ფორმაზე (მაგ.: როგორიცაა აგრესიული ნაციონალიზმი, ეთნოცენტრიზმი, დისკრიმინაცია და მტრული განწყობა უმცირესობების, ემიგრანტებისა და ემიგრანტული წარმოშობის ადამიანების მიმართ).
>
> ევროპის საბჭო, მინისტრთა კომიტეტი.

2. სთხოვეთ მონაწილეებს, გამოთქვან მოსაზრებები მოცემულ კითხვებთან დაკავშირებით და აუხსენით, რომ შემდეგ ეს განიხილება ჯგუფებში:
   - როგორ ფიქრობთ, უნდა იყოს თუ არა სიძულვილის ენა ნებადართული ინტერნეტში?
   - რატომ იყენებენ ადამიანები ონლაინ სიძულვილის ენას სხვების წინააღმდეგ?
   - რა საშუალებას შემოგვთავაზებდით პოსტებზე მონიტორინგისთვის, რომ ისინი არ იყოს საწყენი?
3. აუხსენით მონაწილეებს, რომ მცირე ჯგუფებში (4-5 ადამიანი) იმუშავებენ ინტერნეტ-აქტივობის სახელმძღვანელო პრინციპების დასადგენად. ამ დავალების შესრულებისთვის მიეცით, დაახლოებით, 10 წუთი და შემდეგ შეაერთეთ ჯგუფები სხვადასხვა ვარიანტის განსახილველად.

ჩაღრმავება

- გაქვთ თუ არა რაიმე კომენტარი სხვადასხვა შემოთავაზებების შესახებ? ხომ არ დაიმახსოვრეს მონაწილეებმა ისეთი რამ, რისი ხსენებაც თქვენ შეიძლება დაგავიწყდათ?
- რომელი სახელმძღვანელო პრინციპები უნდა იქნას აუცილებლად დაცული ფორუმზე პოზიტიური და უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად?
- როგორ ფიქრობთ, შესაძლებელი იქნება თქვენი სახელმძღვანელო პრინციპების დაცვა?
- დაასახელეთ ფორუმზე წესებისა და სახელმძღვანელო პრინციპების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში თემის ჩართვის გზები.
- მონაწილეებს სთხოვეთ, ისაუბრონ თავიანთ რეალურ გამოცდილებებზე ფორუმებთან და თემებთან დაკავშირებით. როგორ ხდება წესების პატივისცემა, აღსრულება და შემუშავება ასეთ თემებში?

რჩევები ფასილიტატორებისთვის

- სავარჯიშოში მნიშვნელოვანია იდენტობის არჩევა. თქვენ შეგიძლიათ ისეთი სახელების ან პროფილების შერჩევა, რომლებიც უფრო მისაღები იქნება თქვენი ჯგუფისთვის. ჩამორიგებისას შემთხვევით არ მისცეთ ვინმეს ისეთი პროფილი, რომელიც ახლოს იქნება მის ნამდვილ ვინაობასთან.
- თქვენ შეიძლება მოინდომოთ მონაწილეებისთვის მათი სახელების თქმა, როდესაც გადასცემთ პროფილებს. არ მისცეთ მათ რაიმე სხვა ინფორმაცია და სთხოვეთ, არ დაიწყონ იმის გარკვევა, თუ რა წერია მათ ფურცელზე.
- როდესაც მონაწილეებს ჩაუტარებთ ბრიფინგს ფორუმისთვის, სთხოვეთ, ერთმანეთს შეურიონ რამდენიმე დადებითი (ან ნეიტრალური) და უარყოფითი მისალმება. უთხარით, რომ კომენტარები უნდა ეხებოდეს მხოლოდ პროფილის წარწერას და არა ადამიანის რეალურ ცხოვრებას. კარგი იქნება, თუ რამდენიმე ნიმუშს მოუყვანთ აქტივობის დაწყებამდე, მაგალითად:
    - „სალამი სპორტსმენს!“
    - „შენ ძალიან გასუქდი ფეხბურთის თამაშისთვის!“
    - „ჰეი, უცხოპლანეტელო, რას აკეთებ აქ?“
- აქტივობის შემდეგ დარწმუნდით, რომ არავინ დარჩა ნაწყენი რეალურ ცხოვრებაში იმის გამო, რაც როლის შესრულებისას უთხრეს. შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს ზოგიერთი უარყოფითი კომენტარის მაშინვე განხილვა (მაგ.: შეგიძლიათ, ჰკითხოთ საწყენი მისალმების ავტორს, მართლაც ასე ფიქრობს ამ ადამიანზე თუ არა).
- კარგი იქნება, თუ ოთახში რამდენიმე მაგიდას განათავსებთ, რომ მონაწილეებს არ გაუჭირდეთ შენიშვნების ჩაწერა მოძრაობისას. გარდა ამისა, შეგიძლიათ, გყავდეთ რამდენიმე დამკვირვებელი, რომლებიც არ ჩაერთვებიან აქტივობაში, მაგრამ ჩაიწერენ მონაწილეების შენიშვნებს (და რეაქციებს).

- როდესაც ჯგუფები შეიმუშავებენ საკუთარ სახელმძღვანელო პრინციპებს, შეიძლება ოთახში ისე გამოფინოთ, რომ სხვებმა იარონ მათ ირგვლივ და დაინახონ.

ადაპტირება

აქტივობა შეიძლება განხორციელდეს წერილობითი ფორმითაც. თქვენ დაგჭირდებათ 189 გვერდზე ასახული პროფილების 3 ან 4 ასლის გადაღება და მათი დაჭრა ბარათებად. მონაწილეებისთვის მათი პროფილების დარიგების (ზურგზე დაწებების) შემდეგ, გადაეცით 3 ან 4 შემთხვევით არჩეული ბარათი, რომელთა უკანა მხარესაც დაწერენ მისალმებებს. შემდეგ ბარათი გადაეცემა ადამიანს შესაბამისი პროფილით.

ამ მეთოდით უფრო კარგად აისახება ადამიანთა შედარებითი ანონიმურობა ონლაინსივრცეში, თუმცა ამას ცოტა მეტი დრო დასჭირდება.

იდეები მოქმედებებთან დაკავშირებით

მონაწილეებმა შეიძლება მუშაობა განაგრძონ და საერთო სახელმძღვანელო პრინციპები შეიმუშაონ მთელი ჯგუფისთვის. მოგვიანებით, შეგიძლიათ დაუბრუნდეთ სახელმძღვანელო პრინციპებს და ეკითხოთ, როგორ ახერხებდნენ მონაწილეები მათ დაცვას.

თუ ძლიერ ცრურწმენას შენიშნავთ კონკრეტული ჯგუფების წინააღმდეგ, შეგიძლიათ, მათ მიმართოთ უფრო მიზანმიმართული აქტივობების მეშვეობით. ჩახედეთ საგანმანათლებლო ინსტრუმენტების ნაკრებს და კომპასს იმ აქტივობების გამოსავლენად, რომლებიც ებრძვის ცრურწმენას და დისკრიმინაციას (www.coe.int/compass).

NO HATE SPEECH MOVEMENT

დასარიგებელი მასალები

პროფილების მაგალითები:

ალა (ქალი) **ასაკი: 19** **ლესბოსელი**	**პიერი (მამაკაცი)** **ასაკი: 9** **უყვარს თამაშები ინტერნეტში**	**მიგელი (მამაკაცი)** **ასაკი: 16** **ეროვნული ჩემპიონი მათემატიკაში**
სტეფანი (მამაკაცი) **ასაკი: 33** **ფეხბურთის მწვრთნელი**	**ჰიუგი (მამაკაცი)** **ასაკი: 21** **ვენესუელიდან**	**კრისი (მამაკაცი)** **ასაკი: 43** **საგზაო მოძრაობის ინსპექტორი**
დაფნა (ქალი) **ასაკი: 65** **აქვს საკუთარი ბიზნესი**	**ამლინი (მამაკაცი)** **ასაკი: 27** **სომალიდან**	**სონია (ქალი)** **ასაკი: 33** **უმუშევარი**
ჰანსი (მამაკაცი) **ასაკი 23** **ბოშა**	**სლავა (მამაკაცი)** **ასაკი: 26** **დალაქი**	**ლიზა (ქალი)** **ასაკი: 30** **მზარეული**
რებეკა (ქალი) **ასაკი: 28** **დასწავლის სირთულის მქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი**	**იოანე (მამაკაცი)** **ასაკი: 31** **იეღოვას მოწმე**	**შტეფი (ქალი)** **ასაკი: 12** **სმენის არმქონე**
ლიანა (ქალი) **ასაკი: 13** **თამაშობს სკოლის საფეხბურთო გუნდში**	**რიკარდო (მამაკაცი)** **ასაკი: 72** **გეი**	**სემი (მამაკაცი)** **ასაკი: 21** **ჩოგბურთის პროფესიონალი მოთამაშე**
დევიდი (მამაკაცი) **ასაკი: 26** **ომის ვეტერანი (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი)**	**ლეონი (მამაკაცი)** **ასაკი: 29** **იმამი (მუსლიმი სასულიერო პირი)**	**ჯო (მამაკაცი)** **ასაკი: 37** **საქველმოქმედო მუშაკი**

თავი 5

კონტექსტი

ონლაინ სივრცეში სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლა ადამიანის უფლებების სწავლების გზით

5.1 სიძულვილის ენა ინტერნეტში 191
5.2 ადამიანის უფლებები 200
5.3 გამოხატვის თავისუფლება 208
5.4 რასიზმი და დისკრიმინაცია 215
5.5 პირადი ცხოვრება და უსაფრთხოება 221
5.6 დემოკრატია და მონაწილეობა 226
5.7 კამპანიის სტრატეგიები 233
5.8 ინტერნეტწიგნიერება 238
5.9 კიბერბულინგი 249
5.10 ევროპის საბჭო და ონლაინ სიძულვილის ენა 254

5.1. სიძულვილის ენა ინტერნეტში

(...) სიძულვილის ენა მოიცავს გამოხატვის ყველა ფორმას, რომლებიც ავრცელებს, აქეზებს, ხელს უწყობს ან ამართლებს რასობრივ სიძულვილს, ქსენოფობიას, ანტისემიტიზმს ან სიძულვილის სხვა სახეებს, დაფუძნებულს შეუწყნარებლობის სხვადასხვა ფორმაზე (მაგ.: როგორიცაა აგრესიული ნაციონალიზმი, ეთნოცენტრიზმი, დისკრიმინაცია და მტრული განწყობა უმცირესობების, ემიგრანტებისა და ემიგრანტული წარმოშობის ადამიანების მიმართ).

ევროპის საბჭო, მინისტრთა კომიტეტი, რეკომენდაცია No. (97) 20.

სიძულვილის ენის განმარტება

სიძულვილის ენა არ არის ყოველთვის ცალსახა პრობლემა, რომელსაც შეიძლება დადებითი ან უარყოფითი პასუხი გაეცეს. მოსაზრებები სიძულვილის ენის კლასიფიკაციისა და მასთან გამკლავების შესახებ განსხვავდება. მიზეზი ის არის, რომ ამ საკითხებს ადამიანები ურთიერთდაკავშირებულად მიიჩნევენ, თუ რაიმე განიმარტება სიძულვილის ენად, ეს თითქოს მოქმედების გარანტიას იძლევა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ მას მისაღებად ან, სულ მცირე, ასატანად მივიჩნევთ. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ მიერ გამოყენებული განმარტება გვკარნახობს, თუ როდის უნდა ვიმოქმედოთ.

ზოგიერთ ადამიანს არ სურს „მოქმედება“ სიძულვილის ენის წინააღმდეგ, ვინაიდან ამას თვლის გამოხატვის თავისუფლების მიუღებელ შეზღუდვად. ამიტომ ისინი ტერმინს „სიძულვილის ენა“ იყენებენ მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში (მაგ.: როდესაც ვინმეს სიცოცხლეს ან უსაფრთხოებას ექმნება რისკები).

წინამდებარე სახელმძღვანელო შექმნილია ევროპის საბჭოს მიერ შემუშავებული განმარტების საფუძველზე, რომელიც უფრო ვრცლად აღწერს სიძულვილის ენას. სახელმძღვანელოს მიდგომა ეთანხმება იდეას, რომ „რაღაც უნდა გაკეთდეს“ იმასთან მიმართებით, რაც ამ განმარტების ფარგლებში ხვდება. მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს, რომ „რაღაცის კეთება“ არ გულისხმობს საუბრის შეზღუდვას ან მის აკრძალვას. არსებობს რეაგირების სხვა მრავალი საშუალება. ინფორმაცია კამპანიის ორგანიზების სტრატეგიების შესახებ აღნიშნულ საკითხს უფრო დეტალურად წარმოაჩენს.

ამ თავის ბოლო ნაწილში წარმოდგენილია სიძულვილის ენის კლასიფიკაციისა და შეფასების შემთხვევები. თუმცა, მანამდე დგას საკითხი, რატომ არის (და არის თუ არა საერთოდ) საჭირო სიძულ-

ვილის ენის განხილვა. ზოგიერთ ადამიანს სჯერა, რომ „ინტერნეტი თვითონ დაახარისხებს ყველაფერს“ და ჩვენ უნდა ვუზრუნველვყოთ გამოხატვის თავისუფლება, სულ მცირე, ამ სფეროში!

ევროპის საბჭოს მიერ შემუშავებული სიძულვილის ენის განმარტება მოიცავს „გამოხატვის ყველა ფორმას“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არა მარტო საუბარს, არამედ სურათებს, ვიდეოებს ან ინტერნეტაქტივობის სხვა ფორმებს. კიბერსიძულვილიც სიძულვილის ენის გამოხატულებაა.

რატომ არის საჭირო ინტერნეტში სიძულვილის ენის პრობლემის გადაჭრა?

სიძულვილის ენა საწყენია

სიტყვები ანიჭებენ ტკივილს და სიძულვილიც მტკივნეულია! სიძულვილის ენა სერიოზული პრობლემაა და შეიძლება ადამიანის უფლებების დარღვევა გამოიწვიოს. სიძულვილის ენა ინტერნეტში არ არის ონლაინსივრცის მიღმა არსებულ ფორმებზე ნაკლებად სერიოზული, მაგრამ ხშირად მისი იდენტიფიცირება და გამოწვევად მიღება უფრო რთულია.

რამდენნაირად შეუძლიათ ადამიანებს „სიძულვილის“ გამოხატვა ინტერნეტში?

სიმღერა, ვიდეო, ტვიტი, მულტფილმი, შესაბამისად დამუშავებული სურათი...

დამოკიდებულებებს მივყავართ კონკრეტულ ქმედებებამდე

სიძულვილის ენა საშიშია არა მხოლოდ იმიტომ, რომ თავისთავად, გამანადგურებელია, მან შეიძლება გამოიწვიოს ადამიანის უფლებათა გაცილებით სერიოზული დარღვევებიც. ინტერნეტში სიძულვილის ენა სიძულვილს აღვივებს ინტერნეტსივრცის გარეთაც, იწვევს რასისტულ დაძაბულობას და დისკრიმინაციისა და შეურაცხყოფის სხვა ფორმებს. სიძულვილის სწრაფად გავრცელების შესაძლებლობა ვირტუალურ სამყაროში ზრდის მის პოტენციურ ზიანს.

გითქვამთ ინტერნეტში რამე, რასაც არ იტყოდით პირადად? გააკეთებდით ამას, თუ გეცოდინებოდათ, რომ თქვენი იდენტიფიცირება შეუძლებელია?

ინტერნეტში სიძულვილის ენა შედგება არა მარტო „სიტყვებისგან“

ინტერნეტი გვაძლევს ურთიერთობის სწრაფად და სხვადასხვა გზით დამყარების საშუალებას, მაგალითად სოციალური მედიითა თუ ონლაინთამაშებით და ხშირად, ანონიმურად. ინტერნეტში სი-

ძულვილის ენის გამოხატვა შეიძლება ვიდეოებისა და სურათების მეშვეობით, ასევე, უფრო ნაცნობი „ტექსტური“ ფორმით. ვიზუალურ ან მულტიმედიურ ფორმებს ხშირად უფრო დიდი გავლენა აქვთ ცნობიერ და ქვეცნობიერ მიდგომებზე.

სიძულვილი მიზანში იღებს ადამიანებს და ჯგუფებს

ონლაინ სიძულვილის ენა შეიძლება მიემართებოდეს ჯგუფებს, რომლებიც უკვე არიან მოწყვლადნი რაიმე ნიშნით (მაგ.: თავშესაფრის მაძიებლები, რელიგიური უმცირესობები ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანები). თუმცა, ეს ადამიანები, ინტერნეტში უფრო ხშირად ხდებიან სიძულვილის სამიზნეები. გავლენა ზოგჯერ ფატალურია, როგორც კიბერბულინგში, რამაც არაერთ შემთხვევაში გამოიწვია თვითმკვლელობა. სიძულვილის ენა საფრთხეს უქმნის იმ ადამიანსაც, რომელიც გაიგივებულია სიძულვილის ენის სამიზნეებთან.

ინტერნეტის მონიტორინგი ადვილი არ არის

ინტერნეტში სიძულვილის ენა უფრო ხშირად გვხვდება, ვიდრე მის გარეთ და თანაც ნაკლებად კონტროლდება. „მოძულეებს“ ინტერნეტში უფრო მარტივად (ნაკლები რისკებით) შეუძლიათ ადამიანებისთვის შეურაცხყოფის მიყენება, ვიდრე მის ფარგლებს გარეთ. ეს იმიტომ, რომ ადამიანებს შეუძლიათ დამალვა ანონიმურობის ნიღბის ქვეშ.

ონლაინ სიძულვილის ენას ღრმა ფესვები აქვს

ინტერნეტში სიძულვილის ენის განმსაზღვრელ მიდგომებსა და სოციალურ დაძაბულობას ღრმად აქვს ფესვები გადგმული საზოგადოებაში და როგორც წესი, განაპირობებს იგივე მიზეზები, რომლებიც სიძულვილს წარმოშობს ონლაინსივრცის მიღმა. ონლაინ სიძულვილის განხილვისას ჩვენ ვმუშაობთ იმაზეც, რომ შევამციროთ სიძულვილის მაგალითები ინტერნეტსივრცის გარეთ.

ინტერნეტი არ არის კუნძული

ონლაინაქტივობა თანამედროვე საზოგადოების მნიშვნელოვანი მახასიათებელია, მაგრამ ის არ უნდა აღვიქვათ სფეროდ, რომელზეც არ ვრცელდება ადამიანთა ქცევის ჩვეული წესები. პირის ვირტუალურ არსებობას მჭიდრო კავშირი აქვს მის „რეალურ“არსებობასთან. ჩვენი ცხოვრების ორი სფერო გადაბმულია ერთმანეთზე. ვირტუალური სამყარო „რეალური“ სამყაროს მნიშვნელოვანი ნაწილი გახდა. ინტერნეტში სიძულვილის ენას ხშირად აქვს ზეგავლენა ყოველდღიურ ცხოვრებაზე: ადამიანი, გრძნობები, გამოცდილება და დინამიკა ინტერნეტში ისეთივეა, როგორიც მის ფარგლებს გარეთ.

ინტერნეტი ისევ ახალგაზრდაა!

ვირტუალურ სამყაროზე ჩვენ, შედარებით, ცოტა რამ გვესმის. ინტერნეტსამყაროს მარეგულირებელი კანონები და რეგულაციები, რომლებითაც დგინდება, რა არის მისაღები ან მიუღებელი, ნაკლებად განვითარებულია. ონლაინაქტივობა უნდა განვიხილოთ ზოგადი ღირებულებების იმავე პრიზმაში, რომლითაც ვხელმძღვანელობთ ინტერნეტს მიღმა აქტივობისას. ონლაინსივრცეზე უნდა გავრცელდეს იგივე კანონმდებლობა კერძოდ, ადამიანის უფლებათა სფეროში მოქმედი სამართალი.

ინტერნეტი შეიძლება იყოს უკეთესი!

ინტერნეტი, არც მეტი, არც ნაკლები, ისეთია, როგორსაც ადამიანები ქმნიან. ისევე, როგორც რეალურ საზოგადოებაში, დომინანტური ქცევა იქნება ის, რომელიც „მისაღები“ ანუ ნორმა გახდება. ჩვენ გვესაჭიროება ხედვა, რომელიც განსაზღვრავს, მისაღებია თუ არა ონლაინქცევა. მეტიც, ჩვენ უნდა ვიმუშაოთ ამ ნორმების აღიარებაზე. ეს ნიშნავს, რომ, როგორც მოქალაქეები, უნდა დავინტერესდეთ, როგორ იმართება ინტერნეტი და რატომ არის გარკვეული რაღაცები ნებადართული, რაღაცები კი - არა.

ზოგიერთ ფორუმს ან ვებგვერდს აქვს საკუთარი „კულტურა“.

როგორ შეუძლიათ ახალგაზრდებს საკუთარი „ინტერნეტ კულტურის“ შექმნა?

მითები ანონიმურობისა და დაუსჯელობის შესახებ

ინტერნეტში სიძულვილის ენის გამოყენების მასშტაბები სულ უფრო იზრდება და პრობლემა მწვავდება იმის გამო, რომ ადამიანები სათანადოდ ვერ აფასებენ მის გამანადგურებელ ზემოქმედებას. აღსანიშნავია, რომ ამას ხელს უწყობს ონლაინ სოციალურ ურთიერთობებთან დაკავშირებული ორი მითი: დაუსჯელობა და ანონიმურობა. რაც ინტერნეტში კეთდება, ყველაფრის მიკვლევა შეიძლება. ეს დამოკიდებულია სამართალდამცველი ორგანოების მზაობაზე, სიღრმისეულად გამოიკვლიონ ეს ასპექტი. თუმცა, მოსაზრება, რომ სიძულვილის ენის შემცველი განცხადებების გამოქვეყნება შესაძლებელია ყოველგვარი კვალის დატოვების გარეშე, უფრო ამარტივებს მის გამოყენებას, განსხვავებით იმ შემთხვევისგან, როცა ადამიანმა იცის, რომ მისი ვინაობა ცნობილი გახდება.

ანონიმურობასთან ერთად ჩნდება დაუსჯელობის განცდა. ადამიანებმა, რომლებიც სიძულვილის ენას მიმართავენ, შეიძლება იციან, რომ მათი ქმედებები უკანონო, უსამართლო ან ამორალურია, მაგრამ დარწმუნებულნი არიან, რომ არაფერი ემუქრებათ. დაუსჯელობაც მითია, ვინაიდან სიძულვილის ენა შეიძლება არაერთ ქვეყანაში გახდეს რეაგირების საბაბი.

ამგვარად, საჭიროა ორივე მითის განხილვა და განმარტება, ანონიმურობისაც და დაუსჯელობისაც.

სიძულვილის ენის კლასიფიკაცია

ცუდი სიძულვილი, უარესი სიძულვილი

სიძულვილის ენაზე ნებისმიერი რეაგირების შემთხვევაში უნდა გავაცნობიეროთ, რომ „სიძულვილს“ აქვს თავისი სპექტრი. მიუხედავად იმისა, რომ სიძულვილის ნებისმიერი გამოხატვა ცუდია, ერთი შემთხვევა შეიძლება მეორეზე უარესი იყოს, მაგალითად უფრო საწყენი ფორმით გამოიხატოს; გავლენა მოახდინოს ადამიანთა მეტ რაოდენობაზე ან უფრო აღმაშფოთებელი და პოტენციურად სახიფათო სახე ჰქონდეს.

სიძულვილის ენაზე რეაგირებისას ეს გასათვალისწინებელია, ვინაიდან განსხვავება სიძულვილის დონეებში განსაზღვრავს განსხვავებას რეაგირების მხრივ. სიძულვილის ენაზე ქმედითი რეაგირება არ გულისხმობს გამოხატვის თავისუფლების არაპროპორციულ შეზღუდვას, იგი უნდა მიემართებოდეს სიძულვილის ენის შედეგად მიყენებული (ან შესაძლო) ზიანის გამოსწორებას. ქვემოთ მოცემულია რამდენიმე სასარგებლო რჩევა, რომლებიც გასათვალისწინებელია ინდივიდუალური შემთხვევების შეფასებისას.

გამოხატვის შინაარსი და ტონი

სიძულვილის გამოხატვის ზოგიერთი ფორმა უფრო მძაფრია, რადგანაც გამოყენებულია უფრო შეურაცხმყოფელი სიტყვები და სავარაუდოდ, მოქმედებისკენ მოუწოდებს სხვებს. სპექტრის სხვა მხარესაა ზომიერი შეურაცხყოფა ან ფართო განზოგადება, რომელიც ცუდი (და ზოგჯერ, ცრუ) კუთხით წარმოაჩენს კონკრეტულ ჯგუფებს ან პიროვნებას.

მეტი ინფორმაცია გამოხატვის თავისუფლების, მათ შორის, მისი სამართლებლივი შეზღუდვის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ 208 გვერდზე.

პირობითი კლასიფიკაციის ფარგლებში, რომელიც დაფუძნებულია შინაარსსა და ტონზე, შეიძლება წინამდებარე გამოხატვები ცუდიდან უარესამდე დიაპაზონით დალაგდეს:

ისტორიულად ემიგრანტები ახდენენ ცუდ გავლენას.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანები ძარცვავენ სახელმწიფოს.

ზანგი არ არის ადამიანი - ის ცხოველია.

*შენ ხარ **** ბოზი. მე ხვალ გაგაუპატიურებ.*

შეურაცხმყოფელი ან მუქარის შემცველი

პრაქტიკულად, ძალიან რთულია შინაარსის ან ტონის განცალკევება ზოგადი არსისგან. ქვემოთ მოცემული სხვა ფაქტორების გათვალისწინებამ შეიძლება შეცვალოს ამ განცხადებათა ორგანიზების სტილი, მაგალითად ემიგრანტების შესახებ კომენტარის გავლენა შეიძლება უფრო დამაზიანებელი იყოს, ვინაიდან მასში გამოყენებულია უფრო მოზომილი ენა.

გამოხატვაზე პასუხისმგებელი პირის განზრახვა

ადამიანები - განსაკუთრებით, ინტერნეტში - რაღაცებს ამბობენ სიტყვების სათანადო გააზრების გარეშე. ჩვენ ხშირად ვიწვევთ წყენას უნებლიეთ, შემდეგ კი ვწუხვართ და სავარაუდოდ, უკან მიგვაქვს ნათქვამი. მომდევნო ორ მაგალითში ორივე განცხადება მიუღებელია, მაგრამ ერთი ნათქვამია წყენის განზრახვით. ყოველ შემთხვევაში, ეს ორი შემთხვევა სხვადასხვა რეაგირებას საჭიროებს.

სამიზნეები ან პოტენციური სამიზნეები

ზოგიერთი ჯგუფი ან პიროვნება უფრო მეტად მოწყვლადია კრიტიკის მიმართ. ამის მიზეზი შეიძლება იყოს საზოგადოების დამოკიდებულება, ასევე, მათი წარმოჩენა მედიის მიერ ან ის, რომ თავიანთი პირობების გამო არ აქვთ თავდაცვის შესაძლებლობა. მუსლიმების დამცირება, მაგალითად, შეიძლება უფრო მეტად დამაზიანებელი იყოს იმ ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის უმეტესობა არამუსლიმია. ქრისტიანებმა კი თავი უფრო ცუდად იგრძნონ იქ, სადაც უმცირესობაში არიან. ბავშვები ყურადღებას და დაცვას ყველა საზოგადოებაში საჭიროებენ.

სიძულვილის ენის განსაკუთრებით ხშირი სამიზნე ჯგუფები გამოვლენილია ამ ნაწილის დასაწყისში, თუმცა მისი სამიზნე შეიძლება ნებისმიერი ადამიანი გახდეს (თუნდაც არ ხვდებოდეს ჩამოთვლილ კატეგორიებში, რომელთა მიმართაც შეუწყნარებლობა გამოიხატება).

წინამდებარე მაგალითი გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება სხვადასხვა ჯგუფის მიმართ გამოყენებულ ერთსა და იმავე გამოხატვას ჰქონდეს სხვადასხვა ზემოქმედება. მეორე, სავარაუდოდ, უფრო მეტი ზიანის მომტანია:



კონტექსტი

სიძულვილის კონკრეტული გამოხატვა მოიცავს მის თანმხლებ ისტორიულ და კულტურულ გარე-მოებებს, ასევე, ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა საშუალო (და, სავარაუდოდ, სამიზნე) აუდიტორია, არსებული დაძაბულობა და ცრურწმენა, გამოხატვაზე პასუხისმგებელი ადამიანის „ავტორიტეტი“ და სხვა.



რეალური ან პოტენციური ზეგავლენა

რეალური ან პოტენციური ზეგავლენა პიროვნებებზე, ჯგუფებსა ან საზოგადოებაზე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია, როდესაც ვაფასებთ სიძულვილის ენის გამოხატვას და ვაანალიზებთ საკუთარ რეაგირებას მასზე. ფაქტობრივი ზეგავლენა ხშირად უფრო არსებითია, ვიდრე სხვების აზრი ამ მხრივ. მაგალითად, თუ ბავშვი ძალიან შეწუხდა სხვების „მეგობრული“ კომენტარებით, მისი რეალური ტკივილი უფრო მნიშვნელოვანი იქნება, ვიდრე სხვების უფლება, „გამოხატონ საკუთარი აზრი“.

სიძულვილი, კიბერსიძულვილი და საერთაშორისო სამართალი

ადამიანის უფლებებსა და ადამიანის უფლებათა სამართალზე დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ თავი 5.2.

მიუხედავად იმისა, რომ ამ სახელმძღვანელოში აქცენტი არ კეთდება სამართლებრივი საშუალებების გამოყენებაზე, კარგი იქნება, მაინც ვახსენოთ ზოგიერთი სამართლებრივი აკრძალვა სიძულვილის ენასთან დაკავშირებით, რომლებიც ვირტუალურ სამყაროზე ვრცელდება.

- მუხლი 20. **საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ** აღნიშნავს, რომ „ეროვნული, რასობრივი ან რელიგიური სიძულვილის ნებისმიერი დაცვა, რომელიც წარმოადგენს დისკრიმინაციის, მტრული განწყობის ან ძალადობის წაქეზებას, უნდა აიკრძალოს კანონით".
- მუხლი 4. **საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ** აცხადებს, რომ ყველა სახის პროპაგანდა, რომელიც ხელს უწყობს და აქეზებს რასობრივ დისკრიმინაციას, უკანონოა.
- მუხლი 10. **ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია** იცავს გამოხატვის თავისუფლებას, მაგრამ უშვებს მის შეზღუდვას „სხვების რეპუტაციის ან უფლებების დასაცავად", ისევე, როგორც სხვა მიზნებისთვის. ამ მუხლის მეშვეობით, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ სიძულვილის ენის ზოგიერთი შემთხვევის აკრძალვა საკუთარ ქვეყნებში.
- კონვენციის მე-17 მუხლი კრძალავს ყველა ქმედებას, რომლებიც „მიზნად ისახავს ნებისმიერი უფლებისა და თავისუფლების [რომლებიც მოცემულია კონვენციაში] შეზღუდვას". ეს მუხლი გამოიყენება სიძულვილის ენასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ დაწესებული შეზღუდვების გასამართლებლად.

იცით თუ არა, სიძულვილის ენის რომელი ფორმებია აკრძალული თქვენს ქვეყანაში?

ევროპის საბჭოს სხვა ასეთ საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებს მიეკუთვნება კონვენცია კიბერდანაშაულის წინააღმდეგ (ცნობილია, როგორც ბუდაპეშტის კონვენცია, 2001). ეს დოკუმენტი ერთადერთი სავალდებულო საერთაშორისო ინსტრუმენტია მოცემულ სფეროში. იგი ადგენს სახელმძღვანელო პრინციპებს ნებისმიერი ქვეყნისთვის, რომლებიც შეიმუშავებს ქმედით ეროვნულ კანონმდებლობას კიბერდანაშაულის წინააღმდეგ და განსაზღვრავს საერთაშორისო თანამშრომლობის ჩარჩოს ხელშემკვრელ სახელმწიფოებს შორის.

კიბერდანაშაულის კონვენციის დამატებითი ოქმი „კომპიუტერული სისტემების მეშვეობით რასისტული და ქსენოფობიური ქმედებების კრიმინალიზაციის შესახებ (2003)", ფაკულტატურია და მისი ხელმოწერა შეუძლიათ კონვენციის მხარე სახელმწიფოებს. ის „რასისტულ და ქსენოფობიურ მასალად" განსაზღვრავს „წერილობით ან სხვა სახით წარმოდგენილ იდეებსა თუ თეორიებს, რომლებიც იცავს, ხელს უწყობს ან აქეზებს სიძულვილს, დისკრიმინაციას ან ძალადობას ნებისმიერი ადამიანის

ან ადამიანთა ჯგუფის წინააღმდეგ, რასის, ფერის, ეროვნული თუ ეთნიკური წარმოშობის ან რელიგიის საფუძველზე და წარმოადგენს წინაპირობას ნებისმიერი ზემოაღნიშნული ნიშნით საჩივრისთვის“. ოქმი წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს ღონისძიებების გატარებას, რომელთა მიზანია რასიზმისა და ქსენოფობიის აკრძალვა და კრიმინალიზაცია. კიბერდანაშაულის კომიტეტი აერთიანებს კონვენციის მხარეთა წარმომადგენლებს, რათა ხელი შეუწყოს წევრ სახელმწიფოებში კონვენციის განხორციელებას, კონსულტაციების გამართვას და შესაბამისი ღონისძიებების გატარებას.

2014 წელს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა მიიღო რეკომენდაცია ინტერნეტმომხმარებელთა ძირითადი უფლებების შესახებ (CM/Rec(2014)6). აგრეთვე გამოიცა სახელმძღვანელო უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობაზე ინტერნეტის კონტექსტში და სასამართლო დაცვის საშუალებათა გამოყენებაზე. სახელმძღვანელოში მიმოხილულია, როგორ ვრცელდება ინტერნეტში დისკრიმინაციის აკრძალვისა და გამოხატვის თავისუფლების მოთხოვნები.

5.2 თავში შეგიძლიათ მეტი ინფორმაცია იხილოთ ადამიანის უფლებების შესახებ, როგორც ზოგადად, ისე ინტერნეტში.

5.3 თავში კი გაეცნობით, თუ როგორ ვრცელდება გამოხატვის თავისუფლება ინტერნეტზე (იხ: სახელმძღვანელოს ბმული www.coe.int/en/web/internet-users-rights/guide).

ევროპულმა კომისიამ რასიზმის და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ (ECRI), რომელიც ევროპის საბჭოს ორგანოა, 2015 წელს მიიღო ზოგადი პოლიტიკის რეკომენდაცია N15 სიძულვილის ენასთან ბრძოლის შესახებ. ამ რეკომენდაციაში ECRI-ი ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებს, სწრაფი რეაგირება მოახდინონ საჯარო პირების მიერ სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევებზე, ხელი შეუწყონ მედიის თვით-რეგულირებას, აამაღლონ ცნობიერება სიძულვილის ენის სახიფათო შედეგების შესახებ იმ პოლიტიკურ პარტიებს, რომლებიც აქტიურად იყენებენ სიძულვილის ენას, ფინანსური და სხვა სახის მხარდაჭერა შეუწყვიტონ და მოახდინონ სიძულვილის ენის ექსტრემალური მანიფესტაციების კრიმინალიზაცია ისე, რომ დაცული იყოს გამოხატვის თავისუფლება. რეკომენდაცია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სიძულვილის ენის წინააღმდეგ მიღებული ზომები უნდა იყოს კარგად დასაბუთებული, პროპორციული, არა-დისკრიმინაციული და მისი ბოროტად გამოყენება არ უნდა მოხდეს გამოხატვის ან შეკრების თავისუფლების შეზღუდვის ან ოფიციალური პოლიტიკის კრიტიკის, პოლიტიკური ოპოზიციისა და რელიგიური რწმენის ჩასახშობად. რეკომენდაცია ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://www.coe.int/en/web/european-commission-against-racism-and-intolerance/recommendation-no.15

5.2 ადამიანის უფლებები

ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი თავისი ღირსებითა და უფლებებით.

მუხლი 1, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია

ადამიანის უფლებები სიძულვილის ენასთან რამდენიმე მიზეზის გამოა კავშირში. სამართლებრივი თვალსაზრისით, ზოგიერთი უფლება შეიძლება დაირღვეს როგორც სიძულვილის ენის კონკრეტულ შემთხვევებში, ისე მისი აკრძალვის ან შეზღუდვის მცდელობისას. დამოკიდებულებების ან ღირებულებების თვალსაზრისით, სიძულვილის ენის გამოყენების თითქმის ყველა შემთხვევა განპირობებულია რასისტული ან დისკრიმინაციული განწყობით და ორივე მათგანი არღვევს ადამიანის უფლებებს. განათლების თვალსაზრისით და ფართო გაგებით, ადამიანის უფლებები გვთავაზობს ერთ-ერთ ყველაზე ეფექტიან ჩარჩოს ინტერნეტში სიძულვილის ენის პრობლემის გასაცნობიერებლად და აღმოსაფხვრელად.

ამ ნაწილში მოცემულია ინფორმაცია ადამიანის უფლებათა ძირითადი პრინციპებისა და სამართლის შესახებ, ასევე, თუ როგორ ვრცელდება ადამიანის უფლებები სიძულვილის ენის შემთხვევებზე ინტერნეტში. ზოგიერთი კონკრეტული უფლება, რომელიც უფრო მეტად ირღვევა ინტერნეტსივრცეში სიძულვილის ენის გამოყენების შედეგად, განხილულია სხვა ნაწილებში.

რა არის ადამიანის უფლებები?

ძირითადი ფაქტები

- ადამიანის უფლებები საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტებია, რომლებიც ეფუძნება მსოფლიოს ყველა მთავრობის მიერ შეთანხმებულ და საყოველთაოდ მიღებულ ღირებულებებს.
- ადამიანის უფლებები ეფუძნება იდეას, რომ ნებისმიერი ჩვენგანი იმსახურებს პატივისცემას და არავინ უნდა იგრძნოს თავი დამცირებულად. ყველა ადამიანი **თანასწორია** ამ თვალსაზრისით, მათი **ღირსება** უნდა განიხილებოდეს ფუნდამენტურ ღირებულებად.
- ადამიანის უფლებები განსაზღვრულია **საერთაშორისო სამართალით**, რაც მსოფლიოს ყველა ქვეყნის მთავრობას ავალდებულებს მათ დაცვას! ეს სახელმწიფოები ვალდე-

ბულნი არიან, დააკმაყოფილონ თითოეული ადამიანის ძირითადი საჭიროებები, მათ შორის, პირადი ღირსების დაცვაც.

- ადამიანის უფლებები არ უზრუნველყოფს ცხოვრებას ტკივილის ან ზიანის გარეშე. ისინი ქმნიან ბაზისს **მინიმალური სტანდარტების** ნაკრებს, რომლებიც განსაზღვრავს, თუ რა არის საჭირო ადამიანთა ღირსეულად ცხოვრებისთვის.
- ადამიანის უფლებათა უმეტესი ნაწილი შეიძლება შეიზღუდოს კონკრეტულ გარემოებებში, თუ ეს საჭიროა სხვათა უფლებების დასაცავად ან საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. ზოგიერთი მათგანი, მაგალითად, სიცოცხლის უფლება და არაადამიანური, ღირსების შემლახველი მოპყრობისგან დაცვა, არასდროს უნდა შეიზღუდოს.

ადამიანის უფლებები და სამართალი

ადამიანის უფლებები სხვადასხვა სამართლებრივ სისტემაშია ასახული, რაც ვალდებულებებს აკისრებს მთავრობებს სხვადასხვა დონეზე. ადამიანის უფლებათა ძირითადი ინსტრუმენტები და კონკრეტული უფლებები ასახულია დიაგრამაზე (გვ. 203).

ადამიანის უფლებები საერთაშორისო დონეზე

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ (UN) შეიმუშავა ადამიანის უფლებათა მთელი რიგი ხელშეკრულებები, რომლებიც განსაზღვრავს სახელმწიფოთა ვალდებულებებს ადამიანების მიმართ. მათ შორის, ყველაზე მნიშვნელოვანია:

- **გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (UDHR)** - მიღებულია 1948 წელს, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, და მოგვიანებით მსოფლიოს ყველა სახელმწიფო მიუერთდა. იგი განსაზღვრავს ძირითად უფლებებსა და პრინციპებს, რომლებიც შესულია ადამიანის უფლებათა ყველა მომდევნო ხელშეკრულებაში;
- **საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (ICCPR)** - მიღებულია გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ, 1966 წელს. იგი კიდევ უფრო აფართოებს UDHR-ით დადგენილ უფლებებს, რომლებიც ასახულია დიაგრამაზე (გვ. 203);
- **საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ (ICESCR)** - მიღებულია გენერალური ასამბლეის მიერ, იმავე პერიოდში, როცა დაამტკიცა ICCPR. იგი მოიცავს UDHR-ის დანარჩენ უფლებებს, როგორც ნაჩვენებია დიაგრამაზე.

ყველა ევროპული მთავრობა შეთანხმდა საერთაშორისო ბილში მოცემული უფლებების პატივისცემაზე, დაცვასა და შესრულებაზე. მათ ხელი მოაწერეს ადამიანის უფლებათა სხვადასხვა საერთაშორისო ხელშეკრულებას, მათ შორის, გაეროს კონვენციას ბავშვთა უფლებების შესახებ.

რეგიონულ დონეზე

ადამიანის უფლებათა ევროპული ჩარჩო შექმნა ევროპის საბჭომ, რომელიც მონიტორინგს უწევს მას ევროკავშირთან ერთად.

ევროპულ დონეზე არსებული ორი ძირითადი ხელშეკრულება ყოფს დეკლარაციაში ასახულ უფლებებს თითქმის იმავენაირად, როგორც ზემოხსენებულ ორ პაქტში. უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის საბჭოს ხელშეკრულებები მიღებულია უფრო ადრე.

- **ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია** მიღებულია 1953 წელს და მოიცავს თითქმის იმავე უფლებებს, რომლებსაც ICCPR. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო დაარსდა 1959 წელს, ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების მიერ კონვენციის მოთხოვნათა შესრულებაზე მონიტორინგისთვის.
- **ევროპის სოციალური ქარტია** მიღებულია 1961 წელს და მოიცავს თითქმის იმავე უფლებებს, რომლებსაც საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ (ICESCR). მათზე მონიტორინგს ახორციელებს სოციალური უფლებების ევროპული კომიტეტი, რომელიც განიხილავს მთავრობის (და ზოგჯერ სხვა მოქმედი პირების, როგორიცაა პროფესიული კავშირები და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციები) მიერ წარმოდგენილ ანგარიშებს.

ეროვნულ დონეზე

ბევრ ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვის მოთხოვნები ასახულია ეროვნულ კანონმდებლობაში. ასეთ შემთხვევებში, ადამიანის უფლებათა პოტენციურ დარღვევებს განიხილავენ ეროვნულ სასამართლოებში.

რა უფლებები გვაქვს ჩვენ?

ადამიანის უფლებები და სიძულვილის ენა

ადამიანის უფლებები სიძულვილის ენასთან რამდენიმე მიზეზის გამოა კავშირში:

ძირითადი მიზეზები

სიძულვილის ენას იწვევს უარყოფითი სტერეოტიპები, რომელთა შედეგად ზოგი ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი შეიძლება მოიაზრებოდეს მდაბიოდ, განსხვავებულად და არაპატივსაცემად. ადამიანის უფლებათა დაცვის პრინციპების შესაბამისად, ყველა ადამიანი თანასწორია და ერთნაირად შეუძლია უფლებებით სარგებლობა. დისკრიმინაციის აკრძალვა ფუნდამენტური პრინციპია.

ადამიანის უფლებათა პატივისცემის ხელშეწყობით, სიძულვილის ენის გამომწვევი დამოკიდებულებები ვეღარ იკიდებენ ფეხს საზოგადოებაში.

უშუალო გავლენა

სიძულვილის ენის ყველაზე ცუდი გამოხატულება თავისთავად დისკრიმინაციის ფორმაა და შესაბამისად ადამიანის უფლებათა უგულებელყოფაც. სიძულვილის ენა მიმართულია იზოლირებასა და მარგინალიზაციაზე და ლახავს ადამიანის, განსაკუთრებით, ისედაც მოწყვლადი პირების ღირსებას. თუ სამიზნე კონკრეტული ობიექტია (მაგ.: როგორც კიბერბულინგის შემთხვევებში), სიძულვილის ენამ შეიძლება დააზიანოს პირადი ცხოვრების უფლება და გახდეს არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის მიზეზი. გარდა ამისა, სიძულვილის ენა ლახავს იმ ადამიანის ნდობას, ღირსებასა და უსაფრთხოებასაც, რომელიც გაიგივებულია სიძულვილის ენის სამიზნე ჯგუფებთან.

სიძულვილის ენის შედეგები

თუ სიძულვილის ენის გამოყენებაზე რეაგირება არ ხდება, ეს კიდევ უფრო უწყობს ხელს ადამიანის უფლებათა დარღვევას: საზოგადოებაში ფეხს იკიდებს უარყოფითი სტერეოტიპები, სამიზნე ჯგუფები ხდებიან მეტად მარგინალიზებულნი და იზოლირებულნი, კონფლიქტი და ნაპრალი იმატებს, შეურაცხყოფა და მუქარა კი უფრო მძიმდება. ყველაზე ცუდ შემთხვევებში, საქმე არ შემოიფარგლება მხოლოდ „სიძულვილის გამოხატვით“: ასეთმა დამოკიდებულებამ შეიძლება ფიზიკური ძალადობა და შეურაცხყოფა გამოიწვიოს, ანუ განსაზღვროს დანაშაული სიძულვილის ნიადაგზე და შედეგად, დაირღვეს უსაფრთხო ცხოვრების უფლება. სიძულვილის დანაშაულს, მათ შორის, გენოციდს, როგორც წესი, ახლავს სიძულვილის ენა. სიძულვილის ენა ყოველთვის არ იწვევს დანაშაულს, მაგრამ სიძულვილის დანაშაული ყოველთვის მოიცავს სიძულვილის ენას.

გამოხატვის თავისუფლება?

სიძულვილის ენასთან ბრძოლის ღონისძიებებმა შეიძლება დაარღვიოს ზოგიერთი უფლება, ვინაიდან გამოხატვის თავისუფლება ადამიანის ძირითადი უფლებაა, ისევე როგორც ფიქრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება. ვისაც ბრალად ედება „სიძულვილის“ ხელშეწყობა, ხშირად აპელირებს ამ უფლებებზე.

ადამიანის უფლებათა სათანადოდ გაცნობიერება დაეხმარება ამ აშკარა წინააღმდეგობის გადაჭრას. სიძულვილის ენასთან ბრძოლის ერთ-ერთი ძირითადი გამოწვევაა ბალანსის დაცვა გამოხატვის თავისუფლებასა და სხვა უფლებებს შორის, რომლებიც შეიძლება კიდევ უფრო ძალადობრივი ფორმით დაირღვეს.

ადამიანის უფლებების გამოყენება სიძულვილის ენის აღმოსაფხვრელად

ადამიანის უფლებებზე ინფორმირებულობის გაზრდა ქმედითი ინსტრუმენტია ონლაინ სიძულვილის ენასთან საბრძოლველად. ამ თვალსაზრისით, საჭიროა ახალგაზრდების ცოდნის, უნარებისა და მიდგომების განვითარება, რათა სიძულვილის ენასთან დაკავშირებულ გამოწვევებს გაუმკლავდნენ ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენებით. ეს მიდგომა ეხმარება არა მარტო თანაგრძნობისა და პატივისცემის დანერგვას სხვების მიმართ, არამედ აქტიურ მონაწილეობასა და

ინდივიდუალური ჩართულობის განცდას (მეტი ინფორმაცია ადამიანის უფლებების შესახებ იხილეთ სახელმძღვანელო „კომპასის“ მე-4 თავში: www.coe.int/compass).

ადამიანის უფლებები და ინტერნეტი

ძირითადი ფაქტები

- ადამიანის უფლებები და მათი დაცვა ყოველთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე კერძო კომპანიების მიერ დადგენილი წესები და რეგულაციები.
- ინტერნეტში ადამიანის უფლებებით სარგებლობისას, ყველა დაცული უნდა იყოს უკანონო ჩარევის ან შეურაცხყოფისგან.
- ყველას, ვისი უფლებები და თავისუფლებებიც ირღვევა ინტერნეტში, აქვს დახმარებისა და მხარდაჭერის უფლება.

ინტერნეტს ძირითადად „ფლობენ“ და აკონტროლებენ კერძო კომპანიები. შედეგად, ადამიანის უფლებების დაცვა რთულდება, ვინაიდან ეს არის „წესები მთავრობებისთვის“ და არა კერძო კომპანიებისთვის. თუ სავაჭრო ცენტრს ან კერძო ღამის კლუბს სურს, რომ აუკრძალოს ხალხს ჯინსებით მოსვლა, პროტესტის გამოხატვა ან ინფორმაციის გავრცელება სხვა კომპანიაზე, ეს „გამოხატვის“ ფორმაა, მაგრამ თქვენ ვერ მიმართავთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს გამოხატვის თავისუფლების დარღვევის საფუძვლით (თუკი ამ ფორმით გამოხატვის უფლება შეგეზღუდათ) ზუსტად ასევე, კერძო კომპანიებს შეუძლიათ წესების დადგენა, რომლებიც ადამიანებმა უნდა დაიცვან მათ საკუთრებაში არსებული ინტერნეტის გამოყენებისას. თუ ადამიანებს არ მოსწონთ წესები, შეუძლიათ იჩივლონ, მაგრამ უკიდურესი სანქცია არის მომსახურებაზე უარის თქმა.

მიუხედავად ამისა, ეს არ ნიშნავს, რომ სფეროებზე, რომლებიც კერძო კომპანიებს ეკუთვნით (მათ შორის, ინტერნეტზე), არ გავრცელდება ადამიანის უფლებათა დაცვის მოთხოვნები, ეს უფლებები მთავრობას აკისრებს (სულ მცირე) 2 სახის ვალდებულებას:

1. ადამიანის უფლებები აწესებს შეზღუდვებს ხელისუფლების უფლებებზე (მაგ.: ხელისუფლებას არ შეუძლია აკრძალოს საწინააღმდეგო პოლიტიკური აზრის გამოხატვა, დაუშვას წამება/მონაწილეობა მიიღოს მასში ან შეუზღუდოს პირს თავისუფლება სათანადო მიზეზის გარეშე);
2. ადამიანის უფლებები ხელისუფლებას ავალდებულებს პოზიტიური ზომების გატარებას უფლებათა სათანადოდ დაცვის მიზნით. ეს შეიძლება გულისხმობდეს არადისკრიმინაციული კანონების მიღებას, რათა ძალადობრივი ქმედებები არ დარჩეს დაუსჯელი და მსხვერპლი სათანადოდ იყოს დაცული.



მოკლედ რომ ვთქვათ, ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს, რომ „კერძო“ სფეროებში არ დაირღვევს ადამიანის უფლებები.

სასამართლო საქმეები ინტერნეტში ადამიანის უფლებათა დარღვევებზე სულ უფრო ხშირდება.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადასტურა თავის გადაწყვეტილებებში, რომ სახელმწიფოებს ევალებათ ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა ინტერნეტში. გამოხატვის თავისუფლება, მორალი და სხვათა უფლებები, ბავშვები და ახალგაზრდები ქვეყნებმა უნდა დაიცვან რასიზმთან, ქსენოფობიასა და დისკრიმინაციის სხვა ფორმებთან ბრძოლით.

გარდა ამისა, საჯარო და პირად სივრცეს შორის განსხვავება ბუნდოვანია და საჭიროებს განხილვას. თუნდაც ყველა საიტი კერძო იყოს, საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების საკითხი ინარჩუნებს თავის აქტუალობას. რამდენად არის კერძო სფერო სოციალური ქსელი, რომელიც აერთიანებს 500 მილიონ ადამიანს?

ახალგაზრდობამ მოუწოდა კამპანიას „მოძრაობა სიძულვილის ენის წინააღმდეგ“, რომ ევროპის საბჭოსგან მოეთხოვა ინტერნეტის აღიარება საჯარო სივრცედ, რომელთან დაკავშირებული ინტერესებიც აღემატება ინტერნეტბიზნესის ინტერესებს.

დაიმახსოვრეთ: კანონმდებლობა ინტერნეტში უფლებების განხორციელებისა და დაცვის შესახებ მუდმივად ვითარდება. მართალია, ვირტუალური სამყარო არარეალური და უკონტროლო გვეჩვენება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ადამიანებს შეუძლიათ ყველაფრის თქმა და გაკეთება! ინტერნეტი გახდება ისეთი, როგორსაც ისურვებენ მისი მომხმარებლები და ახალგაზრდებს ამ მხრივ ისეთივე გავლენის მოხდენა შეუძლიათ, როგორიც ნებისმიერ სხვა ადამიანს!

5.3 გამოხატვის თავისუფლება

ყოველ ადამიანს აქვს უფლება მრწამსის თავისუფლებისა და მისი თავისუფლად გამოთქმისა: ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას დაუბრკოლებლად იქონიოს თავისი მრწამსი და ეძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები ყოველგვარი საშუალებებით და სახელმწიფო საზღვრებისაგან დამოუკიდებლად.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მუხლი 19.

აზრის გამოხატვის თავისუფლება და სიძულვილის ენა

გამოხატვის თავისუფლებას ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს, როდესაც ვახორციელებთ ღონისძიებებს ადამიანის უფლებათა დასაცავად და სიძულვილის ენის აღმოსაფხვრელად. შეურაცხყოფის ან სიძულვილის ყველა ფორმა არასასიამოვნოა, ბევრი შესაძლოა, რასისტულიც კი, თუმცა სიძულვილის გამოხატვის შეზღუდვასა ან აღკვეთაზე მიმართული ნებისმიერი მცდელობისას გასათვალისწინებელია ორივე მხარის უფლებები. ეს გულისხმობს „სიძულვილის“ გამომხატველთა უფლებებსაც, რაც შესაძლოა უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ ადამიანის უფლებათა პატივისცემა თითქმის ყოველთვის გულისხმობს სხვადასხვა უფლების დაბალანსებას. როგორ ძლიერადაც უნდა გვძულდეს დამნაშავეები, მოძალადეები ან ის პირები, რომლებიც სხვებს ზიანს აყენებენ სიტყვით, ადამიანის უფლებები ვრცელდება მათზეც.

გამოხატვის თავისუფლება ფუნდამენტურ უფლებად განიხილება ორი ძირითადი მიზეზით: უპირველეს ყოვლისა, ის მნიშვნელოვანია ადამიანებისა და საზოგადოებისთვის, მათი ღირსების დაცვისა და დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის.

დემოკრატია ვერ იცოცხლებს გამოხატვის თავისუფლების გარეშე, დემოკრატიის გარეშე კი ადამიანის უფლებები ვერ იქნება დაცული.

> გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების საფუძველია, ერთ-ერთ ძირითადი წინაპირობა მისი და თითოეული ადამიანის განვითარებისთვის.
>
> *ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო: საქმე ჰენდისაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Handyside v. U.K.).*

სიძულვილის ენა ინტერნეტში

ყოველდღიურ საუბარში, ადამიანები, როგორც წესი, საუბრობენ „თავისუფალი გამოხატვის“ უფლებაზე. ფაქტობრივად, გამოხატვის თავისუფლება მოიცავს გამოხატვის ყველა ფორმას (წერილობითი, ვიზუალური, დრამა, ვიდეო, მუსიკა და სხვა). შესაბამისად, ის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინტერნეტაქტივობის კონტექსტში: ინტერნეტში ყველაფერი „გამოხატვაა“ და ამ უფლების ფარგლებში ხვდება.

რატომ არის მნიშვნელოვანი გამოხატვის თავისუფლება?

ადამიანობის ნაწილი

ადამიანის აზრები, შეხედულებები და სარწმუნოება მისი პიროვნების მნიშვნელოვანი ნაწილია. შესაბამისად, საკუთარი თავის გამოხატვის აკრძალვა ნიშნავს პიროვნების ნაწილის ამოკვეთას და მისი იდენტობის დაკნინებას. ადამიანის უფლებები უკავშირდება პირადი კონტროლის შენარჩუნებას ჩვენს ცხოვრებაზე, ანუ ავტონომიას.

გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა ზღუდავს ადამიანის საზოგადოებაში მონაწილეობის შესაძლებლობას. მონაწილეობა, როგორც სოციალური ურთიერთქმედების ფორმა, თავისთავად ძირითადი უფლებაა და მნიშვნელოვანია დემოკრატიისა და მოქალაქეობისთვის.

მნიშვნელოვანი დემოკრატიისთვის

დებატები და დისკუსია დემოკრატიული საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილია. იდეები იბადება მათი ურთიერთგაზიარებით, დახვეწით, გაერთიანებით და სხვაგვარ ინტერპრეტაციებთან შედარებით. კრეატიულობა და ჭეშმარიტება დამოკიდებულია იდეების თავისუფალ მიმოცვლაზე, რაც ამდიდრებს საზოგადოებას.

დებატები და დისკუსიები ქმნის ადამიანთა უკეთესი ურთიერთქმედების შესაძლებლობას. ჩვენ გვესმის სხვების, როდესაც ვუსმენთ მათ მოსაზრებებს: ზოგჯერ არ ვეთანხმებით, მაგრამ ვპოულობთ ერთად ცხოვრების გზას, რომელიც ორივე მხარეს გვაძლევს თანაარსებობის საშუალებას. ეს ძალიან მნიშვნელოვანია შეკავშირებული საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის.

ამრიგად, გამოხატვის თავისუფლება განვითარების შესაძლებლობას უქმნის ცალკეულ ადამიანებსაც და საზოგადოებასაც. გამოხატვის შეზღუდვა მიჩნეულია ზომად, რომლის მიღებასაც დასაბუთებული მიზეზი სჭირდება.

რას ამბობს კანონი

გამოხატვის საზღვრები



დიაგრამაზე მოცემულია გამოხატვის ფართო ფორმები, რომლებიც შეიძლება/უნდა შეიზღუდოს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მოთხოვნათა დაცვით. ეთანხმებით ამ შეზღუდვებსა და მათ ფარგლებს? თქვენი აზრით, გამოხატვის თავისუფლება უფრო მეტად (ნაკლებად) უნდა შეიზღუდოს?

გამოხატვის თავისუფლების სასარგებლოდ არსებული ძლიერი არგუმენტების მიუხედავად, ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებები აღიარებს, რომ გამოხატვა, თავისთავად, არის „მოქმედება", რომელსაც შეუძლია ავნოს სხვებს და დაემუქროს მთლიან საზოგადოებას. ამ მიზნით, გამოხატვის თავისუფლება ერთ-ერთი ის უფლებაა, რომელიც შეიძლება/უნდა შეიზღუდოს ზოგიერთ შემთხვევაში. საჭიროა ბალანსის დაცვა, ერთი მხრივ, ადამიანთა მიერ აზრების გამოხატვასა და მეორე მხრივ, სხვების უფლებებსა თუ საჯარო ინტერესებს შორის.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის (UDHR) მე-19 მუხლი და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (ECHR) მე-10 მუხლი იცავს გამოხატვის თავისუფლებას. მე-10 მუხლი განსაზღვრავს პირობებს, რომლებიც უნდა დაკმაყოფილდეს, როცა მთავრობას სურს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა ან პირის დასჯა მიუღებელი გამოხატვისთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნებისმიერი შეზღუდვა განიხილება დარღვევად. მიუხედავად ამისა, არსებობს ამ შეზღუდვების ფართო განმარტების შესაძლებლობა, რათა სხვადასხვა ქვეყანამ სათანადო რეაგირება მოახდინოს მათ წინაშე არსებულ კონკრეტულ პრობლემებზე.

რა არის ნათქვამი ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში?

ყველას აქვს აზრის გამოხატვის თავისუფლება. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, გააჩნდეს საკუთარი შეხედულება, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია ან იდეები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად...

ადამიანის უფლებათა კონვენცია, მუხლი 10, პუნქტი 1.

უპირველეს ყოვლისა, კონვენციაში ნათქვამია, რომ გამოხატვის თავისუფლება მნიშვნელოვანია და დაცული უნდა იყოს.

მეორე, გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში კონვენცია გულისხმობს:

- აზრის თავისუფლებას;
- ინფორმაციის მიღების თავისუფლებას „საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად“;
- ინფორმაციის გაზიარების თავისუფლებას „საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად“.

და მესამე: კონკრეტულ პირობებში, როდესაც არსებობს „სოციალური საჭიროება“, მე-10 მუხლი იძლევა გამოხატვის თავისუფლებაზე ზოგიერთი შეზღუდვის დაწესების შესაძლებლობას. მიუხედავად ამისა, ნებისმიერ შეზღუდვას უნდა მოითხოვდეს კონკრეტული სოციალური საჭიროების დაკმაყოფილება და იყოს მისი პროპორციული. მოკლედ რომ ვთქვათ, შეზღუდვა უნდა იყოს თანაზომიერი.

მუხლი 10

ფერეტი ბელგიის წინააღმდეგ (Féret v. Belgium)

საარჩევნო კამპანიის დროს გავრცელდა ბუკლეტების რამდენიმე სახეობა, რომლებიც მოიცავდა მოწოდებებს: „დაუპირისპირდით ბელგიის ისლამიფიკაციას“, „შეაჩერეთ მოჩვენებითი ინტეგრაციის პოლიტიკა“ და „დააბრუნეთ სამუშაოს არაევროპელი მაძიებლები შინ“. ამის გამო, პარლამენტის ბელგიელი წევრი და ეროვნული ფრონტის პოლიტიკური პარტიის თავმჯდომარე გაასამართლეს რასობრივი დისკრიმინაციის წაქეზებისთვის.

მან საჩივარი შეიტანა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში და ამტკიცებდა, რომ დაირღვა მისი გამოხატვის თავისუფლება. სასამართლომ ასე არ მიიჩნია და დაადგინა, რომ მისი გზავნილი, გადაცემული საარჩევნო კონტექსტში, იყო რასისტული სიძულვილის მკაფიო წაქეზება.

თანაზომიერების ეს მოთხოვნა გულისხმობს, რომ ცენზურა, როგორც ზოგადი შეზღუდვა, ეწინააღმდეგება ადამიანის გამოხატვის თავისუფლებას. ასეთი შემთხვევები უნდა შეფასდეს არსებითი მხარის შესწავლის საფუძველზე და თუ შესაძლებელია, პირს მიეცეს გამოხატვის უფლება. იმ ადამიანთა დასაცავად, რომლებზეც შეიძლება გავლენა მოახდინოს კონკრეტულმა შემთხვევებმა, უნდა მოინახოს ალტერნატიული მეთოდები.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია (ECHR), მუხლი 17

ECHR კრძალავს ისეთ ქმედებას „რომელიც მიზნად ისახავს კონვენციაში მოცემული რომელიმე უფლების უგულებელყოფას“. ეს ვრცელდება სიძულვილის (მათ შორის, ონლაინ სიძულვილის) ენის უკიდურეს შემთხვევებზე.

მე-17 მუხლი გულისხმობს, რომ ადამიანი, რომელიც მოუწოდებს კონკრეტული ჯგუფების მიმართ ძალადობისკენ, ვერ შეძლებს საკუთარი ქმედებების გამართლებას გამოხატვის თავისუფლებით. არ არსებობს ადამიანებზე თავდასხმის ან მათი მოკვლის წაქეზების უფლება.

მუხლი 17

ნორვუდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Norwood v. U.K.)
დიდი ბრიტანეთის მოქალაქე გაასამართლეს გაერთიანებულ სამეფოში რელიგიური ჯგუფის მიმართ მტრობისთვის. მან თავის ფანჯარაში განათავსა BNP-ის დიდი პლაკატი (ბრიტანული ეროვნული პარტიის), სადაც გამოსახული იყო ტყუპი შენობების სურათი ცეცხლის ალში, სიტყვებით: “განიდევნოს ისლამი ბრიტანეთიდან - დაიცავით დიდი ბრიტანეთის მოქალაქეები“ და ნახევარმთავრისა და ვარსკვლავის სიმბოლოები აკრძალვის ნიშნით. მან იჩივლა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში და განაცხადა, რომ მისი გამოხატვის თავისუფლება დაირღვა. ევროპულმა სასამართლომ ეს მოთხოვნა მიუღებლად მიიჩნია და დაადგინა, რომ ასეთი ზოგადი, ძლიერი თავდასხმა რელიგიურ ჯგუფზე, რომელიც მთლიან ჯგუფს აკავშირებს ტერორიზმის საშინელ აქტთან, ეწინააღმდეგება კონვენციის მიერ გაცხადებულ და გარანტირებულ ღირებულებებს, როგორიცაა შემწყნარებლობა, სოციალური მშვიდობა და დისკრიმინაციის აკრძალვა. შესაბამისად, განმცხადებელს არ შეეძლო მოეთხოვა მე-10 მუხლის (გამოხატვის თავისუფლება) დაცვა.

გარადი საფრანგეთის წინააღმდეგ (Garaudy v. France)

ავტორი წიგნისა თანამედროვე ისრაელის მითები საფრანგეთში გაასამართლეს ადამიანის წინააღმდეგ დანაშაულის ეჭვქვეშ დაყენების, ადამიანთა ჯგუფის მიმართ (ამ შემთხვევაში, ებრაელთა საზოგადოება) ცილისწამების და რასისტული სიძულვილის წაქეზების გამო. იგი ამტკიცებდა, რომ დაირღვა მისი გამოხატვის თავისუფლება. ევროპულმა სასამართლომ ეს განცხადება მიუღებლად მიიჩნია და დაადგინა, რომ განმცხადებლის შენიშვნების შინაარსი უტოლდება გენოციდის უარყოფას. მისი მითითებით, მკაფიოდ დადგენილი ისტორიული მოვლენების ეჭვქვეშ დაყენება არ იყო მეცნიერული ან ისტორიული კვლევის ნაწილი. ამის რეალური მიზანი გახლდათ ეროვნული სოციალისტური რეჟიმის რეაბილიტაცია და დაზარალებულთა ბრალდება ისტორიის ფალსიფიცირებაში. ასეთი ქმედებები აშკარად არ შეესაბამებოდა ევროპული კონვენციის ღირებულებებს. შესაბამისად, სასამართლომ, მე-17 მუხლის (უფლებების ბოროტად გამოყენების აკრძალვა) თანახმად დაადგინა, რომ განმცხადებელს არ აქვს მე-10 მუხლზე (გამოხატვის თავისუფლება) დაყრდნობის უფლება.

ვინ იყენებს მე-10 მუხლს?

მიუხედავად იმისა, რომ მთავრობებს გარკვეულ შემთხვევებში (როდესაც გამოხატვა საზიანოა) შეიძლება ჰქონდეთ ვალდებულებები, რომ შეზღუდონ გამოხატვის თავისუფლება, ევროპულ სასამართლოში მე-10 მუხლის დარღვევაზე წარდგენილი საჩივრები, როგორც წესი, არ შეეხება მთავრობების უმოქმედობას. მათი უმეტესობა ძირითადად ასაჩივრებს მთავრობის ქმედებებს, რომელთა მიზანი იყო გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა კონკრეტული ჯგუფების ან პირების დასაცავად, ისეთ შემთხვევებში, როდესაც შეზღუდვა მიიჩნევა არათანაზომიერად. გამოხატვის თავისუფლება მნიშვნელოვანია სიძულვილის ენისთვის, ვინაიდან დაგვანახებს, თუ რატომ შეიძლება საჭიროებდეს შეუწყნარებლობის ზოგიერთი ფორმა „შეწყნარებას“ დემოკრატიულ საზოგადოებაში. ასევე, ადგენს შეზღუდვებს, რისი თქმის უფლება უნდა ჰქონდეთ ადამიანებს.

სიძულვილის ენის გამოყენებით დაზარალებულმა პირებმა სხვადასხვა მუხლზე აპელირებით უნდა ამტკიცონ მათი უფლების (მაგ.: პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა ან დისკრიმინაციისგან დაცვა) დარღვევა.

გამოხატვის თავისუფლება და ინტერნეტი

ვირტუალურ სამყაროში ადამიანის უფლებათა დაცვა ის სფეროა, რომელიც განვითარების ეტაპზე იმყოფება. ამის გამო ინტერნეტში სიძულვილის ენის პრობლემასთან დაკავშირებული დებატები კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს. ევროპის საბჭომ გამოსცა ინტერნეტმომხმარებელთა ძირითადი უფლებების სახელმძღვანელო, რომელიც დაეხმარება ადამიანებს ინტერნეტში მათი უფლებების გაცნობიერებაში. გზამკვლევი დაფუძნებულია ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაზე (ECHR) და შეგვახსენებს, რომ ადამიანის უფლებები ვრცელდება ინტერნეტშიც და მის ფარგლებს გარეთაც. სახელმძღვანელოში დეტალურად ახსნილია, როგორ გამოიყენება გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლება ინტერნეტში.

დაწვრილებითი ინფორმაცია ვირტუალურ სამყაროში ადამიანის უფლებათა კანონმდებლობაზე შეგიძლიათ იხილოთ ადამიანის უფლებათა ნაწილში (გვ. 200-201). გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ძირითადი საკითხი განხილულია ქვემოთ:

ინტერნეტის „არაგეოგრაფიული“ ბუნება

მომსახურების ბევრი მიმწოდებელი, პოპულარული სოციალური საიტი და საძიებო მექანიზმი მდებარეობს აშშ-სა ან სხვა ქვეყნებში, სადაც შეზღუდულია სასამართლო წესით რეაგირების საშუალებები. ამერიკის შეხედულებები გამოხატვის თავისუფლებაზე განსხვავდება ადამიანის უფლებათა ევროპულ სამართალში ასახული პრინციპებისგან. კერძოდ, ეს შეეხება მათ განმარტებას ევროპული სასამართლოს მიერ. ამერიკის კანონმდებლობის ფარგლებში უფრო რთულია გამოხატვის თავისუფლების

შეზღუდვა, თუნდაც გამოხატვა იყოს ღიად რასისტული ან მოუწოდებდეს ძალადობისკენ. ეს ნიშნავს, რომ ამერიკის სერვერებზე დაფუძნებული სიძულვილის საიტების ამოღება არ არის მარტივი და სიძულვილის პროპაგანდისტთა სასამართლო წესით ბრალდება ზოგჯერ ვერ ხერხდება.

კიბერსივრცის კონტროლის სირთულე

ინტერნეტი ფართო სივრცეა, რომლის დიდი ნაწილი ორიენტირებულია მომხმარებელზე და არ ექვემდებარება გარე მონიტორინგს ან კონტროლს. მაშინაც კი, როდესაც არსებობს საიტის გაუქმების დასაბუთებული მიზეზი (კონკრეტული საზოგადოების წინააღმდეგ ძალადობის მხარდაჭერა), მფლობელის ან საიტის ხელმძღვანელობისთვის შედარებით მარტივია ახალ ლოკაციაზე გადასვლა და შინაარსის ხელმეორედ გამოქვეყნება.

ინტერნეტის დადებითი მხარეების შენარჩუნების საჭიროება

ბევრი ადამიანი გრძნობს, რომ ეს ასპექტი - მარტივად გამოყენება ურთიერთობის დამყარებისათვის - ინტერნეტის ერთ-ერთი მთავარი ძლიერი მხარეა. უფრო მკაცრი მონიტორინგი და ცენზურა შეიძლება წარმატებული იყოს ვირტუალურ სამყაროში სიძულვილის ენის შესამცირებლად, მაგრამ მნიშვნელოვანი უარყოფითი ზეგავლენა ექნება იმ მხრივ, რომ შეზღუდავს ინტერნეტის ჩვეული გზით გამოყენების საშუალებას და დააკნინებს მისი, როგორც ფორუმის, საგულისხმო როლს თავისუფალი დისკუსიისა და დებატებისთვის.

მფლობელობა: კერძო კომპანიების როლი

საიტების უმეტესი ნაწილი კერძო პირის ან კომპანიის „საკუთრებაა“. ეს ნიშნავს, რომ თუ არ იარსებებს კანონები სიძულვილსა და ძალადობაზე რეაგირების შესახებ, მათ შედარებით „თავისუფლად“ შეეძლებათ სასურველი შინაარსის დაშვება. ადამიანის უფლებები გახლავთ კანონები, რომლებიც უნდა დაიცვას მთავრობამ, კერძო კომპანიებმა კი უნდა დაიცვან ის კანონები, რომლებსაც მთავრობა მიიჩნევს საჭიროდ.

რა თქმა უნდა, კერძო კომპანიები იცავენ „ბაზრის კანონსაც“ და ხშირად განიცდიან ზეწოლას თავიანთი მომხმარებლების მხრიდან, რაც, სავარაუდოდ, ცვლილებებს იწვევს მათ პოლიტიკაში.

შედეგად, უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ახალგაზრდებმა თავიანთი შეხედულებები ონლაინ სიძულვილის ენის შესახებ შეატყობინონ იმ საიტების მართვაზე პასუხიმგებელ პირებს, რომლებითაც სარგებლობენ. წარმატებული ონლაინ კამპანიები, მაგალითად 2013 წელს სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კამპანია ემსახურებოდა ფეისბუქიდან იმ კონტენტის ამოღებას, რომელიც აკანონებდა ქალების წინააღმდეგ ძალადობას. ეს ინიციატივა გვაჩვენებს, რომ კერძო და საზოგადოებრივი სივრცის საზღვრები ინტერნეტში სულ უფრო მეტად იშლება. გარდა ამისა, ასეთი კამპანიები ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, რომ შეუძლებელია, სახელმწიფოები მხოლოდ თვითრეგულირებას დაეყრდნონ. ონლაინ სივრცე საზოგადოებრივი სივრცეცაა.

5.4 რასიზმი და დისკრიმინაცია

ტერმინი „რასობრივი დისკრიმინაცია“ უნდა ნიშნავდეს ნებისმიერ განსხვავებას, განსაკუთრებულობას, შეზღუდვას ან უპირატესობას, დაფუძნებულს რასაზე, ფერზე, ეროვნულ ან ეთნიკურ წარმოშობაზე, რომელიც მიზნად ისახავს გააუქმოს ან ხელი შეუშალოს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების აღიარებას, სარგებლობას ან განხორციელებას თანაბარ საფუძველზე, საზოგადოებრივი ცხოვრების პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ან სხვა სფეროში. გაეროს საერთაშორისო კონვენცია რასისტული დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღკვეთის შესახებ, მუხლი 1.

კავშირი სიძულვილის ენასთან

სიძულვილის ენა თითქმის ყოველთვის რასისტული ან დისკრიმინაციული მიდგომის შედეგია და თავისთავად არის დისკრიმინაციული.

დისკრიმინაცია ყოველთვის განიხილება თანასწორობის საპირისპირო ასპექტად. ადამიანის უფლებათა სამართლის შესაბამისად, თითოეულ ჩვენგანს აქვს თანაბარი უფლებები. დისკრიმინაციაა, როდესაც ადამიანის უფლება ირღვევა მხოლოდ იმის გამო, თუ როგორ ხედავენ მათ სხვები, ან როგორ აღიქვამენ ისინი საკუთარ თავს. ვინმეს შეურაცხყოფა ონლაინ სივრცეში ან მის ფარგლებს გარეთ, მარტო იმიტომ, რომ ის მოიაზრება როგორც „უცხოელი“, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, გეი, ქალი და ა. შ., ასევე მიიჩნევა დისკრიმინაციად.

დისკრიმინაცია თავისი ბუნებით ხშირად რასისტულია. დისკრიმინაციისა და რასიზმის მაგალითია, როდესაც ადამიანი სიძულვილის ენის მსხვერპლია „რასის“ და ეროვნული თუ ეთნიკური კუთვნილების გამო.

მიდგომები და ქმედებები

უნდა აღმოიფხვრას სიძულვილის ენის არა მარტო გამოვლინება, არამედ ძირეული განმაპირობებელი მიზეზები და დამოკიდებულებებიც. სიძულვილის ენა საზრდოობს რასისტული შეხედულებებით და უარყოფითი სტერეოტიპებით და თავის მხრივ, ხელს უწყობს მათ გაძლიერებას. რეაგირების გარეშე, სიძულვილის ენამ შეიძლება ფეხი მოიკიდოს საზოგადოებაში, გააძლიეროს სტერეოტიპები და შესაძლებელი გახდეს შემდგომი შეურაცხყოფა, მათ შორის, ფიზიკური ძალადობაც კი. აღსანიშნავია, რომ

ადამიანის უფლებათა მასობრივ დარღვევებს, როგორიცაა გენოციდი და ეთნიკური წმენდა, ყოველთვის წინ უძღვის ან ერთვის სიძულვილის ენა.

განმარტებები

სტერეოტიპები

სტერეოტიპები არის გაზიარებული რწმენები და აზრები კონკრეტული ჯგუფების შესახებ და შეიძლება იყოს დადებითი, უარყოფითი ან ნეიტრალური. მიუხედავად მათი შესაძლო სარგებლისა, სტერეოტიპები გამანადგურებელია, როდესაც გამოიყენება ადამიანების მიმართ და ხდება სხვადასხვა მოპყრობის ან ქცევის მიზეზი. სტერეოტიპები განზოგადოებული შეხედულებებია და არ არის აუცილებელი, ყოველთვის სიმართლეს შეესაბამებოდეს, მაგალითად „კაცები უფრო ძლიერები არიან, ვიდრე ქალები"; „ფეხბურთელები უფრო სწრაფად დარბიან, ვიდრე სხვა ადამიანები"; „ყველა გედი თეთრია".

ცრურწმენა

ცრურწმენა სტერეოტიპის კონკრეტული კლასია, რომელიც შეიცავს შეფასებას ან მოსაზრებას. ბევრი სტერეოტიპი, რომელიც თითქოს ნეიტრალურია, ფაქტობრივად, შეიცავს განცხადების ელემენტს (მაგ.: „ქალები არ თამაშობენ კარგად კომპიუტერულ თამაშებს" თითქოსდა ფაქტის გაცხადებაა, მაგრამ ის ნამდვილად შეიცავს მოსაზრებას ქალის ტექნიკური შესაძლებლობების შესახებ).

მაშინაც კი, როდესაც სტერეოტიპები, ან ცრურწმენა დადებითია, მათ თითქმის ყოველთვის ახლავს უარყოფითი ასპექტი. განცხადება „ავსტრალიელები ყველაზე გულუხვი ხალხია მსოფლიოში" დადებითი შეხედულებაა ავსტრალიელებზე, მაგრამ ასევე გულისხმობს, რომ ადამიანები სხვა ქვეყნებში ნაკლებად გულუხვნი არიან. განცხადება „აფრიკელები კარგები არიან სპორტში" შეიძლება აღიქმებოდეს იმგვარად, რომ „აფრიკელები კარგები არიან მხოლოდ სპორტში". ნაციონალიზმი და პატრიოტიზმი პოზიტიურად ჩანს, მაგრამ შეიძლება მარტივად გადაიზარდოს რასიზმში.



რასიზმი

სტერეოტიპი ან ცრურწმენა, რომელიც ეფუძნება ვიღაცის კანის ფერს ან ეროვნულ თუ ეთნიკურ წარმოშობას, სავარაუდოდ, რასისტულია, დამოუკიდებლად იმისა, დადებით შინაარსს შეიცავს თუ უარყოფითს. რასიზმი არის იდეოლოგია, რომელიც გულისხმობს დისკრიმინაციულ და შეურაცხმყოფელ ქცევას ადამიანების მიმართ, მათი წარმოსახვითი „უპირატესობის“ გამო. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ „რასა“ ამჟამად ითვლება სოციალურ (და არა ბიოლოგიურ) კლასიფიკაციად. არ მოიძებნება ფიზიკური ან გენოტიპური თვისებები, რომლებიც დამახასიათებელია ერთი „რასისთვის“ და არ იზიარებს სხვა.

დისკრიმინაცია

როდესაც უარყოფითი დამოკიდებულება კონკრეტული ჯგუფის მიმართ ხელს უშლის ან ზღუდავს მის მიერ ადამიანის უფლებებით სარგებლობას, ეს დისკრიმინაციად მიიჩნევა. დისკრიმინაცია, თავისთავად, ადამიანის უფლებათა დარღვევაა და შეიძლება იყოს რასისტული მიდგომების ან სხვა ცრურწმენების შედეგი, რომლებიც თავისი ბუნებით არ არის რასისტული, მაგრამ ასეთივე უარყოფითი შედეგების მოტანა შეუძლია უშუალოდ დაზარალებულებისა და მთლიანად, საზოგადოებისთვის.

კონცეფციების დაკავშირება

სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაული - უკანონო ქმედება ჯგუფის ან პიროვნების მიმართ, რომელიც დაფუძნებულია მისი იდენტობის ცრუ აღქმებზე.

სიძულვილის ენა - უარყოფითი გამოხატვა პიროვნების ან ჯგუფის მიმართ, რაც ხშირად ეფუძნება ცრურწმენას, მის გავრცელებას, წაქეზებას, ხელშეწყობას ან რასისტული სიძულვილისა და შეუწყნარებლობის გამართლებას. არის თუ არა კონკრეტული მაგალითი დანაშაული, დამოკიდებულია ქვეყნის კანონებსა და გამოხატვის კონტექსტზე.

დისკრიმინაცია - უსამართლო მოპყრობა, რომელიც გამომდინარეობს ნებისმიერი ცრურწმენის, მათ შორის არარასისტული ცრუწმენის შედეგად.

რასიზმი - ცრურწმენა, რომელიც დაფუძნებულია რასობრივი ან ეთნიკური კუთვნილების იდეასა ან სხვა მათთან დაკავშირებულ მახასიათებელზე, რაც ხშირად იწვევს უსამართლო მოპყრობას ადამიანის მიმართ.

ცრურწმენა - განზოგადებული შეხედულება, რომელიც მოიცავს, როგორც წესი, უარყოფით მსჯელობას სხვა ადამიანების ან სოციალური ჯგუფების მიმართ.

სტერეოტიპები - განზოგადებული შეხედულება სხვა ჯგუფების მიმართ, რომელიც მოიცავს ან არ მოიცავს განსჯას.



ადამიანის უფლებები და დისკრიმინაცია

ადამიანთა ოჯახის ყველა წევრისათვის დამახასიათებელი ღირსების და თანასწორი და განუყოფელი უფლებების აღიარება წარმოადგენს თავისუფლების, სამართლიანობისა და საყოველთაო მშვიდობის საფუძველს

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, პრეამბულა.

დეკლარაციით გამოცხადებული ყველა უფლება და ყველა თავისუფლება მინიჭებული უნდა ჰქონდეს ყოველ ადამიანს განურჩევლად რაიმე განსხვავებისა, სახელდობრ, რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა რწმენის, ეროვნული თუ სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი თუ სხვა მდგომარეობისა

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მუხლი 2.

რა კანონებია დისკრიმინაციის წინააღმდეგ თქვენს ქვეყანაში? მოაწერა თქვენმა მთავრობამ ხელი ECHR-ის მე-12 პროტოკოლს?

დისკრიმინაცია ადამიანის უფლებათა დარღვევაა და იკრძალება ადამიანის უფლებათა თითქმის ყველა ინსტრუმენტით, რასიზმის მსგავსად. ზოგიერთ ჯგუფს შეიძლება დისკრიმინაციისაგან იცავდეს კონკრეტული ეროვნული ან საერთაშორისო კანონები.

- ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (ECHR) მე-14 მუხლი კრძალავს ნებისმიერ დისკრიმინაციას ნებისმიერ უფლებებასთან მიმართებაში და ევროპის საბჭოს ყველა წევრი სახელმწიფო ვალდებულია, დაიცვას მოცემული მოთხოვნა. ეს ნიშნავს, რომ **საჯარო ხელისუფლებასთან, ონლაინშინაარსისა და ინტერნეტმომსახურების მიმწოდებლებთან ან მომხმარებლებთან ურთიერთობისას, დაუშვებელია დისკრიმინაცია ისეთი ნიშნებით, როგორიცაა:** სქესი, რასა, კანის ფერი, ენა, რელიგია, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებები, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობა, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილება, ქონებრივი მდგომარეობა, დაბადების ადგილი, ეთნიკური წარმომავლობა ან სექსუალური ორიენტაცია;
- ბევრმა წევრმა სახელმწიფომ იკისრა დისკრიმინაციის უფრო ფართო აკრძალვის ვალდებულება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (ECHR) პროტოკოლზე (არასავალდებულო) ხელმოწერით (მე-12 პროტოკოლი). ეს დოკუმენტი დისკრიმინაციას კრძალავს ყველა კანონთან მიმართებაში და არა მხოლოდ კონვენციით დადგენილ უფლებებთან მიმართებით;
  - არსებობს ადამიანის უფლებათა სხვა ხელშეკრულებები, როგორც ევროპულ, ასევე გაეროს დონეზე, რომლებიც კრძალავს დისკრიმინაციას კონკრეტული ჯგუფების წინააღმდეგ, მათი მოწყვლადობის გამო, მაგალითად როგორიცაა ქალები, ბავშვები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები და სხვადასხვა ეროვნული და ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები;
  - ბევრ ქვეყანას აქვს სპეციფიკური ეროვნული კანონმდებლობა, რომელიც დისკრიმინაციისაგან იცავს კონკრეტულ ან ნებისმიერ სხვა ჯგუფს.

5.5 პირადი ცხოვრება და უსაფრთხოება

კავშირი სიძულვილის ენასთან

სიძულვილის ენა ვლინდება მაშინ, როდესაც ადამიანებს ჰგონიათ, რომ რაიმე იციან სამიზნე ჯგუფის ან პირის შესახებ. პირები არ ხდებიან სიძულვილის ენის სამიზნეები, თუკი „ანონიმიზებულია“ მათი ყველა „პირადი“ მახასიათებელი. ბევრი ჯგუფი იდენტობის ძირითადი ასპექტების გამოვლენამ შეიძლება მარტივად გადააქციოს სიძულვილის ენის სამიზნედ. ასე ხშირად მოსდით ქალებს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, ეთნიკურ უმცირესობებს და ა.შ. თუ ვინმე მოხვდება სამიზნე ჯგუფში, საკუთარ თავზე ინფორმაციის გამჟღავნებამ ინტერნეტში და მის გარეთ შეიძლება მნიშვნელოვანი საფრთხე შეუქმნას.

კონფიდენციალური ან პირადი ინფორმაცია შეიძლება რისკებს მოიცავდეს კიბერდევნისა და ონლაინ სიძულვილის ენის შემთხვევებში. ბევრი ადამიანი განათავსებს ინტერნეტში პირად სურათებს ან ინფორმაციას, მათ შორის, ურთიერთობების, სწავლის ან საცხოვრებელი ადგილის შესახებ. თუ ისინი გახდებიან კიბერბულინგის სამიზნეები, ამ ინფორმაციის გამოყენება შესაძლებელია მათ საზიანოდ.

კონფიდენციალობა ვირტუალურ სამყაროში

ინტერნეტი საზოგადოებრივი სივრცეა, იმავე გაგებით, როგორც ქუჩა ან სავაჭრო ცენტრი. „გარშემო“ არიან სხვა ადამიანები და ხედავენ, რასაც ვაკეთებთ. ვირტუალურ სამყაროში არის ცხოვრების კონკრეტული მახასიათებლები, რის შედეგადაც კონფიდენციალობა უფრო პრობლემატურია, ვიდრე ქუჩაში.

გარეთ, ძირითადად ვიცით, რომ სხვა ადამიანები გვიყურებენ (ან შეუძლიათ დაგვინახონ), ინტერნეტში კი ვერ ვაცნობიერებთ, რას ნიშნავს ჩვენი „ყურება“ და კიდევ უფრო ნაკლები ვიცით, როგორ უნდა დავიცვათ თავი მათი დაჟინებული მზერისგან. უცოდინრობამ შეიძლება გამოიწვიოს საფრთხე ან ექსპლოატაცია (როგორც ფიზიკური, ისე ფსიქოლოგიური). სხვების დევნა, დატანჯვა, შეშინება ან ექსპლოატაციის გაწევა იოლია, თუ ფლობ ინფორმაციას „მსხვერპლის“ შესახებ. შესაბამისად, კონფიდენციალობის საკითხები განსაკუთრებით რელევანტურია კიბერბულინგთან მიმართებით.

ძირითადი გზავნილები

- ახალგაზრდებს უნდა ახსოვდეთ, რომ ინტერნეტი საზოგადოებრივი სივრცეა, სადაც ადამიანებს შეუძლიათ დანახვა, რას აკეთებენ სხვები და როგორები არიან, მაშინაც კი, როდესაც ეს შეუძლებელი ჰგონიათ;
- ინტერნეტს აქვს საკუთარი საფრთხეები. არსებობენ ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ პირადი მონაცემების ან ინფორმაციის გამოყენება დანაშაულის ჩასადენად ან ზიანის მისაყენებლად. ახალგაზრდებმა მაქსიმალურად უნდა შეზღუდონ ეს შესაძლებლობა გარკვეული ღონისძიებების გატარებით;
- ყველაფერი, რაც ქვეყნდება ინტერნეტში, რჩება სამუდამოდ! ახალგაზრდებმა უნდა იცოდნენ ეს და გაითვალისწინონ, რომ პირადი ინფორმაცია, რომელსაც გაამჟღავნებენ დღეს, შეიძლება მათთვის სანანებელი გახდეს მოგვიანებით;
- ახალგაზრდებმა პატივი უნდა სცენ პირად ცხოვრებას და სხვების უსაფრთხოებას. ისინი არ უნდა ჩაერთონ სახიფათო ან შეურაცხმყოფელ ქცევაში და ამასთანავე, უნდა იფრთხილონ სხვა ადამიანებზე ინფორმაციის გაზიარებისას, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია ამ პირთა საზიანოდ;
- არსებობს ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმები, რომლებიც გამოიყენება ისეთ შემთხვევებში, როცა სხვებს აქვთ წვდომა ჩვენს პირად ინფორმაციაზე, რისი უფლებამოსილებაც არ მიგვინიჭებია და ინტერნეტში გვიქვეყნებენ ისეთ რამეს, რაც აზიანებს ჩვენი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას;
- არსებობს ბევრი ორგანიზაცია და საჯარო დაწესებულება, რომლებსაც შეუძლიათ დახმარება ასეთ შემთხვევებში, კერძოდ, ახალგაზრდებთან მიმართებით. ახალგაზრდებმა უნდა იგრძნონ, რომ აქვთ შეტყობინების უფლება ინტერნეტში შეურაცხყოფის ან ექსპლოატაციის შესახებ;
- ანონიმური არაფერია. ყველაფრის ავტორის მიკვლევა შეიძლება, რაც კი კეთდება ინტერნეტში. არც დაუსჯელობა არსებობს. ინტერნეტში სიძულვილის ენისა და კიბერბულინგის მრავალი ფორმა ისჯება კანონით.

პირადი ცხოვრება, პირადი ცხოვრება ონლაინ სივრცეში და ადამიანის უფლებები

ყველას აქვს უფლება, რომ დაცული იყოს მისი პირადი და ოჯახური ცხოვრება, საცხოვრისი და მიმოწერა.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მუხლი 8, პუნქტი 1.

1. არც ერთი ბავშვი არ შეიძლება იყოს მისი პირადი ცხოვრების, ოჯახური ცხოვრების, საცხოვრებლის ხელშეუხებლობის ან კორესპონდენციის საიდუმლოების უფლების განხორციელებაში ნებისმიერი ან უკანონო ჩარევის ან მისი ღირსებისა და რეპუტაციის შელახვის ობიექტი.

2. ბავშვს უფლება აქვს კანონით იყოს დაცული ასეთი ჩარევისაგან ან ხელყოფისაგან.

გაეროს კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ, მუხლი 16.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება

ეს უფლება დაცულია ადამიანის უფლებათა სხვადასხვა ხელშეკრულებით. „პირადი ცხოვრება“ ადამიანის უფლებათა სამართლის ფარგლებში გულისხმობს უფრო მეტს, ვიდრე უბრალოდ კონფიდენციალობა და მოიცავს პირადი ცხოვრების იმ ასპექტებს, რომლებიც მნიშვნელოვანია პირის ვინაობისა და ღირსებისთვის. როდესაც საქმე ეხება ინტერნეტს, პირადი ცხოვრება მოიცავს კორესპონდენციას, მათ შორის, ელექტრონულ წერილებს სამუშაო ადგილზე, სურათებსა და ვიდეოკლიპებს. იგულისხმება, რომ სახელმწიფო ხელისუფლება არ უნდა ჩაერიოს ჩვენი ცხოვრების ამ სფეროებში და დაგვიცვას სხვა ადამიანთა ჩარევისგანაც. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ფიზიკური და ფსიქოლოგიური ხელშეუხებლობის იდეას იყენებს მე-8 მუხლის საფუძველზე წარდგენილი საჩივრების შესაფასებლად. **ეს ეხება ინტერნეტსივრცეში ცხოვრებასა და ურთიერთობებსაც.**

მთავრობების ძალისხმევით, ადამიანებმა უნდა შეძლონ საკუთარი ცხოვრებით ცხოვრება, რათა არავინ მოაქციოს ისინი ერთ ყალიბში, რომელიც „მოერგება ყველას“, ან არავინ დევნოს განსხვავებული საჭიროებების გამო. მნიშვნელობა არ აქვს, რა გავლენას ახდენს სახელმწიფოს ქმედება ან უმოქმედობა პიროვნებაზე. ჩვენი პირადი ცხოვრება არის ჩვენი პირადი საქმე!

მიუხედავად ამისა, პირადი ცხოვრების უფლება არ არის „აბსოლუტური“. მოკლედ რომ ვთქვათ, სახელმწიფომ უნდა დააბალანსოს ადამიანის პირადი ცხოვრება საზოგადოების ან პიროვნების სხვა მოთხოვნებთან. ძალიან იშვიათად შეიძლება გამართლდეს (შესაძლოა, სხვების დაცვის მიზნით) ხელისუფლების წვდომა ადამიანების პირად მონაცემებზე. ზოგჯერ სახელმწიფომ შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება კონფიდენციალობის დარღვევის შესახებ, თუკი ეს პირისთვის არ ქმნის სერიოზულ რისკს და სამაგიეროდ, სხვებისთვის არის ძალიან ღირებული.

ბალანსის მიღწევა ყოველთვის მარტივი არ არის. საქმეში კოპლანდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Copland v. United Kingdom) ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილა, დაირღვა თუ არა მე-8 მუხლი, როდესაც უმაღლესი განათლების კოლეჯი მონიტორინგს უწევდა თანამშრომელთა საუბრებს. სასამართლომ მიიჩნია, რომ ეს იყო კონფიდენციალობის უფლების დარღვევა.

საქმეში კ.უ. ფინეთის წინააღმდეგ (K. U. v. Finland) სასამართლომ მიიჩნია, რომ არასრულწლოვნის პირადი ცხოვრებისა და უსაფრთხოების დაცვა უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე იმ ადამიანისა, რომელმაც გამოაქვეყნა ცრუ განცხადება თავისი სახელით.

ზოგადად, სახელმწიფოს ევალება, რომ ადამიანების პირად ცხოვრებასა და ღირსებაში არავინ ჩაერიოს, არც ხელისუფლება და არც ნებისმიერი სხვა მხარე. ეს ვრცელდება, როგორც ონლაინ სივრცე ასევე მის ფარგლებს გარეთაც.

პირადულობა და ადამიანის უფლებები

პირადულობა „პირადი ცხოვრების“ კონკრეტული ასპექტია და დაცულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (ECHR) მე-8 მუხლიც. კონფიდენციალობა ეხება ჩვენი ფიზიკური, სოციალური და ემოციური ცხოვრების იმ სფეროებს, სადაც არ გვსურს საჯაროობა. თუკი არ გავცემთ ნებართვას, ან არ არსებობს სხვათა უფლებების დაცვის სერიოზული მიზეზი, ის, რისი პირადულად დარჩენაც გვსურს, უნდა დარჩეს პირადულად. არავის და არცერთ ორგანიზაციას არ აქვს უფლება, იცოდეს ჩვენი პირადი ცხოვრების შესახებ, თუკი არ გვინდა ამ ინფორმაციის გამჟღავნება.

მიუხედავად ამისა, საწყისი პარამეტრები ბევრ ინტერნეტფორუმსა ან ვებგვერდზე ზოგჯერ რთულად გასაგებია და არ არის შექმნილი მომხმარებელთა კონფიდენციალობის დასაცავად. შენახული მონაცემები (მომხმარებლის მიერ წარდგენილი მონაცემები და დაკვირვების შედეგად მოპოვებული მონაცემები) და დამუშავებული მონაცემები ადამიანის პირადულობის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. პირადი მონაცემების კონფიდენციალობა მოითხოვს სიფრთხილეს და ყურადღებას, ასევე, პოტენციური საფრთხეების ცოდნას.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ევროპის საბჭომ 2016 წელს მიიღო პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის კონვენციის მოდერნიზებული ვერსია (კონვენცია 108+). ევროკავშირს მიღებული აქვს მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია (GDPR), რომლის მიზანსაც წარმოადგენს ფიზიკური პირებისათვის საკუთარი პერსონალური მონაცემების გაკონტროლების შესაძლებლობის მინიჭება, საერთაშორისო ბიზნესისთვის მარეგულირებელი გარემოს გამარტივება და პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ დებულებების გაერთიანება. აღნიშნულ რეგულაციას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს გლობალურ დონეზე, ვინაიდან იგი

ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, სადაც მონაცემების დამმუშავებელი, უფლებამოსილი პირი ან მონაცემთა სუბიექტი (ფიზიკური პირი) ევროკავშირში ან ევროპულ ეკონომიკურ სივრცეში არის დაფუძნებული. რეგულაციის თანახმად, მონაცემთა დამუშავება საჭიროებს მონაცემთა სუბიექტის ინფორმირებულ თანხმობას, ხოლო ამ თანხმობის უკან გახმობა ნებისმიერ დროს უნდა იყოს შესაძლებელი. ამასთან, რეგულაცია ადგენს მონაცემებზე და იმ ინფორმაციაზე წვდომის უფლებას, რომელიც შეეხება მონაცემების დამუშავებას და გაზიარებას, მონაცემთა გადაცემის მოთხოვნის უფლებას. დამატებით, როდესაც მონაცემების დამუშავება ხორციელდება მონიტორინგის, გაყიდვების და სხვა მიზნებისთვის, რომელიც სერვისებს არ უკავშირდება, მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, მოითხოვოს დამუშავების შეწყვეტა. რეგულაცია, ასევე, ითვალისწინებს მონაცემთა წაშლის მოთხოვნის უფლებას. კერძოდ, ფიზიკურ პირს უფლება აქვს, პერსონალური მონაცემების წაშლა მოითხოვოს სხვადასხვა საფუძვლებით, 30 დღის მანძილზე. ევროპის საბჭოს 108+ კონვენცია და მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია ადგენს მოთხოვნებს, რომლის თანახმადაც მონაცემთა დამმუშავებლებმა პირადი მონაცემების დაცვის პარამეტრები პროდუქტის/მომსახურების შექმნის პროცესშივე უნდა გაითვალისწინონ და ეს პარამეტრები იმთავითვე მაღალი დონის დაცვას უნდა უზრუნველყოფდეს. კონფიდენციალობის საკითხები შეიძლება ასევე მნიშვნელოვანი იყოს ინტერნეტში შინაარსის გაზიარებასთან მიმართებით. ახალგაზრდებმა უნდა იცოდნენ, რომ სხვების პირადი ინფორმაცია ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორიც საკუთარი. სურათების, ვიდეოების, შეტყობინებებისა და სხვა ინფორმაციის გაზიარების სიმარტივემ შეიძლება გამოიწვიოს დაუდევრობა და სხვებისთვის ზიანის მიყენება. ახალგაზრდებისთვის ძირითადი გზავნილი ის არის, რომ რომელიმე პიროვნებასთან დაკავშირებული მასალა უნდა გააზიარონ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უკვე გასაჯაროებულია (და არ არის შეურაცხმყოფელი ან საზიანო), ან ეს ადამიანი დართავს ნებას.

უნდა აღინიშნოს, რომ ინტერნეტკომუნიკაციის შემთხვევათა უმეტესობაში, მასალა, პრაქტიკულად, არასდროს არის ბოლომდე კონფიდენციალური. შეტყობინებები, ასევე, ის, რაც გამოქვეყნებულია ინტერნეტში, შეიძლება ხელმისაწვდომი გახდეს სხვებისთვის და არასდროს ამოიშლება ბოლომდე ვირტუალური სივრციდან.

სუსტი პაროლის ან არასათანადო უსაფრთხოების ზომების გამო, ადამიანებისთვის შეიძლება ხელმისაწვდომი გახდეს ინფორმაცია, რომელიც ინახება მომხმარებელთა პროფილებზე ან ელექტრონული ყუთების „პირად“ ნაწილში. ძლიერი პაროლიც ვერ უზრუნველყოფს სრულ გარანტიას ჰაკერების ან სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოთა ჩარევის წინააღმდეგ!

ახალგაზრდებმა უნდა იცოდნენ ასეთი რისკების შესახებ და სიფრთხილით და პასუხისმგებლობით მოეკიდონ საკუთარი ცხოვრების იმ დეტალების დაცვას, რომელთა გამჟღავნებაც არ სურთ; უნდა იცოდნენ ისიც, რომ თუ სათანადო ზომებს მიიღებენ, მაგრამ ვინმე მაინც მოახერხებს წვდომას მათ პირად ინფორმაციაზე, ასეთი ქმედება მიიჩნევა უკანონოდ და კონფიდენციალობის უფლების დარღვევად.

კიბერდევნის ნაწილში განხილულია ზოგიერთი ზომა, რომელიც ახალგაზრდებმა უნდა მიიღონ პირადი ინფორმაციის საჯარო დომენში მოხვედრის თავიდან ასაცილებლად.

5.6 დემოკრატია და მონაწილეობა

კავშირი სიძულვილის ენასთან

გამოხატვის თავისუფლება და დემოკრატიული დიალოგი

კავშირს დემოკრატიასა და სიძულვილის ენას შორის შეიძლება შევხედოთ ორი სხვადასხვა პერსპექტივიდან: დემოკრატია განვიხილოთ, როგორც სიძულვილის ენის ხელშემწყობი ან შედარებით, რთულად დასამარცხებელი საშუალება. ამის დასანახად, საუკეთესო მაგალითია არადემოკრატიული საზოგადოების წარმოდგენა მკაცრი ცენზურით: თეორიულად, სიძულვილის ენის (მათ შორის, ინტერნეტში) აღკვეთა შესაძლებელია ასეთ საზოგადოებაში. ყველაფერი, რაც სხვებისთვის საწყენად მიიჩნევა, შეიძლება აიკრძალოს და ნებისმიერი ჩარევა მკაცრად დაისაჯოს. თუმცა, ასეთ საზოგადოებას ექნება ბევრი უარყოფითი მხარე გამოხატვის თავისუფლების ნაკლებობის გამო.

დემოკრატიულ სივრცეში, სადაც ადამიანებს აქვთ შესაძლებლობა, თავისუფლად გამოხატონ თავიანთი მოსაზრებები, შეიძლება მოგვიწიოს ისეთი შეხედულებების მოსმენა, რომლებსაც არ ვეთანხმებით. ზოგი შეიძლება გამაღიზიანებელი იყოს, ზოგი - უხეში ან არასასიამოვნო და ზოგიც - ძალიან საწყენი (საშიშიც კი). სიძულვილის ენა ნაწილობრივ შეიძლება განაპირობოს ჩვენ მიერ მოსაზრებების თავისუფალმა გამოხატვამ და გათვალისწინებამ. არცერთი დემოკრატია არ არის იდეალური!

ჩართულობა და მონაწილეობა

დემოკრატიისა და გამოხატვის თავისუფლების ერთ-ერთი დადებითი მხარე სიძულვილის ენასთან საბრძოლველად არის იმ ეფექტიანი ინსტრუმენტების უზრუნველყოფა, რომლებიც ხელს უწყობს სხვა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას. მეორე მხრივ, დემოკრატია თავისთავად ქმნის ყველაზე პერსპექტიულ შესაძლებლობას სიძულვილის ენასთან საბრძოლველად, იმავდროულად ადამიანის უფლებათა დაცვით.

სათანადო დემოკრატიის არსებობისას, სადაც ადამიანები აქტიურ როლს ასრულებენ საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვაში, საზოგადოების დაცვა სიძულვილის ენისგან შეიძლება უფრო დახვეწილი და ყოვლისმომცველი იყოს, ვიდრე მკაცრი ცენზურის პირობებში. თუ სიძულვილის ენაზე „მონიტორინგი“ არ ჩაითვლება მხოლოდ სახელმწიფოს მოვალეობად ან ინტერნეტზე „კონტროლის“ პასუხისმგებლობად და მას აღვიქვამთ როგორც საკუთარ, ისე სხვების ქცევაზე ზედამხედველობის ვალდებულებად, შესაძლებელი იქნება გამოხატვის თავისუფლების შენარჩუნებაც და იმავდროულად, ადამიანების დაცვაც შეურაცხყოფისაგან.

ეფექტიანი რეაგირება დამოკიდებულია დემოკრატიული საზოგადოების დადებითი მხარეების, გამოწვევებისა და მოთხოვნების სრულ გააზრებაზე, ასევე, იმ ადამიანთა აქტიურ მონაწილეობაზე, რომლებიც ქმნიან საზოგადოებას. დემოკრატიის ეფექტიანი ფუნქციონირების უნარი საჭიროა სიძულვილის ენის დასამარცხებლადაც. დემოკრატიული დისკუსიის ღირებულების გათვითცნობიერება დაეხმარება მონაწილეებს, რომ მოემზადონ შეუწყნარებლობის ან სიძულვილის კონკრეტულ გამოხატვაზე რეაგირებისთვის.

დემოკრატია, მონაწილეობა და ადამიანის უფლებები

(1) ყოველ ადამიანს აქვს უფლება მონაწილეობდეს თავისი ქვეყნის მართვა-გამგეობაში ან უშუალოდ, ანდა თავისუფლად არჩეულ წარმომადგენელთა მეშვეობით.

(3) ხალხის ნება უნდა იყოს საფუძველი მთავრობის ძალაუფლებისა.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მუხლი 21.

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, გონივრული პერიოდულობით ჩაატარონ თავისუფალი არჩევნები ფარული კენჭისყრით ისეთ პირობებში, რომლებიც საკანონმდებლო ორგანოების არჩევისას უზრუნველყოფს ხალხის ნება–სურვილის თავისუფალ გამოხატვას.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, ოქმი 1, მუხლი 3.

ადამიანის უფლებები მსგავს მოთხოვნებს უწესებს მსოფლიოში ყველა მთავრობას. ცხადია, ეს არ გულისხმობს, რომ კანონები და მმართველობის ფორმა ყველა ქვეყნაში იდენტური უნდა იყოს. ადამიანის უფლებები იძლევა მრავალგვარი სისტემისა და მიმართულების არსებობის შესაძლებლობას, რაც უზრუნველყოფს ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას.

მიუხედავად ამისა, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 21-ე მუხლი (და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმი) მიუთითებს, რომ მმართველობის ყველა ფორმა მისაღები არ არის. სახელმწიფოებს აქვთ ვალდებულება, რომ კანონმდებლებმა წარმოადგინონ „ხალხის ნება“. სხვა სიტყვებით, მხოლოდ დემოკრატიული სისტემა მოდის ადამიანის უფლებებთან შესაბამისობაში. ამგვარი კავშირის ერთ-ერთი ახსნა ავტონომიურობისა და მონაწილეობის, როგორც ადამიანის უფლებათა ფუნდამენტური ღირებულების მნიშვნელობასთანაა დაკავშირებული.

დემოკრატიასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა

მმართველობის დემოკრატიული ფორმა ძალაუფლების არმქონე ადამიანებს აძლევს გარკვეული კონტროლის შენარჩუნების საშუალებას კანონებზე, რომელთა მიხედვითაც უნდა იცხოვრონ. ამ მხრივ, ადვილია ადამიანის უფლებებთან კავშირის დანახვა, რადგან ისინი უდიდეს როლს ასრულებენ ჩვენს ქმედებებში პირადი ავტონომიის შენარჩუნების თვალსაზრისით, რათა არ გავხდეთ თვითნებური ჩარევის მსხვერპლი, ან არ ვიცხოვროთ ისეთი სისტემის პირობებში, რომელიც ძირს უთხრის ჩვენს ძირითად ღირებულებებს.

ამ და სხვა მრავალი უპირატესობის მიუხედავად, დემოკრატია მმართველობის გაცილებით მომთხოვნი ფორმაა, სხვებთან შეადრებით. იგი აწესებს მოთხოვნებს, თუ რა უნდა გავაკეთოთ და რა დავთმოთ, როგორ მოვიქცეთ, როცა არ ვეთანხმებით რომელიმე გადაწყვეტილებას ან შეხედულებას. ეს ვრცელდება როგორც ძალაუფლების მქონე პირთა გადაწყვეტილებებსა და მოქმედებებზე, ასევე ცალკეული ადამიანების ქცევაზე. დემოკრატიაში გარკვეულ დონეზე ყველას გვეკისრება „პასუხისმგებლობა“ ამ სისტემის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით.

ქვემოთ მოცემულ სიაში ასახულია ის ძირითადი უნარ-ჩვევები და ცოდნა, რომელიც საჭიროა დემოკრატიის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის. თითოეული პუნქტი მნიშვნელოვანია სიძულვილის ენის პრობლემის გადასაჭრელადაც.

აქტიური მონაწილეობა

მთავრობა ვერ იქნება ხალხის ნების წარმომადგენელი, თუ თვითონ „ხალხი“ არ გამოხატავს ამ ნებას! მხოლოდ მაშინ შეიძლება გვყავდეს წარმომადგენლობითი მთავრობა, როცა ყველა ადამიანი საკუთარ სურვილს გააცხადებს. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს მხოლოდ ხმის მიცემას არჩევნების დროს. ჩვენ უნდა გვქონდეს პასუხი ახალ ინიციატივებზე და ამით პარლამენტის წევრებს (ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებს) შევატყობინებთ, რომ გარკვეული საკითხები არ არის დამაკმაყოფილებელი, რისთვისაც ვთავაზობთ ცვლილებებს, ლობირებას ვუწევთ უკეთეს დაცვას, ვითხოვთ მეტ ღიაობას და ა. შ.

თუკი დემოკრატიის პირობებში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მოქალაქეთა ჩართულობას, მთავრობების მიმართაც არსებობს ვალდებულება, რომ გაითვალისწინონ ხალხის შეხედულებები. ამ მიზნით, გამოხატვის თავისუფლება გარანტირებული უნდა იყოს, იმ დონემდე მაინც, ვიდრე საფრთხეს არ შეუქმნის ძირითად ღირებულებებს ან ცალკეულ ადამიანებს.

მონაწილეობა შესაძლებელია ინტერნეტსივრცის გარეთ და ინტერნტესივრცეშიც. ინტერნეტი მნიშვნელოვან იარაღად იქცა მოქალაქეთა ხელში. მისი საშუალებით ადამიანებს შეუძლიათ, აქტიური როლი შეასრულონ დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობასა და გაძლიერებაში, თუნდაც სახლიდან გაუსვლელად, მონაწილეობა მიიღონ ისეთ პროცესებში, როგორიცაა პოლიტიკური დება-

ტები, კანონმდებლობის შემუშავება, პეტიციების ხელმოწერა, პოლიტიკოსების გაკონტროლება და ინტერნეტკამპანიების წარმართვა.

თითოეულ ადამიანს შეუძლია, მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ინტერნეტში მონაწილეობის კუთხით, დამკვირვებლი იქნება ის თუ ავტორი.

ინფორმირებულობა

ხალხის სახელით მიღებულ გადაწყვეტილებებზე რეაგირებისათვის, საზოგადოება უნდა ფლობდეს შესაბამის ინფორმაციას, როგორც ამ გადაწყვეტილებების, ისე, ხმის მისაწვდენად საჭირო საშუალებების შესახებ. ეს წარმოშობს ორივე მხარის - ადამიანებისა და მთავრობების ვალდებულებებსაც, კერძოდ: მთავრობებმა უნდა უზრუნველყონ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, რაც ხაზს უსვამს, რომ ინფორმაციის მიღება გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელოვანი ასპექტია; პიროვნებებმა კი, თავის მხრივ, ზეწოლა განახორციელონ ხელისუფლების წარმომადგნელებზე, თუ რაიმე დეტალი საჯაროდ ხელმისაწვდომი არ არის.

ინფორმირებულობის თვალსაზრისით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია ცნობიერების ამაღლება ადამიანის უფლებათა შესახებ. ამ უფლებებზე დაკვირვება არ უნდა აღმოჩნდეს მხოლოდ ადამიანის უფლებათა „პროფესიონალი“ აქტივისტების ხელთ და არც მხოლოდ მთავრობაა ამ მხრივ სანდო. ყველამ უნდა იცოდეს ძირითადი ადამიანის უფლებების სტანდარტები და მუდმივად მონაწილეობდეს მათი დაცვის საქმეში.

შემწყნარებლობა

წარმომადგენლობითი მთავრობა ნაკლევად სავარაუდოა, რომ ყველა ადამიანის სურვილის ან მოთხოვნის შესრულებას შეძლებს. ადამიანის უფლებები, როგორც წესი, ითვალისწინებს თითოეული ჩვენგანის ძირითად საჭიროებებს, თუმცა, რა თქმა უნდა, ყოველთვის იარსებებს განსხვავებული შეხედულებები როგორც სხვადასხვა საჭიროებაზე, ასევე, მათი დაკმაყოფილების საუკეთესო გზებზე. დემოკრატიულ საზოგადოებაში მოსალოდნელია აზრთა სხვადასხვაობა.

არც ისე მარტივია განსაზღვრა, სად გადის ზღვარი იმ გადაწყვეტილებათა „დაშვების“ თვალსაზრისით, რომლებსაც არ ვეთანხმებით. როდესაც ადამიანის უფლებები დგება საფრთხის ქვეშ, „შემწყნარებლობა“ აღარაა სასურველი. შესაბამისად, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია პასუხისმგებელი პირების დასჯა. მიუხედავად ამისა, დაფიქსირდება მრავალი შემთხვევა და გამოითქმება საჯაროდ გამოხატული აზრი, რომლებიც ჩვენთვის მიუღებელია, თუმცა საბოლოოდ მაინც მოგვიწევს შეგუება და მიღება. ეს ბალანსი უფრო დაწვრილებით განხილულია „გამოხატვის თავისუფლების“ ნაწილში.

ინტერნეტმმართველობა

ჩვენი არსებობა „რეალურ“ სამყაროში სხვადასხვა დონეზე განსაზღვრული წესებითა და კანონებით იმართება. სამუშაო ადგილზე ან კერძო კომპანიების კუთვნილ „სივრცეში“ დადგენილია გარკვეული წესები. ადგილობრივი და ეროვნული მთავრობები უფრო ფართო კანონებსა და რეგულაციებს შეიმუშავებენ, საერთაშორისო ან რეგიონულ ორგანიზაციებს კი (მაგ.: გაერო ან ევროპის საბჭო), აქვთ უფლებამოსილება, დაადგინონ წესები, რომელსაც მთავრობები უნდა დაემორჩილონ.

ადამიანთა აქტივობის სხვადასხვა ფორმა სულ უფრო იზრდება ინტერნეტსივრცეში. შესაბამისად, თანდათანობით ჩნდება კითხვები იმ „წესების“ შესახებ, რომლებმაც „ეს“ აქტივობები უნდა დაარეგულიროს. ყველა ვებგვერდს, ისევე, როგორც მომსახურების მიმწოდებელს, აქვს საკუთარი წესები ან ქცევის კოდექსი, მათი შედარება შეიძლება იმ კანონებთან, რომლებიც არეგულირებს კერძო სივრცეს ინტერნეტს გარეთ. ზოგიერთ მთავრობას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონები ინტერნეტაქტივობის შესახებ. არსებობს გარკვეული საერთაშორისო კანონებიც, რომლებიც კონკრეტულად ადამიანის უფლებათა დაცვას ეხება და ინტერნეტზეც ვრცელდება. მიუხედავად ამისა, თანდათან იზრდება ცნობიერება, რომ საჭიროა ძირითადი პრინციპებისა და რეგულაციების არსებობა, რომლებიც სათანადოდ დაიცავს ინტერნეტმომხმარებელს ონლაინაქტივობების დროს. პრინციპებისა და მათი დანერგვის გზების საკითხი აღწერილია, როგორც „ინტერნეტმმართველობა“.

ინტერნეტმმართველობა, ნაწილობრივ, მნიშვნელოვანია ინტერნეტში სიძულვილის ენის საკითხთან მიმართებით, რადგან ზოგიერთ ქვეყანაში (მაგ.: აშშ) აქტიურად არის დაცული გამოხატვის თავისუფლება. ვინაიდან ბევრი ვებგვერდის ჰოსტინგი აშშ-ში ხორციელდება, ეს შეიძლება, ძალიან რთულ გამოწვევად იქცეს, მაშინაც კი, როცა სიძულვილის ენა ინტერნეტში ყველაზე მძაფრი და შეურაცხმყოფელი ფორმებით ვლინდება.

ევროპის საბჭოს საქმიანობა ინტერნეტმმართველობის შესახებ

ინტერნეტის დაცვისა და შენარჩუნების მიზნით და მისი ფუნქციონირებისთვის „ზიანის მიყენების გარეშე“ ... სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 და მე-11 მუხლის გავრცელება ინტერნეტზე. თავისუფლებას თან ახლავს ვალდებულება, რომ მოქალაქეები შესაბამისად იყვნენ ინფორმირებულნი. ეს მათ საშუალებას მისცემს, სათანადო პასუხისმგებლობით მოეკიდონ ინტერნეტში შეთავაზებულ სერვისებს. ადამიანთა ნდობისათვის ინტერნეტის მიმართ, აუცილებელია პერსონალურ მონაცემთა დაცვა და პირადი ცხოვრების პატივისცემა ინტერნეტში...

ევროპის საბჭოს ინტერნეტმმართველობის სტრატეგიიდან.

ევროპის საბჭომ ყურადღება გაამახვილა ინტერნეტმმართველობის საკითხზე. 2007 წელს მინისტრთა კომიტეტმა გამოსცა რეკომენდაცია, რომელშიც ვკითხულობთ: „ადამიანებს აქვთ სამართლიანი

მოლოდინი, რომ ინტერნეტსერვისები იქნება ღია, ხელმისაწვდომი, დაცული, საიმედო და განგრძობითი“ (CM/Rec (2007)16In). 2012 წელს ევროპის საბჭოს 47-მა წევრმა სახელმწიფომ მიიღო პირველი ინტერნეტმმართველობის სტრატეგია, „რათა დაიცვან და ხელი შეუწყონ ადამიანის უფლებების, კანონის უზენაესობისა და დემოკრატიის დაცვას ინტერნეტში“. 2016 წელს მიიღეს ახალი, 2016-2019 წლების ინტერნეტ მმართველობის სტრატეგია. სტრატეგიის მიზანია, რომ ინტერნეტი იყოს ადამიანებზე ორიენტირებული, რათა ონლაინ სივრცეში განვითარდეს დემოკრატია, ინტერნეტ მომხმარებლები იყვნენ დაცული და ინტერნეტ სივრცეში ხდებოდეს ადამიანის უფლებების პატივისცემა და დაცვა. კერძოდ, სტრატეგია ითვალისწინებს ძირითად ქმედებებს და აქტივობებს, რომელთა მიზანსაც წარმოადგენს ინტერნეტ მომხმარებელთა თავისუფლების, პირადი ცხოვრებისა და უსაფრთხოების დაცვა, მათი გაძლიერება და ინტერნეტ მმართველობის დიალოგში ჩართვა, დაინტერესებული მხარეების სახით.

ევროპის საბჭო ხელს უწყობს ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების გავრცელებას როგორც ინტერნეტში, ასევე მის გარეთ. 2014 წელს მინისტრთა კომიტეტმა მიიღო ინტერნეტმომხმარებელთა სახელმძღვანელო ადამიანის უფლებების შესახებ. იგი მოიცავს ინფორ-მაციას ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების გამოყენებაზე ინტერნეტში, ასევე, დაცვის საშუალებებზე, როცა ვინმეს უფლებები ირღვევა. 2018 წელს, ორგანიზაციამ მიიღო სახელმძღვანელო პრინციპები ციფრულ გარემოში ბავშვთა უფლებების პატივისცემის, დაცვისა და რეალიზების შესახებ (რეკომენდაცია CM(2018)7), რომელიც წევრი სახელმწიფოებისათვის ადგენს ძირითად წესებს ყველა სფეროში კანონმდებლობის, პოლიტიკის და ზომების გადასახედად. სახელმძღვანელო პრინციპები მონაწილეობითი პროექტის შედეგად შეიქმნა და ისინი ბავშვებისა და ახალგაზრდების მონაწილეობის მექანიზმების შექმნის რეკომენდაციას იძლევა.

მომხმარებელთა როლი

მომხმარებელთა როლი ასევე უმნიშვნელოვანესი საკითხია ინტერნეტის ფუნქციონირების გან-საზღვრისათვის. „დემოკრატიული“ ინტერნეტი საჭიროებს მომხმარებელთა ისეთ თემს, რომლებიც იქნებიან „ინტერნეტმოქალაქეები“, მონაწილეობას მიიღებენ ურთიერთობის ნორმებისა და წესების ჩამოყალიბებაში და გავლენას მოახდენენ ინტერნეტის მუშაობაზე. ამის მაგალითად გამოდგება არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მოქალაქეთა მოძრაობების როლი, ევროპარლამენტის ანტი-კონტრაფაქტური ვაჭრობის შესახებ (ACTA) , საერთაშორისო შეთანხმების შეჩერებაში. ეს შეთანხმება გააძლიერებდა ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს. შეთანხმებას ჰყავდა მოწინააღმდეგეები, რადგან მრავალი სამოქალაქო თავისუფლება და ადამიანის უფლება დგებოდა საფრთხის ქვეშ.

გზავნილები ახალგაზრდებს

ინტერნეტის ფუნქციონირების განსაზღვრაში მნიშვნელოვანი როლის შესასრულებლად, ახალ-გაზრდებმა უნდა გაითვალისწინონ შემდეგი პრინციპები:

- ინტერნეტით მოსარგებლე უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ მომხმარებელი! მას აქვს გავლენა, შეუძლია უფრო მეტად გააქტიურება და ჩართვა იმ სისტემის ჩამოყალიბებაში, რომელიც იცავს ადამიანის უფლებებს ინტერნეტში. ეს შეიძლება განხორციელდეს კამპანიების ჩატარებით ან ახალგაზრდა მომხმარებელთა ურთიერთდამოკიდებულების გარდაქმნით ინტერნეტში;
- ინტერნეტმომხმარებლებს სჭირდებათ თავიანთი უფლებების დაცვა ინტერნეტში. იციან რა საკუთარი უფლებები, ისინი ცდილობენ, სათანადო გამოწვევით უპასუხონ შეურაცხყოფებს და დარწმუნდნენ, რომ ნამდვილად ასეთ შემთხვევასთან აქვთ საქმე;
- ინტერნეტი არის სივრცე, რომლის დინამიკური არქიტექტურაც ჯერ კიდევ დაურეგულირებელია: ერთი მხრივ, ის უშვებს ადამიანის უფლებების ხელყოფას; მეორე მხრივ კი, შეიძლება იყოს ამ უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობის საშუალება, ინსტრუმენტი, რომელიც ხელს უწყობს თემთა მობილიზაციას ადამიანის უფლებათა დასაცავად;
- ბავშვებს, ახალგაზრდებსა და სხვა მომხმარებლებს მხარდაჭერა სჭირდებათ საგანმანათლებლო პროგრამებით. ეს მათ დაეხმარება საჭირო უნარების განვითარებაში, რათა ეფექტიანად შეძლონ ინტერნეტის გამოყენება;
- ბავშვებს და ახალგაზრდებს უნდა ჰქონდეთ სპეციალური დაცვის შესაძლებლობა, რომ ინტერნეტით სარგებლობისას არ მოხდეს ჩარევა მათ ფიზიკურ, გონებრივ და მორალურ კეთილდღეობაში;
- მიუხედავად იმისა, რომ არსებობენ გავლენიანი ეკონომიკური და პოლიტიკური ძალები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ინტერნეტის ჩამოყალიბებაში, აუცილებელია, ინტერნეტის მომხმარებლებმა დაიცვან თავიანთი უფლებები ონლაინსამყაროს საჯარო სივრცეში, სადაც მოქმედებს ადამიანის უფლებათა პრინციპები, ღირებულებები და პრაქტიკა;
- ბავშვებსა და ახალგაზრდებს უნდა ესმოდეთ, რომ აუცილებელია, იცოდნენ, ვინ და როგორ მართავს ინტერნეტს. ეს უნდა იყოს ნაწილი მათი განათლებისა დემოკრატიული მოქალაქეობის შესახებ. ინტერნეტმმართველობის მნიშვნელოვანი საკითხია გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულებაც. იგი იმ გზებს მოიცავს, რომელთა საშუალებითაც ახალგაზრდებს ეფექტიანი გავლენის მოხდენა შეუძლიათ ინტერნეტმმართველობაზე ან უკიდურეს შემთხვევაში, საჯარო სივრცეზე, რომელიც ინტერნეტის ნაწილია.

5.7 კამპანიის სტრატეგიები

ევროპის საბჭოს ახალგაზრდული კამპანია „მოძრაობა სიძულვილის ენის წინააღმდეგ“ უზრუნველყოფდა კარგი პრაქტიკის არაერთ მაგალითსა და სწავლების შესაძლებლობას, კამპანიის სტრატეგიებისა და მოქმედებების კუთხით. კამპანია დასრულდა, თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ გაგრძელდეს ინიციატივები სიძულვილის ენის წინააღმდეგ. უამრავი გზა არსებობს, რომ თქვენს მეგობრებთან ერთად იბრძოლოთ სიძულვილის ენის წინააღმდეგ და გააგრძელოთ კამპანიის მემკვიდრეობა. თვალი გადაავლეთ კამპანიის ფარგლებში შექმნილ რესურსებს შემდეგ მისამართზე: https://www.coe.int/en/web/no-hate-campaign/compendium-of-resources.

ზოგიერთი მათგანი ჩამოთვლილია ქვემოთ და დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

1. განათლება და ცნობიერების ამაღლება;
2. მოქმედება ინტერნეტში უკვე არსებული სიძულვილის ენის წინააღმდეგ;
3. სხვების მობილიზება;
4. სოლიდარობის გამოხატვა მსხვერპლთა და ძირითადი სამიზნე ჯგუფების მიმართ;
5. გრძელვადიანი სტრატეგიების შემუშავება.

ეს კატეგორიები ხშირად ერთმანეთზეა გადაჯაჭვული, ხოლო სადაც არ არსებობს კავშირი, შესაძლებელია, ერთი აქტივობა გააძლიეროთ სხვა ნაწილიდან გადმოტანილი მასალით, მაგალითად:

- სიძულვილის ენის უშუალო განხილვას ალტერნატიული ტექსტის მიწოდებით, ასევე საგანმანათლებლო ეფექტი ექნება. თუ ეს ტექსტი ან დიალოგი გამოქვეყნდება სოციალურ მედიაში, შესაძლოა, სხვების მობილიზებაც გამოიწვიოს;
- ცნობიერების ამაღლების აქცია, რომელიც შექმნილია ონლაინ სიძულვილის ენის პრობლემაზე ინფორმაციის მისაწოდებლად, ასევე ჩაითვლება სოლიდარობის ძლიერ გამოხატულებად სიძულვილის ენის მსხვერპლთა მიმართ. ეს შეიძლება გამოყენებული იყოს პეტიციაზე ხელმოწერების შესაგროვებლად, რომელიც პოლიტიკოსებს მოუწოდებს პრობლემის მოგვარებაში ჩართვისაკენ;
- სიძულვილის ენის შემთხვევაზე შეტყობინების გაგზავნა და ვებგვერდის მენეჯერის მიერ გამოგზავნილი პასუხის გამოქვეყნება ბლოგზე, სხვებისთვის შეიძლება გახდეს მოტივაცია, რომ ყურადღებით დააკვირდნენ ამგვარ შემთხვევებს და თვითონაც გაგზავნონ საჩივრები.

ქვემო მოცემული სია არ არის ამომწურავი და გამოყენებული უნდა იყოს, როგორც საფუძველი, სხვა შესაძლო იდეების მოსაფიქრებლად. თქვენი ჯგუფი ნამდვილად შეძლებს ამას!

ზოგიერთი მითითება შესაძლოა სულაც არ იყოს ყველა შემთხვევაში გამოსადეგი. მაგალითად, კომენტარსა ან პოსტზე გაგზავნილი შეტყობინება შეიძლება ზოგჯერ ზედმეტი იყოს. უფრო მარტივი იქნება, თუ შეკითხვას გაგზავნით ორიგინალი პოსტის ავტორთან, რომ ნახოთ, როგორ მოიქცევიან გამოყენებულ ენასთან დაკავშირებით, ან ამოიღებენ თუ არა კომენტარს. სხვა შემთხვევებში, იმ პირთან პირდაპირი კონტაქტი, ვინც შეურაცხმყოფელი კომენტარი დადო, ხშირად შეიძლება არ იყოს მართებული. აუცილებელია, ყოველთვის წინასწარ შეაფასოთ, რომელი მოქმედება იქნება სწორი და ეფექტიანი.

შეგიძლიათ, სახელმძღვანელოში შემოთავაზებული დამატებითი აქტივობები გამოიყენოთ და მოუწოდოთ მეგობრებს ან ჯგუფს, რომ ჩაერთონ აქტივობებში.

- დარწმუნდით, რომ ნებისმიერი აქტივობის შერჩევასა და დაგეგმვაში ჩართულები არიან თქვენი ჯგუფი და მეგობრებიც. ისინი უფრო მეტად იაქტიურებენ, თუ თვითონ მიიღებენ მონაწილეობას მთავარი საკითხისა და მეთოდების შერჩევაში;
- შეახსენეთ, რომ კრეატიულ ღონისძიებებს უფრო მეტი ყურადღების მიპყრობა შეუძლია, ინტერნეტში ადამიანთა ყურადღების მიპყრობა კი ბრბოსგან გამიჯვნის მცდელობას მოგვაგონებს;
- შეახსენეთ, რომ ინფორმაციის გავრცელება შესაძლებელია სურათების, ვიდეოებისა და მუსიკის მეშვეობით, ასევე, მხოლოდ სიტყვების გამოყენებით;
- შთაგონების მისაღებად, გაეცანით რესურსების კრებულს შემდეგ მისამართზე: https://www.coe.int/en/web/no-hate-campaign/compendium-of-resources.

შესაძლო ღონისძიებები

განათლება და ცნობიერების ამაღლება

- გამოიყენეთ ბლოგები და სოციალური მედიის პლატფორმები ცნობიერების ასამაღლებლად, თუ რა შეიძლება მოიმოქმედოს ადამიანმა, როცა სიძულვილის ენის მსხვერპლი ან ამგვარი შემთხვევის მოწმე ხდება.
- გამოიყენეთ ადამიანის უფლებების ენა, აამაღლეთ ცნობიერება იმ უფლებებზე, რომლებიც ინტერნეტში და მის გარეთ გვიცავს, ასევე, იმსჯელეთ, რა კავშირი აქვს ადამიანის უფლებებს სიძულვილის ენასთან ინტერნეტში.
- შექმენით „მითების მსხვრევის“ ფურცელი ჯგუფებისთვის, რომლებიც სიძულვილის ენის ხშირი სამიზნეები არიან, შემდეგ კი დადეთ სოციალურ ქსელში, ან დაამზადეთ ბროშურები და გაავრცელეთ ინტერნეტს გარეთ.
- გააზიარეთ საიტები და პოსტები, რომლებიც დადებითად წარმოაჩენენ სიძულვილის ენის სამიზნე ჯგუფებს.

- მოყევით იმ პირების ისტორიები, რომლებიც სიძულვილის ენის მსხვერპლნი გახდნენ ინტერნეტში ან მის გარეთ. გამოიყენეთ ეს მეთოდი პრობლემაზე ინფორმაციის გასავრცელებლად და ეცადეთ, ხელი შეუწყოთ თანაგრძნობით მოპყრობას სიძულვილის ენის სამიზნეთა მიმართ.
- შექმენით თქვენი ვებგვერდი ან პროფილი სოციალურ ქსელში. გამოიყენეთ იგი ალტერნატიული ინფორმაციის გასავრცელებლად, შესაბამისი წყაროების მითითებით ძირითადი სამიზნე ჯგუფების შესახებ.
- მოაწყვეთ გასვლითი აქციები, ტრენინგების სესია ან ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებები. მაგალითად, ასეთ თემებზე:
  - სიძულვილის ენის ძირითადი პრობლემა ინტერნეტში და მის გარეთ;
  - ცრურწმენები კონკრეტული ჯგუფების მიმართ;
  - სიძულვილის ენის დაძლევის მეთოდები ინტერნეტში და მის გარეთ;
  - სიძულვილის ენის გავლენა;
  - ადამიანების მიერ პასუხისმგებლობის აღება საკუთარ და სხვათა ქმედებებზე;
  - სხვა ჯგუფების მიერ წამოწყებული ინიციატივები, მათ შორის, კამპანია „მოძრაობა სიძულვილის ენის წინააღმდეგ“;
  - სხვა რამ.

ცრურწმენის ან ინტერნეტში უკვე არსებული სიძულვილის ენის დაძლევა

- შეასწორეთ ვიკიპედიის სტატიები ან სხვა თავისუფალი შინაარსის საიტები, რომლებიც უადგილო და ცრუ ინფორმაციას ავრცელებენ სიძულვილის ენის ძირითად სამიზნე ჯგუფებზე.
- დაწერეთ კომენტარები საიტებზე, რომლებიც აქვეყნებენ არასწორ, მიკერძოებულ ან რასისტულ ინფორმაციას. გაგზავნეთ შეკითხვები ან საჩივრები პოსტების არატოლერანტული ან რასისტული შეხედულებების მქონე ავტორებთან.
- ჩაერთეთ დისკუსიაში პირებთან, რომლებიც შეურაცხყოფის ენას იყენებენ: ეცადეთ, აჩვენოთ მათი საქციელის გვალენა სხვებზე.
- მოუწოდეთ სხვებს, ყურადღება არ მიაქციონ ე.წ. „ტროლებს“, თუკი ისინი შეურაცხმყოფელ საქციელში გითრევენ.
- გამოიყენეთ ონლაინშეტყობინების გაგზავნის მექანიზმები ან საჩივრის პროცედურები, თუ ვებგვერდის მფლობელის მხრიდან დაფიქსირდება სიძულვილის ენა.
- გაგზავნეთ შეტყობინება სიძულვილის ენის შემთხვევებზე შესაბამისი ეროვნული სისტემის ან სხვა მედიაქსელების მეშვეობით.
- გაგზავნეთ შეტყობინება სიძულვილის ენის შემთხვევებზე შესაბამისი ონლაინმექანიზმის მეშვეობით.

- გაგზავნეთ შეტყობინება სიძულვილის ენის შემთხვევებზე ორგანიზაციებში, რომლებიც ამ პრობლემაზე მუშაობენ - გაეცანით კამპანიის ვებსაიტს, სადაც თქვენ მიიღებთ ინფორმაციას სოციალური მედიის პლატფორმებზე სიძულვილის ენის შემთხვევების შეტყობინების გზების (https://www.coe.int/en/web/no-hate-campaign/reporting-on-social-media-platforms) და ეროვნულ დონეზე არსებული პასუხისმგებელი ორგანოების შესახებ (https://www.coe.int/en/web/no-hate-campaign/reporting-to-national-bodies).
- ბოიკოტი გამოუცხადეთ სიძულვილის გამომხატველ ვებგვერდებს და სხვებსაც მოუწოდეთ იმავეს გაკეთება.
- შეაგროვეთ ინფორმაცია თქვენს ქვეყანაში აღრიცხულ სიძულვილის გამომხატველ ვებ-გვერდებზე და გაუგზავნეთ პარლამენტის წარმომადგენლებს.

სხვების მობილიზება

- მოუწოდეთ სხვებს, რომ დაგმონ ან შეატყობინონ სიძულვილის ენის შესახებ, გამოხატონ სოლიდარობა მსხვერპლთა მიმართ, ან ჩაერთონ სხვა აქციებში.
- გამოიყენეთ სოციალური მედია სასარგებლო ვებგვერდების ან მნიშვნელოვანი კამპანიის მიმდევართა მოსაზიდად.
- გაასაჯაროვეთ წარმატებული შემთხვევები, რომლებიც შეეხება სიძულვილის ენით გამოქვეყნებული მასალის წაშლას კონკრეტული ვებგვერდიდან.
- აამაღლეთ ცნობიერება კამპანიაზე „მოძრაობა სიძულვილის ენის წინააღმდეგ“. ბმული დაუკავშირეთ საკუთარ პროფილს სოციალური მედიაში ან დაურთეთ ლოგო თქვენს ონლაინხელმოწერას.
- ორგანიზება გაუწიეთ ტრენინგს ან ცნობიერების ამაღლებაზე მიმართულ სესიას სიძულვილის ენის ძირითადი სამიზნე ჯგუფების წარმომადგენლებთან ერთად. ასწავლეთ, როგორ შეუძლიათ საკუთარი თავისა და სხვების დაცვა კამპანიაში ჩართვის გზით.
- გამოიყენეთ ინტერნეტში და მის გარეთ არსებული საშუალებები, რათა საზოგადოებაში გაავრცელოთ ინფორმაცია თქვენს შესაძლო მოქმედებებზე სხვა სექტორში.

სოლიდარობის გამოხატვა სიძულვილის ენის მსხვერპლისა და ძირითადი სამიზნე ჯგუფების მიმართ

- გაუგზავნეთ პირადი შეტყობინება იმ პირებს, რომლებიც საჯაროდ ხდებიან სიძულვილის ენის სამიზნეები. გამოხატეთ თქვენი სოლიდარობა და უთხარით, რა შეიძლება მოიმოქმედონ.
- დაეხმარეთ ცრურწმენის ან მცდარი იდეების განდევნაში ძირითად სამიზნე ჯგუფებთან დაკავშირებით. შექმენით ალტერნატიული შინაარსი და გაავრცელეთ შესაძლებლობისთანავე.
- მიაწოდეთ ახალგაზრდებს ინფორმაცია მათ უფლებებზე და გააცანით მეთოდები, რომლითაც შეუძლიათ თავის დაცვა.

- მოაწყვეთ სიძულვილის ენის სამიზნე ჯგუფების მხარდამჭერი საჯარო აქცია.
- გაასაჯაროვეთ პოლიტიკოსების, მედიის ან საჯარო პირის მიერ გამოვლენილი რასიზმისა და დისკრიმინაციის ნებისმიერი შემთხვევა. მოითხოვეთ, პასუხი აგონ ამისთვის!
- იმუშავეთ სიძულვილის ენის ძირითად სამიზნე ჯგუფებთან. წაახალისეთ ისინი კამპანიაში ჩასართავად.

გრძელვადიანი სტრატეგიები

- მოაწყვეთ საკუთარი კამპანია ადგილობრივ დონეზე ან ინტერნეტში. შექმენით ვიდეო, სიმღერა ან იუმორისტული ქმედება და გამოაქვეყნეთ ონლაინსივრცეში.
- შექმენით ონლაინპეტიცია ინტერნეტში სიძულვილის ენის ან მასთან დაკავშირებული კონკრეტული ვებგვერდის პოლიტიკის საწინააღმდეგოდ.
- დაუკავშირდით ვებგვერდზე დაფუძნებულ ორგანიზაციებს, რომლებიც მუშაობენ ამ პრობლემაზე: მოუყევით თქვენი საქმიანობის შესახებ და გაიგეთ, როგორ შეიძლება მათ საქმიანობაში ჩართვა.
- დაუკავშირდით ადგილობრივ ორგანიზაციებს, რომლებიც მუშაობენ რასიზმის, დისკრიმინაციის ან მსგავს საკითხებზე. შეატყობინეთ ინტერნეტში სიძულვილის ენის შესახებ და სთხოვეთ, შეუერთდნენ კამპანიას.
- შეისწავლეთ პრობლემა კონკრეტულ ვებგვერდზე, ან მისი გავლენა კონკრეტულ ჯგუფებზე. გაუგზავნეთ თქვენი კვლევის შედეგები სიძულვილის ენის მონიტორს (კამპანიის პლატფორმაზე) და ამ მიმართულებით მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს, ასევე, პოლიტიკოსებსა და სხვა გავლენიან პირებს.
- მიაპყარით ხელისუფლების წარმომადგენელთა ყურადღება ამ პრობლემისკენ. დაუკავშირდით თქვენს საპარლამენტო წარმომადგენელს.

5.8 ინტერნეტწიგნიერება

ინტერნეტწიგნიერება არის საინფორმაციო და კომუნიკაციის შინაარსის წვდომის, გაგების, გაკრიტიკებისა და შექმნის უნარი ინტერნეტში.

სონია ლივინგსტონი, „ინტერნეტწიგნიერება: ახალგაზრდების მოლაპარაკება ახალი ონლაინ შესაძლებლობების შესახებ“[1].

ინტერნეტწიგნიერების საჭიროება

ინტერნეტი ახალგაზრდებისთვის ინფორმაციის მთავარი წყაროა ევროპაში. ზოგჯერ ის გამოიყენება უშუალოდ საძიებო სისტემის სახით, ზოგჯერ კი ინფორმაცია მიიღება „კომუნიკაციასა“ ან სხვა აქტივობაში ჩართვის შედეგად. ორივე შემთხვევაში მნიშვნელოვანია, მომხმარებლებმა შეძლონ შინაარსისა და შეტყობინებების გაგება, გაანალიზება, შეფასება და შემოწმება. საკითხი უფრო რელევანტური ხდება, როდესაც საქმე ეხება სიძულვილის გამოხატვას.

ინფორმაციის მოსაძიებლად და დასამუშავებლად საჭირო ძირითადი უნარები და ცოდნა მედიაწიგნიერების ერთი ასპექტია და ვინაიდან ის ეხება ინტერნეტსამყაროს, მოიაზრება ინტერნეტწიგნიერებად.

თუმცა, ინტერნეტწიგნიერება ვრცელდება ინფორმაციის შეგროვებისა და დამუშავების ფარგლებს მიღმაც. მრავალი სხვა უნარი და ინსტრუმენტი არსებობს, რომლებიც კონკრეტულად სჭირდებათ ახალგაზრდებს სიძულვილის პრობლემის გადასაჭრელად ინტერნეტში (მათ შორის, ზოგიერთი უკავშირდება ინტერნეტის ტექნიკურ ასპექტებს, ნაწილი კი შინაარსის გამოქვეყნებასა და გაზიარებას).

ძირითადი პუნქტები (დაფუძნებულია ინტერნეტმომხმარებელთა ძირითადი უფლებების სახელმძღვანელოზე):

- ბავშვებმა და ახალგაზრდა მომხმარებლებმა უნდა შეძლონ ინტერნეტით უსაფრთხოდ სარგებლობა, მათი კონფიდენციალობის სათანადოდ გათვალისწინებით;
- ბავშვებმა და ახალგაზრდებმა უნდა ისწავლონ და მიიღონ ინფორმაცია მასწავლებლების, აღმზრდელებისა და მშობლებისგან;
- ბავშვებმა და ახალგაზრდებმა, ასაკისა და გარემოებების გათვალისწინებით, უნდა მიიღონ ინფორმაცია სხვადასხვა სახის უკანონო შინაარსსა და ქცევაზე.

[1] Digital Youth, Innovation, and the Unexpected (2008), MIT Press

კეთებით სწავლა

როგორც წესი, ნებისმიერი ადამიანი, რომელიც სარგებლობს ინტერნეტით, ითვისებს ამ სივრცეში მუშაობის მეთოდებსა და წესებს თავისი აქტივობების პროცესში. ის ხდება საკმარისად „წიგნიერი“ ინტერნეტში საკუთარი საჭიროებების გასარკვევად და დასაკმაყოფილებლად. თუმცა, იმისათვის, რომ ახალგაზრდებმა არ გაიმეორონ ზოგიერთი „ცუდი“ ჩვევა, რომლებიც განაპირობებს ინტერნეტში სიძულვილის ენას და ისწავლონ, რა იწვევს კონკრეტულ შემთხვევებს, მნიშვნელოვანი ხდება უფრო მაღალხარისხიანი ინტერნეტწიგნიერება. წინამდებარე ნაწილში ჩართული სიები შეიცავს უფრო მნიშ-ვნელოვან უნარებსა და ცოდნის სფეროებს, რომლებიც საჭიროა კონკრეტული დავალებისთვის.

სხვადასხვა ინსტრუმენტი სხვადასხვა როლისთვის

მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ სიძულვილის ენასთან დაკავშირებით, ახალგაზრდებმა შეიძლება სხვადასხვა დროს სხვადასხვა როლი შეასრულონ. თითოეული ეს როლი საჭიროებს განსხვავებულ უნარებს, რაც გასათვალისწინებელია ნებისმიერ საგანმანათლებლო საქმიანობაში.

მოწმეები/დამკვირვებლები

როდესაც ვხედავთ სხვებისთვის საზიანო შინაარსს, ჩვენ ვხდებით დიალოგის მონაწილენი და შეგვიძლია მისი უგულებელყოფაც, გაზიარებაც და მასთან დაპირისპირებაც. ბევრი აქტივობა ამ სახელმძღვანელოში შექმნილია იმისთვის, რომ ახალგაზრდები პასიური პოზიციიდან („ვხედავ, მაგრამ არ ვმოქმედებ“) გადაიყვანოს პრობლემის მოგვარების პროცესში ჩართვაზე - ყველაზე მისაღები ფორმით. ეს მოითხოვს მსჯელობისა და კრიტიკული ანალიზის უნარს და მოქმედების შესაძლო ფორმების ცოდნას.

დაზარალებულები

ადამიანები, რომლებიც უშუალოდ არიან სიძულვილის სამიზნეები ინტერნეტში ან ხვდებიან ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ სამიზნე ჯგუფში, მათ მიმართ შეურაცხმყოფელი და რასისტული გამოხატვის ან კიბერდევნის გამო, საჭიროებენ სტრატეგიებს საკუთარი თავის დასაცავად და სიძულვილის გამო-ხატვის დასაძლევად. მათ ასევე სჭირდებათ უნარი და ცოდნა, რომელიც დაეხმარებათ პრობლემის გადაჭრაში (მაგ.: ადამიანმა პასუხი უნდა აგოს თავის ქმედებაზე).

„მოძულეები“ და პოტენციური მოძულეები

ეს ჯგუფი მოიცავს ინტერნეტში სიძულვილის ენის გამავრცელებლებს ან მათ, ვისაც აქვს ამის ცდუ-ნება საკუთარი ნარატივის შექმნით თუ სხვა ადამიანთა ნათქვამის გაზიარებით. უნდა გვახსოვდეს, რომ„მოძულეების“ როლი შეიძლება მეტ-ნაკლებად საზიანო იყოს, ზუსტად ისე, როგორც არსებობს

სიძულვილის ენის სხვებზე „უარესი“ ფორმები. ზოგადად, პრობლემაში „წვლილი“ შეაქვთ იმ ადამიანებსაც, რომლებიც ზომიერად იზიარებენ რასისტულ შეხედულებებს, თუნდაც მათი ქმედება არ იყოს უკანონო და არ მოუწოდებდეს სხვებს ძალადობისკენ.

ბევრი ადამიანი უწყობს ხელს ინტერნეტში სიძულვილის ენის გავრცელებას იმ შინაარსის გაზიარებით, რომელიც არ მიაჩნია საზიანოდ, შეურაცხმყოფელად ან ყალბად. ამის თავიდან ასაცილებლად, საჭიროა, გაიაზრო ცრურწმენა ან მიკერძოებულობა ინტერნეტნარატივში, ასევე, პასუხისმგებლობა მისი შექმნის ან გავრცელების დროს.

აქტივისტები და კამპანიის მონაწილეები

კამპანია „მოძრაობა სიძულვილის ენის წინააღმდეგ“ ნებისმიერ ახალგაზრდას და ინტერნეტ-მომხმარებელს მიიჩნევს კამპანიის პოტენციურ განმახორციელებლად. კამპანიის წარმართვა ონლაინსივრცეში საჭიროებს კონკრეტულ უნარებს, მათ შორის, პოპულარიზაციის, ხელშეწყობის, დახმარების, სხვადასხვა შეტყობინების გაგზავნისა და ისტორიების შექმნის მხრივ.

ინტერნეტის გამოყენება ონლაინ სიძულვილის ენასთან ბრძოლაში

წინამდებარე ჩამონათვალში მოცემულია ინტერნეტწიგნიერების ზოგიერთი მნიშვნელოვანი სფერო, რომლებსაც შედარებით ზოგადი კავშირი აქვს ამ სახელმძღვანელოს აქტივობებსა და კამპანიასთან. აღნიშნული სფეროების სიღრმისეული გაგება დაეხმარება ახალგაზრდებს, რომ უფრო ეფექტიანი როლი შეასრულონ კამპანიაში და შეცვალონ საკუთარი ონლაინქცევა.

ინტერნეტში სიძულვილის ენის გამოვლენა

ინტერნეტში სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლის მხრივ უპირველესად საჭიროა სიძულვილის ენის გამოვლენის უნარი. ეს მოითხოვს სიძულვილის ენისა და მისი შესაძლო გავლენის შეფასების ცოდნას, მაგრამ შეიძლება ასევე საჭირო გახდეს ძირითადი შეტყობინებების უფრო სიღრმისეული გააზრება, ისეთი მიკერძოებისა და ცრურწმენის გამოვლენა, რომლებიც მხოლოდ ნაგულისხმევია.



კრიტიკული აზროვნება და ინფორმაციის დამუშავება

ინტერნეტში შესაძლოა დიდი რაოდენობის ინფორმაციის მოძიება და ახალგაზრდებმა უსიტყვოდ არ უნდა მიიღონ ყველაფერი, რასაც ხედავენ. ეს ეხება კონკრეტულად ცრუ ან არაადეკვატურად მოძიებულ ინფორმაციას, რომელიც ხელს უწყობს ცრურწმენის დამკვიდრებას კონკრეტული ჯგუფ-ების მიმართ. მომხმარებლებმა უნდა შეძლონ არგუმენტებში შეცდომების გამოვლენა და ესმოდეთ ფაქტების შემოწმებისა და „მეორე მხარის მოსმენის“ მნიშვნელობა (სულ მცირე, იმ საქმეებში, სადაც შეიძლება ვინმე დაზარალდეს).



სასარგებლო რჩევები: არგუმენტაციის შემოწმება

- საჩივრების წყაროები ან არგუმენტები „საღ აზრზეა“ დაფუძნებული?
- ეს წყაროები კომპეტენტურად არის ცნობილი/დასახელებული შესაბამის სფეროში?
- არგუმენტები დასკვნითია თუ არსებობს სხვა შესაძლო შედეგები?
- არგუმენტები „ფაქტებზეა“ დაფუძნებული თუ ემოციურ, ტრადიციულ რწმენასა ან შესაძლო შედეგებზე?
- შესაძლებელია წარმოდგენილი „ფაქტების“ ან არგუმენტების შემოწმება?
- განზოგადოებულია ეს პიროვნებებსა თუ ჯგუფებზე?
- განზოგადებულია რამე რასისტული ან დისკრიმინაციული ნიშნით?
- არსებობს სხვა პერსპექტივები? ყალბი ხომ არ არის არგუმენტები?
- ხომ არ გამოიყენება საჩივრებში გრძნობებზე დაფუძნებული არგუმენტები, რომლითაც ხორციელდება მეორე მხარეზე შეტევა მისი ვინაობის და არა ნათქვამის გამო?
- არგუმენტი უფრო დამაჯერებელი ხომ არ ხდება პრეზენტაციის ფორმით (მაგ.: ეფექტური გამოსახულების ან მულტიმედიის გამოყენებით)?

ინფორმაციის მოძიება

სხვა წყაროების მოძიება და ძიების ეფექტიანი გზების ცოდნა „ფაქტების შემოწმებისა“ და „მეორე მხარის მოსმენის“ ნაწილია. ადამიანთა უმეტესობამ იცის საძიებო სისტემების გამოყენება, მაგრამ ნაკლებად იცნობს მათ მუშაობას, ასევე, დამატებით ინსტრუმენტებს ძიების გასაუმჯობესებლად და სხვადასხვა შედეგის მისაღებად.

რჩევები ძიებისთვის

- გამოიყენეთ განსხვავებული საძიებო სისტემები და არ დაეყრდნოთ მხოლოდ ერთს;
- დაბლოკეთ cookie-ფაილები და გაწმინდეთ ისტორია ძიების განხორციელებამდე! შედეგები, როგორც წესი, განსხვავებული იქნება, ვინაიდან ბევრი საძიებო სისტემა აჩვენებს იმას, რისი ნახვაც, მათი აზრით, სურს მომხმარებელს (მასზე არსებული ინფორმაციის მიხდვით);
- განახორციელეთ რამდენიმე ძიება, სხვადასხვა ტერმინის გამოყენებით, თუნდაც ერთი საკითხის კვლევისას;
- მიმართეთ უფრო დაწვრილებით ძიებას (მაგ.: ძიების შეზღუდვა ერთ ვებგვერდამდე) და დარწმუნდით, რომ შინაარსი, რომელიც მოიცავს ზოგიერთ ტერმინს, არ გამოჩნდება შედეგებში ან ოპერატორის გამოყენებით შეიყვანეთ ყველა ტერმინი. ინსტრუქცია მოცემულია ყველა საძიებო სისტემაში;
- შეამოწმეთ ვებგვერდების კომპეტენტურობა, ვიდრე ძიების შედეგს გამოიყენებთ საჭირო შინაარსის მოსაძიებლად;

- გაითვალისწინეთ „შენიღბული ვებგვერდების“ არსებობა. ასეთ ვებგვერდებს საძიებო სისტემა ერთნაირად წარმოგვიდგენს, თუმცა სინამდვილეში ისინი განსხვავებულ შინაარსს მოიცავენ. მათი მიზანია მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა და ისეთი „ცოდნის“ გადაცემა, რომელიც ეყრდნობა ფაქტობრივად და იდეოლოგიურად მიკერძოებულ ინფორმაციას.

კომპეტენტურობის შემოწმება

მომხმარებლებს ინტერნეტში თითქმის ყველაფრის გამოქვეყნება შეუძლიათ, რაც სურთ. ამ სივრცეში შინაარსის მოცულობისა და დაურეგულირებლობის გათვალისწინებით, შედარებით ადვილია აზრის გასაღება „ფაქტად“ და ცრუ პრეტენზიების წამოყენება დაუსჯელად. სიძულვილის ენის უმეტესობა შემთხვევით დამკვირვებელს შეიძლება კარგად დასაბუთებული და სათანადოდ დამტკიცებული ეჩვენოს. კრიტიკული აზროვნების უნარის გარდა, ფაქტებისა და არგუმენტაციის შემოწმებისას შეიძლება სასარგებლო იყოს საიტისა და ავტორის კომპეტენტურობის ცოდნაც, რათა ახალგაზრდებმა იფრთხილონ სიძულვილის ენასთან მიმართებით.

ათასობით ვებგვერდი არსებობს, რომელთა მიზანია რასიზმის ან დისკრიმინაციის სხვა ფორმების ხელშეწყობა. ასეთი „სიძულვილის საიტები“ ხშირად ურთიერთდაკავშირებულია და შეიძლება ერთმანეთის კომპეტენტურობა გამოიყენონ რასისტული გამოსვლების დასაცავად. დღეს ბევრი რასისტული საიტი კიდევ უფრო ვერაგულია და ცდილობს ამის დაფარვას (მაგ.: „ეროვნული ღირებულებების ხელშეწყობის განცხადების“ მიღმა).ზოგიერთმა ძირითადმა შემოწმებამ შეიძლება ხელი შეუწყოს ვებგვერდის სანდოობის დადგენას.

სასარგებლო რჩევები: კომპეტენტურობის შემოწმება

- სანდოა ვებგვერდი, როგორც ინფორმაციის ან მოსაზრების წყარო? არსებობს თუ არა მასთან დაკავშირებული სხვა საიტები?
- საიტის მფლობელები და ავტორები კარგად იდენტიფიცირებულნი არიან? რატომ შეიძლება მათი ნდობა?
- რას ამბობს საიტი თავისი მიზნების შესახებ?
- შესაძლებელია, რომ საიტი მიკერძოებული იყოს მისი ადგილმდებარეობის, ავტორების ვინაობის ან მისიის გამო?
- წარმოდგენილია თუ არა ვებგვერდზე ერთზე მეტი მოსაზრება?
- რამდენად ხშირად ახლდება ის და არის თუ არა რაიმე ახალი შინაარსი?
- შეგიძლიათ მსგავსი შინაარსის მოძებნა სხვა (სანდო) ვებგვერდებზე?
- შესაძლებელია ინტერესთა კონფლიქტის არსებობა (მაგ.: კომერციულ ან პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით)?
- შემუშავებული აქვს საიტს პოლიტიკა რასისტული ან დისკრიმინაციული შინაარსის შესახებ?
- როგორ უმკლავდება ასეთ შინაარსს და რით პასუხობს პრეტენზიებს?

შინაარსის (კონტენტის) შექმნა და გაზიარება

ინტერნეტში შინაარსის (კონტენტის) შექმნის შესაძლებლობამ, რომელიც მარტივად ხელმისაწვდომია სხვებისთვის, ბევრი ახალი შესაძლებლობა მისცა „ჩვეულებრივ“ მომხმარებელს, მაგრამ ეს გულისხმობს კონკრეტულ ვალდებულებებსაც. სიძულვილის ენასთან დაკავშირებული ვალდებულება და პასუხისმგებლობა ინტერნეტში ინფორმაციის გამოქვეყნებისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: ზუსტად აქ შეიძლება, რომ მომხმარებელი, გააზრებულად თუ გაუაზრებლად, იოლად გახდეს სიძულვილის გავრცელების მოქმედი პირი.

კამპანიის მიზნებისთვის, არსებობს სხვა მნიშვნელოვანი მოსაზრებები, რომლებიც უკავშირდება მასალის გამოქვეყნებას. წარმატებული კამპანია საჭიროებს ძლიერ და მარტივად გასაგებ შეტყობინებებს, რომლებიც მოიცავს ფართო საზოგადოებას. ახალგაზრდებმა უნდა იცოდნენ, როგორ მიაწვდინონ ხმა ბევრ ადამიანს სხვადასხვა ტექნიკური საშუალებით (კერძოდ, სოციალური მედიით) და შეძლონ თავიანთი შეტყობინებების ჩამოყალიბება ისე, რომ სხვებმა დამაჯერებლად მიიჩნიონ და მოინდომონ გაზიარება. მულტიმედიის ეფექტიანი გამოყენება შეიძლება სასარგებლო ინსტრუმენტი აღმოჩნდეს სერიოზული გზავნილის პოპულარიზაციისათვის.

სასარგებლო რჩევები შინაარსის გაზიარებისას

- დარწმუნდით, რომ თქვენ მიერ გამოქვეყნებული შინაარსი არ შეიცავს მიკერძოების, ცრურწმენის, რასიზმის ან სიძულვილის ნიშნებს;
- დარწმუნდით, რომ ინფორმაცია, რომლის გავრცელებასაც აპირებთ, სანდოა;
- არ გააზიაროთ სხვა ადამიანებზე ისეთი ინფორმაცია, რომელმაც შეიძლება დაარღვიოს კონფიდენციალობა ან უსაფრთხოება;
- ყოველთვის დასვით კითხვები, თუ ამაში დარწმუნებული არ ხართ;
- იფრთხილეთ იმ ინფორმაციის გაზიარებისას, რომელიც შეიძება დაცული იყოს საავტორო უფლებით;
- მასალის გამოქვეყნებისას, შეამოწმეთ ნებისმიერი ვებგვერდის პირობები. ისინი შეიძლება შეზღუდვას აწესებდეს იმ ტიპის ინფორმაციაზე, რომლის გამოქვეყნებასაც აპირებთ. ვებგვერდს შეიძლება გარკვეული უფლებები მიენიჭოს თქვენს მასალაზე ან კონფიდენციალურ ინფორმაციაზე;
- გაითვალისწინეთ, ადამიანებმა შეიძლება „არასწორად“ გამოიყენონ ინფორმაცია, რომელსაც გამოაქვეყნებთ, რათა ცრუ წარმოდგენა შექმნან ან ზიანი მიაყენონ სხვებს. შესაბამისად, ეს ინფორმაცია არ უნდა იყოს ბუნდოვანი;
- გახსოვდეთ, რომ ინტერნეტში გამოქვეყნებული შინაარსი შეიძლება ადამიანებმა არასწორად გაიგონ და შეურაცხმყოფელიც კი აღმოჩდნეს, თუკი სიფრთხილთ არ ჩამოაყალიბებთ. შეეცადეთ, „სხვისი თვალით“ გადაიკითხოთ ყველაფერი, რასაც აქვეყნებთ.

წესების გაგება

ინტერნეტსაქმიანობასთან დაკავშირებული ზოგიერთი პოლიტიკისა და კანონის ცოდნა დაგეხმარებათ მომხმარებლის ქცევის დარეგულირებაში, რაც მნიშვნელოვანია ონლაინ სიძულვილის ენასთან ბრძოლისას. ინტერნეტმმართველობის გააზრება, მასში ჩართულობა და ინტერნეტმომხმარებლებზე მისი გავლენის ცოდნა, ინტერნეტწიგნიერებისა და დემოკრატიული მოქალაქეობის განათლების ნაწილია. მოქალაქეობისა და მონაწილეობის თანამედროვე ფორმების ჩამოყალიბებაში ინტერნეტის მნიშვნელოვანი როლის გამო, მისი მმართველობის საკითხები ვერ დარჩება მხოლოდ ბიზნესისა და ექსპერტების ხელში.

კანონების წყება



ინტერნეტი უმეტესად „ეკუთვნის“ კერძო კომპანიებს. პირადი ბლოგიც კი განთავსებულია კერძო სერვერზე. სერვერის მფლობელმა კომპანიამ შეიძლება შეზღუდოს ბლოგში გამოსაქვეყნებელი მასალის კონკრეტული სახეობა.

ჩვეულებრივ, წესები, რომლებიც უნდა დაიცვან ვებგვერდების მომხმარებლებმა, განსაზღვრულია „მომსახურების პირობებში“ და შეიძლება ძალიან განსხვავდებოდეს სხვადასხვა ვებგვერდზე. მომსახურების პირობების გარდა, შესაძლოა მთავრობებსაც ჰქონდეთ დადგენილი კანონები ინტერნეტმომხმარებლებისა და ვებგვერდთა მფლობელებისათვის (მაგ.: კონფიდენციალობასთან, უსაფრთხოებასა ან უკიდურეს სიძულვილის ენასთან დაკავშირებით). თუნდაც მთავრობას არ ჰქონდეს კონკრეტული კანონი ინტერნეტში ადამიანთა დასაცავად, უსაფრთხოების საკითხს მოიცავს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კანონმდებლობა.

მაგალითი: მთავრობებმა უნდა დაიცვან ადამიანები ინტერნეტში და მის ფარგლებს გარეთ

კ.უ. ფინეთის წინააღმდეგ (K. U. v. Finland)

1999 წლის მარტში, ინტერნეტში, გაცნობის საიტზე დაიდო განცხადება, რომელსაც თითქოს 12 წლის ბიჭი აქვეყნებდა. განცხადება შეიცავდა ბიჭის ვებგვერდზე გადასასვლელ ბმულს და ინფორმაციას, რომ ინტიმური ურთიერთობის მიზნით გაიცნობდა თავისი ასაკის ან ცოტა უფროს ბიჭს. განაცხადის შესახებ ბიჭმა მას შემდეგ შეიტყო, როდესაც ელექტრონული შეტყობინება მიიღო დაინტერესებული მამაკაცისგან. სერვისის მიმწოდებელმა უარი განაცხადა შეტყობინების ავტორის დასახელებაზე, იმ მიზეზით, რომ ეს იქნებოდა კონფიდენციალობის დარღვევა. ფინურმა სასამართლოებმა დაადგინეს, რომ სერვისის მიმწოდებელს სამართლებრივად ვერ დაეკისრებოდა ინფორმაციის გასაჯაროების ვალდებულება.

აღნიშნული საქმე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილა, რომელმაც დაასკვნა, რომ ფინეთმა ვერ შეძლო თავისი მოვალეობის შესრულება, კერძოდ, „ბავშვებისა და სხვა მოწყვლადი ადამიანების დაცვა“. ამ განაცხადმა ინტერნეტში ბავშვი აქცია პედოფილების სამიზნედ, სახელმწიფომ კი ვერ დაიცვა მისი პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება *(ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მუხლი 8).*

ინტერნეტი უმეტესწილად ჰგავს დიდ სავაჭრო ცენტრს ან ღამის კლუბს. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს კანონი, რომელიც კრძალავს ჯინსების ტარებას ან მოუწესრიგებლად სიარულს, შეიძლება მაინც ღამის კლუბს მიღმა აღმოჩნდეთ, თუკი მისი წესების მიხედვით, არ შეიძლება კლუბში ჯინსებით შესვლა. ზუსტად ასევე, ვებგვერდებმა შეიძლება საკუთარი წესები შექმნან „პირადი სივრცისთვის“ ინტერნეტში, თუმცა, ისინი უნდა შეესაბამებოდეს ეროვნულ და საერთაშორისო კანონმდებლობას. ადამიანის უნივერსალურ და განუყოფელ უფლებებს უპირატესი ძალა აქვთ ზოგად წესებსა და პირობებთან შედარებით, რომლებსაც ნებისმიერი კერძო სექტორის წარმომადგენელი ადგენს ინტერნეტ-მომხმარებლებისთვის.

რას ნიშნავს ეს ინტერნეტის მომხმარებელთათვის?

ახალგაზრდებმა უნდა იცოდნენ იმ კანონებისა და პოლიტიკის შესახებ, რომლებიც უნდა გამოიყენონ ვებგვერდებზე შესვლისას, განსაკუთრებით, ონლაინ სიძულვილის ენასთან დაკავშირებით. ხშირად სიძულვილის ენის გასაჩივრება შესაძლებელია საიტის სახელმძღვანელო პრინციპებისა და საჩივრის წარდგენის პროცედურების გამოყენებით. თუ ეს ინსტრუმენტები საკმარისი არაა კამპანიაში ჩართულმა პირებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენონ ვებგვერდის პოლიტიკა!

შეურაცხმყოფელი საქციელის შეტყობინება (დარეფორთება)



რეაგირება და კამპანიის წარმართვა

შეტყობინება სიძულვილის ენის შესახებ არ არის მასზე რეაგირების ერთადერთი საშუალება. ახალგაზრდები უნდა ფლობდნენ ინფორმაციას სხვა მიდგომებზე პრობლემის მიმართ და შეეძლოთ ყველაზე შესაფერისის არჩევა.

ქვემოთ, პირველი დიაგრამა გვიჩვენებს ზოგიერთ შესაძლო რეაგირებას სიძულვილის ინდივიდუალურ გამოხატვაზე. კამპანიის სტრატეგიების ნაწილში მოცემულია პრობლემის გადაჭრის გზების სხვა მაგალითებიც.

როდესაც იღებთ გადაწყვეტილებას კონკრეტული რეაგირების ან სტრატეგიის შესახებ, ყველაზე შესაფერისი რეაგირება მეტწილად დამოკიდებული იქნება საქმის სერიოზულობაზე. მიკერძოების ან ცრურწმენის „რბილი“ მაგალითი ხშირ შემთხვევაში ყველაზე კარგად განიხილება ავტორთან უშუალო მიმართვით და პოტენციური ზიანის მითითებით. საიტზე არსებული ჩვეულებრივი „ტროლი“, რომელსაც ხშირად იყენებენ სიძულვილის ენის საწინააღმდეგო კამპანიის მონაწილეები, ზოგჯერ მთლიანად უნდა უგულებელყონ. სპექტრის მეორე მხარეა ის, რომ პოლიციასაც უნდა ეცნობოს სიძულვილის შემცველი ვებგვერდის შესახებ, რომელიც აქეზებს ძალადობას კონკრეტული ჯგუფების მიმართ.

ყველაზე შესაფერისი რეაგირების არჩევისას გასათვალისწინებელია კონკრეტული მოსაზრების ან მთლიანი საიტის სავარაუდო გავლენაც. მეორე დიაგრამაზე მოცემულია ზოგიერთი კითხვა, რომლებიც გამოსაკვლევია გავლენის შეფასებისას.



უსაფრთხოება

ახალგაზრდებმა უნდა იცოდნენ ინტერნეტში პოტენციური საფრთხეებისა და იმ ზომების შესახებ, რომლებიც უნდა მიიღონ კონფიდენციალობის დარღვევის თავიდან ასაცილებლად. არსებობს კონ-კრეტული ღონისძიებები, რომლებიც დაეხმარება მათ, რომ არ გახდნენ კიბერბულინგის სამიზნეები. ზოგიერთი მათგანი აღწერილია ნაწილში კიბერბულინგის შესახებ.

5.9 კიბერბულინგი

„... კიბერბულინგი ნიშნავს ნებისმიერ ელექტრონულ კომუნიკაციას, რომელიც მოტივირებულია (მაგრამ არ შემოიფარგლება) შემდეგი ნიშნებით: მოსწავლის ფაქტობრივი ან სავარაუდო რასა, კანის ფერი, რელიგია, ეროვნული წარმოშობა ან ეთნიკური წარმომავლობა, სექსუალური ორიენტაცია, ფიზიკური, ფსიქიკური, ემოციური მდგომარეობა ან დასწავლის სირთულის მქონე შეზღუდული შესაძლებლობებით. ასევე, სქესით, სქესობრივი იდენტობით და გამოხატვით ან სხვა პირადი მახასიათებლებით, ანდა როდესაც წერილობითი, ვერბალური ან ფიზიკური ქმედებისა თუ ელექტრონული კომუნიკაციის მიზანია:

(i) ფიზიკური ზიანი მიაყენოს მოსწავლეს ან მის ქონებას;

(ii) ჩაერიოს მოსწავლის საგანმანათლებლო შესაძლებლობებში;

(iii) იყოს იმდენად მძიმე, ხანგრძლივი ან გავრცელებული, რომ საფრთხე შეუქმნას სასწავლო გარემოს;

(iv) მნიშვნელოვნად შეაფერხოს სკოლის ფუნქციონირება. რეაგირება კიბერბულინგზე, ქმედების ინსტრუმენტები (ლიგა ცილისწამების წინააღმდეგ). Responding to Cyberhate, Toolkit for Action (Anti-Defamation League).

ბულინგი ხორციელდება მაშინ, როდესაც ერთი ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი შეგნებულად ერთვება მტრულ ან შეურაცხმყოფელ ქცევაში სხვა პირის მიმართ. როგორც წესი, მსხვერპლის შეურაცხყოფა გრძელდება რაღაც დროის განმავლობაში ან მუდმივად.

კიბერბულინგში ვიქტიმიზაცია ხორციელდება ონლაინ ან ელექტრონული ფორმით. ამ დროს გამოიყენება ელექტრონული ფოსტა, მოკლე ტექსტური შეტყობინებები, ჩათის ოთახები, მობილური ტელეფონები ან საინფორმაციო ტექნოლოგიების სხვა ფორმები. გავლენა პიროვნებაზე შეიძლება არანაკლებ მძიმე იყოს, ონლაინსივრცის გარეთ არსებულ შემთხვევებთან შედარებით. თუმცა, კიბერბულინგი მაინც რჩება ბულინგის ერთ-ერთ ფორმად და ამ პრობლემის გადაჭრა შეიძლება განსაკუთრებით რთული აღმოჩნდეს, ვინაიდან ინტერნეტი მეტი ანონიმურობის საშუალებას იძლევა გარე სივრცესთან შედარებით. ასეთი ბულინგი შეიძლება იყოს უფრო დაჟინებული ან მომაბეზრებელიც, ვინაიდან ხდება მაშინაც, როდესაც დამნაშავე ადგილზე არ იმყოფება ფიზიკურად. როგორც კი ის გაიგებს, როგორ უნდა დაუკავშირდეს „მსხვერპლს“, ბულინგი შეიძლება მუდმივი და გარდაუვალი გახდეს. ამ მიზეზის გამო ძალიან მნიშვნელოვანია, ახალგაზრდებმა იცოდნენ პირადი ინფორმაციის გაცემის საფრთხეებზე.

კიბერბულინგის პრობლემის მასშტაბი

კიბერბულინგი სერიოზული და მუდმივი პრობლემაა ახალგაზრდებში. მან შეიძლება გამოიწვიოს მუდმივი დისკრედიტაცია და თვითმკვლელობაც კი. სხვადასხვა კვლევამ აჩვენა, რომ ეს პრობლემა ბევრ მოზარდზე ახდენს გავლენას:

- 2014 წლის ანგარიშის, "EU Net Children Go Mobile" თანახმად, 9-დან 16 წლამდე ასაკის 3,500 ბავშვიდან 12% კიბერბულინგის მსხვერპლია[1]
- 2011 წლის ანგარიშის, "EU Kids Online" თანახმად, 9-დან 16 წლამდე ასაკის 25,142 ბავშვიდან 6%-მა განიცადა ბულინგი ინტერნეტში ევროპაში, ხოლო 3%-მა თავად ჩაიდინა ბულინგი[2]
- კიბერბულინგის მსხვერპლი ბავშვები უფრო მეტად არიან მიდრეკილი კიბერბულინგის ჩადენისკენ, ვიდრე ის ბავშვები, რომელთაც კიბერბულინგი არ განუცდიათ[3]
- კიბერბულინგის შესახებ 2019 წლის მონაცემების თანახმად, რომელიც გამოქვეყნდა აშშ-ში, კიბერბულინგის კვლევითი ცენტრის მიერ, 12-დან 17 წლამდე ასაკის ბავშვების 37% ცხოვრებაში ერთხელ მაინც გამხდარა კიბერბულინგის მსხვერპლი, ხოლო 15% აღიარებს კიბერბულინგის განხორციელებას. აღნიშნული მონაცემების თანახმად, კიბერბულინგის ყველაზე გავრცელებული ფორმებია: უხეში და მავნე კომენტარები და ჭორების გავრცელება ინტერნეტ სივრცეში[4]

ტრადიციული ბულინგი და კიბერბულინგი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია: ისინი, ვისაც სკოლაში აბულინგებენ, ბულინგს ინტერნეტ სივრცეშიც განიცდიან, ხოლო ისინი, ვინც სკოლაში სხვებს აბულინგებენ, ბულინგს ინტერნეტ სივრცეშიც ჩადიან.

კიბერბულინგი და ადამიანის უფლებები

ზოგადად, ბულინგის მსგავსად, კიბერბულინგიც შეურაცხყოფის ფორმაა და ბევრი ასეთი შემთხვევა ექცევა ადამიანის უფლებათა დაცვის ფარგლებში. უფრო „მსუბუქ" ფორმებში ირღვევა პირადი ცხოვრების უფლება, ურთულეს შემთხვევებში კი - არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისგან დაცვის ან სიცოცხლის უფლება.

არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობა შეიძლება მოიცავდეს სექსუალურ შეურაცხყოფას, ფსიქოლოგიურ ძალადობას და ექსპლოატაციას. სიცოცხლის უფლების დარღვევად კვალიფიცირდება ის შემთხვევაც, როდესაც ინტერნეტსივრცის გარეთ ბულინგი ფიზიკურ საფრთხეს უქმნის დაზარალებულის სიცოცხლეს და ისეთი გაუსაძლისი ტანჯვის მიყენებაც, რომ დაზარალებული ფიქრობს თვითმკვლელობაზე.

რა კავშირია კიბერბულინგსა და სიძულვილის ენას შორის?

კიბერბულინგი არის ძალთა თანაფარდობა, მიმართული ადამიანის წინააღმდეგ, რა დროსაც სიძულვილის ენა, როგორც წესი, მოუწოდებს მტრობისა და ძალადობისკენ ადამიანთა მთელი ჯგუფის მიმართ. თუმცა, მსხვერპლისთვის ორივე მათგანი ძალადობის ან დამცირების ფორმაა. სიძულვილის ენისა და კიბერბულინგის დროს გამოიყენება ერთი და იგივე ინტერნეტარხები. ისინი ხშირად ხორციელდება ისეთი პირების მიმართ, რომლებიც განსხვავებულად მიიჩნევიან წარმოშობის, შეზღუდული შესაძლებლობის, ეთნიკურობის ან სხვა ნიშნებით. სიძულვილის ენა და კიბერბულინგი ეყრდნობა შეურაცხმყოფელ კომუნიკაციას. ხშირ შემთხვევაში, კიბერბულინგი და სიძულვილის ენა გაერთიანებულია ადამიანებისა და მათი ჯგუფების საზიანოდ (მაგ.: ბულინგი მსხვერპლის სქესობრივი იდენტობის, სექსუალური ორიენტაციისა და ეთნიკური წარმომავლობის ნიშნებით).

ამავდროულად, ახალგაზრდების სიმტკიცემ სიძულვილის ენასთან ბრძოლაში შეიძლება ხელი შეუწყოს მათ გაძლიერებას კიბერბულინგის წინააღმდეგ და პირიქით. ინტერნეტწიგნიერება ეხმარება ახალგაზრდებს ინტერნეტში წამოჭრილი საკითხების გააზრების, თვითდაცვის ან შეურაცხყოფაზე რეაგირების თვალსაზრისით.

საკუთარი უსაფრთხოება

ახალგაზრდებმა უნდა იცოდნენ, რომ შემდეგ თავში ჩამოთვლილი ქცევის ფორმები მიუღებელია და სავარაუდოდ, უკანონოა. შეიძლება ერთი საქმეც კი გახდეს როგორც ხანგრძლივი კამპანიის დაწყების მიზეზი, ისე შეურაცხყოფის უფრო ძლიერი ფორმების წინაპირობა. ახალგაზრდებმა უნდა შეძლონ გამაფრთხილებელი ნიშნების ცნობა, იმსჯელონ ინდივიდუალურ შემთხვევებზე რეაგირების საუკეთესო საშუალებების შესახებ და იცოდნენ უსაფრთხოების ზომები, რომელთა მიღებაც შესაძლებელია რეალური საფრთხის პირობებში. მათ უნდა ჰქონდეთ ინფორმაცია იმ ორგანიზაციებზეც, რომლებსაც შეუძლიათ მხარდაჭერა, რჩევის შეთავაზება ან დახმარების გაწევა, თუკი გადასადგმელი იქნება „ოფიციალური“ ნაბიჯები, მათ შორის, სამართლებრივიც. „მოძრაობა სიძულვილის ენის წინააღმდეგ“ კამპანიის ზოგიერთი ეროვნული კომიტეტი იცნობს დახმარების იმ ხაზებსაც, რომლებიც ინფორმაციას აწვდიან პოლიციის ორგანოებს, მაგალითად In Safe network ახალგაზრდებს სთავაზობს რჩევებს საჩივრის დაფიქსირების (დარეპორტების) შესახებ და დახმარების ხაზის ნომრებს, რათა შეატყობინონ ასეთი შემთხვევები და ითხოვონ დახმარება. იხ: www.saferinternet.org). InSafe არის კამპანიის „მოძრაობა სიძულვილის ენის წინააღმდეგ“ პარტნიორის, Euroschoolnet-ის, პროექტი.

ინტერნეტშეურაცხყოფის მაგალითები

- მუქარის, ასევე, პროვოკაციული, რასისტული ან ეთნიკური შეურაცხყოფის გაგზავნა;
- ჰომოფობია, სქესის ნიშნით შეურაცხყოფა ან დისკრიმინაციის სხვა ფორმები;
- მსხვერპლზე კომპიუტერული შეტევა ვირუსის მეშვეობით;
- ელექტრონული ფოსტის გავსება შეურაცხმყოფელი შეტყობინებებით;

- ცრუ ინფორმაციის გამოქვეყნება/გავრცელება პირის ან მისი რეპუტაციის საზიანოდ;
- ზოგიერთი ადამიანის გარიყვა და სხვების მოწვევა მათზე თავდასხმის ან დაცინვის მიზნით;
- თავის მოკატუნება, თითქოსდა თქვენ კი არა, სულ სხვა ადამიანმა თქვა ისეთი რამ, რაც არ სჯერათ, ან არ შეესაბამება სიმართლეს;
- სურათების გაზიარება (განსაკუთრებით, უხერხულ მდგომარეობაში) მფლობელის ნებართვის გარეშე;
- ელექტრონული წერილების გაზიარება ავტორის ნებართვის გარეშე;
- ზეწოლა სხვებზე თემიდან ვინმეს გარიცხვის მიზნით (ინტერნეტში ან მის მიღმა);
- არასასიამოვნო, ცუდი და საწყენი შეტყობინებების არაერთხელ გაგზავნა.

ინტერნეტუსაფრთხოება: საკონტროლო სია ახალგაზრდებისათვის

თუ გახდებით მუქარის ან შეურაცხყოფის ადრესატი

გაითვალისწინეთ ქვემოთ მოცემული ქმედებები. თითოეული ეს საქმე განსხვავდება და მნიშვნელოვანია, ახალგაზრდებმა ისწავლონ მსჯელობა ქმედებებზე გადაწყვეტილების მიღებისას. მათთვის ყოველთვის სასარგებლო იქნება საქმის განხილვა ისეთ ადამიანებთან, რომლებსაც ენდობიან.

- არ მოახდინოთ რეაგირება! ხშირი რეაგირება არის ის, რის მიღწევასაც ცდილობს პოტენციური შეურაცხმყოფელი. არასდროს იძიოთ შური, ვინაიდან ეს მხოლოდ გაამძაფრებს პრობლემას;
- გაუზიარეთ პრობლემა ადამიანს, რომელსაც ენდობით, სთხოვეთ რჩევა;
- შეატყობინეთ პრობლემის შესახებ ორგანიზაციას, რომელიც მუშაობს ახალგაზრდობის უსაფრთხოებაზე ინტერნეტში (გვ. 267-268);
- შეატყობინეთ შეურაცხყოფის შესახებ ვებგვერდის მფლობელს/ჰოსტინგის პროვაიდერს;
- დაბლოკეთ/გააკეთეთ შეტყობინება არასასურველი კონტაქტებისა და ადამიანების შესახებ, რომლებიც არასათანადოდ იქცევიან;
- შეცვალეთ თქვენი ელექტრონული ფოსტის მისამართი ან მობილური ტელეფონის ნომერი, თუ რომელიმე მათგანი გამოყენებულია თქვენ წინააღმდეგ;
- საჭიროების შემთხვევაში, შეატყობინეთ შეურაცხყოფის შესახებ პოლიციას ან დაუკავშირდით ადვოკატს. **ინტერნეტშეურაცხყოფა უკანონოა, თუ ის გავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე, უსაფრთხოებასა ან ფსიქოლოგიურ კეთილდღეობაზე;**
- ყოველთვის შეინახეთ მიღებული შეურაცხმყოფელი შეტყობინების მტკიცებულება, მათ შორის, გამომგზავნის ელექტრონული მისამართი ან პროფილი. შეიძლება დაგჭირდეთ ის, თუ გადაწყვეტთ ოფიციალური საჩივრის მომზადებას.

NO HATE SPEECH MOVEMENT

ინტერნეტუსაფრთხოება: საკონტროლო სია განმანათლებელთათვის

განმანათლებლებს მშობლებსა და ზოგადად ადამიანებს, რომლებიც მუდმივად მუშაობენ ახალგაზრდებთან, შეუძლიათ ზომების მიღება კიბერბულინგის საფრთხისაგან დასაცავად, რისთვისაც უნდა:

შეურაცხყოფის შესაძლებლობათა შეზღუდვა

- რეგულარულად შეამოწმეთ და განაახლეთ თქვენი კონფიდენციალობის პარამეტრები სოციალურ ქსელებში;
- არ გასცეთ პირადი მონაცემები (მაგ.: მობილურის ნომერი, ელექტრონული ფოსტის ან სახლის მისამართი), თუ არ იცნობთ და არ ენდობით პიროვნებას;
- არ გაუზიაროთ პირადი ინფორმაცია ადამიანებს, რომლებსაც არ იცნობთ (მაგ.: ჩათის ოთახებში, სადაც, სავარაუდოდ, შეხვდებით უცხო ადამიანებს);
- გაითვალისწინეთ „სივრცე“, რომელსაც იყენებთ, ასევე, ქცევის მიღებული წესები და ადამიანების კატეგორია ამ სივრცეში. ისევე, როგორც ინტერნეტის ფარგლებს გარეთ, ონლაინ-სამყაროშიც ზოგიერთი ადგილი უფრო დიდ რისკს ქმნის უსაფრთხოებისთვის და რეაგირება საჭიროა კონკრეტული კონტექსტის შესაბამისად;
- პატივი ეცით „ეტიკეტს“. მოეპყარით სხვებს ინტერნეტში ისე, როგორც გსურთ, რომ თქვენ მოგექცნენ;
- დაიცავით საკუთარი პროფილი და ელექტრონული ფოსტა. გამოდით სისტემიდან საზოგადოებრივ კომპიუტერებთან მუშაობის დასრულებისას და შეცვალეთ პაროლი რეგულარულად;
- ინტერნეტში ნანახი ან თქვენზე მომართული შეურაცხყოფის შესახებ შეატყობინეთ ქსელს, რომელიც ახორციელებს შინაარსის ან კომენტარების ჰოსტინგს ან სამართალდამცველ სამსახურებს თქვენს სახელმწიფოში (იხ. რჩევები საიტზე: www.saferinternet.org).

- შეიმუშაონ აქტიური მიდგომა, განიხილონ რისკები ახალგაზრდებთან და შეძლებისდაგვარად დაეხმარონ მათ თავიდან აცილებაში. მზად იყავით ამაზე მსჯელობისთვის. გამოიყენეთ მაგალითები კლასში და არ მოერიდოთ მსგავსი საკითხების წამოჭრას. მხარი დაუჭირეთ თანამიმდევრულ პოლიტიკას სკოლაში კიბერბულინგის წინააღმდეგ;
- მეტი გაიგონ ინტერნეტსა და მის ფარგლებს გარეთ სიძულვილის ენის შესახებ. ეს ორი ფენომენი ხშირად გვხვდება ერთად;
- დაეხმარონ ბავშვებს მათი ინფორმირებით და პრობლემების ერთად განხილვით. თუ გრძნობთ, რომ არ ფლობთ ამისთვის საჭირო უნარს, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ორგანიზაციებს და დაზარალებულთა დახმარების ცენტრებს. მიაწოდეთ ახალგაზრდებს იმ ორგანიზაციების საკონტაქტო ინფორმაცია, სადაც შეძლებენ დახმარების მიღებას საჭიროების შემთხვევაში;
- დაეხმარონ მშობლებს, რომლებმაც უნდა იცოდნენ კიბერბულინგისა და მისთვის წინააღმდეგობის გაწევის შესახებ.

5.10 ევროპის საბჭო და ონლაინ სიძულვილის ენა

ევროპის საბჭო არის კონტინენტის წამყვანი ორგანიზაცია ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებით, რომელშიც ერთიანდება 47 წევრი სახელმწიფო. ყველა მათგანმა ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას, რომელიც შექმნილია ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დასაცავად.

ევროპის საბჭოს მუშაობა დემოკრატიისთვის დაფუძნებულია განათლებაზე. განათლება სკოლებში და არაფორმალური უწყვეტი განათლება დემოკრატიის დამკვიდრების მიზნით. ადამიანის უფლებათა სწავლება და მოქალაქეობრივი განათლება დემოკრატიის სიმტკიცის განუყოფელი ნაწილია.

ევროპის საბჭოს ახალგაზრდული დეპარტამენტი 2013-2017 წლებში კოორდინირებას უწევდა კამპანიას „მოძრაობა სიძულვილის ენის წინააღმდეგ“ და ყურადღებას ამახვილებს მოქალაქეობრივი სულისკვეთების განვითარებასა და ადამიანის უფლებათა სწავლებაზე. ეს გააუმჯობესებს ახალგაზრდების მიერ სიძულვილის ენის გამოვლენის უნარებს და ადამიანის უფლებათა დაცვას ინტერნეტში.

ევროპის საბჭოს მუშაობა ონლაინ სიძულვილის ენის წინააღმდეგ ორიენტირებულია 4 ძირითად მიმართულებაზე:

- პრობლემისადმი სამართლებრივი მიდგომა, ევროპული კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენებით;
- პოლიტიკის ინსტრუმენტების შექმნა (ინტერნეტმმართველობის, რეკომენდაციებისა და პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტების მეშვეობით) ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოებისთვის;
- აქტივობებზე მონიტორინგი რასიზმისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ, ევროპული კომისიისა და ადამიანის უფლებათა კომისრის მხრიდან;
- სხვადასხვა საზოგადოებრივი პირის, მათ შორის, ჟურნალისტების, არასამთავრობო ორგანიზაციათა აქტივისტების, მასწავლებლებისა და ახალგაზრდების განათლებისა და შესაძლებლობების გაზრდა.

ონლაინ სიძულვილის ენას ძლიერი კავშირები აქვს სხვადასხვა საკითხთან, ამიტომ ეს თემა ჩაერთო სხვადასხვა სფეროს ინიციატივებში, როგორიცაა:

ბავშვთა უფლებები	უმცირესობების დაცვა	მოსამართლეთა ტრენინგები
კიბერდანაშაულთან ბრძოლა	ბრძოლა კიბერდანაშაულთან და ბავშვების დაცვა	მედიაწიგნიერება
გამოხატვის თავისუფლება	პლურალისტური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა	მედიაგანათლება
ანტირასისტული პოლიტიკა	კულტურათაშორისი დიალოგის ხელშეწყობა	მასწავლებელთა გადამზადება
ახალგაზრდული პოლიტიკა	ახალგაზრდების მონაწილეობა	არაფორმალური განათლება და ახალგაზრდული მუშაობა

ეს ჩამონათვალი წარმოაჩენს სხვადასხვა პრობლემასა და საკითხს, რომლებსაც კავშირი აქვს ონლაინ სიძულვილის ენასთან. აგრეთვე მიუთითებს, რომ პრობლემის განხილვა შეიძლება სხვადასხვა კუთხიდან და განსხვავებული მეთოდების გამოყენებით.

ქვემოთ მოცემული მოკლე ინფორმაცია მოიცავს სამუშაოს მხოლოდ იმ სფეროებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანია ან პირდაპირი კავშირი აქვს ონლაინ სიძულვილის ენასთან ბრძოლისას.

სამართლებრივი ინსტრუმენტები

- ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია რატიფიცირებულია ევროპის საბჭოს ყველა წევრი სახელმწიფოს მიერ. ის იცავს მთელ რიგ სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს, მათ შორის, კონფიდენციალობის, უსაფრთხოების, ასევე, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისგან დაცვის უფლებებს. კონვენცია იცავს გამოხატვის თავისუფლებასაც, თუმცა მასზე ვრცელდება შეზღუდვები, როდესაც გამოხატვის ფორმებმა შეიძლება საფრთხე შეუქმნან სხვა ადამიანებს ან ზიანი მიაყენონ საზოგადოებას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პასუხისმგებელია კონვენციაში განსაზღვრული უფლებების მხარდაჭერაზე. ამ სასამართლოს პრეცედენტული სამართალის განმარტებით, „სიძულვილის ენის“ ყველაზე მძიმე დარღვევები არ არის დაცული გამოხატვის თავისუფლებით;
- კიბერდანაშაულთან ბრძოლის კონვენცია, რომელიც შემუშავებულია ევროპის საბჭოს მიერ, თავისი დამატებითი ოქმით, ერთადერთი სავალდებულო საერთაშორისო ხელშეკრულებაა

ამ საკითხთან დაკავშირებით. ის ძალაში შევიდა 2004 წელს და განსაზღვრავს სახელმძღვანელო პრინციპებს მთავრობებისთვის, რომლებსაც სურთ, შეიმუშაონ კიბერდანაშაულთან ბრძოლის კანონმდებლობა.

სტრატეგია და პოლიტიკის ინსტრუმენტები

- ევროპის საბჭოს ინტერნეტმმართველობის სტრატეგია განსაზღვრავს ძირითად სფეროებს ინტერნეტის სამომავლო განვითარებისა და უსაფრთხო სივრცედ ჩამოყალიბებისათვის, რომელიც იცავს გამოხატვის თავისუფლებას და უზრუნველყოფს თავისუფალ წვდომას ინფორმაციაზე;
- მინისტრთა კომიტეტმა და ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ შეიმუშავეს რეკომენდაციები ონლაინ სიძულვილის ენასთან ბრძოლის პოლიტიკაზე, კერძოდ:
  - რეკომენდაცია CM/Rec (1997)20 სიძულვილის ენის შესახებ;
  - რეკომენდაცია CM/Rec(2009)5, რომელიც განსაზღვრავს საზიანო შინაარსისა და საქციელისგან ბავშვთა დაცვის ღონისძიებებს და ხელს უწყობს ონლაინსივრცეში აქტიურ მონაწილეობას;
  - მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2018)7 წევრი სახელმწიფოების მიმართ, რომელიც შეეხება სახელმძღვანელო პრინციპებს ციფრულ გარემოში ბავშვთა უფლებების პატივისცემის, დაცვისა და რეალიზების შესახებ. რეკომენდაცია შეიცავს ზომებს საზიანო მასალებისგან და ქცევისგან ბავშვების დასაცავად და ინტერნეტ სამყაროში აქტიური მონაწილეობის ხელშესაწყობად.
  - ინტერნეტმომხმარებელთა ძირითადი უფლებების სახელმძღვანელო დაფუძნებულია ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაზე, ასევე, ევროპის საბჭოს სხვა კონვენციებსა და ინსტრუმენტებზე, რომლებიც უკავშირდება ადამიანის უფლებათა დაცვას. დოკუმენტის მეშვეობით, მომხმარებლები სწავლობენ ადამიანის უფლებებს ინტერნეტში, ასევე, მათ შესაძლო შეზღუდვებსა და ასეთ შეზღუდვებთან დაკავშირებულ სამართლებრივი დაცვის საშუალებებს. სახელმძღვანელოში განმარტებულია, თუ რას ნიშნავს უფლებები და თავისუფლებები ინტერნეტის კონტექსტში, როგორ შეიძლება მათზე დაყრდნობა, წვდომის მოპოვება და შესაბამისად მოქმედება.

მონიტორინგის ინსტრუმენტები

- ევროპული კომისია რასიზმსა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ (ECRI) ევროპის საბჭოს ორგანოა ადამიანის უფლებათა კუთხით. იგი შედგება დამოუკიდებელი ექსპერტებისგან და აქვეყნებს მონიტორინგის ანგარიშებს, მათ შორის, სიძულვილის ენის პრობლემასთან დაკავშირებით. ECRI-მაც განიხილა სიძულვილის ენა თავის რეკომენდაციაში სიძულვილის ენასთან ბრძოლის შესახებ (პოლიტიკის რეკომენდაცია # 15), ECRI თვალყურს ადევნებს ამ პრობლემას ქვეყანაზე მონიტორინგისა და თემატური ანგარიშების მეშვეობით;

- ადამიანის უფლებათა კომისარმა ყურადღება გაამახვილა სიძულვილის ენაზე, როგორც ადამიანის უფლებათა დარღვევის პრობლემაზე (მაგ.: ბოშებთან, ლტოლვილებსა და თავშესაფრის მაძიებლებთან მიმართებით). მან სახელმწიფოებს მოუწოდა სიძულვილის ენასთან ბრძოლის ზომების მიღებისკენაც.

განათლება, პრევენცია და შესაძლებლობების განვითარება

- ევროპის საბჭოს ციფრული მოქალაქეობის საგანმანათლებლო პროექტი მიზნად ისახავს ბავშვების გაძლიერებას განათლების მეშვეობით და მათ ციფრულ საზოგადოებაში აქტიური მონაწილეობისათვის საჭირო კომპეტენციების შეძენაში ეხმარება
- თამაში „ველური ქსელის ტყეები“ (‘Wild Web Woods’) ონლაინინსტრუმენტია ბავშვებისთვის, რომლის მეშვეობითაც ისინი სწავლობენ ინტერნეტში უსაფრთხოების დაცვის ძირითად წესებს.
- ინტერნეტწიგნიერების სახელმძღვანელო სასწავლო ინსტრუმენტია მშობლების, მასწავლებლებისა და ახალგაზრდებისთვის, რათა განავითარონ საკუთარი უნარები ინტერნეტის გამოყენების მხრივ.
- ევროპის საბჭოს ახალგაზრდული დეპარტამენტი ახორციელებს ადამიანის უფლებათა საგანმანათლებლო პროგრამას ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და აქტივისტებისთვის. ანტირასისტულ სამუშაოსა და კულტურათაშორის დიალოგს მნიშვნელოვანი როლი უკავია. აქტივისტებისა და ადამიანის უფლებათა სპეციალისტებისთვის ორგანიზებულია ტრენინგკურსები ადგილობრივ და საერთაშორისო დონეებზე და შექმნილია სხვადასხვა სასწავლო მასალა (მაგ.: კომპასი, კომპასიტო და გენდერული მნიშვნელოვანია).

ახალგაზრდული დეპარტამენტის ონლაინ სიძულვილის ენასთან ბრძოლის სხვა აქტივობები

- კვლევა ინტერნეტში სიძულვილის ენის შესახებ და პუბლიკაცია „ინტერნეტში სიძულვილის ენასთან ბრძოლის ამოსავალი წერტილები“. ამ ნაშრომებში ახალგაზრდებისთვის განიხილება სიძულვილის ენის რეალობა და აღწერილია პრობლემის გადასაჭრელად შექმნილი სხვადასხვა პროექტი თუ კამპანია;
- კვლევა სიძულვილის ენის შესახებ, რომელიც ჩატარდა 2012 და 2015 წლებში, ახალგაზრდების მიერ სიძულვილის ენის აღქმისა და ახალგაზრდებზე მისი გავლენის გასაანალიზებლად;
- ევროპის ახალგაზრდულმა ფონდმა მხარი დაუჭირა ახალგაზრდულ ორგანიზაციებს პროექტებში, რომლებიც მონიტორინგს უწევს ონლაინ სიძულვილის ენას;
- ტრენინგები ონლაინაქტივისტებისთვის;
- სემინარები კამპანიის აქტივისტებისა და ორგანიზატორებისთვის;
- სასწავლო სესიები საერთაშორისო ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან.

სად მოვიძიოთ მეტი ინფორმაცია:

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საქმეები სიძულვილის ენის წინააღმდეგ:
www.echr.coe.int/ECHR/EN/Header/Press/Information+sheets/Factsheets/

გამოხატვის თავისუფლებისა და ინტერნეტ მმართველობის სფეროებში ევროპის საბჭოს საქმიანობის მიმოხილვა:
https://www.coe.int/en/web/freedom-expression/home

ციფრული მოქალაქეობის საგანმანათლებლო პროექტი:
https://www.coe.int/en/web/digital-citizenship-education/home

„ველური ქსელის ტყეები (Wild Web Woods)“:
www.wildwebwoods.org/popup_langSelection.php

კომპასი - სახელმძღვანელო ადამიანის უფლებების სფეროში ახალგაზრდების მონაწილეობით
www.coe.int/compass

ინტერნეტწიგნიერების სახელმძღვანელო:
www.coe.int/t/dghl/standardsetting/internetliteracy/Source/Lit_handbook_3rd_en.swf

ინტერნეტმომხმარებელთა ძირითადი უფლებების სახელმძღვანელო:
www.coe.int/en/web/internet-users-rights/guide

სახელმძღვანელო სიძულვილის ენის შესახებ (ანა ვებერი, ევროპის საბჭოს გამოცემა, სტრასბურგი 2009);

http://icm.sk/subory/Manual_on_hate_speech.pdf

შენიშვნები

1 მასკერონი, გ. & კუმანი, ა. (2014). ბავშვებმა დაიწყეს მობილური ინტერნეტის გამოყენება: საბოლოო ანგარიში. შედეგები D6.4&D5.2. მილანი: Educatt
2 EU Kids Online, ‘ბავშვები ინტერნეტში: მიგნებები, მეთოდები რეკომენდაციები, LSE Publishing, (2014).
3 კიბერბულინგი ახალგაზრდებს შორის, კვლევა LIBE კომიტეტისთვის, შიდა პოლიტიკის გენერალური დირექტორატი, 2016, ხელმისაწვდომია აქ: http://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/STUD/2016/571367/IPOL_STU(2016)571367_EN.pdf
4 კიბერბულინგის კვლევის ცენტრი, კიბერბულინგის მონაცემები 2019, ხელმისაწვდომია აქ: https://cyberbullying.org/2019-cyberbullying-data

თავი 6
დანართი

6.1 ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია 260
6.2 ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და მისი ოქმები 262
6.3 ონლაინ სიძულვილის ენასთან ბრძოლის სხვა რესურსები.....266
6.4 ინტერნეტმომხმარებელთა ძირითადი უფლებების სახელმძღვანელო.....269
6.5 ბუქმარქსზე დაფუძნებული სემინარების შემოთავაზებები.....272

6.1 ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია

(მოკლე შინაარსი)

1. ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი თავისი ღირსებითა და უფლებებით.
2. ყველა უფლება და თავისუფლება მინიჭებული უნდა ჰქონდეს თითოეულ ადამიანს, რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური შეხედულებების, ქონებრივი, წარმომავლობისა თუ სხვა სტატუსის მიუხედავად.
3. ყველას აქვს სიცოცხლის, თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება.
4. არავინ შეიძლება იმყოფებოდეს მონობაში ან ყმობაში. ყველა სახის მონობა და მონათვაჭრობა აკრძალულია.
5. არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას და სასტიკ, არაადამიანურ თუ ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას.
6. ყველას აქვს უფლება, ცნონ სამართალის სუბიექტად.
7. ყველა ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე, ყველას აქვს უფლება, თანაბრად იყოს დაცული კანონის მიერ.
8. ყველას აქვს უფლება სამართლიანი დაცვის ეფექტიან საშუალებაზე, როდესაც ირღვევა მისთვის კანონით მინიჭებული უფლებები.
9. არავის აქვს პირის თვითნებური დაკავების, დაპატიმრების ან ქვეყნიდან გაძევების უფლება.
10. ყველას აქვს თავისი საქმის სამართლიანი და საჯარო განხილვის უფლება სასამართლოს მიერ.
11. ყველა უდანაშაულოდ ითვლება მისი ბრალის დამტკიცებამდე.
12. ყველას აქვს პირადი, მათ შორის, საცხოვრებლისა და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება.
13. ყველას აქვს თავისუფალი მიმოსვლისა და ცხოვრების უფლება ნებისმიერი სახელმწიფოს ფარგლებში.
14. ყველას აქვს უფლება, ეძიოს უსაფრთხოება და თავშესაფარი სხვა ქვეყანაში, თუ უსამართლოდ იდევნება ან არსებობს ამის საფრთხე.
15. ყველას აქვს მოქალაქეობის უფლება.
16. ყველას აქვს უფლება, დაქორწინდეს და შექმნას ოჯახი.

17. ყველას აქვს უფლება, ფლობდეს ქონებას.
18. ყველას აქვს რწმენის თავისუფლება (ის მოიცავს რელიგიის უფლებას, მაგრამ არ შემოიფარგლება ამით).
19. ყველას აქვს აზრის გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფალი მიმოცვლის უფლება.
20. ყველას აქვს მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების უფლება.
21. ყველას აქვს უფლება, მონაწილეობდეს თავისი ქვეყნის მართვა-გამგეობაში და იყოს არჩეული თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების საფუძველზე.
22. ყველას აქვს სოციალური უზრუნველყოფის უფლება.
23. ყველას აქვს უფლება, იმუშაოს უსაფრთხო გარემოში, სამართლიანი ანაზღაურების სანაცვლოდ და გაწევრიანდეს პროფესიულ კავშირში.
24. ყველას აქვს დასვენებისა და თავისუფალი დროის გამოყენების უფლება.
25. ყველას აქვს უფლება, ჰქონდეს ცხოვრების ისეთი დონე (საკვების, ტანსაცმლის, საცხოვრებლის, სამედიცინო და საჭირო სოციალური მომსახურების ჩათვლით), რომელიც აუცილებელია მისი და ოჯახის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისთვის.
26. ყველას აქვს განათლების, მათ შორის, უფასო დაწყებითი განათლების უფლება.
27. ყველას აქვს უფლება, მონაწილეობდეს საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში.
28. ყველას აქვს უფლება ისეთ სოციალურ და საერთაშორისო წესრიგზე, რომლის პირობებშიც შესაძლებელია სრულად სარგებლობა ამ დეკლარაციაში ჩამოთვლილი უფლებებითა და თავისუფლებებით.
29. ყველა ვალდებულია, პატივი სცეს სხვების უფლებებს, საზოგადოებას და საზოგადოებრივ ქონებას.
30. არავის აქვს უფლება, რამე ამოიღოს ამ დეკლარაციიდან.

6.2 ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და მისი ოქმები

შერჩეული მუხლების გამარტივებული ვერსია

პრეამბულის მოკლე შინაარსი

ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები მუშაობენ მშვიდობის და მეტი ერთიანობის მისაღწევად ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა საფუძველზე. ამ კონვენციით მათ გადაწყვიტეს, პირველი ნაბიჯები გადაედგათ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში შემავალი უფლებების განსახორციელებლად.

მუხლი 1 - ადამიანის უფლებათა პატივისცემა

სახელმწიფოები ყველასთვის უზრუნველყოფენ ამ კონვენციით განსაზღვრულ უფლებებსა და თავისუფლებებს.

მუხლი 2 - სიცოცხლის უფლება

თქვენ გაქვთ სიცოცხლის უფლება.

მუხლი 3 - წამების აკრძალვა

არავის აქვს უფლება, ცუდად მოგეპყროთ ან გაწამოთ. პატიმრობაშიც კი, დაცული უნდა იყოს თქვენი ადამიანური ღირსება.

მუხლი 4 - მონობისა და იძულებითი შრომის აკრძალვა

აკრძალულია მონური მოპყრობა თქვენ მიმართ ან იძულებითი შრომის დაკისრება.

მუხლი 5 - თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება

თქვენ გაქვთ უფლება, იყოთ თავისუფალი, და თუ დაგაპატიმრებენ, გაიგოთ ამის მიზეზი, დაუყოვნებლივ წარედგინოთ მოსამართლეს, ან გათავისუფლდეთ საქმის განხილვის განმავლობაში.

მუხლი 6 - სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება

თქვენ გაქვთ საქმის სამართლიანი და საჯარო განხილვის უფლება გონივრულ ვადაში და კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ. თუ ბრალად გე-

დებათ სისხლის სამართლის დანაშაული, უდანაშაულოდ ითვლებით, ვიდრე ბრალი არ დაგიმტკიც-დებათ კანონის შესაბამისად. ასევე შეგიძლიათ ადვოკატის აყვანა, რომლის ხარჯსაც დაფარავს სა-ხელმწიფო, თუკი ამის საშუალება არ გაქვთ.

მუხლი 7 - არავითარი სასჯელი კანონის გარეშე

არავინ შეიძლება მიიჩნიონ ბრალეულად რაიმე დანაშაულში ისეთი ქმედების ან უმოქმედობის გამო, რომელიც ჩადენისას არ ითვლებოდა სისხლის სამართლის დანაშაულად.

მუხლი 8 - პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება

თქვენ გაქვთ უფლება, პატივი სცენ თქვენს პირად და ოჯახურ ცხოვრებას, საცხოვრებელსა და მიმო-წერას.

მუხლი 9 - აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება

თქვენ გაქვთ აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება. ასევე, შეგიძლიათ საკუთარი მრწამსის გაცხადება შინ თუ საზოგადოებაში და მისი შეცვლა სურვილისამებრ.

მუხლი 10 - გამოხატვის თავისუფლება

თქვენ გაქვთ უფლება, სათანადო პასუხისმგებლობით თქვათ და დაწეროთ ის, რასაც ფიქრობთ და გაცვალოთ ინფორმაცია სხვებთან. ეს მოიცავს პრესის თავისუფლებასაც.

მუხლი 11 - შეკრებისა და გაერთიანებების თავისუფლება

თქვენ გაქვთ მშვიდობიან შეკრებებში მონაწილეობის, პროფესიული კავშირების შექმნისა და მათში გაერთიანების უფლება.

მუხლი 12 - ქორწინების უფლება

თქვენ გაქვთ ქორწინებისა და ოჯახის შექმნის უფლება.

მუხლი 13 - სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების უფლება

თუ თქვენი უფლებები ირღვევა, შეგიძლიათ, საჩივარი შეიტანოთ სასამართლოებსა ან სხვა საჯარო ორგანოებში.

მუხლი 14 - დისკრიმინაციის აკრძალვა

თქვენ გაქვთ ეს უფლებები, კანის ფერის, სქესის, ენის, პოლიტიკური ან რელიგიური შეხედულებების ან წარმოშობის მიუხედავად.

მუხლი 15 - გადახვევა საგანგებო მდგომარეობის დროს

ომის ან სხვა საგანგებო მდგომარეობის დროს, მთავრობას შეუძლია თქვენი უფლებების საწინააღმდეგო ღონისძიებათა გატარება, მაგრამ მხოლოდ უკიდურესი საჭიროების პირობებში. ასეთ შემთხვევაშიც კი, მთავრობას არ აქვს თქვენი წამების ან სიცოცხლის თვითნებურად მოსპობის უფლება.

მუხლი 16 - უცხოელთა პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვა

მთავრობებს აქვთ უფლება, შეზღუდონ უცხოელთა პოლიტიკური საქმიანობა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს ეწინააღმდეგება მე-10, მე-11 და მე-14 მუხლების მოთხოვნებს.

მუხლი 17 - უფლებათა ბოროტი გამოყენების აკრძალვა

ამ კონვენციაში არაფერი შეიძლება განიმარტოს ისე, რომ ზიანი მიადგეს კონვენციის უფლებებსა და თავისუფლებებს.

მუხლი 18 - უფლებების შეზღუდვათა გამოყენების ფარგლები

ამ კონვენციის უფლებათა უმეტესობა შეიძლება შეიზღუდოს ზოგადი კანონით, რომელიც ვრცელდება ყველაზე. ასეთი შეზღუდვები დაიშვება მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში.

19- 51 მუხლები

ამ მუხლებში ახსნილია, თუ როგორ მუშაობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო.

მუხლი 34 - ინდივიდუალური განაცხადი

თუ კონვენციით მონიჭებული უფლებები დაგერღვევათ რომელიმე წევრ სახელმწიფოში, ჯერ უნდა აცნობოთ ყველა ადგილობრივ უფლებამოსილ ორგანოს. თუ პრობლემა ვერ გადაწყდება, შეგიძლიათ მიმართოთ უშუალოდ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს სტრასბურგში.

მუხლი 52 - გენერალური მდივნის მოთხოვნები

ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მოთხოვნით, მთავრობამ უნდა ახსნას, როგორ იცავს მისი ადგილობრივი კანონმდებლობა ამ კონვენციის უფლებებს.

კონვენციის ოქმები

No. 1-ლი ოქმის მუხლი 1 - საკუთრების დაცვა

თქვენ გაქვთ უფლება, გქონდეთ და ისარგებლოთ ქონებით.

No 1 ოქმის მუხლი 2 - განათლების უფლება

თქვენ გაქვთ სკოლაში სიარულის უფლება.

No. 1 ოქმის მუხლი 3 - თავისუფალი არჩევნების უფლება

თქვენ გაქვთ უფლება, აირჩიოთ საკუთარი ქვეყნის მთავრობა ფარული კენჭისყრით.

No. 4 ოქმის მუხლი 2 - მიმოსვლის თავისუფლება

თუ კანონიერად იმყოფებით ქვეყანაში, გაქვთ მის ფარგლებში თავისუფალი გადაადგილებისა და ცხოვრების უფლება.

No. 6 ოქმის მუხლი 1 - სიკვდილით დასჯის გაუქმება

სახელმწიფოს არ აქვს სასიკვდილო განაჩენის გამოტანის უფლება.

No. 7 ოქმის მუხლი 2 - სისხლის სამართლის საქმის გასაჩივრების უფლება

თქვენ გაქვთ უფლება, მიმართოთ უმაღლეს სასამართლოს, თუკი გაგასამართლებენ დანაშაულის ჩადენისთვის.

No. 7 ოქმის მუხლი 3 - კომპენსაცია მცდარი მსჯავრისათვის

თქვენ გაქვთ კომპენსაციის მიღების უფლება, თუ გაგასამართლებენ დანაშაულის ჩადენისთვის და აღმოჩნდება, რომ უდანაშაულო ხართ.

No. 12 ოქმის მუხლი 1 - დისკრიმინაციის ზოგადი აკრძალვა

დაუშვებელია თქვენ მიმართ დისკრიმინაცია სახელმწიფო ორგანოების მხრიდან და ისეთი ნიშნებით, როგორიცაა: კანის ფერი, სქესი, ენა, პოლიტიკური ან რელიგიური შეხედულებები ან წარმოშობა.

6.3 ონლაინ სიძულვილის ენასთან ბრძოლის სხვა რესურსები

თუ გექნებათ დრო და დაინტერესდებით მეტი ინფორმაციით ონლაინ სიძულვილის ენის შესახებ, ასევე, სხვა საგანმანათლებლო აქტივობებით, რომელთა გამოყენებაც შეგიძლიათ თქვენს ჯგუფთან, იხილეთ ქვემოთ რამდენიმე „ამოსავალი წერტილი“. ეს სია არ არის ამომწურავი და მოიცავს მხოლოდ რამდენიმე ძირითად შემოთავაზებას!

ევროპის საბჭო

- **კომპასი** - სახელმძღვანელო ადამიანის უფლებების სფეროში ახალგაზრდების მონაწილეობით. **კომპასიტო** - სახელმძღვანელო ადამიანის უფლებათა განათლების სფეროში ბავშვებისთვის და სხვა საგანმანათლებლო რესურსები ადამიანის უფლებათა სწავლებისთვის და ახალგაზრდებში ანტირასისტული განათლებისთვის http://www.library.court.ge/upload/kompasito.pdf
  www.coe.int/compass
- **ჩვენ შეგვიძლია! (We Can!)** სიძულვილის ენის წინააღმდეგ მოქმედება საპირისპირო და ალტერნატიული ნარატივებით სახელმძღვანელოში წარმოდგენილია საკომუნიკაციო და საგანმანათლებლო მიდგომები და ინსტრუმენტები ახალგაზრდებისათვის და ადამიანის უფლებათა სხვა აქტივისტებისათვის, რათა მათ შეძლონ საკუთარი საპირისპირო და ალტერნატიული ნარატივების შემუშავება. აღნიშნული სახელმძღვანელო “ბუქმარქსის” დამატებას წარმოადგენს.
  https://rm.coe.int/wecan-georgian-nov-2018-2018/16808ec5f9
- **ინტერნეტწიგნიერების სახელმძღვანელო** – სასწავლო ინსტრუმენტი მშობლების, მასწავლებლებისა და ახალგაზრდებისთვის, რათა განავითარონ საკუთარი უნარები ინტერნეტის გამოყენების მხრივ.
  www.coe.int/t/dghl/standardsetting/internetliteracy/Source/Lit_handbook_3rd_en.swf
- **Wild Web Woods** - ონლაინთამაში ბავშვებისთვის, რომლითაც ისინი ისწავლიან ინტერნეტში უსაფრთხოების დაცვის ძირითად წესებს.
  www.wildwebwoods.org/popup_langSelection.php

- **სახელმძღვანელო სიძულვილის ენის შესახებ** (ანა ვებერი, ევროპის საბჭოს გამომცემლობა, სტრასბურგი 2009);
- **ონლაინ სიძულვილის ენასთან ბრძოლის ამოსავალი წერტილები** – სამი კვლევა ინტერნეტში სიძულვილის ენის შესახებ და მასთან ბრძოლის საშუალებები (გავან ტიტლი, ელი კინი და ლასლო ფოლდი; ევროპის საბჭოს გამომცემლობა, სტრასბურგი 2012);
- **ევროპის საბჭოს მედიისა და გამოხატვის თავისუფლების მთავარი გვერდი:** www.coe.int/t/dghl/standardsetting/media/Themes/Education_en.asp
- **ციფრული მოქალაქეობის საგანმანათლებლო პროექტი** - ციფრული მოქალაქეობის საგანმანათლებლო პროექტი აძლიერებს ბავშვებს და ეხმარება ციფრულ საზოგადოებაში აქტიური მონაწილეობისათვის საჭირო კომპეტენციების შეძენაში. https://www.coe.int/en/web/digital-citizenship-education/digital-citizenship-education-project
- **ადამიანის უფლებათა სწავლების ევროპული პროგრამა იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებისათვის (HELP)** - პროგრამა ონლაინ და ოფლაინ კურსების საშუალებით იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებს ეხმარება საკუთარი შესაძლებლობების გაუმჯობესებაში, რათა მათ ევროპული ფუნდამენტური უფლებების სტანდარტები ეფექტურად და თანმიმდევრულად გამოიყენონ. http://help.elearning.ext.coe.int/
- **ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ფაქტები** (მათ შორის, სიძულვილის ენის შესახებ): www.echr.coe.int/ECHR/EN/Header/Press/Information+sheets/Factsheets/
- **მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციები, დასკვნები და დეკლარაციები** მედიის სფეროში: www.coe.int/t/dghl/standardsetting/media/doc/cm_EN.asp

სხვა რესურსები და ბმულები:

- **INSAFE და INHOPE** ინიციატივები ევროპაში მოქმედებს "უსაფრთხო ინტერნეტის ცენტრების" საშუალებით და უზრუნველყოფს ცნობიერების ამაღლებას, კონსულტაციას და დახმარებას. ინიციატივების ფარგლებში მოქმედებს ცხელი ხაზი, სადაც შესაძლებელია ბავშვთა სექსუალური ძალადობის ამსახველი მასალის შესახებ შეტყობინების წარდგენა. https://www.betterinternetforkids.eu/web/portal/policy/insafe-inhope
- **Insafe-ის კარგი პრაქტიკის სახელმძღვანელო ახალგაზრდებისათვის** https://www.betterinternetforkids.eu/web/portal/practice/awareness/detail?articleId=199791

- **Teachtoday** - პორტალი, რომელიც შეიცავს ინფორმაციასა და რჩევებს სკოლებისთვის ახალი ტექნოლოგიების პოზიტიური და უსაფრთხო გამოყენების შესახებ: www.teachtoday.eu
- **MediaSmarts** - ვებგვერდი მოიცავს საგანმანათლებლო აქტივობების ფართო სპექტრს, ინტერნეტის გამოყენებასთან დაკავშირებულ დამატებით ინფორმაციასა და ინსტრუმენტებს: www.mediasmarts.ca
- **ვები, რომელიც გვსურს ('Web We Want')** - საგანმანათლებლო სახელმძღვანელო 13-16 წლის მოზარდებისთვის ინტერნეტწიგნიერების შესახებ, რომელიც შემუშავებულია ახალგაზრდების მიერ: http://webwewant.eu/
- **European Schoolnet** - განათლების 30 სამინისტროსგან შემდგარი ეს ქსელი მასწავლებლებსა და მოსწავლეებს სთავაზობს რესურსებს, რომლებიც უკავშირდება ცოდნის საზოგადოებას და ინტერნეტის გამოყენებას: www.eun.org/
- **ევროპის ვერგელანდის ცენტრი (European Wergeland Centre)** - წარმოგიდგენთ მთელ რიგ საგანმანათლებლო რესურსებს ადამიანის უფლებათა სწავლებასთან დაკავშირებით: www.theewc.org/
- **ლიგა ცილისწამების წინააღმდეგ (Anti-Defamation League)** - ინსტრუმენტი მოიცავს ნარატივებს კიბერსიძულვილის წინააღმდეგ: www.adl.org/assets/pdf/combating-hate/ADL-Responding-to-Cyberhate-Toolkit.pdf
- **INACH – კიბერსიძულვილის საწინააღმდეგო საერთაშორისო ქსელი (International Network Against Cyber Hate)** – აერთიანებს და უფლებამოსილებას ანიჭებს ორგანიზაციებს ინტერნეტში პატივისცემის, პასუხისმგებლობისა და მოქალაქეობის ხელშეწყობისათვის, კიბერბულინგთან ბრძოლასა და ონლაინდისკრიმინაციაზე ცნობიერების ამაღლებით: www.inach.net/

6.4 ინტერნეტმომხმარებელთა ძირითადი უფლებების სახელმძღვანელო

(მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2014 წლის 16 აპრილს მინისტრების მოადგილეების 1197-ე სხდომაზე):

გამარტივებული ვერსია

თქვენი უფლებები ინტერნეტში	უფლებამოსილი ორგანოების და/ან ინტერნეტპროვაიდერის როლი
ინტერნეტის ხელმისაწვდომობა და არადისკრიმინაციული მოპყრობა - ინტერნეტი ხელმისაწვდომი უნდა იყოს თქვენთვის; - ინტერნეტში კომუნიკაციის დროს თქვენ მიმართ არ უნდა განხორციელდეს დისკრიმინაცია სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, ასაკის, სექსუალური ორიენტაციის ან ნებისმიერი სხვა ნიშნით.	- უზრუნველყოს თქვენი წვდომა ინტერნეტზე, თუკი ცხოვრობთ სოფელში ან გეოგრაფიულად მოშორებულ ტერიტორიაზე, გაქვთ დაბალი შემოსავალი, ან ხართ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი; - ინტერნეტში დისკრიმინაციაზე რეაგირება, დაცვა და მხარდაჭერა.
გამოხატვის თავისუფლება და ინფორმაცია თქვენ გაქვთ უფლება: - გამოხატოთ საკუთარი მოსაზრებები ინტერნეტში, თუკი ისინი არ შეიცავს დისკრიმინაციას, სიძულვილს ან ძალადობას; - გქონდეთ ინფორმაციაზე წვდომა; - შექმნათ, განმეორებით გამოიყენოთ და გააზიაროთ ინფორმაცია სხვების ინტელექტუალური საკუთრების, მათ შორის, საავტორო უფლების დაცვით; - გამოიყენოთ ფსევდონიმი ინტერნეტში, თუმცა, ზოგჯერ ის შეიძლება გამჟღავნდეს.	- გასწავლოთ, როგორ უნდა განაცხადოთ პრეტენზია ან იჩივლოთ დარღვევის შესახებ; - რეაგირება მოახდინოს თქვენს პრეტენზიებზე; - დანაშაულის ჩადენის ან ადამიანის უფლებათა დარღვევის შემთხვევაში, გაარკვიოს პირის ვინაობა ონლაინსივრცეში.

შეკრების, გაერთიანების და მონაწილეობის თავისუფლება თქვენ გაქვთ უფლება: - გაერთიანდეთ სხვებთან ინტერნეტის გამოყენებით; - გამოხატოთ მშვიდობიანი პროტესტი ინტერნეტში; - აირჩიოთ ნებისმიერი ონლაინინსტრუმენტი ნებისმიერ სოციალურ ჯგუფში გაწევრიანების ან საჯარო დებატებში მონაწილეობისათვის.	- მოგაწოდოთ ონლაინმონაწილეობის ინსტრუმენტები; - გაითვალისწინოს თქვენი აზრი.
პირადულობა და მონაცემთა დაცვა - თქვენ გაქვთ პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლება ინტერნეტში; - უნდა იცოდეთ, რომ ინტერნეტის გამოყენებისას თქვენი პირადი ინფორმაცია რეგულარულად მუშავდება; - თქვენი პირადი ონლაინკორესპონდენციისა და კომუნიკაციის კონფიდენციალობა დაცული უნდა იყოს სამუშაო ადგილზე.	- პატივი სცეს სპეციფიკურ წესებსა და პროცედურებს თქვენი პირადი მონაცემების დამუშავებისას; - მიიღოს თქვენი თანხმობა თქვენი პირადი მონაცემების დამუშავებისას; - დაგიცვათ უკანონო თვალთვალისგან; - გაგიწიოთ დახმარება მონაცემთა დაცვის მომსახურებით.
განათლება და წიგნიერება - თქვენ გაქვთ განათლების მიღებისა და ცოდნაზე წვდომის უფლება; - თქვენ უნდა გქონდეთ შესაძლებლობა, რომ განავითაროთ საკუთარი უნარები სხვადასხვა ინტერნეტინსტრუმენტის გამოყენების მხრივ, რათა შეამოწმოთ მიღებული ინფორმაციისა და მომსახურების სიზუსტე და სანდოობა.	- უზრუნველყოს თქვენი წვდომა განათლებაზე და კულტურულ თუ სამეცნიერო შინაარსზე; - წარმოგიდგინოთ შესაძლებლობა მედიაწიგნიერების უნარების განვითარებისათვის.

ბავშვები და ახალგაზრდები - თქვენ გაქვთ უფლება, თავისუფლად გამოხატოთ საკუთარი შეხედულებები და მიიღოთ მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში; - უნდა იცოდეთ, რომ ინფორმაციამ, რომელსაც თქვენ ავრცელებთ ინტერნეტში, ან სხვა მომხმარებლები აქვეყნებენ თქვენზე, შეიძლება რისკები შეგიქმნათ ღირსების, უსაფრთხოებისა და კონფიდენციალობის მხრივ. ის შეიძლება მთელ მსოფლიოში გახდეს ხელმისაწვდომი - როგორც ახლა, ისე ცხოვრების შემდგომ ეტაპზე; - თქვენ გაქვთ განათლების მიღების უფლება, რათა დაიცვათ თავი ჩარევისა და შეურაცხყოფისგან ინტერნეტში.	- გასწავლოთ ინტერნეტის უსაფრთხო გამოყენება; - მკაფიო ინფორმაცია მოგაწოდოთ უკანონო შინაარსსა და ქცევაზე ინტერნეტში (მაგ.: ონლაინ შევიწროება) და გქონდეთ უკანონო შინაარსის შეტყობინების შესაძლებლობა; - მოგცეთ რჩევა და გაგიწიოთ დახმარება კონფიდენციალობისა და ანონიმურობის გათვალისწინებით; - დაგიცვათ ფიზიკურ, გონებრივ და სულიერ ცხოვრებაში ჩარევისგან, კერძოდ, სექსუალური ექსპლოატაციის, ინტერნეტში შეურაცხყოფისა და კიბერდანაშაულის სხვა ფორმებისგან.
დახმარება და მხარდაჭერა თქვენ გაქვთ უფლება: - მიიღოთ დახმარება და მხარდაჭერა, როდესაც თქვენი უფლებები იზღუდება ან ირღვევა; - მიმართოთ სასამართლოს.	- მოგაწოდოთ ინფორმაცია თქვენს უფლებებზე; - გასწავლოთ, თუ როგორ უნდა შეატყობინოთ ჩარევის შესახებ; - მოგაწოდოთ ინფორმაცია ხელმისაწვდომ დახმარებასა და მხარდაჭერაზე, თუკი ირღვევა უფლებები; - დაიცვას თქვენი ციფრული ვინაობა და კომპიუტერი უკანონო წვდომისა და მანიპულაციებისაგან.

6.5 ბუქმარქსზე დაფუძნებული სემინარების შემოთავაზებები

1. ონლაინ სიძულვილის ენის შესავალი აქტივობა (1-2 საათი)

მოკლე გაცნობითი სემინარი ბუქმარქსის აქტივობების გამოყენებით.

სემინარში მონაწილეობას მიიღებს 25 მონაწილე.

ეტაპობრივი ინსტრუქციები:

1. აქტივობის შესავალი (5 წუთი):
   აუხსენით მონაწილეებს, თუ რის შესახებ არის სემინარი.

2. ონლაინ სიძულვილის ენის შესავალი (15 წუთი):

- ჰკითხეთ მონაწილეებს, თუ შეხვედრიათ ონლაინსივრცეში სიძულვილის ენა და სთხოვეთ, მოიყვანონ რამდენიმე მაგალითი ან თავად გააცანით ასეთი შემთხვევები (მაგ.: სიძულვილის ენის მონიტორის არქივის გამოყენებით);
- ჰკითხეთ მონაწილეებს, როგორ გრძნობენ თავს ონლაინ სიძულვილის ენის სამიზნეები და რა შედეგები შეიძლება ჰქონდეს სიძულვილის ენას მათთვის ან საზოგადოების სხვა წევრებისათვის;
- გააცანით მონაწილეებს ადამიანის ღირსების კონცეფცია, რომელიც რისკქვეშ დგება, როდესაც ადამიანები აწყდებიან სიძულვილის ენას. ასევე, ონლაინ სიძულვილის ენის განმარტება (ევროპის საბჭოს განმარტება სიძულვილის ენის შესახებ იხ: ბუქმარქსის 16 გვერდზე).

3. გადადით ბუქმარქსის აქტივობაზე: „უარესად თქმა“ (45-60 წუთი);

- ეს არის ონლაინ სიძულვილის ენის შესავალი აქტივობა. მონაწილეები გეიების საწინააღმდეგო სიძულვილის ენის მაგალითებს ახარისხებენ ყველაზე „უარესის“ მიხედვით (მეტი ინფორმაციისთვის იხ: გვ. 146).

4. ამ აქტივობის შემდეგ, შეგიძლიათ (20-30 წუთი):

- მონაწილეებს ვიდეორგოლით გააცნოთ ახალგაზრდული კამპანია „მოძრაობა სიძულვილის ენის წინააღმდეგ“ან აჩვენოთ ვიდეო სიძულვილის წინააღმდეგ მებრძოლი ნინძების პროექტიდან “მოთხრობა კატების, მარტორქებისა და სიძულვილის ენის შესახებ“ (https://www.coe.int/en/web/no-hate-campaign/videos1) და მოკლედ მოუყვეთ ახალგაზრდულ

კამპანიაზე (ამ მოძრაობის შესახებ მეტი ინფორმაციისთვის, იხ: ბუქმარქსის მე-2 თავი: მოძრაობა სიძულვილის ენის წინააღმდეგ (გვ. 16));

- განიხილოთ, როგორ შეუძლიათ ახალგაზრდებს ინტერნეტით სარგებლობა სიძულვილის ენის გარეშე და შედეგად, მოამზადოთ დაშვებებისა და აკრძალვების სია ახალგაზრდების მიერ ინტერნეტის სწორი გამოყენებისთვის.

  ჩაატარეთ სემინარის მოკლე შეფასება:

  (მაგ.: სთხოვეთ თითოეულ მონაწილეს, მოკლედ ახსნას, რა ისწავლა სემინარის განმავლობაში (5-10 წუთი)).

ადაპტირება

თუ გსურთ, რომ აქტივობის შესავალში გამოიყენოთ ბუქმარქსის რომელიმე კონკრეტული თემა, შეგიძლიათ, განსხვავებული აქტივობა ჩაატაროთ, მაგალითად:

- თამაშის შეცვლა, რომელშიც განხილულია სექსიზმი ონლაინთამაშებში;
- კიბერბულინგთან ბრძოლა, რომელშიც განხილულია კიბერბულინგის პრობლემა;
- ჯგუფი X, რომელშიც განხილულია რასიზმის გავლენა ბოშებზე;
- ვებპროფილები, რომლებშიც განხილულია ინტერნეტში სიძულვილის ენის გამომწვევი ცრურწმენა და სტერეოტიპები.

2. აქტივობა ონლაინ სიძულვილის ენის, ადამიანის უფლებებისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ (4 საათი)

აქტივობა შექმნილია უფრო ხანგრძლივი სემინარისთვის ბუქმარქსის გამოყენებით. მისი მონაწილეები გაეცნობიან: ონლაინ სიძულვილის ენას და ადამიანის უფლებათა ჩარჩოს და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვებს;

ეს აქტივობა შექმნილია ჯგუფისთვის, რომელიც შედგება 25 მონაწილისგან, ერთი ფასილიტატორით.

ეტაპობრივი ინსტრუქციები:

1. აქტივობის შესავალი (5 წუთი):

აუხსენით მონაწილეებს, რას ეხება აქტივობა.

2. ონლაინ სიძულვილის ენის შესავალი (15 წუთი):
   - ჰკითხეთ მონაწილეებს, თუ შეხვედრიათ სიძულვილის ენა ოლაინსივრცეში და სთხოვეთ, მოიყვანონ რამდენიმე მაგალითი, ან თავად გააცანით ასეთი შემთხვევები (მაგ.: სიძულვილის ენის მონიტორის არქივის გამოყენებით); გააცანით მონაწილეებს

ადამიანის ღირსების კონცეფცია, რომელიც რისკქვეშ დგება, როდესაც ადამიანები აწყდებიან სიძულვილის ენას. ასევე, ონლაინ სიძულვილის ენის განმარტება (ევროპის საბჭოს განმარტება სიძულვილის ენის შესახებ იხ: ბუქმარქსის 16 გვერდზე).

3. გადადით ბუქმარქსის აქტივობაზე „შეუზღუდავი თავისუფლება?“ (60 წუთი):
   - მონაწილეები გაეცნობიან გამოხატვის თავისუფლებას რამდენიმე პრაქტიკული შემთხვევის განხილვით. მათ უნდა გადაწყვიტონ, როგორ მოიქცნენ სადავო, შეურაცხმყოფელ ან პოტენციურად სახიფათო კომენტართან დაკავშირებით (მეტი ინფორმაციისთვის იხ. გვ. 91).
4. პირველი აქტივობის შემდეგ, შეგიძლიათ უფრო ღრმად ჩაწვდეთ ონლაინ სიძულვილის ენის ფესვებს და მის შედეგებს. ამ მიზნით, შეგიძლიათ გამოიყენოთ ბუქმარქსის აქტივობა „ფესვები და ტოტები“ (60 წუთი, გვ. 141), ასევე, ნებისმიერი მაგალითი წინა აქტივობიდან როგორც ამოსავალი წერტილი ამ აქტივობაში „პრობლემის ხის“ შესაქმნელად.
5. შეისვენეთ (20 წუთი).
6. შეგიძლიათ სთხოვოთ მონაწილეებს, „პრობლემის ხის“ საფუძველზე შეიმუშაონ მოქმედებები და კამპანიის აქტივობები სიძულვილის ენის ზოგიერთი შედეგის განსახილველად. ასევე შეგიძლიათ, გაანაწილოთ მონაწილეები მცირე სამუშაო ჯგუფებად და სთხოვოთ აირჩიონ სიძულვილის ენის ერთი შედეგი, რომლის შეცვლაც სურთ და მოიძიონ მისი გადაჭრის გზები. მიეცით ჯგუფს 20 წუთი განსახილველად და კიდევ 20 წუთი - პრეზენტაციისთვის (სულ 40 წუთი).
7. ამ აქტივობის შემდეგ, შეგიძლიათ (30 წუთი):
   - მონაწილეებს ვიდეორგოლით გააცნოთ ახალგაზრდული კამპანია „მოძრაობა სიძულვილის ენის წინააღმდეგ“ან აჩვენოთ ვიდეო სიძულვილის წინააღმდეგ მებრძოლი ნინძების პროექტიდან „მოთხრობა კატების, მარტორქების და სიძულვილის ენის შესახებ“ (https://www.coe.int/en/web/no-hate-campaign/videos1) და მოუყვეთ ახალგაზრდულ კამპანიაზე (მეტი ინფორმაცია ამ მოძრაობის შესახებ იხ. მე-2 თავში (გვ. 16)).
   - განიხილოთ, როგორ შეუძლიათ ახალგაზრდებს ინტერნეტით სარგებლობა სიძულვილის ენის გამოყენების გარეშე და შედეგად, მოამზადოთ დაშვებებისა და აკრძალვების სია ინტერნეტის სწორი გამოყენებისათვის.
8. მოკლედ შეაფასეთ აქტივობა (მაგ.: სთხოვეთ თითოეულ მონაწილეს მოკლედ ახსნას, თუ რა ისწავლა სემინარის განმავლობაში (5-10 წუთი)).

3. აქტივობა ონლაინ სიძულვილის ენის, ადამიანის უფლებებისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ (4 საათი) - დამატებითი

ეს აქტივობა შექმნილია უფრო ხანგრძლივი სემინარის ჩატარებისათვის ბუქმარქსის გამოყენებით. აქტივობის განმავლობაში მონაწილეები გაეცნობიან:

- ონლაინ სიძულვილის ენას და მის გამოვლინებებს;
- ადამიანის უფლებათა ჩარჩოს და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვებს;

ეს აქტივობა შექმნილია ჯგუფისთვის, რომელიც შედგება 25 მონაწილისგან.

ეტაპობრივი ინსტრუქციები:

1. აქტივობის შესავალი (5 წუთი):
   აუხსენით მონაწილეებს, თუ რის შესახებ არის სემინარი.
2. ონლაინ სიძულვილის ენისა და ადამიანის უფლებების შესავალი (20 წუთი):
   - ჰკითხეთ მონაწილეებს, თუ შეხვედრიათ ინტერნეტში სიძულვილის ენა და სთხოვეთ, მიყვანონ რამდენიმე მაგალითი ან თავად გააცანით ასეთი შემთხვევები (მაგ.: სიძულვილის ენის მონიტორის არქივის გამოყენებით).
   - გააცანით ადამიანის ღირსების კონცეფცია, რომელიც რისკქვეშ დგება, როდესაც ადამიანები აწყდებიან სიძულვილის ენას. ასევე, ონლაინ სიძულვილის ენის განმარტება (ევროპის საბჭოს განმარტება სიძულვილის ენის შესახებ იხ: ბუქმარქსის 16 გვერდზე).
3. გადადით ბუქმარქსის აქტივობაზე ერთი დღე სასამართლოში (120 წუთი):
   - მონაწილეები გაითამაშებენ მინი სასამართლოს და განიხილავენ რეალურ საქმეს, რომელიც გამოტანილია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ (მეტი ინფორმაციისთვის იხ: გვ. 34).
4. დაისვენეთ (20 წუთი).
5. ამ აქტივობის შემდეგ გაანაწილეთ მონაწილეები მცირე ჯგუფებად. სთხოვეთ, ჩაატარონ მოკლე კვლევა საყვარელ ინტერაქტიურ ვებგვერდებზე და შეამოწმონ მათი პოლიტიკა რასისტული შეურაცხყოფის ან სიძულვილის ენის სხვა ფორმების შესახებ. მიეცით ჯგუფებს 20 წუთი, შემდეგ კი დააბრუნეთ მონაწილეები, რათა განიხილოთ და შეადაროთ მათ მიერ მოძიებული სხვადასხვა პოლიტიკა. იმსჯელეთ, რომელი არ გამოდგება მომხმარებელთა დასაცავად და როგორ შეიძლება მათი ადაპტირება (40 წუთი).

ეს არის ბუქმარქსის აქტივობის „წესების გაცნობის“ ვარიანტი (მეტი ინფორმაციისთვის იხ: გვ. 132).

6. ამ აქტივობის შემდეგ, შეგიძლიათ (30 წუთი):
   - მონაწილეებს ვიდეორგოლით გააცნოთ ახალგაზრდული კამპანია „მოძრაობა სიძულვილის ენის წინააღმდეგ“ ან აჩვენოთ ვიდეო სიძულვილის წინააღმდეგ მებრძოლი ნინძების პროექტიდან „მოთხრობა კატების, მარტორქების და სიძულვილის ენის შესახებ“ (https://www.coe.int/en/web/no-hate-campaign/videos1) და მოუყევეთ ახალგაზრდულ კამპანიაზე (მეტი ინფორმაცია ამ მოძრაობაზე იხილეთ მე-2 თავში (გვ. 16));
   - განიხილოთ, თუ როგორ შეუძლიათ ახალგაზრდებს ინტერნეტით სარგებლობა სიძულვილის ენის გარეშე და შედეგად, მოამზადოთ დაშვებებისა და აკრძალვების სია ინტერნეტის სწორი გამოყენებისთვის.
7. მოკლედ შეაფასეთ სემინარი (მაგ.: სთხოვეთ თითოეულ მონაწილეს, მოკლედ ახსნას, თუ რა ისწავლა სემინარის განმავლობაში (5 წუთი)).

ევროპის საბჭოს მუშაობა დემოკრატიის კუთხით ძირითადად დაფუძნებულია განათლებაზე, განათლება სკოლებში და არაფორმალური უწყვეტი განათლება დემოკრატიის დამკვიდრების მიზნით. განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის და ადამიანის უფლებათა სწავლება დემოკრატიის დამკვიდრებაზე მიმართულ ღონისძიებათა განუყოფელი ნაწილია.

სიძულვილის ენა რასიზმისა და დისკრიმინაციის ერთ-ერთი ყველაზე საშიში ფორმაა, რომელიც გავრცელებულია ევროპაში და ღვივდება ინტერნეტისა და სოციალური მედიის მეშვეობით. სიძულვილის ენა ინტერნეტსივრცეში შეუწყნარებლობისა და ეთნოცენტრიზმის აისბერგის მწვერვალია. ახალგაზრდები ონლაინგარემოში ადამიანის უფლებათა დარღვევის უშუალო სამიზნეები არიან და ევროპის სურვილია, სწორედ მათ იზრუნონ ამ უფლებებისა და დემოკრატიის სიმტკიცეზე.

ბუქმარქსის მიზანია, მხარი დაუჭიროს ევროპის საბჭოს კამპანიას „მოძრაობა სიძულვილის ენის წინააღმდეგ“, რომელიც ხელს უწყობს ინტერნეტსივრცეში ადამიანის უფლებათა დაცვას. გამოცემა განკუთვნილია განმანათლებლებისათვის, რომელთაც სურთ ონლაინ სიძულვილის ენის აღმოფხვრა, ფორმალური განათლების სისტემის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ. სახელმძღვანელო შექმნილია 13-დან 18 წლამდე ასაკის მოსწავლეებთან სამუშაოდ, თუმცა აქტივობები შეიძლება მოერგოს სხვა ასაკობრივ ჯგუფებსაც.

ბუქმარქსის წინამდებარე გამოცემა განახლდა: მასში უფრო მეტი ინფორმაცია აისახა ინტერნეტმომხმარებელთა ძირითადი უფლებების სახელმძღვანელოზე, კამპანიაზე „მოძრაობა სიძულვილის ენის წინააღმდეგ“ და სიძულვილის ენის აღმოსაფხვრელ სემინარებზე (როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური განათლების კონტექსტში).

NO HATE SPEECH MOVEMENT

www.nohatespeechmovement.org

KAT

ევროპის საბჭო არის ადამიანის უფლებათა მოწინავე ორგანიზაცია კონტინენტზე. იგი 47 წევრი სახელმწიფოსაგან შედგება, რომელთა შორისაა ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყანა. ევროპის საბჭოს ყველა წევრმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას - ხელშეკრულებას, რომლის ძირითად მიზანს ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დაცვის უზრუნველყოფა წარმოადგენს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ზედამხედველობს კონვენციის შესრულებას წევრ სახელმწიფოებში.

www.coe.int

Youth – Jeunesse

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE